კვირის პალიტრა

N31 (321) 3

ფასი 60 თ.

63

1168
2006

ექსპრეზიდენტის მიერ შეწყალებული თაღლითი ქალის აღსარება და ფულით სავსე პარკი

როგორ გადაარჩინა სიკვდილს ნანა ლეჟავამ ვანო მერაბიშვილი და ირაკლი ოქრუაშვილი

და რა აუკრძალეს ნინო გიორგობიანს სვანეებმა

ვის შეუყვარდა სოფო ხალვაში იურმალაში — „მის სურათს რომ დავხედე, ვიფიქრე, რა ლამაზია-მეთქი...“

კაცი, რომელთანაც უკომპლექსოდ შიშვლდებიან ცნობილი ქართველები

ქართველი ქალი, რომელიც ვაგზლის მოედანზე თავს „საპოჭნიკობით“ ირჩენს

რამაზ ჩხიკვაძის ერთადერთი ღვიძლი შვილის მძიმე ხვედრი

ვისი მოსპობის სურვილი ჰქონდა ემზარ კვიციანს

აგვისტოს ნომერში იხილეთ:

1 აგვისტოდან

ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

2 პოსტერი

მშვიდობა-ომის გზაგასაყარზე

„არსენალი“ „გენერალ მაზნიაშვილს“ დუმეგობრდა

სტრაიკბოლი ქართულად



ნადირობა სტალინზე

ლეგენდა შმაისერზე

საფრანგეთის უცხოური ლეგიონი

რით ებრძვის ებრაელები და არაბები ერთმანეთ

ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის

ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘ
№31 (321)
3 – 9 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 2006
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲗᲠᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
„რწმუნებულებო ყველა მხარისა, შეერთდით... ტყეში!“ 3
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ 4
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ
გუდაუთის სამხედრო ბაგა, კანონში დარჩენილი პატარა „ხვრელი“ და გაკიცხვის ობიექტად ქცეული ბათიაშვილი 5
ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ
„დიდი გამარჯვება“ თუ „პატარა ომის“ პრელუდია? 6
ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ
როგორ გადაარჩინა სიკვდილს ნანა ლექავამ ვანო მერაბიშვილი და ირაკლი ოქრუაშვილი და რა აუკრძალეს ნინო გიორგობიანს სვანებმა 8
ᲒᲐᲑᲠᲐᲖᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ
„ხვალ ახალი არქიფო სეთური გამოჩნდება ასინეთათი და თაბაგარით“... 10
ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ
ვინ უწინასწარმეტყველა სოფო ხალვაშს იურმალაში გამარჯვება 11
ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ
რატომ დაიფიცა ხატგე ემგარ კვიციანმა და ვისი მოსპობის ქინი ჰქონდა მას 12
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
თაღლითის მრავალათასიანი აფერა და გაწბილებული უცხოელი ინვესტორები 14
ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ
არ ენდო ქალს, დაგღუპავს 17
ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐ
ქართველი ქალი, რომელიც თავს მეწადლეობით ირჩენს 21
ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ
კოტიკო და თამუნა საფრანგეთში აპირებენ თაფლობის თვის გატარებას 22
ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ 24
ᲗᲔᲛᲐ
ედუარდ შევარდნაძის მიერ შეწყალებული თაღლითი და ფულით სავსე პარკი 24
ᲗᲘᲜᲔᲯᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲝᲜᲢᲔᲑᲘ
„მძიმე ბავშვობა მქონდა... დამეშუქრა, იმ ადგილს ამოგჭრიო“ 27
ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ
ელდარ შენგელაია: “გადატეხილ ტოტგე რა ყვავილი გაიშლება?!.“ 30
ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲖᲐ
სანამ ცოცხლები ვართ... (გაგრძელება) 33

ᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲡᲝᲤᲝ ᲮᲐᲚᲕᲐᲨᲘ ᲘᲣᲠᲛᲐᲚᲐᲨᲘ

„ნინი შერმადინზე ნაკლებ შედეგს არ ველოდი და მოლოდინმა როგორ გამიმართლა. ყველაზე მეტად იმაზე ვნერვიულობდი – ხალხი ახალი ვერსიით გაკეთებულ „თბილისოს“ როგორ მიიღებდა, რადგან ეს სიმღერა, არა მხოლოდ საქართველოში, მსოფლიოშიც კი ხელიხელსაგოგმანებელია, ყველას უყვარს და არ მინდოდა, რომ უხეშად გაგვეთანამედროვებინა. მოგეხსენებათ, „თბილისოს“ ბევრნაირი ვერსია არსებობს და ჩვენ კიდევ ერთი ვერსია შევქმენით...“

11

როგორ გადაარჩინა სიკვდილს ნანა ლექავამ ვანო მერაბიშვილი და ირაკლი ოქრუაშვილი

„ძალიან რთული იყო ამ მხრივ მუშაობა. თან, მოსახლეობას ცოტა გაუჭირდა ჩვენი, ჟურნალისტების მიღება... ამიტომ ზოგს მანქანაში ეძინა, ზოგს – კარავში...“

8

ედუარდ შევარდნაძის მიერ შეწყალებული თაღლითი და...

გამიმართლა – წელიწადსა და 8 თვეში პრეზიდენტმა შემიწყალა, მაგრამ მალე, სრულიად შემთხვევით, კვლავ ციხეში აღმოვჩნდი

24

კოტიკო და თამუნა საფრანგეთში აპირებენ თაფლობის თვის გატარებას

– ქორწილი და ყაყანი არ გვექნება – ჯვარს დავიწერთ, ხელს მოვაწერთ და საქორწინო მოგზაურობას მოვიწყობთ.

22

ტაიმ-აუტი 36

რომანი

ზაზა ვაჩნაძე. ველური წაბლის ხეივანი (გაგრძელება) 38

ჯანმრთელობა

*გაუფრთხილდით გულს გაფხულში! 43

*დემოდეკოზი: პრობლემა ორგანიზმის შიგნით ბუდობს 44

იმიჯი

„სარკე ჩემი ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტია“ 45

დიზაინერი

ჯიჯი რეჯინი დაქორწინებას აპირებს 46

ბედისწერა

რატომ არ სწყალობდა ზანგება თათია ხაინდრავას 48

ტაძარი

ზარზმის მონასტერი და წმინდა სერაპიონის საფლავთან აღსრულებული სასწაულები 50

მინდვრებს მიღმა

*„მთელი დარბაზი საქართველოს ქომაგობდა“ 52

*ჯიჯი – „ბებერი ქალბატონის“ ერთგული „კლოუნი“ 53

ემიგრანტები

წითელდიპლომიანი ბარმენი – ჩემი ქვეყნის სახე 55

ვარსკვლავები 57

ბესტსელერი

შიო გვატაძე. მონანიება (გაგრძელება) 60

ავტო 63

ბომონდური მოზაიკა 64

ჰოროსკოპი

კვირის (3 – 9 აგვისტო) ასტროლოგიური პროგნოზი 66

ასპარეზი

ლევან თედიაშვილი – კაცი, რომლისთვისაც ჭიდაობაში საიდუმლო არ არსებობდა 67

ტესტი 70

სკანვორდი 71

და ბოლოს 72

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-74-44 email: gza@kvirispalitra.com

ელდარ შენგელაია: „გადატეხილ ტოტზე რა ქვავილი გაიულვება?!..“

„იმდენი კომედიური, იუმორისტული და სატირული ფილმი მაქვს გადაღებული, რომ ჩემს თავს არასერიოზულ რეჟისორს ვეძახდი...“

30

პონკიას ცეღლუტური იდუმბი, „პაპლონიპუბის“ გრძელი რიბი და...

„ხულიგანი ვიყავი, ფეხები სულ გადატყავებული მქონდა, მე-4-5 კლასამდე ბიჭებს ვცემდი ხოლმე, მაგრამ არა ჩემ გამო – სხვებს ვიცავდი...“

27

„პატარ-პატარა „შუხერი“ ჩვენს ხელოვნებაშიც მოდის...“

„ერთხელ, გაფუჭებული ფეხსაცმლის შესაკეთებლად ჩვენს სახელოსნოში, ცნობილი რუსული გაზეთის – „კომსომოლსკაია პრავდას“ ჟურნალისტმაც შემოიხედა...“

21

veluri wablis xeivani

– მაგარი ოფისი გაგიჩითავს, – შეუქო კახამ.

– ოფისი იქით არის. წამო, წამო. ეს საპროექტოა, – ხელი მოჰკიდა ნიკამ კახას.

– მოკლედ, შენ რა გქვია – პრეზიდენტი თუ ბოსი? ახლა ყველას პრეზიდენტი ჰქვია, ხომ იცი. წყალში დამხრჩვალთა საზოგადოების პრეზიდენტი – როგორია?! – ალაპარაკდა კახა და მისაღებში შესულმა, შეუსტვინა: – ჰოო, ეს უკვე მაგარი ბაითია.

– ბაითი კი არა, სასტუმრო ოთახია, – შეუსწორა ნიკამ.

კახამ სიგარეტის კოლოფი ამოიღო. ნიკამ თავისი გაუწოდა.

38

„რწმუნებულებო ყველა მხარისა, შეერთდით... ტყეში!"

იღბალი უნდა ყველაფერსო, ნათქვამია და მართალიცაა! უიღბლო კაცი ცოდვაა და განსაკუთრებით, ისეთი კაცი, როგორიც ჩვენი ქვეყნის პირველი პირი, გული და თავია... ზოგს ჩონგურივით აწყობილი ქვეყანა და მთავრობა ხვდება მემკვიდრეობაში და ხელის განძრევაც აღარ სჭირდება. ზოგს კი, ნულიდან უწევს დაწყება და გზებიც თვითონ აქვს გასაკეთებელი, ლუდსახარშიც — გასახსნელი და მომღერალი „ფანტანიც" — ასაცეკვებელი...

რაღა ზოგი, ჩვენი პრეზიდენტი აღმოჩნდა ასეთი უიღბლო, რადგან მემკვიდრეობა მას რომ ერგო, ისეთი უნდა. განსაკუთრებით, რწმუნებულების სახით დატოვებული, რომლებიც, ურჩი თავადებივით, სათითაოდ შეიქნენ მოსარჯულებელი. ჰოდა, რა ქნას ამ ახალგაზრდა კაცმა, მომავალი აშენოს თუ წარსულს ებრძოლოს?! თანაც აგერ, ოპოზიციაც არ ასვენებს და ექიმის მიერ გამოწერილი აბებივით, დღეში სამჯერ ჭამის წინ მიტინგ-აქციებს აწყობს...

არა, მე მესმის, რომ თუ დემოკრატიული საზოგადოება ვართ, მაშინ ნებისმიერ ადამიანს და მით უმეტეს, პოლიტიკურ ძალას აქვს პროტესტის გამოხატვის უფლება და ამას აკეთებენ კიდეც, მაგრამ პროტესტის ფორმასაც გააჩნია: ზოგი შეკრებს თანამოაზრეებს პარლამენტის ან კანცელარიის წინ, დაიჭერს ხელში მეგაფონს და სხვებსაც მოუწოდებს, შემომიერთდითო, რასაც პროტესტის თავხედური ფორმა ეწოდება. ზოგი კი, ისეთი ზრდილობიანი და ხართიანია, რომ ცდილობს, არავინ შეაწუხოს და ამიტომ თავისთვის პატიოსნად ტყეში გარბის ანუ დუმბაძის დათიკო ბრიგადირისა არ იყოს, ღამეს ათევს კვერნებთან. ტყეში გასვლა ძველი ქართული ფორმაა პროტესტის გამოხატვისა და კუთხე არ არსებობს, თავისი ფირალ-აბრაგებით რომ არ ამაყობდეს. ჰოდა, როგორც კოდორის რწმუნებულის შემთხვევამ გვიჩვენა, ქართველები მუდამ ერთგულები ვრჩებით ძველი ტრადიციებისა. ის კი არადა, ხმა დაირხა, საქართველოდან გაქცეულმა თუ აქ დარჩენილმა ყოფილმა რწმუნებულ-გუბერნატორებმა გადაწყვეტილება მიიღეს, დევიზით — „რწმუნებულებო ყველა მხარისა, შეერთდით!" და წარმოიდგინეთ, რა ხალისი გველის თანამედროვე აბრაგების წყალობით!..

რატომაც არა?! იმერეთის ყოფილი გუბერნატორი ტყიბულის ტყეებში გაიჭრება და ზამთარსაც იოლად გადაიტანს ქვანახშირის წყალობით; ქვემო ქართლისა და აჭარის „ლომყოფილებიც" ჩამოვლენ და ბოლნისისა და შუახევის ლანდშაფტს შეაფარებენ თავს. კახეთის გუბერნატორყოფილი მართალია, ქალია, მაგრამ ვისზე ნაკლები კაცია?! ამიტომ მედიკო მეზვრიშვილი მაღრანის ტყეში გამაგრდება და ხარებაც თვითონ იქნება და გოგიაც...

მე მგონი, ეს იდეა თვითონ რომ შესთავაზოს ხელისუფლებამ ყოფილ ჩინოვნიკებს, არ იქნება ურიგო. ჩამოვლენ და რაც დოვლათი აქვთ გატანილი, იმასაც ხომ ჩამოიტანენ?! შემოტანისას საზღვარზე გავჩხრეკთ, ჩამოვართმევთ და ქვეყნის ხაზინას შევავსებთ. ცარიელ-ტარიელები კი გაცვივდნენ ტყეში. ესეც რა პრობლემაა?!

გარწმუნებთ, რომ ტყეში გავარდნილი ხალხი არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს. პირიქით, ის მუდამ მობოიკოტე ოპოზიცია, ჯერ რომ მიტინგს აწყობს და მიზეზზე მერე ფიქრობს, თვითონ ხელისუფლებამ უნდა წააქეზოს, რომ ისინიც ტყეში წავიდნენ და მერე მე ვიცი!..

რა ვიცი და, ჩვენი სახელმწიფო მინისტრი კარგა ხანია, უკვე ტყის გაყიდვას გვიჩიჩინებს. აქედან გაქცეული ყველა პოლიტიკოსი მაინც რუსეთში გარბის და მოვუყაროთ ყველას თავი ტყეში და მერე ის ტყე მივყიდოთ რუსეთს თავის გატყაულ აბრაგებ-ფირალ-ყაჩაღებთან ერთად!.. ამით ჩვენც დავისვენებთ, ისინიც და ტყეც!..

P.S. *ყოფილი მთავრობის სხდომა ტყეში:*

— ბატონებო, ხვალ სხდომა ჩატარდება კანცელარიაში.

— ეგ სადაა?

— სადა და მსხვილი მუხა რომ დგას, იმის მესამე ტოტზე. განიხილება საბიუჯეტო კრიზისის მიზეზები.

— კიდევ გარღვევა გვაქვს?

— დიახ, კახეთმა შეავსო წაბლითა და კენკრით ბიუჯეტი, მაგრამ იმერეთს გარღვევა აქვს სოკოში...

პროვოკატორი

მტკიცებულებები, რომლებიც გამოძიებას ხელს არ შეუშლის...

გენერალურმა პროკურატურამ ემზარ კვიციანისა და ირაკლი ბათიაშვილის კიდევ ერთი ფარული სატელეფონო ჩანაწერი გაავრცელა. გენერალური პროკურორის მოადგილემ კახა კობერიძემ განაცხადა, რომ გამოძიება კოდორის ხეობის მოვლენებთან დაკავშირებით კვლავ მიმდინარეობს, მაგრამ ძალოვანი უწყებები აქვეყნებენ იმ მასალას, რომელიც გამოძიების მსვლელობას ხელს არ შეუშლის.

კობერიძის თქმით, საქმის ძიებისას საჯაროდ იქნება გამოკვლეული ყველა მტკიცებულება, რომელიც ამ პროცესში იქნება მოძიებული, თუმცა საზოგადოების დიდი ინტერესის გათვალისწინებით ამ მტკიცებულებების ნაწილი, რაც არ შეუშლის ხელს საბოლოოდ ძიებას, საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა გახდეს.

გამოძიებას მიაჩნია, რომ ამ მტკიცებულებებით დასტურდება ბათიაშვილის აქტიური კავშირი ემზარ კვიციანთან და ის, რომ იგი რჩევებით ეხმარებოდა მას სახელმწიფო ღალატის ჩადენაში. კობერიძის განცხადებით, შემდგომში პერიოდულად კვლავაც გამოქვეყნდება ის მტკიცებულებები, რომლებიც გამოძიებას ხელს არ შეუშლის.

ირინა ბათიაშვილი: „ხელისუფლებამ მამაჩემის წინააღმდეგ სხვა ვერანაირი მიზეზი ვერ მოძებნა“

ირაკლი ბათიაშვილს სასამართლომ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა. ამ ფაქტმა მისი მხარდამჭერების, განსაკუთრებით კი მისი ქალიშვილის მწვავე პროტესტი გამოიწვია. ირინა ბათიაშვილმა აღნიშნა, რომ ის ამაყობს მამამისით და ვერასოდეს დაიჯერებს, რომ ირაკლი ბათიაშვილი საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ თუნდაც ერთ ნაბიჯს გადადგამდა:

— მამაჩემი თითქმის 2 წლის განმავლობაში იმეორებდა, რომ მისი დაჭერა მოსალოდნელი იყო. ამ ბოლო დროს კი ამაზე უფრო ხშირად საუბრობდა. როგორც ჩანს, მან კარგად იცოდა, რომ ხელისუფლებას რაღაცის გამო მისი ეშინოდა. ახლაც, ხელისუფლებამ მამა აბსურდული ფაქტების საფუძველზე დააკავა. პროკურატურას ირაკლი ბათიაშვილის წინააღმდეგ არგუმენტები უბრალოდ არა აქვს. ეს პროცესზე ნათლად გამოჩნდა. ინტელექტუალური მხარდაჭერა — ასეთი მუხლი საერთოდ არ არსებობს. საზოგადოებასაც სწორედ უშიშროების მიერ დამახინჯებული ჩანაწერის მოსმენის შემდეგ შეექმნა მცდარი წარმოდგენა. შეგიძლიათ არქივში ნახოთ პირველი ჩანაწერი, რომელსაც აშკარად ეტყობა, რომ დამონტაჟებულია. მოგვიანებით კი ჩანაწერის ცოტა სახეშეცვლილი ვარიანტი გაავრცელეს. მამაჩემს არავითარი მხარდაჭერა არ გამოუხატავს. არც კვიციანს მოუთხოვია მისი მხარდაჭერა. საუბრის სრული ჩანაწერი რომ გაევრცელებინათ, ამას ყველა კარგად მიხვდებოდა. წარსულში მამაჩემი უშიშროების მინისტრი იყო, კვიციანი კი — პრეზიდენტის რწმუნებული. ამის გამო, მათ ჰქონდათ გარკვეული ურთიერთობა. ნუთუ არ შეიძლებოდა, რომ ერთმანეთს ტელეფონით დაჰკავშირებოდნენ?! მით უმეტეს, რომ მათ შორის ისეთი საუბარი არ ყოფილა, როგორიც ხელისუფლებას სურს, ხალხს დაანახვოს. ვფიქრობ, ხელისუფლებამ მათ შორის მეგობრობა მამაჩემის წინააღმდეგ იმიტომ გამოიყენა, რომ სხვა ვერანაირი მიზეზი ვერ მოუძებნა. მამაჩემს არასოდეს ჰქონია ბიზნესი, არასოდეს ყოფილა კორუმპირებული და საერთოდ, თავისი ქვეყნის საქმეების გარდა, არაფრით ყოფილა დაკავებული. გარწმუნებთ, ხელისუფლებას რომ მიზეზის მოძებნა შესძლებოდა, ირაკლის დიდი ხნის წინ დაიჭერდნენ. ჩვენ მდიდრულად არასოდეს გვიცხოვრია, დღესაც ბებუაჩემის დანატოვარ სახლში ვცხოვრობთ. ყველამ იცის, რომ იგი საქართველოს წინააღმდეგ არასოდეს წავიდოდა. მთელი დღის განმავლობაში არ წყდება ზარები. უამრავი ადამიანი რეკავს და თანადგომას გვიცხადებს. ირაკლი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ეროვნულ მოძრაობაში ჩაება. ის მაგიდა კი, რომლის გარშემოც „მრგვალი მაგიდა“ ჩამოყალიბდა, ახლაც დგას ჩემს ოთახში...

ომბუდსმენის აზრით, ბათიაშვილის დასაკავებლად საკმარისი საფუძველი არსებობდა

სახალხო დამცველმა ***სოზარ სუბარმა*** *გენერალური პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული, ირაკლი ბათიაშვილსა და ამბოხებულ ემზარ კვიციანს შორის შემდგარი სატელეფონო საუბრის ახალი ჩანაწერის მოსმენის შემდეგ პოზიცია შეცვალა. მისი თქმით, ახალ ჩანაწერში ირაკლი ბათიაშვილის დასაპატიმრებლად საკმარისი საფუძველი არსებობს: „მას შემდეგ, რაც აპარატის იურისტებთან ერთად გავეცანი ძველ ჩანაწერებს, ამავე დროს, მოვისმინე დღეს გავრცელებული ჩანაწერები, 371-ე მუხლის საფუძველზე მიმაჩნია, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ ირაკლი ბათიაშვილს ბრალი წაეყენოს“, — განაცხადა სუბარმა.*

„ხელისუფლებაში დამკვიდრდა კრიმინალური მენტალიტეტი“

კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ***კობა დავითაშვილი*** *თავდაცვის მინისტრის მიერ ოპოზიციის მისამართით გაკეთებულ განცხადებებს კრიმინალური მენტალიტეტის ნათელ მაგალითს უწოდებს და აცხადებს, რომ ირაკლი ოქრუაშვილმა ასეთი გამოსვლით პრეზიდენტის მითითება შეასრულა. „ხელისუფლებაში დამკვიდრდა კრიმინალური მენტალიტეტი, რომელიც ბანდებში არსებობს“. მისი თქმით, ბანდის ყველა წევრს სთავაზობენ — მსხვერპლს თითო ტყვია დაახალოს, რათა საეჭვო წევრების შემომტკიცება მოხდეს... დავითაშვილის განცხადებით, ტრადიციად იქცა ისიც, რომ მიხეილ სააკაშვილი ოპოზიციას აბსტრაქტულად აკრიტიკებს, ხოლო ერთ-ერთ თავის ხელქვეითს გვარების გაჟღერებას ავალებს. „კონსერვატორთა“ ლიდერმა მიმართა ქვეყნის პრეზიდენტს და მოუწოდა მას, სათქმელი თავადვე თქვას.*

კობა დავითაშვილის თქმით, მას ვაჟკაცობად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ქართველი ქართველს ტყვიას არ ესვრის. მისივე შეფასებით, კოდორის ხეობის მოვლენებისას მხარეებმა ერთმანეთი ბოლომდე არ გაიმეტეს, მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი ბატალიონ „მონადირის“ წევრებიც და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებიც კარგად შეიარაღებულნი იყვნენ, და მებრძოლებს მადლობა გადაუხადა.

■

საგენტო „ინტერპრესნიუსის“ მასალების მიხედვით

ბოლო დროს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მოვლენები იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ არა მარტო რიგითი მოქალაქეები, პოლიტოლოგები და ექსპერტებიც კი მათ გაანალიზებას ძლივს ახერხებენ. კოდორის ხეობაში განხორციელებულ სპეცოპერაციას პოლიტიკოსების მხრიდან არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა. ირაკლი ბათიაშვილისა და ნორა კვიციანის დაპატიმრების შემდეგ „პროტესტანტების“ ჯგუფს, მოძრაობის — „წინ საქართველო“ და კვიციანების მხარდამჭერებიც შეუერთდნენ. პარალელურად, საკანონმდებლო ორგანო ახალ კანონპროექტზე მუშაობს. ოპოზიციონერები ამბობენ, რომ მისი დაკანონება ქვეყანაში რეპრესიების დაწყებას გარდაუვალს გახდის.

როგორ აფასებენ სპეცოპერაციას და, მათი აზრით, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ხელისუფლების ამ აქციას, — ამ თემაზე სასაუბროდ, ექსპერტს კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძესა და პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს შევხვდით.

გუდაუთის სამხედრო ბაზა, კანონში დარჩენილი პატარა „ხვრელი“ და გაკიცხვის ობიექტად ქცეული ბათიაშვილი

თამუნა როსტიაშვილი

მამუკა არეშიძე:

— ის, რომ კოდორში მძიმე კრიმინოგენური მდგომარეობა დამკვიდრდა, ჩემთვის სიახლე ნამდვილად არ იყო. ბოლო წლების განმავლობაში კოდორის ხეობაში საქართველოს იურისდიქცია მხოლოდ ფორმალურად ვრცელდებოდა. მიუხედავად დიდი მცდელობისა, აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ ხეობა ხელში ვერ ჩაიგდო. როგორც ძველმა, ისე დღევანდელმა ხელისუფლებამ წლების განმავლობაში ვერ გადაჭრა ხეობაში კომუნიკაციის პრობლემა. კოდორელები ივლისიდან მოყოლებული, ნერვიულობდნენ იმის გამო — ვაითუ ვერ მოესწროთ ოქტომბრის ბოლომდე სურსათით ოჯახების მომარაგება. სოციალური მდგომარეობა უმძიმესია. ვერ ვიტყვი, რომ სადღეისოდ კოდორში განსაკუთრებულად მძიმე კრიმინალური ფონია. რაც შეეხება სპეცოპერაციის წარმატებას თუ წარუმატებლობას, მინდა გითხრათ, რომ ასეთი სახის ღონისძიება, ხეობის კანონიერ ჩარჩოებში მოსაქცევად, ჩასატარებელი იყო. მაგრამ ამას არ სჭირდებოდა ამგვარი აურზაური და მოღალატედ გამოცხადება იმ ადამიანებისა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ეს კუთხე მათ შემოუნახეს საქართველოს. ხომ არ შეიძლება, ვინც კვიციანის გვერდით იდგა, ყველა კრიმინალი ყოფილიყო! ვფიქრობ, რომ კვიციანი, რიგი მიზეზების გამო, პროვოცირებული იყო. თუ პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული, ბანდიტი და ყაჩაღი იყო, თბილისში არ იმყოფებოდა? რატომ არ დააპატიმრეს?! რატომღაც ხელისუფლების ნებისმიერ ქმედებებს ამ ბოლო დროს პიარ-კამპანიის სახე აქვს. როგორ შეიძლება, ყველას მოღალატე უწოდო რეგიონში, სადაც ტრადიციებს, გვაროვნულ თუ ნათესაურ კავშირებს დიდ პატივს სცემენ და არ არის გამორიცხული, ზოგიერთ მათგანს იარაღის დაყრაზე სწორედ ამის გამო ეთქვა უარი.

— ხელისუფლება ამბობს, რომ კვიციანი რუსეთიდან იმართებოდა...

— ჩვენს ხელისუფლებას ძალიან უყვარს რუსეთისაკენ ხელის გაშვერა. რუსეთის სპეცსამსახურები საქართველოს ტერიტორიაზე რომ მუდმივად მუშაობენ, ეს აღმოჩენა არ არის. მოქმედებენ თავიანთი აგენტურის მეშვეობით და ეს აგენტურა მრავლადაა არა მარტო საზოგადოებაში, არამედ ხელისუფლებაშიც. დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ეს ამბოხება პირველ რიგში, იმ აგენტების მეშვეობით განხორციელდა, რომლებიც ხელისუფლებაში არიან მოკალათებულნი. იმის მტკიცება, რომ პროვოკაციის მოწყობაში რუსეთი არის დამნაშავე, სისულელეა. მათ ამის დასამტკიცებლად ფაქტობრივი მასალები არა აქვთ.

— რუსეთი ითხოვს, რომ კოდორის ხეობაში ინსპექტირება ჩატარდეს, ჩვენი ხელისუფლება კი სანაცვლოდ, გუდაუთის სამხედრო ბაზის შემოწმებას მოითხოვს. ამაზე რას იტყვით?

— ეს ის საკითხია, რომელშიც ხელისუფლებას აბსოლუტურ სოლიდარობას ვუცხადებ. რუსეთის პოლიტიკა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ მოუქნელი და ხისტია. თუ ის მოითხოვს ინსპექტირებას იმ ტერიტორიისას, რომელსაც საქართველო აკონტროლებს და სადაც კანონიერად მოქმედებს შს სამინისტროს შენაერთები, მაშინ გუდაუთის სამხედრო ბაზაზე მონიტორინგის განსახორციელებლად, თავადაც უნდა შეუშვას გაეროს დამკვირვებლები. რუსებმა კოსმოსური აპარატების წყალობით, გადასარევად იციან, თუ ვინ იმყოფება კოდორის ხეობაში. 4 წელიწადი ვიბრძოდი იმისათვის, რომ როგორმე კოდორიდან მომეცილებინა პეტერბურგელი ექიმი ლობაჩოვი, რომელიც რუსებს ინფორმაციას აწვდიდა. ასეთი „ლობაჩოვი“ ახლაც მრავლადაა. ჯობია, ჯერ გუდაუთის სამხედრო ბაზა შევამოწმოთ და შემდეგ ვილაპარაკოთ კოდორის ინსპექტირებაზე.

— პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა კოდორში დაიდებს ბინას. როგორ ფიქრობთ — ამით მისი ქმედუნარიანობა გაიზრდება?

— აფხაზეთის მთავრობის გადასვლა კოდორის ხეობაში პიარის თვალსაზრისით, გადასარევია. მაგრამ სასიკეთოდ მენიშნა აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარის მიერ გაკეთებული ერთი განცხადება: ჯერჯერობით მხოლოდ მე და რამდენიმე თანამშრომელი წავალთო. ვფიქრობ, რომ უმჯობესი იქნება, ჯერჯერობით კი არა, მომავალშიც, კოდორში მთავრობის მხოლოდ ნაწილი იყოს, რადგან ოქტომბრიდან — მას შემდეგ, რაც უამინდობის გამო ხეობა ჩაიკეტება, — მთავრობის წევრებს გაუწყდებათ კონტაქტი ლტოლვილებთან, ეს კი მთავრობის ქმედუნარიანობას კი არ გაზრდის, არამედ პირიქით — დაასუსტებს.

— პარლამენტი პოლიტიკური ექსტრემიზმის შესახებ კანონპროექტზე მუშაობს. ოპოზიცია ვარაუდობს, რომ კანონის მიღებისთანავე, საქართველოში რეპრესიები დაიწყება. თქვენი აზრით, რამდენად საჭიროა მსგავსი კანონი და რა შეიძლება მოჰყვეს ამ პროექტის დაკანონებას?

— რასაკვირველია, ეს რეპრესიული კანონია. მე, როგორც ყოფილმა კანონშემოქმედმა, ვიცი, რომ კანონში რაც არ უნდა ჩაწერო, მაინც დარჩება რაღაც პატარა „ხვრელი“, რომელსაც ხელისუფლება სათავისოდ გამოიყენებს. თუ ეს პროექტი კანონად იქცევა, ვფიქრობ, ამაზე დასავლეთი მწვავე რეაგირებას მოახდენს. ასეთი კანონი შესაძლებელია არსებობდეს ძლიერ სახელმწიფოში, სადაც ფუნდამენტალისტების წინააღმდეგ გამოიყენებენ, მაგრამ ვფიქრობ, არც ასეთ ქვეყნებში იქნება ეფექტიანი.

— ირაკლი ბათიაშვილის დაკავების ფაქტზე რას იტყვით?

— ხელისუფლებას ირაკლი ბათიაშვილის დაჭერა სჭირდებოდა იმისთვის, რომ საზოგადოებისათვის დაენახვებინა, თუ როგორ არ ინდობს პატარა შეცდომის გამო ეროვნული მოძრაობის ლიდერებსაც კი. ირაკლი ბათიაშვილმა ძალზე მძიმე დანაშაული უნდა ჩაიდინოს, რომ იურიდიულად დამნაშავე აღმოჩნდეს და საზოგადოებრივი განკიცხვის ობიექტად იქცეს. შესაძლოა, ვიღაცას არ მოსწონს ბათიაშვილის შეხედულებები, მაგრამ ეს არ იძლევა იმის საბაბს, რომ დაიჭირონ. ის უსამართლოდ არის დაპატიმრებული. 1991 წლის დეკემბერში, როდესაც თბილისის ომი დაიწყო, ტელევიზიაში ვმუშაობდი. მახსოვს, თუ როგორ შემოვიდა ირაკლი და მოითხოვა პირდაპირ ეთერში დაჯდომა. მან ორივე დაპირისპირებული მხარე გალანძღა და სასწრაფოდ მოუწოდა, შეწყვეტილიყო იარაღის ჟღარუნი და სისხლის ღვრა. როდესაც ბათიაშვილი ტელევიზიიდან გამოვიდა, მას დახვდა კიტოვანი თავისი მხარდამჭერებით; მასთან ანგარიშსწორება მოინდომეს... მოკლედ, სიტუაციის დასამშვიდებლად, უამრავი ადამიანი ჩაერია... ხელისუფლების შეფასება — ვითომ ბათიაშვილი კვიციანს სისხლის ღვრისკენ და ხელისუფლების დამხობისკენ მოუწოდებდა — ჩემთვის წარმოუდგენელია. ნორა კვიციანი რომ იარაღის უკანონოდ შენახვისთვის დააპატიმრეს, ეს სამართლიანია?.. არავის არ ვაბეზღებ, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ კოდორში იარაღი თითოეულ ოჯახში დევს. ჯობია ხელისუფლებამ პირდაპირ თქვას: ნორა კვიციანი დაიჭირა იმისთვის, რომ ის ემზარ კვიციანის და და ბაჩო არღვლიანის დედაა.

— რა გაგრძელება შეიძლება მოჰყვეს კოდორში განხორციელებულ სპეცოპერაციას?

— სპეცოპერაციას გაგრძელება აუცილებლად ექნება, მაგრამ ვფიქრობ, რომ კვიციანის ჯგუფისგან საფრთხე მოსალოდნელი არ არის. ხეობაში ქართული სამართალდამცველების არსებობას აფხაზები ასე იოლად არ შეურიგდებიან. კოდორში აფხაზების მხრიდან პროვოკაციები სავარაუდოდ, მომრავლდება. ჩემი ინფორმაციით, ოჩამჩირეში უამრავი ჩრდილოკავკასიელი იმყოფება. არ არის გამორიცხული, როგორც თავის დროზე რუსებმა „ბაგრამიანის ბატალიონი“ გამოიყენეს, აფხაზებმა საომარი ოპერაციების დასაწყებად ჩრდილოკავკასიელები გამოიყენონ.

სოსო ცინცაძე:

— ოპოზიციის ბუზღუნს და ხელისუფლების მიერ მათი ბუზღუნის იგნორირებას უკვე კარგა ხანია, მივეჩვიეთ. ჯერჯერობით გვაქვს ერთი შედეგი — ის, რომ ლეგიტიმური ხელისუფლება მომავალში კოდორის ხეობაში გადავა. კოდორში ჩატარებული სპეცოპერაციით ნათლად დავინახეთ, რომ სიმტკიცეზე პირველ გამოცდას ხელისუფლებამ კარგად გაუძლო — მიიღო გადაწყვეტილება და ძალისმიერი მეთოდით, შეიარაღებული დაუმორჩილებლობის „ლიკვიდაცია“ მოახდინა. ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ნებისმიერი ქმედებით ეცდება დაასუსტოს სახელმწიფო, ხელყოს ეროვნული ინტერესები, — ქვეყნის ღალატს სჩადის. კვიციანის ქმედებები პირდაპირ იყო მიმართული სახელმწიფოს წინააღმდეგ. მიმაჩნია, რომ ძალის გამოყენებით ხელისუფლების შეცვლა დაუშვებელია. გამოძიება გამოავლენს, თუ რატომ არ იჭერდნენ კვიციანს მაშინ, როდესაც თბილისში იმყოფებოდა და რას ელოდა ხელისუფლება. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ბოლო 15 წლის მანძილზე პირველად, ხელისუფლებამ დამტკიცა, რომ ის ასეთ გამოხდომებს აღარ მოითმენს. ხელისუფლების ასეთი მოქმედება საქართველოსთვის უკვე სიახლეა.

— ემზარ კვიციანისა და რუსეთის შესაძლო კავშირზე რას იტყვით?

— ის, რომ კვიციანი შეიარაღებას რუსეთიდან იღებდა, ზუსტად არ ვიცით. ამაზე გამოძიება მუშაობს და ალბათ მალე გამოიკვლევს. კვიციანს რომ რუსული იარაღი ჰქონდა, ეს გასაკვირი არ არის. რუსული იარაღი აქვს ჩვენს არმიასაც, რადგან სხვა იარაღი ჩვენს ქვეყანაში ჯერ არ არსებობს. მთავარია იმის დადგენა, თუ კონკრეტულად საიდან და ვინ ამარაგებდა ამბოხებულთ იარაღით. თუ მართლაც დადგინდა, რომ კვიციანი უკვე სოხუმშია, ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი ბუნტის ორგანიზების შესახებ საქმის კურსში იყო. ჩრდილოელი მეზობელი რასაკვირველია, ამბოხებაში ღიად არ ჩაერეოდა. რუსეთს აინტერესებდა, თუ როგორი იქნებოდა კვიციანის გამოხდომებზე სააკაშვილის პასუხი... სადღეისოდ, რუსეთის მთავრობა და სპეცსამსახურები ფორსირებული ტემპით აანალიზებენ შექმილ სიტუაციას და იმ სიახლეებს, რომლებიც გამოიკვეთა. სააკაშვილის ხელისუფლება რადიკალურად განსხვავდება შევარდნაძის ხელისუფლებისგან. ნათლად გამოიკვეთა, რომ ეს მთავრობა უკან არ დაიხევს, არ მოერიდება არაფერს, თუკი დადგება გადამწყვეტი მომენტი სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის თვალსაზრისით... იმ ერთი გარდაცვლილი ქალბატონის სიკვდილში ვინ უფრო დამნაშავეა — ის, ვინც პირველად აიღო თოფი ხელში და ტყეში გავიდა, თუ ის, ვინც ამ თოფიანი კაცის განსაიარაღებლად წავიდა?.. რასაკვირველია, ერთი ადამიანის სიკვდილი — ტრაგედიაა, მაგრამ ასეთი ოპერაციების დროს უბედური შემთხვევები მოსალოდნელია... ის, რომ დღეს კვიციანის მომხრეები შეწუხებული არიან, გასაგებია, მაგრამ ვფიქრობ, ეს ხალხი ვერც საერთაშორისო ურთიერთობებში ერკვევა და ვერც სხვა საკითხებში. სახელმწიფო, თუ ის მართლაც სახელმწიფოა, არასოდეს ბოდიშს არ იხდის მათ წინაშე, ვინც ხელისუფლების წინააღმდეგ ხელში იარაღს იღებს. საზოგადოება გადაეჩვია ასეთ აქციებს ხელისუფლების მხრიდან, რადგან ბოლო 15 წლის განმავლობაში, შეიარაღებული დაჯგუფების წინააღმდეგ უმრავლეს შემთხვევაში, ხელისუფლება დათმობაზე მიდიოდა... ■

„ლიდი ბაბაჯანიანი“ თუ „პატარა ოქის“ ჯარელია?

რუსუდან ლებანიძე

მაინც რა მოხდა სინამდვილეში კოდორის ხეობაში? — აი, კითხვა, რომელზე პასუხსაც, რიგით ადამიანებთან ერთად, დღეს არაერთი პოლიტიკური ექსპერტიც უშედეგოდ ეძებს. თანაც — როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. აღარ მახსოვს, სად ან როდის ამოვიკითხე, მაგრამ რატომღაც ახლაღა მენიშნა, რომ „ისტორიის ზოგიერთი მონაკვეთი თავდაყირა დაყენებული ფაქტების უბრალო ერთობლიობა“ ყოფილა. ისტორია — ისტორიად და მგონი, დღევანდელ საქართველოში მარტო ფაქტები კი არა, ქვეყნის ბედზე პასუხისმგებელი ადამიანებიც (თანაც, როგორც ძლიერნი ამა სოფლისანი, ისე მათი უნუგეშოდ უძლური ოპონენტები) თავდაყირა დგანან და ერთმანეთს მხოლოდ საკუთარი „გადასახედიდან“ ეპაექრებიან. ალბათ ამიტომაცაა, რომ იმას, რაც ერთი მხარისთვის „ლაჩრობა და ღალატია“, მეორე — „გმირობას“ ეძახის, ერთნი რომ „ქვეყნის მხსნელი წარმატებული ოპერაციით“ იწონებენ თავს, მეორენი ამას „საკუთარი ხალხის დარბევად“ ნათლავენ. ამასობაში კი დრო უმოწყალოდ გადის და ხშირად იმათ წისქვილზე ასხამს წყალს, ვინც როგორც კოდორის — ამ პატარა, მაგრამ დიდგულა ხეობის, — ისე მთელი საქართველოს ბედის ერთ საგაზეთო ჰუბლიკაციაში ჩატევასაც დაუდევრად ცდილობს...

საქართველომ ჭირვეული მთავარი ალაგმა

(Frankfurter Rundschau)

მთის პატარა ხეობის ბატონ-პატრონი ემზარ კვიციანი დღემდე იმ ადამიანის შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებდა, რომელსაც სახელმწიფოსთვის შეუძლია საფრთხის შექმნა. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ, კვიციანის „ადგილზე მოსასმელად“, რუსეთ-საქართველოს საზღვართან მდებარე კოდორის ხეობაში ვერტმფრენები, ათასი სამხედრო მოსამსახურე და პოლიციელი გაგზავნა. არის მსხვერპლი სამხედროებს, მეამბოხეებსა და მშვიდობიან მოსახლეობაში. თავად მთების ჭირვეული მთავარი კი გაიქცა.

ამ ოპერაციისადმი გამოჩენილი განსაკუთრებული ყურადღება იმის მაუწყებელია, რომ იწყება დაძაბულობის ზრდის

მორიგი ეტაპი. სტრატეგიულად მნიშვნელოვან საქართველოს (რომლის მოსახლეობაც სულ 4 მილიონ ადამიანს შეადგენს), მის ახალ მფარველ ვაშინგტონსა და რუსეთს შორის (რომელიც საქართველოზე საბჭოთა კავშირის დროინდელი გავლენის აღდგენას ცდილობს), კონფლიქტის ამოსავალ წერტილად სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი ანუ ის რეგიონები იქცა, რომლებიც 90-იანი წლების დასაწყისში მომხდარი სისხლიანი სამოქალაქო ომის შემდეგ, თეორიულად ჯერაც საქართველოს ეკუთვნის, მაგრამ პრაქტიკულად, ნელ-ნელა რუსეთი ეპატრონება.

შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე აფხაზეთის 200-ათასიანი მოსახლეობის უმეტესობას რუსული პასპორტი აქვს, რესპუბლიკის ბიუჯეტი კი რუსეთიდან ჩამოსული ტურისტების ხარჯზე ივსება. ასეთივე მდგომარეობაა სამხრეთ ოსეთში, რომელიც რუსეთში მდებარე ჩრდილოეთ ოსეთს დიდი სიამოვნებით შეუერთდებოდა. კრემლი, რომელიც რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას კბილებით იცავს, ოსებისა და აფხაზების სეპარატიზმს მხოლოდ მიესალმება და სიამოვნებითაც ახალისებს.

კვიციანი, რომელიც გრძნობდა რუსეთის სპეცსამსახურების მხარდაჭერას და რუსული რაკეტებით იარაღდებოდა, ყოველთვის ღიად უპირისპირდებოდა თბილისის მთავრობას, — ირწმუნებიან საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე და პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. თუმცა, ოპოზიცია და ზოგიერთი სამოქალაქო ჯგუფი აცხადებს, რომ მთავრობა ყურადღებას არ უთმობდა აღნიშნული ხეობის პრობლემებს და პროტესტიც მის მიერვეა პროვოცირებული. ცხადია მხოლოდ ერთი რამ: სააკაშვილი კონფლიქტურ სიტუაციას ძალის დემონსტრირებისთვის იყენებს.

სიმშვიდე არც სამხრეთ ოსეთშია: 9 ივლისს რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მეთაური ავტომობილში ჩადებულ ბომბზე აფეთქდა. 18 ივლისს საქართველოს პარლამენტმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიიდან რუსი სამხედროების გაყვანა მოითხოვა. მიხეილ სააკაშვილის ნდობით აღჭურვილმა პირმა, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დაიქადნა, ახალ წელს სამხრეთ ოსეთის დედაქალაქში შევხვდებიო.

მინისტრი და პრეზიდენტი ხელმძღვანელობენ იმით, რომ საქართველო წარმოადგენს ტრანზიტულ ქვეყანას, რომლის ტერიტორიაზეც რუსეთის კონტროლს დაუქვემდებარებელი ნავთობი და გაზი გადის. მათ ასევე ამერიკის მზარდი სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერის იმედი აქვთ: პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ხომ „დიდი რვიანის“ სანქტ-პეტერბურგის სამიტამდე 10 დღით ადრე, სააკაშვილი თეთრ სახლში მიიღო. თუმცა მაინც საეჭვოა, რომ შეერთებული შტატები მოსკოვთან კამათში ღიად ჩაებას. ივლისის შუა რიცხვებში რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში განლაგებული რუსი „მშვიდობისმყოფლების“ დასახმარებლად 6 ათასი სამხედრო გაგზავნა. სერგეი ივანოვის თქმით, რეგიონში სიტუაციის გამწვავებაა მოსალოდნელი...

„სოხუმამდე ხუთი წუთის საფრენია“

(ИА REGNUM)

კოდორელ მეამბოხეთა ლიდერის გაქცევის მიუხედავად, ქართველი პოლიტიკოსები ერთმანეთს წარმატებას ულოცავენ. ოფიციალური თბილისი მიიჩნევს, რომ ხეობაზე კონტროლი საკუთარ ხელში აიღო და ის პრაქტიკულად გაწმინდა კრიმინალური ელემენტებისგან. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, ახლა კოდორის ხეობაში „დევნილი მთავრობის“ დაბრუნებაც შეიძლება. ეს არის სტრუქტურა, რომელიც თბილისში იმყოფება და სტატუსს სოხუმის მინისტრთა კაბინეტს ედავება. თუმცა, საქართველოს მთავრობისთვის, როგორც ეს მისი წარმომადგენლების განცხადებებიდან ჩანს, ეს მხოლოდ პროგრამა-მინიმუმია: პარლამენტარი გივი თარგამაძე უკვე „შემდგომ გამარჯვებებზე“ მსჯელობს. მისი თქმით, „კოდორის ხეობიდან სოხუმამდე ხუთი წუთის საფრენია“.

საქართველოს პრეზიდენტის ვერსიით, „დევნილ მინისტრებს“ თბილისში არაფერი ესაქმებათ. „კოდორში, აფხაზეთის გულში კი, სადაც მათ ადრე ბანდიტები არ უშვებდნენ, ისინი საქართველოს იურისდიქციას განახორციელებენ და კონსტიტუციურ წესრიგს დაამყარებენ“. მათი ჩასვლით, — ირწმუნება სააკაშვილი — კოდორის ხეობა „აფხაზეთის დროებითი ლეგიტიმური ცენტრი“ გახდება.

სოხუმში სააკაშვილის რიტორიკას აბუჩად იგდებენ. „როგორც ჩანს, ჩვენ და საქართველოს განსხვავებული „ანატომია“ გვაქვს, — განუცხადა ИА REGNUM-ის კორესპონდენტს აფხაზეთის პრეზიდენტის წარმომადგენელმა კრისტინან ბჟანიამ. — ის, რასაც ქართველი პრეზიდენტი აფხაზეთის გულს უწოდებს, ჩვენთან სულ სხვა ადგილად მიიჩნევა“, — აზუსტებს აფხაზი ჩინოვნიკი.

აფხაზეთმა საქართველოსთან რეგიონის პრობლემებზე მსჯელობაზე უკვე განაცხადა უარი იმ შემთხვევაში, თუ შეხვედრაზე ის „დევნილი მინისტრები“ გამოჩნდებიან, რომელთაც სოხუმი „1990-იან წლებში აფხაზი ხალხის წინააღმდეგ მოწყობილ გენოციდში“ ადაშაულებს.

„თუ საქართველო ხეობაში „დევნილ მინისტრებს“ ჩაიყვანს, რეგიონში მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბება, — აცხადებს აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა. — მოვლენების მსგავსი განვითარების შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ ერთი — საომარი გზაღა დაგვრჩება“, — გვაფრთხილებს მინისტრი. „ჩვენ ნებისმიერი სიტუაციისთვის მზად ვართ: რეზერვისტები გამოძახებული, ყველა სიმაღლე და შემოსასვლელი კი — ბლოკირებულია“, — დასძენს აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა...

„თეთრი“, რომელიც ხშირად „შავია“

(страна.ru)

იმ რამდენიმე დღის მანძილზე, რაც კოდორის ხეობაში სპეცოპერაცია გრძელდებოდა, საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების საზოგადოებები თავს იმაზე იმტვრევდნენ, თუ მაინც რასთან იყო დაკავშირებული ეს აქცია. ვერსია მრავალი გაჩნდა: აფხაზეთში ომის დაწყება, ქართული ჯარის უსაფრთხოების შემოწმება, რეგიონში მყოფი რუსი მშვიდობისმყოფლების წინააღმდეგ პროვოკაციის მოწყობა. და აი, პარასკევს, როგორც იქნა, გაცხადდა საქართველოს ხელმძღვანელობის მოტივები.

პრინციპში, ყოველ შემოთავაზებულ ვერსიას თავისი მომხრეები ჰყავდა, რომლებსაც საკმაოდ გონებამახვილური არგუმენტებიც მოჰყავდათ. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ქართველ ხელისუფალთა „ოფიციალურმა განმარტებამ“ იმ „პოლიციური ოპერაციის“ თაობაზე, რომელშიც „უბრალო პოლიციელები“ — თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები — მონაწილეობდნენ, მოქალაქეთა ყველაზე მეტი უნდობლობა გამოიწვია. როგორც ჩანს, „ვარდების მთავრობამ“ მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც ის ხელისუფლებაშია, საკუთარ თავს ძალზე ბევრი ფალსიფიკაციისა და სიცრუის უფლება მისცა და ამიტომაც, ადამიანებს არა მარტო აფხაზეთში ანდა რუსეთში, არამედ საქართველოშიც რაღაც იმუნიტეტის მსგავსი გამოუმუშავდათ. თუ სააკაშვილი ამბობს — ეს „თეთრია“, — მაშინ, როგორც ჩანს, ეს „შავია“.

გაგრძელება იხ. გვ. 59

სესხება-გასესხება
შპს „ევრიკა+“
სესხება-გასესხება ბინის მყარი გარანტიით, იპოთეკით.
გაქვთ თანხა დაგვირეკეთ,
არ გაქვთ – მით უფრო დაგვირეკეთ.
ჩვენთან ყველაზე კარგი პირობებია!
მის: კოსტავას ქ. 23 (რედაქციის პირდაპირ).
მარჯანიშვილის 21, 83-4 სართ. (ბაჯონალიძის მხარეს)
☎ 95-23-66; 99-69-00
899-44-64-60 ნინო 899-44-64-61 გიორგი

ლალი ფაცია

ჟურნალისტი – ნინო გიორგობიანი
რესპონდენტი – ნანა ლეჟავა

ისინი დღეს უკვე ერთი სამაუწყებლო კომპანიის სახეები არიან, საკმაოდ გაბედული და რისკიანი ჟურნალისტები გახლავან. ორივეს აქვს უცხო ქვეყანაში ციხეში ჯდომის გამოცდილება: ერთი — ბესლანში დაატუსაღეს, მეორე — მინსკში. ცხელ წერტილებში მუშაობა, მათი თქმით, გარკვეული აზარტია — ასეთ დროს მხოლოდ იმაზე ფიქრობ, როგორმე მოიპოვო „დაბლოკილი“, აკრძალული ინფორმაცია, რომ საზოგადოებას მიაწოდო.

გასულ კვირას ნანა ლეჟავამ კოდორის ხეობაში შეპარვა მოახერხა და 5 დღის განმავლობაში საინტერესო მასალა შეაგროვა, ხოლო ნინო გიორგობიანი ხაიშში იყო 4 დღე „გამაგრებული“ და იქიდან აწვდიდა ტელეკომპანიას ინფორმაციას. ახლა ისინი ჩვენი რუბრიკისთვის ინტერვიუს ჩასაწერად, ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ.

როგორ გაღაარჩინა სიკვღილს ნანა ლეჟავამ

ვინ მერაბიშვილი და ირაკლი ოქრუაშვილი და რა აუკრძალეს ნინო გიორგობიანს

— ნანა, უპირველესად გვითხარი, როგორ აღმოჩნდი კოდორის ხეობაში. ეს ბევრს აინტერესებს.

— ამ ამბის მოყოლა უკვე დაწვრილებით შემიძლია. ჩვენ კვირას საღამოს წავედით მანქანით კოდორის ხეობისკენ. ჩავედით ხაიშამდე, სადაც გამცილებელი გველოდებოდა. ეს კოდორის ხეობაში შესასვლელი ჩვეულებრივი გზა იყო, რომლითაც ჩვენამდე სხვა ტელევიზიის ჯგუფმაც ისარგებლა. მაგრამ ჩვენი იქ ჩასვლის შემდეგ ის უკვე ჩაკეტილი აღმოჩნდა. ამიტომ გარკვეული დროის მანძილზე დავრჩით ხაიშში და ვცდილობდით, რამენაირად — მოტყუებით, მანქანაში დამალვით — მოვხვედრილიყავით ხეობაში. ფაქტობრივად, არაფერი გამოვიდა. პოლიცია სრულად იყო მობილიზებული და ჟურნალისტის იქ შესვლა არ შეიძლებოდა და არც არანაირი ხერხი და მოტყუება არ ჭრიდა. ამის შემდეგ დავიწყეთ ფიქრი, კიდევ რა გზითა და საშუალებით შეგვეძლო კოდორის ხეობაში შეღწევა. ეს გზა მოიძებნა კიდეც, ოღონდ სარისკო და ავანტიურისტული იყო. რა თქმა უნდა, სარისკო გზას დავადექი, მივიღე გადაწყვეტილება, რომ კოდორის ხეობაში უნდა შევსულიყავი. იმ გზით ვისარგებლე. ჩვენ გვეხმარებოდნენ, ოღონდ — არაოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლები. მინდა, ხაზი გავუსვა იმას, რომ ყველაზე მოულოდნელი და არასასიამოვნო ჩემი იქ შეპარვა სწორედ ძალოვნებისთვის აღმოჩნდა: შეიძლება ითქვას, რომ ყველა „გავაცურე“.

— ახლა შეგიძლია თქვა, ეს რა გზა იყო?

— არ ვიტყვი ამის შესახებ, რადგან ვინც დამეხმარა, მათთან არა ვარ ამაზე შეთანხმებული. თან, არ მინდა, იმ ხალხს ჩემ გამო რაიმე პრობლემა შეექმნას.

— ბევრი ამბობს, რომ შენ დაგეხმარნენ შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრები...

— არანაირად. მე სპეცოპერაციის დაწყებამდე შევედი კოდორის ხეობაში. მაშინ იქ ისეთი არაფერი ხდებოდა. მხოლოდ და მხოლოდ ხაიშის გზა იყო ჩაკეტილი: როდესაც ძალოვნებმა ჩემი შეპარვის ამბავი შეიტყვეს, შოკში ჩაცვივდნენ, რადგან ვერ წარმოიდგენდნენ, რომ იმ გზას გამოვიყენებდით. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, იმ გზაზეც კონტროლი გამკაცრდა.

— კოდორის ხეობაში შესულმა როგორ იმუშავე? გქონდა თუ არა სატელეფონო საუბარი პროდიუსერთან?

— მქონდა. ჩემი ნამუშევარი ეთერშიც გავიდა, ოღონდ — დაგვიანებით, რადგან კასეტები წამართვეს. ჩაწერილი მქონდა ინტერვიუები ემზარ კვიციანთან, ნორა კვიციანთან; გადავიღეთ მათი სახლი, „მონადირის“ შტაბი, უხუცესთა შეკრება. ფაქტობრივად, დღე მათთან ერთად გავატარეთ და ვიღებდით სიტუაციას სოფელში, რა ხდებოდა. ღამის 2 საათზე გაითიშა მობილური კავშირი, რაც იმას ნიშნავდა, რომ სპეცოპერაციის დრო ახლოვდებოდა. ყველაფერს მოვწყდი. არ მყავდა მანქანა, ვერავის ვუკავშირდებოდი, ვერაფერს ვიგებდი. ერთადერთი, რითიც გადაადგილება შემეძლო, დეპუტატ გოჩა ფიფიას მანქანა იყო. მეორე დღეს 4-5 საათისთვის გოჩა უკვე თბილისში მოდიოდა. გადავწყვიტე, რომ მას გარკვეულ მანძილამდე გამოვყოლოდი, რომ ძალოვნებთან უხუცესების შეხვედრის კადრები გადამეღო. მაგრამ როცა წამოვედი, ვნახე, რომ ძალოვნები სოფელთან ახლოს იყვნენ მოსულები. როდესაც დავრწმუნდი, რომ უხუცესები იქ ჯერ არ ჩანდნენ, ხოლო ძალოვნები შემოდიოდნენ, ბუნებრივია, ყველასგან დამოუკიდებლად მივიღე გადაწყვეტილება, რომ იქ დავრჩენილიყავი.

— როდის ნახე ისინი პირადად?

— მათ დაინახეს, რომ მანქანაში ვიჯექი. ერთი დამიბღვირეს — ეს როგორ გააკეთე, რას ნიშნავს შენი საქციელიო?!. მე ვუპასუხე, რომ ჟურნალისტი ვარ, მინდოდა აქ შემოსვლა და არავის შევეკითხებოდი-მეთქი. ამის მერე ვუთხარი — აქ ვრჩები და თუნდაც ფეხით წამოვალ, მნიშვნელობა არა აქვს-მეთქი. ალბათ მათ მიიჩნიეს, რომ ჩემი ფეხით წასვლას ოპერაციისთვისაც შეეძლო საფრთხე შეექმნა და მითხრეს — რაც გინდა, ის ქენი, ჩვენთვის უკვე აღარ აქვს მნიშვნელობაო. კიდევ ერთხელ ვამბობ: ჟურნალისტი, რომელიც იმ სიტუაციაში იქაურობას დატოვებდა, ჟურნალისტი არ არის.

— იმასაც ამბობენ, რომ ნანა ლეჟავამ მერაბიშვილი და ოქრუაშვილი სიკვდილს გადაარჩინაო, რადგან უთხრა, ჩასაფრება სად იყო.

— მე ჩასაფრებას ვერ დავინახავდი. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ემზარ კვიციანის მხარეს ისეთი სულელი ხალხია, რომ ჟურნალისტს ან სხვა ვინმეს ჩასაფრება ანახვონ, ძალიან ცდება. ვიცი, რომ ეს სიტყვები გოჩა ფიფიამ თქვა. მას ვკითხე კიდეც ამის შესახებ — რას ნიშნავდა ეს სიტყვები, რატომ თქვი-მეთქი? მან მიპასუხა: ვგულისხმობდი იმას, რომ მინისტრებთან შეხვედრისას დაახლოებით 10 წუთი ვიყავით გაჩერებული და შესაძლოა, სწორედ ამ დროს მომხდარიყო ეს ამბავიო. 10 წუთით ადრე რომ წასულიყვნენ, გზაზე ჩასაფრება იყო მოწყობილი და დასცხებდნენო...

— ბევრი ამბობს — „რუსთავი 2“-დან სხვა ჟურნალისტი რომ წასულიყო, იქ შესვლას ვერ მოახერხებდაო. ამავე დროს, სხვა ტელეკომპანიების წარმომადგენლებმა გაღიზიანება გამოხატეს: ისინი მიიჩნევენ,

რომ გარკვეული სტრუქტურებისგან ხელშეწყობით სარგებლობდი. ჰქონდა იქ სხვა ჟურნალისტს შესვლის, შეპარვის საშუალება?

— იმ მომენტში თუ ვინმე მიხვდებოდა, რომ ის მეორე გზა არსებობდა და იქაურებს დაიხმარდა, — ნამდვილად შევიდოდა. მაგრამ ჩემი შესვლის შემდეგ, ჟურნალისტი იმავე გზით ვეღარ შევიდოდა. ვფიქრობ, რომელ ტელეკომპანიასაც აქვს პრეტენზია, მას თავადვე აქვს დაშვებული შეცდომა ამ ყველაფრის დაგეგმარებაში. ამიტომ თავს დამნაშავედ ნამდვილად არ ვგრძნობ...

— კადრებიდან ჩანდა, რომ თქვენ ორმხრივ სროლაში მოხვდით. რა განიცადე ამ დროს? საერთოდ, რით იკვებებოდი, როგორ ცხოვრობდი, სად აფარებდი ღამით თავს?

— რა თქმა უნდა, საშინელი განცდა მეუფლებოდა სროლების დროს. მაგრამ ისეთ ადგილას მოვხვდით, სადაც იყო ლოდი და ის პრაქტიკულად, გვეფარებოდა. ასეთ სროლაში პირველად მოვყევი. თუმცა ერთხელ ადრეც მქონია ისეთი გადაღება, როდესაც სროლაში მოვყევი. მაგ დროს იმაზეც ფიქრობ, თუ რა ადგილზეა ოპერატორი, რამე საფრთხე ხომ არ ემუქრება... ყველაზე საშინელი ჩემთვის ის იყო, რომ ორივე მხარეს ქართველები იდგნენ... ძალიან მინდოდა, რომ უხუცესებთან ძალოვნების შეხვედრა მომხდარიყო... რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს — სად და როგორ ვცხოვრობდი: გვეძინა სოფელში, ბოსელში, გვეძინა საძილე ტომრებშიც.

— ბოსელში?

— კი, ბოსელში. ღამით გავიგონე, როგორ დაიჭირა კუტამ თაგვი და ჭამდა. ისე შემეშინდა, თუ არ მოკვდებოდი, არ მეგონა... მეძინა საავადმყოფოში, „ნარზე“. აჟარაში რატომღაც, საწოლების ნაცვლად, „ნარები“ იყო. მეძინა ოჯახშიც, ერთ-ერთმა ოჯახმა დაგვითმო ოთახი. ასე რომ, სხვადასხვანაირი იყო ჩვენი „განსასვენებელი“ *(იცინის)*. რაც შეეხება საჭმელს — იყო მშრალი საკვები, რასაც ჯარისკაცები ჭამდნენ, არაფერი განსაკუთრებული არ ყოფილა.

— შენი პირველი ინტერვიუ ემზარ კვიციანთან ჩაწერე. ინტერვიუს გარდა, მას შენთვის არაფერი უთქვამს?

— ემზარი ძალიან გაღიზიანებული იყო.

— მიზეზი თუ აგიხსნა, რატომ გააკეთა ის, რაც გააკეთა?

— მიხსნიდა, ძალიან ბევრ რაღაცას ამბობდა, ლაპარაკობდა ემოციურად, მაგრამ მის საუბარში რაღაც ერთი მიმართულება არ იყო. ადგილ-ადგილ, რაც ახსენდებოდა, იმაზე საუბრობდა. საშინლად გაღიზიანებული ჩანდა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ემზარ კვიციანმა ვერც გაიაზრა, რას ნიშნავდა ეს დაუმორჩილებლობა და მერე უბრალოდ, „სვანური გაჯიქება“ დაემართა — ვთქვი და აღარ გადავთქვამო. ბოლოს ისიც თქვა — უხუცესებს წინ არ გავუშვებ, ისინი იარაღით მოდინ და იარაღით დავხვდებიო.

— შენ მიმართ ხომ არ გამოუხატავს რაიმე უხეშობა?

— არა, ემზარ კვიციანს თავადვე ჰქონდა სურვილი, რომ ხეობაში მოვხვედრილიყავით. სხვანაირად ხეობაში ვერც მოვხვდებოდით, მათგან რომ არ ყოფილიყო თანხმობა.

— ის განცდები, რომლებიც კოდორის ხეობაში გადაიტანე, ჰგავდა თუ არა იმას, რაც ბესლანში ყოფნისას გქონდა?

— ბესლანში სხვა სიტუაცია იყო. კიდევ ვიმეორებ: ჩემთვის ძნელი იყო კოდორის ხეობაში მუშაობა, რადგან მოვლენები საქართველოში ხდებოდა, ორივე მხარეს ქართველები იყვნენ. სასიკვდილოდ მართლა არავინ მემეტებოდა. ალბათ ყველაფერს გავაკეთებდი იმისთვის, რომ იქ ტყვია არ გავარდნილიყო, მაგრამ მე იქ არავინ არაფერს მეკითხებოდა. ჟურნალისტმა თავისი ადგილი უნდა იცოდეს.

— შენი აზრით, ასეთი ოპერაციის დროს გზა უნდა ჩაკეტილიყო?

— მე რომ ვთქვა, უნდა ჩაკეტილიყო-მეთქი, ცოტა თავხედური იქნება, რადგან მე ისე მინდოდა იქ მოხვედრა, რომ თავი მოვიკალი და მაინც მოვხვდი. ვერ გავცემ მაგ კითხვაზე პასუხს. ალბათ რაღაც ინფორმაციები უნდა „იბლოკებოდეს“, როდესაც სამხედრო ოპერაცია ტარდება. გარკვეული ცენზურა უნდა იყოს, მაგრამ — არა ასეთი აკრძალვა.

— მახსოვს, აღნიშნე — იქ ხალხს ძალიან უჭირს, სერიოზული სოციალური პრობლემების წინაშე დგანანო...

— როდესაც ხალხს ვხვდებოდი, მიყვებოდნენ თავიანთ გასაჭირზე. იქ ბავშვებს ნაყინი არა აქვთ ნაჭამი; არა აქვთ გზა, სრულიად მოწყვეტილები არიან ყველაფერს. იმდენად ცუდ დღეში არიან, რომ შეიძლებოდა, ვიღაცისთვის ძალიან იოლად სამართავი გამხდარიყვნენ. პოლიცია, გამგეობა არ არის. რომ ვეუბნებოდი, გზა არა გაქვთ, მოითხოვეთ გზა-მეთქი, — მპასუხობდნენ: რა დაუმორჩილებლობა, რა სისულელეა, წამოსცდა კაცს რაღაცო!.. მათთვის ემზარი მაინც განსაკუთრებული ვიღაც არის. ადრე მთავროების წარმომადგენელი იყო, მას უჯერებდნენ.

— რაიმე ინფორმაციას თუ ფლობ ხეობიდან მისი გაუჩინარების შესახებ?

— ეს ხალხი ხუთი თითივით იცნობს ხეობას. ძალიან ადვილად შეძლებდნენ იქ ან დამალვას, ან — გასვლას. თან ისე, რომ კარგა ხანს შეიძლება, ვერავინ მოძებნოს...

ჟურნალისტი – ნანა ლექავა
რესპონდენტი – ნინო გიორგობიანი

— ნინო, ახლა შენ მომიყევი, რა ხდებოდა ხაიშში, იქ სადაც შენ იყავი?

— ხაიშში ყველა ჟურნალისტი იყო თავმოყრილი, იქიდან ყველა გზა ხეობისკენ ჩაკეტილი გახლდათ. თუ შენი საკუთარი წყარო არ გქონდა, რომ გაგეგო, თუ კოდორის ხეობაში რა ხდებოდა, ვერანაირ ინფორმაციას ვერ მიიღებდი. კარგად იყო ინფორმაციის „დაბლოკვა“ ორგანიზებული. ძირითადად მაინც ჩვენი არხის მეშვეობით იგებდა ყველა სხვა არხი რეალურ ცნობებს სპეცოპერაციის მიმდინარეობის შესახებ.

— თქვენ ფაქტობრივად, ქუჩაში იყავით. როგორია ასეთ პირობებში მუშაობა? მით უმეტეს, როდესაც დგახარ და ინფორმაციას ვერ იღებ.

— ძალიან რთული იყო ამ მხრივ მუშაობა. თან, მოსახლეობას ცოტა გაუჭირდა ჩვენი, ჟურნალისტების მიღება... ამიტომ ზოგს მანქანაში ეძინა, ზოგს — კარავში. მათი ასეთი საქციელი ჩემთვის გარკვეულად, მიუღებელი იყო... მაგრამ მათი აგრესიაც ალბათ, გასაგებია: თითოეული მათგანი სხვადასხვაგვარ შეფასებას აძლევდა ემზარ კვიციანის საქციელს, თუმცა ყველა ერთხმად ამბობდა — ომი არ გვინდა, ნეტავ, სროლა არ იყოს და ყველაფერი მშვიდობიანი მოლაპარაკებით დასრულდესო... ბოლოს, შედეგით უკმაყოფილო არავინ ყოფილა. ერთადერთი აქცია გამართა მირონ ფირცხელანმა.

— ნინო, სულ ახლახან გახდი ჩვენი გუნდის წევრი და ძალიან კარგად „ჩაჯექი“ სიტუაციაში. ბევრი კრიტიკა ისმის ჩვენი არხის მისამართით. ჩემთვის ამის მოსმენა ძალზე ძნელია ხოლმე. შენ რას იტყვი, უკვე აქედან როგორ უყურებ ამ ყველაფერს?

— როდესაც „ არხზე“ ვმუშაობდი, ვიცოდი, რომ „რუსთავი 2“-ზე პროფესიონალები მუშაობენ და ამაში აქ გადმოსვლის შემდეგაც დავრწმუნდი. როდესაც მასალაზე მიდიხარ და სხვა არხის ჟურნალისტების გარემოცვაში იმყოფები, ყველა შორიდან გიყურებს, გაკვირდება — რას გააკეთებ, რას მოიმოქმედებ, ვის ჩაწერ...

— სხვათა შორის, ვიცი, რომ ხაიშში ძალიან საინტერესო გარემოებებში მოხვდი. მოჰყევი ამის შესახებ. ისე, მეც საინტერესო სიტუაციიდან „გადამისროლეს ცხელ წერტილში: ერთ-ერთი ფირმის ოფისში ვისხედით მე და მისი მენეჯერი და ბინის საკითხებზე ვმსჯელობდით. იმ დღეს ვისვენებდი. მოულოდნელად დამირეკეს და მითხრეს — აბა, ჩქარა, კოდორში უნდა წახვიდეო!

— მე ბათუმში წავიყვანე ჩემი სტუმარი. ეს ის ქალბატონია, რომელთან ერთადაც ბელორუსიაში ციხეში ვიჯექი. გადავწყვიტე, მისთვის ბათუმი მეჩვენებინა და დასასვენებლად წავიყვანე. იქ ჩემი მანქანით წავედით. თან გამომყვა ჩემი მეგობარი ბიჭი, აქეთობას მარტოს რომ არ მემგზავრა. ბათუმში რომ მივდიოდით, ვახო სანაია და გოგიტა ავარიაში იყვნენ მოხვედრილები. გადმოვისვი ჩემს მანქანაში და ქუთაისამდე წავიყვანე. ისინი ხაიშში მიდიოდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვახოს ტვინის შერყევა ჰქონდა. მეორე დღეს იქიდან რომ ვბრუნდებოდი, ჩემს საყვარელ ადგილას, რიკოთზე გავჩერდი. მწვადს ვჭამდი და ამ დროს დამირეკა პროდიუსერმა. ხაიშში ნატო მახვილაძეს ვუშვებთ, მაგრამ მცხეთაში მანქანა გაუფუჭდა, შენ ხომ არ წახვიდოდიო? ტელეფონი ჩამოვწიე დაბლა, ჩემს მეგობარს გადავულაპარაკე — ხაიშში წამოხვალ? ერთ ჩართვას გავაკეთებ 9 საათზე „კურიერში“ და უკან დავბრუნდებით-მეთქი. — კარგიო, — მიპასუხა და წავედით. 4 დღე იქ ჩემთან ერთად ჩარჩა. ერთმა ოჯახმა გვიმასპინძლა, მაგრამ იქ მორიგეობით ვიძინებდით, რაიმე რომ არ გამოგვრჩენო-

და. ღია ცის ქვეშაც ვიძინებდით ხოლმე. იქაურებმა, ჩემი მანქანით ჩასული რომ მნახეს, მათთვის ჩვეული, დამახასიათებელი კილოთი და ინტონაციით მითხრეს: „რა მაგარი ყოფილხარ შენ!..“

— ერთი ძალიან სასაცილო ამბავი გამახსენდა. რალაც გადაადგილება ხდებოდა. ერთადერთი ცარიელი მანქანა, სადაც დამსვეს, „კამაზი“ იყო. კაბინაში „ჩამაკვეხეს“. საჩხერელები იყვნენ. მძღოლმა მიყურა, მიყურა, ბოლოს ველარ მოითმინა და მითხრა — სახლში რომ დავბრუნდები, ჩემს ცოლს გვერდები უნდა ავუწითლოო. — რატომ-მეთქი? — ვკითხე. — ბაზარში არ დადის უჩემოდ და აგერ, შენ ომში წამოხვედიო... ძალიან ბევრი ვიცინე.

ბოლოს, რამდენიმე კითხვით მეც მივმართე ჩემ წინ მსხდომ რესპონდენტებს.

— როდესაც ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ხვდებით (ციხეში, სროლაში, საფრთხის ქვეშ), იმ წუთებში მთლიანად გავიწყდებათ, რომ გყავთ ოჯახი, ახლობლები, რომლებიც თქვენზე ფიქრობენ, გული შესტკივათ?..

ნანა:

— ასეთ დროს ადამიანი მაინც ოპტიმისტად რჩები. არ ფიქრობ, რომ რაიმე მოგივა, გგონია, ყველაფერი კარგად ჩაივლის. იმწუთას იმას რომ ფიქრობდე — მე ახლა მოვკვდები ან რამე მომივაო, — ალბათ, მაგრად გაგიჭირდება ფსიქოლოგიურად.

ნინო:

— რასაც იფიქრებ, როგორც იქნები, საქმეც ისე წავა. კი, რომ დამიჭირეს, წამიყვანეს და გამასამართლეს ბელორუსიაში, თავიდან ვიცოდი, რომ მალავდნენ ჩვენს იქ ყოფნას და ამიტომ შემეშინდა. ვიფიქრე — ან ნარკოტიკი არ ჩამიდონ, ან სხვა რამ არ მოიმოქმედონ-მეთქი. საერთო ჯამში ხომ არაფერი იმალება! ვიცოდით, რომ ჩვენი იქ ყოფნის ამბავს აქ მაინც გაიგებდნენ.

— რა გითხრეს ახლობლებმა, როდესაც შინ დაბრუნდით?

ნანა:

— მე მითხრეს — ვაი, შენს პატრონს! როდემდე უნდა იყო ასეთი არანორმალური *(იცინის)*?..

ნინო:

— მე უბრალოდ მკითხეს — ჩამოხვედი, კარგად ხარო?..

ნანა:

— წასვლამდე, „რუსთავი 2“-ს მინიშნებებით დავუმესიჯე, როგორ ვაპირებდი წასვლას: ტელეფონში ვერ ვიტყოდი ამას, რადგან იმ წუთებში შესაძლოა, ტელეფონი კონტროლზე აყვანილი ყოფილიყო. ჩემი ტელეფონიდან არც ვლაპარაკობდი, სხვის ტელეფონებს ვიყენებდი. „რუსთავი 2“-ში პროდიუსერს რომ მივახვედრე, რა გზას უნდა დავდგომოდი, მან ეს მესიჯი ნიკა ტაბატაძეს გააცნო. არ გაბედოთ, უარი არ მითხრათ, თორემ რომ ჩამოვალ, დაგხოცავთ; არის შანსი და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვა-მეთქი... მითხრეს — არაო. ნიკამ კი თქვა — გაუშვით, ეგ გიჟიაო...

■

ზოგისთვის გაბრაზებისა თუ უკმაყოფილების მიზეზი ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური მდგომარეობა ხდება, ზოგისთვის — არასასურველი პოლიტიკური ვითარება, ზოგისთვის — პოლიტიკოსების „უვადო“ დაპირებები გვირაბის ბოლოს სინათლის გამოჩენის თაობაზე... რუბრიკის სახელწოდება — „გაბრაზებულები“ — რასაკვირველია, რამდენადმე პირობითია და უპირველესად, სათქმელის ემოციურად, პოლემიკურად გამოხატვას ნიშნავს და, რაც მთავარია, ადამიანის აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის დამადასტურებელია.

რუბრიკის პრემიერის „გამართვა“ გია ბურჯანაძეს შევთავაზეთ — პრემიერა ხომ სხვებზე მეტად, მსახიობებთან ასოცირდება!

„ხვალ ახალი არქიფო სეთური გამოჩნდება ასინეთათი და თაბაგარით...“

ანუ რა უნდა ქნას ხელისუფლებამ?!

ნინო ჯავახიშვილი

— ...ძალიან ვღიზიანდები, როდესაც ვხედავ, რომ ხალხი ვითომ ეკლესიური გახდა. დღესასწაულების დროს ეკლესიაში შესვლას ვერაფრით მოახერხებთ, ისეთი ხალხმრავლობაა. ეს თითქოს უნდა მიხაროდეს, მაგრამ იცით, ყველაფერი უფრო „ტუსოვკას“ მაგონებს: — მოდი, დღეს ბარის ნაცვლად ეკლესიაში წავიდეთ, რადგან დღესასწაულია და ხალხი მიდისო... ასეთი ყალბი ეკლესიურობა მაღიზიანებს. თუ ჩვენი ხალხი ასეთი ეკლესიურია, მაშინ ქვეყანას ასე არ უნდა უჭირდეს? ალბათ, ერი იმსახურებს ასეთ ხელისუფლებას, თუმცა ერს მხოლოდ თანამედროვე ადამიანები ხომ არ ქმნიან?! ერს აქვს თავისი წარსული (ფესვები), აწმყო და მომავალი. ისტორიულად, ქართველი ერი არ იმსახურებს იმ მდგომარეობას, რომელშიც ახლა იმყოფება. სამწუხაროდ, მეჩვენება, რომ ისევ წარმართებად და კერპთაყვანისმცემლებად დავრჩით. ერთადერთი, ვისაც თაყვანი უნდა ვცეთ, ღმერთია, ადამიანები კი, მუდმივად ვიღაცას ვაღმერთებთ. შენ ხარ ჩვენი ღმერთიო, ვეუბნებით. ერთი კაცი ქვეყანას ვერ გადაარჩენს. პრეზიდენტი 50%-ითაც რომ იყოს არჩეული, ე.ი. ყოველმა მეორემ ხმა მას მისცა და ყოველი მეორე მოქალაქე კერპთაყვანისმცემელი და თავისი რჩეულის მონა ხდება! პრეზიდენტი ძალიან გაწონასწორებული ადამიანიც რომ იყოს, ხალხის ასეთი დამოკიდებულების შემდეგ აზრი უჩნდება — რადგან ამდენი ხალხი მეთაყვანება, ყველა ჩემი გადაწყვეტილება და ნაბიჯი სწორიაო. ის ამას გულწრფელად ფიქრობს, ხომ გახსოვთ ფრაზა კინოფილმიდან „ქვევრი“ — კაცო, მე — რა, ქრისტე ღმერთი კი არა ვარ სასწაული მოვახდინო, სამჭკუაშვილი ვარო. როდესაც ხალხი გაიძახის — გინდა თუ არა, ღმერთი ხარო, — ბოლოს, შენც იჯერებ — მართლა ღმერთი ვყოფილვარო!.. ეს გარკვეულწილად, პრეზიდენტის გარემოცვის ბრალიცაა. ყველანი ვირთხებივით წიწკნიან სათავისო ლუკმას, თან — ელაქუცებიან. ეშინია — სხვა რომ მოვიდეს, ხახამშრალს დამტოვებს და პრეზიდენტის საზიანოდ ცუდს არაფერს ვიტყვიო. მაგრამ ჩვენს პრეზიდენტებს ნამეტანი უვარდებათ თავში რაღაც-რაღაცები. მაინცდამაინც გაწონასწორებული არც ჩვენი ახლანდელი პრეზიდენტი გახლავთ. მას შემდეგ, რაც ქვეყანა დაინგრა, არ მახსოვს, ჩინოვნიკი, რომელმაც საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა აიღო, შემდეგ კი პასუხი აგო თავის დანაშაულზე. ბოდიშის მოხდა ზოგჯერ უფრო მეტი ვაჟკაცობაა, ვიდრე ბოლომდე გატანა, ვითომდაც საკუთარი სიმართლის. ეს კი, ყველას არ შეუძლია. ხალხი ერთ მხარეს რომ არის და ხელისუფლება — მეორე მხარეს, ეს მხოლოდ დღევანდელი ხელისუფლების პრობლემა არ არის. სისტემა უნდა შეიცვალოს. თუ ასე არ მოხდა, ხვალ ახალი არქიფო სეთური გამოჩნდება, ასინეთათი და თაბაგარით. უნდა ვიბრძოლოთ, რომ შეიქმნას ისეთი საზოგადოება, სადაც მათი მსგავსი ადამიანების ადგილი არ იქნება — დაინგრევა კერპთაყვანისმცემლობა, აღარ იქნება საპრეზიდენტო გუნდი, ფრაქცია, ნათესავი და ა.შ.

გაგრძელება იხ. გვ. 16

26-დან 31 ივლისის ჩათვლით, მთელი საქართველო ყოველ საღამოს ტელეეკრანს იყო მიჯაჭვული და იურმალიდან პირდაპირ ტრანსლაციას უყურებდა, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ფესტივალი „იურმალა 2006“ ტარდებოდა, მასში კი ჩვენი თანამემამულე — სოფიკო ხალვაში იღებდა მონაწილეობას. ფესტივალის პირველსავე დღეს ყველა მიხვდა, რომ სოფიკომ ჟიურისა და მაყურებლის სიმპათია დაიმსახურა. ის სხვა კონკურსანტებისგან არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ვოკალური მონაცემებითაც გამოირჩეოდა და ალბათ ამის გამო, საქართველოში დიდი თუ პატარა მას გულშემატკივრობდა. საბედნიეროდ, სოფიკომ სამშობლო ასახელა და მან ფესტივალზე მესამე ადგილი დაიკავა. მის აღმოჩენასა და გამარჯვებაზე სოფიკოს პედაგოგი — ქალბატონი ნუცა ვჩანელიძე გვესაუბრება.

ვის მეუყვარდა სოფო ხალვაში იურმალაში

ნათია ქევიძე

— მეამაყება, რომ სოფიკო 3 წლის წინ მე აღმოვაჩინე, მაშინ დაიწყო პროექტი — „ნუცას სკოლა“. უმრავი მსურველის საბუთი იყო შემოსული და პირველ რიგში, ის მე უნდა დამეხარისხებინა. საოცარია, მაგრამ პირველად, ხელში სწორედ სოფიკოს საბუთები ავიღე. სურათს რომ დავხედე, ვიფიქრე: რა ლამაზია და ნეტავ, ასე ლამაზად თუ მღერის-მეთქი?! მერე, მისი სიმღერა ჩავრთე — ორი ხაზი მოვისმინე თუ არა, მაშინვე გამოვრთე და გადავდე, რადგან მას არაჩვეულებრივი ვოკალური მონაცემები ჰქონდა და გადავწყვიტე, რომ პროექტში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებდა.



— ახლა, როცა სოფიკო გამარჯვებულია, თავს როგორ გრძნობთ?

— გადასარევად, თუმცა ძალიან ვინერვიულე, ისევე, როგორც მთელმა საქართველომ... მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, მე პროფესიული თვალსაზრისით ვნერვიულობდი — მის სიმღერას თვალყურს დაძაბული ვადევნებდი.

— მას როგორ შეფასებას მისცემთ — უნაკლოდ იმღერა?

— იყო რაღაც პატარა ხარვეზები, მაგრამ ამის ხმამაღლა თქმა საჭირო არ არის, რადგან იმ ხარვეზებს, მხოლოდ პროფესიონალები თუ მიხვდებიან. რაც მთავარია, სოფიკოს არაჩვეულებრივად ეჭირა თავი და თავისი ფიზიკური და ვოკალური მონაცემებით ყველა მოხიბლა.

— მის გამარჯვებას ელოდით?

— რა თქმა უნდა... ყოველ შემთხვევაში, ნინი შერმადინზე ნაკლებ შედეგს არ ველოდი და ხომ ხედავთ, მოლოდინმა როგორ გამიმართლა. ყველაზე მეტად იმაზე ვნერვიულობდი — ხალხი ახალი ვერსიით გაკეთებულ „თბილისოს“ როგორ მიიღებდა, რადგან ეს სიმღერა, არა მხოლოდ საქართველოში, მსოფლიოშიც კი ხელიხელსაგოგმანებელია, ყველას უყვარს და არ მინდოდა, რომ უხეშად გაგვეთანამედროვებინა. მოგეხსენებათ, „თბილისოს“ ბევრნაირი ვერსია არსებობს და ჩვენ (გათანამედროვებული, კლასიკასთან მიახლოებული) კიდევ ერთი ვერსია შევქმენით, მაგრამ მოსკოვში ფონოგრამა ცოტათი შეგვილამაზეს. მიუხედავად იმისა, რომ სიმღერა სახეშეცვლილი იყო, შესავალმა გაიჟღერა თუ არა, ყველა მიხვდა, რომ „თბილისო“ იყო და აპლოდისმენტებმაც არ დააყოვნა. ვინ თქვა, რომ რუსები ცივი ხალხიაო?.. სოფოს იქ ბევრი თაყვანიმცემელი გაუჩნდა და მათ შორის, საკმაოდ ცნობილი ადამიანებიც...

ლეონიდ აგუტინის ცოლმა — ანჟელიკა ვარუმმა ქმარს საყვედური უთხრა: სოფიკოს 9 ქულა როგორ დაუწერეო

— მაინც, ვის გულისხმობთ?

— როცა საჭირო იქნება, ამას თვითონ იტყვის *(იცინის)*. მე კი, მხოლოდ იმას გაგიმხელთ, რომ ლეონიდ აგუტინის ცოლმა — ანჟელიკა ვარუმმა ქმარს საყვედური უთხრა: სოფიკოს 9 ქულა როგორ დაუწერე, можно было и побольше-ო... ახლა ისეთი ბედნიერი ვარ, ჩემი ემოციების გადმოსაცემად სიტყვები აღარ მყოფნის.

— ნინი შერმადინის რეპერტუარზე, როგორც მახსოვს, პრობლემები შეგექმნათ და რაღაცები შეგიცვალეს კიდეც. ამ შემთხვევაში თუ მოხდა მსგავსი ინციდენტი?

— არა, სიმღერა — „თბილისოზე“ მაშინვე დაგვთანხმდნენ. დანარჩენი სიმღერების მიმართულებებზე კი, რაღაც უმნიშვნელო პრობლემა შეგვექმნა — სოფიკომ ინგლისური სიმღერა რომ შეასრულა, იმის არანჟირებაზე მერყეობდნენ. მერე, რეჟისორმა რაღაც ნიუანსები თვითონ შეცვალა და რომ ვნახე, გავოგნდი — იმ სიმღერას დაიანა როსი ცოტა აგრესიულად მღერის და სოფიკოც ასევე მღეროდა, მაგრამ რეჟისორს მისთვის კაბა და ვარცხნილობა შეუცვლია და უფრო, მერილინ მონროს სტილში, სექსუალურ-აგრესიული გამოვიდა. ძალიან მომეწონა. უნიჭიერესი რეჟისორი ჰყავთ...

— სოფოს გამარჯვებას პირადად როდის მიულოცავთ?

— ტელეფონით ბევრჯერ ველაპარაკე და ჩემი სიხარულიც გამოვხატე. ახლა ბათუმში ვიმყოფები. სოფიკო თბილისში გამთენიისას ჩაფრინდება, მაგრამ აქ როდის ჩამოვა, არ ვიცი. ხომ იცით, უამრავი ადამიანი მოისურვებს მასთან შეხვედრას და ალბათ, ბევრი საქმე ექნება... ■

ემზარ კვიციანის პიროვნება ერთგვარი თავსატეხი გახდა ქართველი ხალხისთვის. ამჯერად არ ვაპირებთ ქართული მასმედიის მიერ გახმაურებული უამრავი ვერსიის კიდევ ერთხელ განხილვას, თუმცა ვეჭვობთ, რომ მიზეზი, რამაც მთელი ეს ორომტრიალი გამოიწვია, დიდხანს დარჩება უპასუხო კითხვად. შესაძლოა, წლები დასჭირდეს იმის ზუსტად დადგენას, თუ რამ ჩაადენინა ბაბაჯოს, ყველასთვის გასაკვირი საქციელი. ისტორია პირუთვნელი მსაჯულია და შავსაც და თეთრსაც უეჭველად დაარქმევს თავ-თავის სახელს. თუმცა ბოლო 15 წლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ პროცესს ბევრი დრო სჭირდება. ზოგჯერ სიმართლე თაობების ცვლის შემდეგ დგინდება...

რატომ დაიფიცა სატაზე ემზარ კვიციანმა და ვისი მოსპობის ქინი ჰქონდა მას

ეკა ლომიძე

შეიძლებოდა თუ არა კვიციანს სამშობლოსთვის ეღალატა და სასწორზე შეეგდო საკუთარი ოჯახის ბედი? რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს მას საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ძალებთან? — ეს და კიდევ უამრავი სხვა კითხვა აწუხებს საზოგადოებას. პასუხების მიღება შეუძლებელია მხოლოდ ბოლო დღეებში გავრცელებულ მის ტელეინტერვიუებზე დაყრდნობით. სამწუხაროა, რომ დღეს შეუძლებელია, ამ ორომტრიალის მთავარ გმირთან დიალოგი, ამიტომ ვფიქრობთ, გასულ წლებში მასთან ჩაწერილი ინტერვიუების მეშვეობით გავარკვიოთ, თუ რაზე შეიძლება ფიქრობდეს კაცი, რომელიც თითქმის არასდროს მტრობდა აფხაზებს და ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ჯარების ყოფნას.

ახლა ხშირად იხსენებენ კვიციანის კრიმინალურ წარსულს, იმას, თუ როგორ გაასამართლეს იგი პირველად, ძროხის ქურდობის გამო. ამის შესახებ ერთხელ, სწორედ „გზისთვის“ მიცემული ინტერვიუს ჩაწერისას ვისაუბრეთ. ემზარ კვიციანს ქურდებმა მოპარული ძროხის ტრანსპორტირებისთვის სთხოვეს დახმარება და... „ორჯერ ვარ ნასამართლევი. ამაზე საუბარი არ მსიამოვნებს, იმიტომ არა, რომ ჩემს საქციელს ვნანობ, — უსამართლობის მსხვერპლი ვიყავი. გული მწყდება. პირველად სხვისი ჩადენილი დანაშაული დამბრალდა. არადა, როცა დანაშაული ხდებოდა, სახლში დედაჩემის გვერდით მეძინა. ძალიან ინერვიულა მაშინ დედამ და მძიმედ გახდა ავად. მილიცია მაშინაც ფულის გამოძალვაზე მუშაობდა. იცოდნენ, უდანაშაულო რომ ვიყავი, მაგრამ ეგონათ, ფულს მივცემდი. ჩემს ოჯახს ამის საშუალება არ ჰქონდა. ისიც ვერ ვიკადრე, ნამდვილი დამნაშავეები „ჩამეშვა“ და ასე აღმოვჩნდი ციხეში 3 წლით. 2 წელი და 2 თვე რომ გავიდა, რუსეთში გამიშვეს მიმაგრებით. იქ თავისუფლად ვცხოვრობდი, ისევ ვვარჯიშობდი. ერთ დღესაც, ჩხუბს შევესწარი. უამრავი ხალხი სცემდა ერთ ქართველს. თავდამსხმელები ის ადამიანები იყვნენ, ვინც მაშინ ქალაქს აკონტროლებდნენ. იმ ბიჭს მივეშველე. თავდამსხმელები მწარედ ვცემე. ჩვენ რომ დავმარცხებულიყავით, მეორე დღესვე ყველა ქართველის საქმე ცუდად წავიდოდა. დამარცხებულმა რუსებმა მიჩივლეს. 2 წელი და 8 თვე დამიმატეს. ძალიან კი გამიკვირდა კაცური თანადგომა, მაგრამ პროკურორი ადვოკატივით დამიდგა გვერდში, ამიტომაც მომისაჯეს ასე ცოტა ხნით პატიმრობა. მერე გავთავისუფლდი და საქართველოში დავბრუნდი“, — იხსენებდა კვიციანი „გზასთან“ საუბრისას.

კოდორის ყოფილი გუბერნატორი აფხაზეთის ომში 1992 წელს ჩაება. მისი თქმით, ამ დროისთვის შექმნა საძმო, რომელსაც „მონადირე“ დაარქვა. მაშინ სოხუმიდან ჩამოსულ გენო კალანდიას კვიციანისთვის კოდორში საჰაერო სივრცის გადაკეტვა დაუვალებია.

ემზარ კვიციანისთვის დღემდე მოუშუშებელი ტკივილია ბიძაშვილი რევაზ კვიციანი, რომელიც დაჭრილი ჩავარდნია ტყვედ აფხაზებს. „ძალიან ნაწვალები და დასახიჩრებული დაგვიბრუნეს მისი გვამი: ცხვირი და ყურები დაეჭრათ, გული ამოეღოთ“, — იხსენებდა იგი. მიუხედავად ამისა, როგორც ამბობდა, აფხაზების მიმართ გულში ბოღმა არ ჩაუხვევია. მიაჩნდა, რომ სახალხო დიპლომატიას დიდი როლი შეეძლო შეესრულებინა ქართველებსა და აფხაზებს შორის გაგრძელებული დაპირისპირების მოგვარებაში. ომს თავისი კანონები აქვს და შენი ინტერესები სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებზე წინ არ უნდა დააყენოო...

„კვირის პალიტრისთვის“ და „გზისთვის“ მიცემულ ინტერვიუებში ხშირად ლაპარაკობდა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივებზე. კონფლიქტის ზონაში იარაღის გამოყენებას სასტიკად ეწინააღმდეგებოდა. ამბობდა, თუ აფხაზეთში რუსი არ იქნება, იქ აფხაზი იარაღით აღარ დაგვხვდება და შევრიგდებითო.

„არა მგონია ახლა და საერთოდაც, აფხაზებს ომი აძლევდეს ხელს. ბოლოს მათთან შეხვედრისას, მითხრეს კიდეც, ახლა რომ ჩვენ შორის ომი განახლდეს, როგორც ერი, აფხაზები საერთოდ გადავშენდებითო. ომი არც ქართველებს გვაძლევს ხელს, ამიტომაც ორივე მხარეს სიფრთხილე გვმართებს, რომ ანკესს არ წამოვეგოთ. მტერს ჩვენი დაპირისპირება უნდა, ბრძოლა არ უნდა განვაახლოთ“.

უცნაურია ამ სიტყვების ავტორის დღევანდელი საქციელი, უცნაურიც და გაუგებარიც. როგორც ჩანს, დღეს მართლა ღმერთმა უწყის, რა უდევს გულში კვიციანს, კაცს, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას სისხლის ღვრით ემუქრება და ამავე დროს აცხადებს, რომ ქართველებზე ხელის აღმართვა არ შეუძლია. სხვათა შორის, 2002 წელს, როდესაც გენერალმა ევგენეემ კოდორში რუსული ჯარის დაბანაკება სცადა, კვიციანმა ინტერვიუს დროს მითხრა — ულტიმატუმი მქონდა წაყენებული, ალყაში მყავდნენ მომწყვდეულები, გასროლის საშუალებას არ მივცემდი; მეთაურს, მოადგილეებს დავუხოცავდი და ჯარისკაცები უმეთაუროდ დარჩებოდნენ, მაგრამ მიჭირს ქრისტიანი კაცისთვის სროლა; ბოლოს და ბოლოს, რუსებთან ერთად გვიცხოვრია და თუ პოლიტიკოსები სწორ ნაბიჯებს არ დგამენ, სამაგიეროდ, ჩვენ, მებრძოლები, ვცდილობთ თავის შეკავებას; თუმცა იმ დღეს იქ რომ ვყოფილიყავი, პირველსავე ვერტმფრენს ვესროდიო... დღეს ისინი, ვინც კვიციანს რუსების აგენტად მიიჩნევენ, ალბათ კატეგორიულად დასაკვნიან — კოდორის გუბერნატორი მაშინაც შეკრული იყო მოწინააღმდეგესთანო. მაშინაც და დღესაც, კვიციანის იმპულსური ხასიათით შესანიშნავად შეეძლოთ ესარგებლათ რუსებს და არა მარტო მათ. სპეცსამსახურებისთვის ხომ ჩვეული ხერხია, სასურველი შედეგის მისაღწევად, საჭირო სიტუაციის პროვოცირება. იმას კი, ვინც კვიციანის ფსიქიკას კარგად იცნობდა, არ გაუჭირდებოდა, მისი ყველაზე მგრძნობიარე ნერვის საკუთარი ინტერესების შესაბამისად ატოკება. ბაბაჯო კი ერთი პერიოდი კატეგორიულად მოითხოვ-

და კოდორის მოსახლეობის სახელით — რუსეთს ხეობის პატრულირებაში მონაწილეობა არ მიეღოთ და აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, კოდორთან ახლოს აუცილებლად მოეშალათ 106-ე და 107-ე რუსული საგუშაგო პოსტები. წინააღმდეგ შემთხვევაში, კვიციანს მიაჩნდა, რომ კოდორს საფრთხე დაემუქრებოდა.

„ცუდი სიტუაციაა. რუსული სპეცსამსახურების ქართველი აგენტებიც თუ ამუშავდნენ, მძიმე დღეში ჩავცვივდებით. თუ ასე გაგრძელდა, მე განცხადება გამზადებული მაქვს — გადავდგები და წავალ ტყეში. სხვა გზა არა მაქვს. ამას ნამდვილად გავაკეთებ, თუ 2 აპრილის ხელშეკრულების მიხედვით ყველა პირობა არ შესრულდება და ლტოლვილებს თავიანთ მიწაზე არ დააბრუნებენ. მხოლოდ ამიტომ დავთანხმდი პროტოკოლზე ხელის მოწერას და ხეობიდან ჯარის გაყვანას. ხელის მოწერამდე ვთქვი — თუ ქართული ჯარის კოდორიდან გაყვანის შემდეგ, მოსახლეობას არ დააბრუნებთ ლათასა და ბაგადაში, ეს ხელშეკრულება ჩემთვის ფარატინა ფურცელი იქნება. ამ ხელისუფლებას აღარ დავემორჩილები, გადავდგები და ტყეში გავალ-მეთქი“, — აცხადებდა კვიციანი. მაგრამ არც დევნილები დაუბრუნებიათ ლათასა და ბაგადაში და არც კვიციანი გავარდნილა მაშინ ტყეში. არადა, რუსეთის სამშვიდობო ძალებიც და გაეროს წარმომადგენლებიც დაჰპირდნენ, რომ ერთ თვეში ყველაფერს მოაგვარებდნენ. „თუ ხალხს ჩამოასახლებენ, ბრძოლას არ დავიწყებ და საგუშაგოებსაც ისე დავაყენებ, რომ პარტიზანებიც კი ვეღარ გავლენ აფხაზეთში. ეს აფხაზებს აძლევს ხელს, რუსებს — არა. აფხაზებს სიმშვიდე უნდათ. მათ ყველაზე მეტად კოდორის ხეობის ეშინიათ. კოდორი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ტერიტორიაა. აღნიშნულ სოფლებში მოსახლეობის დაბრუნებით ჩვენ 30 კმ ტერიტორიას ვიბრუნებთ, რაც ხალხს ერთმანეთთან დაახლოების საშუალებას მისცემს. რუსებმა შესანიშნავად იციან, სახალხო დიპლომატიას წინ რომ ვეღარაფერი აღუდგება, ხალხი შერიგდება. რუსეთს კოდორში მუდმივად ფეთქებადი სიტუაცია სჭირდება“, — კვიციანის ამ განცხადებების შემდეგ კოდორში ბოლო დრომდე არ შექმნილა კრიტიკული სიტუაცია საომარი თვალსაზრისით... შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე კოდორის ხეობაში ჩავიდა. კვიციანმა მას არჩვი აჩუქა. რა საინტერსოა დღეს იმ არჩვის ბედი!..

მეუღლესთან ერთად

მაშინ „კვირის პალიტრამ“ კვიციანს ჰკითხა:

„— კოდორში ნინო ბურჯანაძეს მშვენიერი არჩვი აჩუქეთ, არ შეგეცოდათ თბილისისთვის? ალბათ ზოოპარკში გაამწესებენ.

— რა აქვს შესაცოდებელი? ტყიდან პარლამენტში გადავიყვანეთ. კაი პატრონის ხელშია. შვილივით მოეფერებიან.

— როგორ ფიქრობთ, ბურჯანაძის ფეხი კეთილი იქნება კოდორში?

— დარწმუნებული ვარ“...

„გზასთან“ ინტერვიუში ემზარ კვიციანი ამბობდა, რომ კომპრომისების წინააღმდეგი არასდროს ყოფილა: „უბრალოდ, ისეთი კომპრომისი არ უნდა დაუშვა, ზიანს რომ მოგაყენებს, რაც, სამწუხაროდ, ხშირად ხდება ჩვენი მხრიდან, აფხაზეთის საკითხზე მუშაობისას. თანამდებობის პირებისგან თავგანწირვაა საჭირო, რომელსაც დიდი-დიდი, სკამის დაკარგვა შეიძლება მოჰყვეს და სხვა არაფერი. სკამის გულისთვის კი, სამშობლო არ უნდა გაწირო და უბედურების მომტან ხელშეკრულებას ხელი არ უნდა მოაწერო“. ნუთუ მისი ეს სიტყვები მხოლოდ ზეაწეული პატეთიკაა?!. სამწუხაროდ, ყველა კითხვა უპასუხოდ რჩება. ასევე უცნობია კვიციანის ზუსტი ადგილსამყოფელი. უამრავ ვერსიას შორის, იმასაც ამბობენ, რომ ტყეში გავარდნილი ექსგუბერნატორი არსადაც არ წასულა და კვლავაც კოდორის მთებს აბარებს თავს ღმერთის იმედად — ღმერთის, რომელიც მისი თქმით, ყოველთვის იფარავდა, განსაცდელში მყოფს. ერთხელ გაიხსენა აფხაზებთან ომისდროინდელი ამბავი:

„სოფელ ლათაში მტერს ალყაში ვყავდით მოქცეულნი. საარტილერიო ჭურვებს გვესროდნენ. სკოლის შენობაში შევედი. სანთლები ამოვიღე ჯიბიდან და დაჩოქილმა ლოცვა დავიწყე. უეცრად ჭურვის ნამსხვრევმა შემოგლიჯა კედელი. სანთლები ძველებურად ანთებული დარჩა, მე კი, ფეხზე რომ ვმდგარიყავი, უთუოდ მოვკვდებოდი... მამაჩემი ძალიან მორწმუნე კაცი იყო. სულ ლოცულობდა, მეც ასე გავიზარდე. კოდორში განსაკუთრებულად მორწმუნე ხალხი ცხოვრობს. რაც არ უნდა მორწმუნე იყო, ღმერთი ხშირად არ უნდა ახსენო და იმის ფიციმტკიცი არ უნდა დაიწყო, რომ ღმერთი გიყვარს; მან იცის, გიყვარს თუ არა, შენ კი, ქვეყნის დასანახავად ზედმეტ ლაპარაკს, ჯობს, თავი დაანებო და საქმით დაამტკიცო, რაც გულში გიდევს...“

სამწუხაროდ, დღეს ნამდვილად შეუძლებელია კვიციანის გულისნადების ამოცნობა. თუმცა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჭორები ნარკოტიკებთან მისი შეხების შესახებ სიცრუეა და სხვა არაფერი. როგორც ერთხელ კვიციანმა მითხრა, დღემდე ძალიან ეშინია სამედიცინო ნემსის. აი, რა მოჰყვა ამასთან დაკავშირებით ამჟამად ძებნილმა. „სულ მახსენდება ერთი ამბავი: 11-12 წლისა ვიქნებოდი, სკასთან მივედი და ფუტკრების შესაძრომ ხვრელში სული შევუბერე. დამესივნენ და ისე დამკბინეს, რომ თავიდან ფეხებამდე დავსივდი. მაშინ ყველაზე მეტად რისიც მეშინოდა, სწორედ ის — ნემსი გამიკეთეს. ძალიან ცუდად ვიყავი“. ვიღაცამ შეიძლება თქვას — მხოლოდ ბავშვობაში ეშინოდაო...

კვიციანის მსგავსად უცნობია მისი ცოლ-შვილის ადგილსამყოფელიც.

ვინ იცის, შესაძლოა, ყოფილი გუბერნატორის მეუღლე — თეთნულდ ანსიანი სამ შვილთან ერთად, ახლაც მეუღლის გვერდით იმყოფებოდეს. მას დიდი გამოცდილება აქვს მძიმე წუთებში ქმრის გვერდით დგომის. „გზასთან“ ინტერვიუში ამბობდა კიდეც: „ფეხმძიმეც კი მის გვერდით ვიყავი, როცა კოდორს ბომბავდნენ აფხაზეთის ომის დროს. სულ სარდაფში მიწევდა უფროს შვილთან ერთად დამალვა. იყო დრო, როცა საჭმელიც კი არ გვქონდა იმ მძიმე პირობებში. მერე ჩვენ სამშვიდობოს გვიშვებდა ხოლმე ემზარი, თავად კი დიდი ხნით ვერ გვნახულობდა. ემზარი ხშირად ამბობს — ჩემი ვაღი უნდა მოვიხადო სამშობლოს წინაშე, აბა, ჩემს შვილებს ხომ არ დავუტოვებ საქმეს საწვალებლადო?!“

საინტერსოა, დღეს სამშობლოს მოღალატედ გამოცხადებული როგორ შეძლებს ამ დანაპირების შესრულებას? მან დაკარგა შანსები ამ რეალობაში და ახლა იმ ხალხის ანაბარადაა დარჩენილი, ვისთან ერთადაც ხატზე შეჰფიცა — უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დავიცავო კოდორს. ამის შესახებ „გზასთან“ ინტერვიუში იხსენებდა:

„როცა სოხუმი დავკარგეთ, ხალხი მეკითხებოდა — რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ კოდორშიო? მაშინ დავიფიცე ხატზე — სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებ-მეთქი. შევიკრიბეთ 80-კაციანი საძმო, რომელსაც „მონადირე“ დავარქვი, ერთი ოსური ბანდფორმირების — „მგლების“ გულის გასახეთქად. მგელი ძალიან მიყვარს, მაგრამ იმ ოსური „მგლების“ მოსპობის ჟინი მქონდა, ამიტომაც დავარქვი ჩემს საძმოს „მონადირე“ — მგელს მხოლოდ მონადირისა ეშინია. კოდორის ხეობის მფარველი დალიც მხოლოდ მონადირესთან არის კარგად. ამდენი უცნაური დამთხვევის შემდეგ, წმ. გიორგის ხატზეც რომ დავიფიცე, სხვებმაც მომბაძეს და დაიფიცეს, რომ კოდორს არ დატოვებდნენ. მერე, ვინც შემოგვემატებოდა, იმის შიშით, რომ შემოგზავნილი არ ყოფილიყო, ყველას ხატზე ვაფიცებდით. სამმა მაინც გვიღალატა. ერთი შსს-ში მუშაობს დღესაც, ერთიც — ექიმი იყო, ერთი კი — მოკვდა. ღმერთი არ აპატიებთ ღალატს“.

როგორც ჩანს, კვიციანს კიდევ ერთხელ უღალატეს და სწორედ მოღალატის მეშვეობით წამოაგეს პროვოკაციულ ანკესზე. ■

თაღლითის მრავალთასიანი აფერა და განბილებული უცხოელი ინვესტორები

დაზარალებულთა სიაში მოსკოველი ბიზნესმენიც მოხვდა

საქართველოში მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში არის მუხლი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, ბოლო წლებში ძალზე გავრცელებული დანაშაულის სახეობას — თაღლითობას ეხება. განსასჯელი, რომელსაც ამ მუხლით ასამართლებენ, ბრალდების დადასტურების შემთხვევაში, შესაძლოა, მრავალწლიანი პატიმრობითაც დასავჯონ, იმის მიხედვით, თუ რამდენი ადამიანი დააზარალა, რა რაოდენობის თანხა მიითვისა და რამდენად დიდი ზიანი მიაყენა მან ამა თუ იმ დაწესებულებას ან მოქალაქეს. სამართალდამცველები აღნიშნავენ, რომ მსგავსი ფაქტების სიმრავლე განსაკუთრებით 90-იანი წლებიდან მოყოლებული შეინიშნება. კრიმინალური მიდრეკილების მქონე ადამიანებს ამ საქმიანობისკენ გაჭირვებამ და მძიმე სოციალურმა პირობებმაც უბიძგა. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება მათ სხვების მოტყუების ხარჯზე გადაწყვიტეს. რამდენიმე წარმატებული „საქმის“ შემდეგ, ბუნებრივია, ასეთ ადამიანებს უფრო დიდი ამბიციები უჩნდებათ, ისინი უკვე გამდიდრებაზე იწყებენ ფიქრს და მსხვილი აფერების შესახებ იდეებიც იბადება...

თაღლითები მართლაც დახელოვნდნენ, რაზეც ბოლო დროს გამოვლენილი ფაქტები მეტყველებს. ისინი სულ უფრო წარმატებულად და მაღალ პროფესიონალურ დონეზე ახორციელებენ თავიანთ გეგმებს — აფერებს და ხშირ შემთხვევაში, დასახულ მიზანს აღწევენ კიდეც. სისხლის სამართლის მასალები, რომლებსაც გავეცანით, სწორედ გამოცდილი და „კვალიფიციური“ თაღლითის შესახებ მოგვითხრობს. საქმე ეხება 2 მილიონამდე დოლარის მითვისებას. მსჯავრდებული კი წარმოშობით ზუგდიდელი, 42 წლის ლევან პატარაია (მსჯავრდებულის გვარი შეცვლილია) აღმოჩნდა... მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე 2004 წელს თბილისის საოლქო სასამართლოს კოლეგიამ განიხილა. სასამართლო პროცესი ხმაურით, დაზარალებულთა ემოციებისა და დაძაბულობის ფონზე მიმდინარეობდა. პროკურატურა აცხადებდა, რომ განსასჯელის თაღლითურმა საქმიანობამ ათეულობით მოქალაქე და რამდენიმე მსხვილი მეწარმე, ასევე უცხოელი ცნობილი ბიზნესმენიც კი დააზარალა. სასამართლო გამოძიების შედეგად, პროკურატურის ბრალდებები დადასტურდა. განსასჯელი დამნაშავედ ცნეს.

პატარაიას „მოღვაწეობა“, პროკურატურის მასალების მიხედვით, 1993 წლიდან იწყება. ორი წლის შემდეგ, 1995 წლის დეკემბერში, პატარაია გერმანიაში გაემგზავრა. იმ დროისთვის ის თავს უკვე ბიზნესმენს უწოდებდა. უფრო მეტიც, ქალაქ ბრემენში ჩასულმა, ერთ-ერთი გერმანული კომპანიის — „ვალემარ შიპინგ თრეიდინგის“ პრეზიდენტს გამოუცხადა, რომ საქართველოში ეკონომიკის აღორძინებას ისახავდა მიზნად. პატარაიამ კომპანიის პრეზიდენტს — კინტერაიას არათუ საქართველოში, არამედ ევროპაში ცნობილ მსხვილ ბიზნესმენად გააცნო თავი. უთხრა, რომ ბრიტანეთის კუნძულ მენზე რეგისტრირებული ჰქონდა შპს „თერი თრეიდინგ ინვესტმენტ ლიმიტედი“, რომლის პრეზიდენტიც თავად იყო და ახლა ძალიან უნდოდა, სამშობლოში განეხორციელებინა რამდენიმე ბიზნეს-პროექტი. გერმანული კომპანიის პრეზიდენტის გაცურება პატარაიამ ადვილად მოახერხა. კინტერაიამ იმვე დღეს გააფორმა მასთან კორპორაციული გარანტია იმის შესახებ, რომ „ვალემარ შიპინგ თრეიდინგისგან“ კრედიტის (თანაც უპროცენტო!) მიღების შემთხვევაში, პატარაია ამ თანხებს საქართველოში განსახორციელებელი პროგრამების ინვესტირებისთვის გამოიყენებდა. ლაპარაკი იყო ოთხ პროექტზე, სახელწოდებებით — „ენერგია-1“, „ენერგია-2“, „ხიდი“ და „კავშირგაბმულობა“. სწორედ ამ პროექტების დამაჯერებელი და შთამბეჭდავი წარდგენის შემდეგ გამოუცხადეს ნდობა პატარაიას და შედეგად, იმავე თვეში, გერმანულმა კომპანიამ მას „გაერთიანებულ ქართულ ბანკში“ გახსნილ ანგარიშზე 200 ათასი დოლარი გადაურიცხა. დანარჩენი 305 ათასი დოლარი გერმანული კომპანიის პრეზიდენტმა „თერი თრეიდინგ ინვესტმენტ ლიმიტედის“ ანგარიშზე, ლიხტენშტაინში გადარიცხა.

პატარაია განაგრძობდა „ვალემარ შიპინგ თრეიდინგის“ პრეზიდენტის მოტყუებას. იმისთვის, რომ მის კრედიტუნარიანობაში ეჭვი არ შეჰპარვოდათ, პატარაიამ გადაწყვიტა, მიღებული და უკვე მითვისებული თანხიდან ცოტა მაინც გაემეტებინა. ამ მიზნით, მან 10 ათასი დოლარი დაუბრუნა კრედიტორს, დანარჩენი 495 ათასი დოლარი კი ბანკებიდან გამოიტანა და უკლებლივ, მხოლოდ პირად ინტერესებს მოახმარა...

„თერი თრეიდინგ ინვესტმენტ ლიმიტედის“ სახელით თაღლითური საქმიანობა ამით არ დასრულებულა, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო... მომდევნო დაზარალებული — ხომასურიძე პატარაიამ დაარწმუნა, რომ აღნიშნული ფირმის გარდა, ის სააქციო საზოგადოება „აღმაშენებლის“ პრეზიდენტიც გახლდათ. ისიც უთხრა, რომ მის მიერ ინგლისში, შვეიცარიასა და ჰოლანდიაში შექმნილ მძლავრ საფინანსო კომპანიებს წლების მანძილზე მოჰქონდა მისთვის წარმატება და ახლა სურდა, სწორედ ამ კომპანიების საშუალებით საქართველოშიც მოეზიდა ინვესტიციები... 1996 წლის დეკემბერში პატარაიამ ხომასურიძისგან 50 ათასი დოლარი მიიღო. შეადგინა და ხელი მოაწერა კიდეც ფინანსურ ხელშეკრულებას იმის თაობაზე, რომ თითქოს იგი ვალდებულებას იღებდა, ხომასურიძისგან მიღებული ფული დანიშნულებისამებრ გამოეყენებინა და ამასთან, ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე დამფინანსებლისთვის 15 პროცენტიც გადაეხადა. პირობა, რა თქმა უნდა, არ შეუსრულებია, თუმცა ხომასურიძესთან „საქმიანი“ ურთიერთობის შენარჩუნებას, ამის მიუხედავად, ახერხებდა.

1997 წლის თებერვალში, ჩინეთიდან ახალმა ჩამოსულმა პატარაიამ ხომასურიძეს ორი ახალი „კონტრაქტი“ წარუდგინა. კონტრაქტებში, რომლებიც მან თითქოს ჩინეთში გააფორმა, ეწერა, რომ მას, როგორც მსხვილ კომპანიონს სესხით სახით, ერთი პროექტისთვის 2 მილიარდი, ხოლო მეორე პროექტისთვის 15 მილიარდი დოლარი გამოეყო. პატარაიას მიზანი იყო ხომასურიძისთვის დამატებით დაეტყუა სოლიდური თანხა და შესთავაზა, აღნიშნული პროექტების განხორციელებაში მასაც შეეტანა წილი. სამაგიეროდ, პროცენტებს დაჰპირდა. მისი დაყოლიება შეძლო. პატარაიამ ანდოსირებული საერთაშორისო საგადასახადო განკარგულება, ე.წ. პიორდერი გამოუწერა ხომასურიძეს. პიორდერის თანახმად, ხომასურიძეს გარიგების საერთო თანხებიდან 0,125 % უნდა მიეღო. პატარაიასადმი ნდობით აღვსილმა ხომასურიძემ 1997 წლის აგვისტოში, თბილისში პირადად გადასცა მას 43 ათასი დოლარი. პატარაიამ კი, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ გაუმეორა მას, რომ შვეიცარიაში, სწორედ აღნიშნული კონტრაქტების საფუძველზე, მილიარდობით დოლარი იყო მის ანგარიშზე გადარიცხული. ეს, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. პა-

ტარაიას მიზანი იმ დროს მხოლოდ და მხოლოდ ხომასურიძის გაცურება და მისგან დამატებით რამდენიმე ათასი დოლარის მიღება იყო.

1996 წლის სექტემბერში, პატარაიამ ზუგდიდისკენ აიღო გეზი. ადგილობრივ მოსახლეობას წარუდგა, როგორც ზუგდიდის რაიონის, სოფელ ანაკლიის საზღვაო პორტის მშენებელი, ევროპაში ცნობილი ბიზნესმენი და საქართველოს ეკონომიკის ამაღორძინებელი(!). „საქმიანი“ დიალოგი შპს „ზუგდიდის პურპროდუქტების კომბინატის“ დირექტორთან — ქანთარიასთან გამართა. გამოცდილმა პატარაიამ, როგორც დირექტორის, ასევე კომბინატის თანამშრომლების ნდობის მოპოვება ადვილად შეძლო. ამ ნდობის ბოროტად გამოყენების მიზნით, იმავე წლის 26 ნოემბერს, მან სააქციო საზოგადოება „აღმაშენებლის“ სახელით ხელშეკრულება გააფორმა აღნიშნულ კომბინატთან. ხელშეკრულება ეხებოდა „აღმაშენებლისთვის“ 800 ტონა ხორბლის ფქვილის მიწოდებას. სწორედ ამ კონტრაქტის საფუძველზე, 1996 წლის დეკემბერში, პატარაიამ ზედიზედ, 5-5 სარკინიგზო ვაგონებით 300-300 ტონა ხორბლის ფქვილი მიიღო, სულ 600 ტონა, 32.700 ლარის სახელშეკრულებო და 56. 400 ლარის საბაზრო ღირებულებით. აღსანიშნავია, რომ იმავე კონტრაქტის მიხედვით, პატარაია ვალდებული იყო, წინასწარ განსაზღვრული 15 საბანკო დღის განმავლობაში მთლიანად გადაერიცხა მომწოდებლისთვის თანხა.

ეს, რა თქმა უნდა, არ გაუკეთებია. 300 ტონა ფქვილის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა მან მთლიანად მიითვისა, მეორე 300 ტონა კი „ბანკ კრედიტს“ გადასცა, როგორც მისგან აღებული სესხის — 60 ათასი დოლარის გარანტია. საქმის მასალების მიხედვით, პატარაიამ ამ აფერისა და მაქინაციების შედეგად, „ზუგდიდის პურპროდუქტების კომბინატს“ 327 ათასი ლარის სახელშეკრულებო და 564 ათასი ლარის საბაზრო ღირებულების ქონება წასტაცა და მიითვისა. დაზარალებულს ამ აფერამ დიდი ზიანი მიაყენა, კომბინატმა მართლაც მნიშვნელოვანი ზარალი ნახა, სამაგიეროდ, პატარაიას პირადი ქონება თვალსა და ხელს შუა, დღითი დღე იზრდებოდა და სულ უფრო მრავალფეროვანი და თვალისმომჭრელი ხდებოდა. მდიდარი და წარმატებული საქმოსნის იმიჯით პატარაია კრედიტორებზე შთაბეჭდილებას ახდენდა და მახეშიც იოლად აბამდა მათ. უბრალო ხალხის მოტყუება კი მისთვის პრობლემას აღარ წარმოადგენდა. მაგალითად, მოქალაქე ლაბაძის ნდობა პატარაიამ უსწრაფესად და უმარტივესად მოიპოვა. დაარწმუნა ის, რომ ერთ თვეში ჩინეთში კონტრაქტს გააფორმებდა, რომლის საფუძველზეც ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური რეზერვების ფონდიდან, კრედიტის სახით, რამდენიმე მილიარდ დოლარს მიიღებდა. პატარაია ლაბაძეს „დაჰპირდა“, რომ აღნიშნული ფულიდან მას პროცენტის სახით დიდ თანხას გადაუხდიდა, იმ შემთხვევაში, თუკი ის — ლაბაძე თითქოსდა კონკრეტული ბიზნესპროექტის განსახორციელებლად მას 15 ათას დოლარს მისცემდა. ლაბაძის სახელზე პატარაიამ სასწრაფოდ შეავსო პირადერი, რომლის თანახმადაც ჩინეთში გაფორმებული გარიგების საერთო თანხიდან, მას პროცენტს გადაუხდიდა. მალე პატარაიამ ლაბაძეს წარუდგინა კიდეც ვითომდა პეკინში ხელმოწერილი, მკითხველისთვის უკვე ცნობილი კონტრაქტი — 2 და 15 მილიარდი დოლარის გადარიცხვის თაობაზე. ამ კონტრაქტით, თავის დროზე, ხომასურიძეს აუხვია თვალი, ახლა კი ლაბაძე გააბა მახეში. ზემოთ აღნიშნული 15 ათასი დოლარი პატარაიამ სუფთად მიითვისა. ამავე გზით მოატყუა მან მოქალაქე ორდენიძეც, რომლისგანაც, მართალია, წინა თანხებთან შედარებით მცირე „შემოსავალი“ — სულ 1.600 ლარი მიიღო. იმავე პერიოდში გაიცნო მოქალაქე კახიძეც. კახიძეს პატარაიამ ცნობილი ჩინური კონტრაქტი და ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური რეზერვების ფონდის წინადადება (მილიარდიანი კრედიტის თაობაზე) გააცნო. კახიძის დაინტერესებაც გამოიწვია და მას 12 ათასი დოლარიც გამოსტყუა. როგორც წესი, პატარაია მხოლოდ ერთჯერად აფერას არ სჯერდებოდა, თუკი პიროვნებისგან მეტს ელოდა და გრძნობდა, რომ მის საფულეში კიდევ იყო დარჩენილი რამდენიმე ათასი... ამ ალღომ მას არც კახიძის შემთხვევაში უღალატა. სულ ცოტა ხანში, დამატებითი თანხის მიღების მიზნით, პატარაიამ კახიძეს პეკინში ხელმოწერილი „კონტრაქტი“ აჩვენა და იქვე, პირადერიც გამოუწერა...

აფერა გრძელდებოდა. პატარაიამ კახიძეს მასთან ერთად შვეიცარიაში გამგზავრება შესთავაზა, ვითომდა ჩინეთში გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე, შვეიცარიის ბანკებში გადარიცხული ფულის გამოსატანად. გამგზავრების წინადღეს, თბილისში, მან კახიძისგან, მოტყუებით კიდევ 1.500 დოლარი მიიღო. დაჰპირდა, რომ თანხას ზუსტად ერთ კვირაში უკლებლივ დაუბრუნებდა. მართლაც, ერთად გაემგზავრნენ, მაგრამ ნაცვლად შვეიცარიისა, პატარაიამ კახიძე გერმანიაში ჩაიყვანა. არწმუნებდა მას, რომ ცოტა ხნის წინ, სწორედ გერმანიაში გააფორმა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ევროპის საფინანსო წრეებიდან კრედიტის სახით 500 მილიონი დოლარი უნდა მიეღო. ამ ფულს რომ მივიღებ, მაშინ დაგიბრუნებ სესხსაც და პირადერით გათვალისწინებულ თანხებსაც, — აუხსნა გამოცდილმა თაღლითმა კახიძეს და ამ საუბრისას, დამატებით, კიდევ 2.900 დოლარის მიცემაზე მისგან თანხმობაც მიიღო. კახიძემ მას ზემოთ აღნიშნული თანხა გადასცა იმ პირობით, რომ მთელ ფულს, ადრინდელი სესხების ჩათვლით, პატარაია მას ერთბაშად დაუბრუნებდა. დაპირება დაპირებად დარჩა, კახიძის მიერ გაცემული ფული კი უკვალოდ გაქრა...

ამ წარმატებული „ოპერაციის“ შემდეგ პატარაიამ მცხეთაში საცხოვრებელი სახლის აშენება მოისურვა. ამ მიზნით დაუკავშირდა თევზაძეს, რომელსაც მშენებლობის საკითხის მოგვარებაზე, სამშენებლო სამუშაოების წარმოებასა და მეთვალყურეობაზე შეუთანხმდა. მაგრამ ისიც უთხრა, რომ მშენებლობაზე დახარჯულ თანხებს მოგვიანებით, უპრობლემოდ და უკლებლივ აუნაზღაურებდა. საქმის მასალების მიხედვით, თევზაძემ სახლის მშენებლობას 15 ათასი დოლარი საკუთარი ჯიბიდან დაახარჯა. ამასობაში, პატარაიამ მას სესხის სახით 3 ათასი დოლარი გამოართვა და უთხრა, რომ შვეიცარიის ბანკებში ჩარიცხული რამდენიმე მილიარდი დოლარიდან გადაუხდიდა როგორც ამ ვალს, ასევე სხვა დანახარჯებსაც. საბოლოოდ, თევზაძეს მან 18 ათასი დოლარის ზარალი მიაყენა.

საქმის მასალებიდან ჩანს, რომ პატარაია არც ახლობლებს ინდობდა, რადგან მის მიერ დაზარალებული მომდევნო პიროვნება მისივე ბავშვობის მეგობარი აღმოჩნდა. დაზარალებულმა სამართალდამცველებს უთხრა, რომ პატარაია მას საჩუქრად ჯიპ „გრანდ ჩეროკის“ მარკის ავტომანქანას დაჰპირდა, იმ შემთხვევაში, თუ დაეხმარებოდა და საერთო ნაცნობისგან — რურუასგან, ერთი კვირის ვადით, 10 ათას დოლარს ასესხებინებდა. ძველი მეგობრობის ხათრით გამოცხადებულმა ნდობამ ყვარელაშვილი არა მარტო პირში ჩალაგამოვლებული დატოვა, არამედ 10 ათასი დოლარი ვალიც აჰკიდა...

ამის შემდეგ პატარაიამ მოქალაქე ალფაიძისგან მოტყუებით 25 ათასი, ხოლო ბეგიაშვილისგან 10 ათასი დოლარი მიიღო და მიითვისა. გამოცდილებასთან ერთად, მისი ამბიციებიც იზრდებოდა და თაღლითმა გადაწყვიტა, უფრო მსუყე ლუკმისთვის მიეგნო. შესაფერისი კანდიდატი მალე გამოძებნა კიდეც. ის მოსკოველი ბიზნესმენი იყო. პატარაიას მიერ მასთან განხორციელებული მრავალათასიანი აფერა ერთ-ერთი წარმატებული აღმოჩნდა. თაღლითის დანაშაულებრივი ქმედების ამსახველ 17-ეპიზოდიან საბრალდებო დასკვნაში აღნიშნული ფაქტი ბოლოა...

1997 წლის მაისში, პატარაიამ მოსკოვის დახურული სააქციო საზოგადოება „გრანდ-ტრანსის“ დირექტორი — ბარსეგოვი მოიწვია თბილისში. ბარსეგოვს, ისევე, როგორც სხვა დაზარალებულებს, მან ევროპაში ცნობილ და წარმატებულ ბიზნესმენად გააცნო თავი. მისი შეცდომაში შეყვანა არ გასჭირვებია. დაარწმუნა თავის კეთილსინდისიერებასა და კრედიტუნარიანობაში და კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა. ბარსეგოვმაც არ დააყოვნა და პატარაიასთან ერთობლივი საქმიანობისა და პარტნიორობის შესახებ კონტრაქტს ხელი მოაწერა.

1997 წლის ოქტომბრისთვის პატარაიასთან ბარსეგოვს უკვე სამი ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული. ამ კონტრაქტების თანახმად, ევროპის საფინანსო წრეებს სესხის სახით 500 მილიონი დოლარი უნდა გამოეყო. პატარაიამ დაარწმუნა ბარსეგოვი პროექტების რეალურობაში და შედ-

ეგად, გერმანიაში, ფრანკფურტში, თავის ანგარიშზე 165 ათასი დოლარი გადაარიცხვინა. მალე გერმანიაში თავად ბარსეგოვიც ჩავიდა. პატარაიამ მას დამატებით 71 ათასი დოლარი სთხოვა, მოსკოველმა ბიზნესმენმა უყოყმანოდ გადასცა თაღლითს აღნიშნული ფულიც ისე, რომ მის კეთილსინდისიერებაში ეჭვიც არ შეჰპარვია. უფრო მეტიც, მან პატარაიასთვის შესაფერისი სამუშაო პირობების შექმნაზეც დაიწყო ზრუნვა. ამ მიზნით, მას 3 ათას დოლარად ღირებული კომპიუტერიც უყიდა, 1.000 მარკად ქსეროქსის აპარატი, 1.500 მარკად კომპიუტერის პრინტერი და 1.000 მარკად ფაქსის აპარატი შეიძინა და 6 ათასზე მეტი ლარის ქონება პატარაიას ჩააბარა... სამაგიეროდ, ბარსეგოვმა პატარაიასგან ხელწერილი მოითხოვა იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნულ ხარჯებს განსაზღვრულ ვადებში აანაზღაურებდა. პატარაიამ ხელწერილი ბიზნესმენს ჩააბარა, მაგრამ დადებული პირობებისა და აღებული ვალდებულებების შესრულებას რომ არ აპირებდა, კარგად ჰქონდა გააზრებული.

აფერა წარმატებით დასრულდა. კიდევ ჩაიდინა თუ არა ამის შემდეგ პატარაიამ დანაშაული, ჩვენთვის უცნობი რჩება, რადგან საბრალდებო დასკვნაში მოსკოველი ბიზნესმენის გაცურების ფაქტი ბოლო ეპიზოდს წარმოადგენს. პატარაია, რომელმაც ალბათ შეიტყო კიდეც, რომ სამართალდამცველები უკვე მის შესახებ ცნობებს აგროვებდნენ, საქართველოში ჩამოსვლას ერიდებოდა და უცხოეთს აფარებდა თავს

მისი დაკავება პოლიციამ მხოლოდ წლების შემდეგ მოახერხა. ამბობენ, რომ პატარაია საქართველოში მძიმედ ავადმყოფი დაბრუნდა. მისმა ადვოკატმა, ამ სამედიცინო დასკვნების საფუძველზე, იმდენს მიაღწია, რომ პატარაიასთვის აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა არ შეუფარდებიათ. ბრალდებული, ისევე, როგორც მისი ადვოკატი, პირობას დებდნენ, რომ გამოძიებას პატარაია თავს არ აარიდებდა. დაზარალებულებმა სამედიცინო დასკვნებში თავიდანვე ეჭვი შეიტანეს და აცხადებდნენ, რომ ყალბი საბუთებით პატარაია ახლა პროკურატურისა და სასამართლოს გაცურებას ცდილობდა. საბუთების მიხედვით, პატარაიას კუჭის სიმსივნე ჰქონდა და დაავადება უკვე მეოთხე სტადიაში იყო გადასული.

საქმის განხილვა თბილისის საოლქო სასამართლომ დაიწყო. პროკურატურის წარმომადგენელი პრეტენზიებს გამოთქვამდა იმის გამო, რომ განსასჯელი სასამართლო სხდომებზე არ ცხადდებოდა. არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, პატარაია მაინც უარს აცხადებდა სასამართლოში გამოცხადებაზე. ის კატეგორიულად უარყოფდა ბრალდებებს და თავს დამნაშავედ არ ცნობდა. ამბობდა, რომ პროკურატურამ მის წინააღმდეგ ბრალდება შეთითხნა, ის პროტესტს უცხადებდა სასამართლოსაც. საქმე იქამდე მივიდა, რომ განსასჯელს, ავადმყოფობის მიუხედავად, შეუფარდეს პატიმრობა, იმ მიზეზით, რომ ის ჯიუტად არიდებდა თავს სასამართლო

გამოძიებას. პრეტენზიები ჰქონდათ დაზარალებულებსაც, არა მარტო განსასჯელისადმი, არამედ პროკურატურის მიმართაც. ისინი ამბობდნენ, რომ პატარაიამ მათ გაცილებით მეტი თანხა გამოსტყუა, ვიდრე ეს საქმის მასალებში იყო დაფიქსირებული. მაგალითად, ხომასურიძე ამბობდა, რომ ოფიციალურად დაფიქსირებული 93 ათასი დოლარის ნაცვლად, პატარაიას მისი 300 ათასი დოლარი ემართა. დაზარალებულები დაკარგული ფულის სრულად ანაზღაურებას მოითხოვდნენ, ხოლო განსასჯელის, კანონის მთელი სიმკაცრით დასჯას. იმის გამო, რომ საქმე ძველი რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით იყო აღძრული, სასჯელიც ამის მიხედვით განსაზღვრეს. ამ ფაქტმა, ასევე მძიმე ავადმყოფობის დამადასტურებელმა სამედიცინო დასკვნებმა პატარაიას მკაცრი სასჯელი თავიდან აიცილა. სასამართლომ მას მხოლოდ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. რაც შეეხება მითვისებულ ფულს, მსჯავრდებულს დაზარალებულებისთვის თანხების სრულად ანაზღაურება დაეკისრა. სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ, დაზარალებული მხარის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ აფერაში კარგად დახელოვნებულმა მკაცრი სასჯელისგან ოსტატურად დაიძვინა თავი.

■

„ხვალ ახალი აჩქიფო სეთუკი გამოჩნდება ასინეთათი და თაბაგარით...“

ანუ რა ქნდა ქნას ხალისაფლებამ?!

დასაწყისი იხ. გვ. 10

ადამიანები სუსტები ვართ და შეცდომებს უფრო იოლად ვუშვებთ, ვიდრე ამ შეცდომების გამოსწორებას ვახერხებთ. ბოლო 15 წლის მანძილზე ასპარეზზე არიან პოლიტიკოსები — ყვარყვარეები, რომლებიც ყველა მთავრობას კარგად ერგებიან. ლანძღავენ ძველს და აქებენ ახალს. ახალ პატრონს ხომ უნდა დაანახვონ, როგორი ერთგულები არიან! ის ვიღაცაც იფერებს ხოტბა-დიდებას, იმას კი ვერ ხვდება, რომ თუ კაცმა სხვას უღალატა, შენც გაგწირავს! ღმერთმა დამიფაროს, ასეთი ვიყო!..

— ჩემი შეხედულება მაქვს სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებზე. უნივერსიტეტს ჰქონდა ავტონომია, რომელიც კონსტიტუციურად გაუქმებული არ არის. მიმაჩნია, რომ უნდა დაუბრუნდეს ავტონომია და აღდგეს დიდი სამეცნიერო საბჭო. სხვა საქმეა, ვინ კორუმპირებულია და ვინ — არა. კორუმპირებულები უშიშროებაშიც გვყოლია, დღე არ გავა, რომ ვიღაც არ დაიჭირონ და რა ვქნათ ახლა?.. დანაშაულია, თუნდაც 100 კორუმპირებულის გამო რომ 10 სუფთა ადამიანი „გაისვაროს“... ისიც ითქვა, რომ შემოქმედებით ინტელიგენციაში ბევრი კორუმპირებულია. არ მესმის, რაში გამოიხატება ჩვენი, მსახიობების კორუმპირებულობა — ბამბას ვიპარავთ თუ გრიმს?.. დღევანდელ მთავრობაშიც არიან და შევარდნაძის დროსაც იყვნენ ადამიანები, რომელთა მიმართაც გაღიზიანება და პიროვნული ზიზღი მქონდა. ახლაც არის რამდენიმე, უფრო სწორად — 3-4 ადამიანი, ვისაც ვერც საზოგადოება იტანს და მგონი, ველარც ხელისუფლების წარმომადგენლები... არ შეიძლება, ქვეყნის ბედი პიროვნულ დაპირისპირებას შეეწიროს, მაშინ, დავჭამთ ერთმანეთს, რითიც მხოლოდ მტერს გავახარებთ.

— ძალიან გამაბრაზა იმან, რაც მსოფლიო ჩემპიონატის დროს საქართველოში ხდებოდა. მაშინ, როდესაც საქართველოს ნაკრების თამაშის დროს ტრიბუნები ცარიელია, განას, კოტ-დ'ივუარის, საფრანგეთის თუ იტალიის ქვეყნების თამაშის დროს, თბილისის ქუჩებში გულშემატკივრებმა ტანსაცმელი შემოიხიეს, ტიროდნენ, კიოდნენ და უხაროდათ, — ერთი სიტყვით, ფსიქოზი დაემართათ მგონი. იმ ქვეყნებშიც არ გულშემატკივრობდნენ ისე, როგორც საქართველოში. ეს ერის ავადმყოფობაა. ცხონებულმა გია ჭანტურიამ, ერი ავად არისო, — თქვა, რის გამოც მთელი საზოგადოება აუმხედრდა — ეს როგორ?! თავის დროზე, ილიამ არ თქვა იგივე?! ვერ აიტანეს მაშინაც ილიას კრიტიკა — ეს თავადი საკუთარ თავზე ბევრს იღებსო და — მოკლეს! ძნელია, ერის მამობა დღეს ვინმემ იკისროს... ქართველები ეშმაკები გავხდით, იმისთვის, რომ თავი გადაგვერჩინა. ზღაპრები — „ხუთკუნჭულა“, „ნაცარქექია“, „ჭინჭრაქა“ — დამახასიათებელია ჩვენთვის. არა ვართ ნაცარქექიები?! მაგრამ როცა საჭირო გახდა, ნახეთ, რა საქმეები დაატრიალა ამ ნაცარქექიამ?! მთავარია, მშიშრები არ ვიყოთ და ტელევიზორებთან მოკალათებულნი, გულგრილად არ ვუცქერდეთ იმ ყველაფერს, რაც ქვეყანაში ხდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, გვირაბის ბოლოს სინათლე, რომელსაც ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს გვპირდებოდნენ, კიდევ დიდხანს არ გამოჩნდება!..

■

არ ენდო ქალს, დაგლუპავს

„ბატონი ფელიქსი“, ბერძენი „მურაბა“ ნაშა და არის თუ არა სიდედრი – ადამიანი?..

დარვინის თეორიის მიხედვით, ქალი, ისევე, როგორც მამაკაცი, მაიმუნისგან წარმოიშვა (თუმცა, არ არის საჭირო, რომ ეს ხშირ-ხშირად შეახსენოთ ახლობელ ქალბატონებს). ალბათ, სწორედ მისი შორეული წინაპრის გენის ბრალია, რომ ქალის ნდობა არ შეიძლება და მისგან ყოველთვის სიურპრიზს უნდა ელოდო. ვიცი, ბევრი ქალბატონი დამიმესიჯებს და მისაყვედურებს — ასე რატომ დაწერე, შენ ვისი „ბიძაშვილი“ ხარ — ჩვენი თუ მამაკაცებისო?!. მათ დასაიმედებლად, სულ სხვა თეორიას მოვიშველიებ. როგორც იცით, ღმერთმა ქალი მამაკაცის ნეკნისგან შექმნა და გადაწყვიტა, მისთვის ჭკუაც მიეცა. აიღო მამაკაცის ტვინი, გაყო 2 თანაბარ ნაწილად და ერთი ნახევარი ქალს უწილადა. ამის შემდეგ, ყველა ქალი ჭკვიანია, ხოლო მამაკაცი — „ნახევარჭკუიანი“... ახლა ვნახოთ, რას გვწერენ ჩვენი მკითხველები...

მარი ჯაფარიძე

ზვიგენის „სადილი“

„რამდენიმე წლის განმავლობაში, შორეული ნაოსნობის გემზე ვმსახურობდი. ახლა კი ზაფხულობით, ზღვაზე მაშველად ვმუშაობ ხოლმე. ამას წინათ, თბილისში ვიყავი ჩამოსული და ისევ აჭარაში ვბრუნდებოდი. ნათესავმა მთხოვა, რომ მისი მეგობრის შვილი, 20 წლის გოგონა გამეყოლებინა თან. ის დასასვენებლად მიდიოდა. რა თქმა უნდა, სიხარულით დავთანხმდი. 29 წლის უცოლო კაცს რა გინდა, მშვენიერ თანამგზავრზე მეტი?!. მოკლედ, დავიძარით თბილისიდან და საუბარი გავაბით. რა თქმა უნდა, ერთმანეთის გაცნობით დავიწყეთ. სახელის, გვარისა და სხვა წვრილმანების შემდეგ, ერთმანეთის სამსახურებით დავინტერესდით.

— მე მაშველი ვარ, წყალქვეშ მაგრად ვცურავ, — მოვიწონე თავი. გაოცებულმა შემომხედა:

— იქ ზვიგენები არ არიან?

— როგორ არ არიან?! აბა, რომელი ზღვა გინახავს, ზვიგენების გარეშე?

— დიდი ზვიგენები არიან? — არ მეშვება გოგონა.

— არც ისე, 1,5-2,5 მეტრზე მეტი არ იზრდებიან. მაგრამ სანაპირო ზოლში თითქმის არ გამოდიან, — დავამშვიდე მე.

— საშიშია?

— რა თქმა უნდა, თუ ზვიგენი 20 სანტიმეტრზე დიდია, უკვე საშიშია...

— ზამთარშიც ყვინთავთ? — მეკითხება და დაჟინებით მიყურებს... უცნაური ლოგიკა აქვთ ქალებს, მაგრამ დასმულ კითხვაზე უნდა მეპასუხა.

— ზამთარში ცივა. ვცდილობთ, იშვიათად ჩავყვინთოთ, მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში...

— აბა, ზვიგენები რით იკვებებიან, როცა თქვენ არ ყვინთავთ? — ეს იყო კითხვა, რომელმაც გამაოგნა. ჯერ ბევრი ვიცინე, მაგრამ მერე, რომ დავფიქრდი, მივხვდი, რომ ასეთი ქალი დაგლუპავს კაცს, აბა, რას იზამს?! ამიტომ, ჩავედით თუ არა დანიშნულების ადგილას, მაშინვე დავემშვიდობე და მისკენ აღარც გამიხედავს“.

მამაკაცების უმეტესობას მიაჩნია, რომ ცოლი და ოჯახი ბორკილის დადებას ნიშნავს. ცდილობენ, ამ ბორკილებისგან გათავისუფლდნენ, მაგრამ ისიც იციან, რომ უცოლო კაცს ცხელი კერძის მირთმევისა და დაუთოებული პერანგების ჩაცმის პერსპექტივა არ გააჩნია. ამიტომ, არც მწვადს წვავენ, არც შამფურს და ორმაგ თამაშს ეწევიან. როგორია უცოლო კაცის საუზმე?.. ერთ „რეცეპტს“ ახლავე შემოგთავაზებთ, დანარჩენი კი უცოლო ახლობლებს ჰკითხეთ. აიღეთ ტაფა, დადგით გაზქურაზე. გამოიღეთ მაცივრიდან 2 კვერცხი... ერთი დაგივარდათ და გატყდა?.. დაჯექით ფანჯარასთან და ჩაფიქრდით. გაიხსენეთ ახალგაზრდობა და ისიც, რომ სალამოს, პურის ყიდვა დაგავიწყდათ და ჯერ კიდევ ერთი თვის წინ ჩამბალი თეთრეული გაქვთ ამოსარეცხი. ამასობაში ტაფას კვამლი აუვა. ხელი სტაცეთ. დაიწვით? ახლა შეიგინეთ, გულზე მოგეშვებათ. გახსენით ონკანი, რომ ტაფა შეუდგათ. წყალიც შეწყდა? შეისწორეთ ტანისამოსი და „დანაყრებული“, სამსახურში გაეშურეთ... იმედია, ყოველ დილით, ასეთი საუზმის პერსპექტივა არ გხიბლავთ. ამიტომ, ჩვენი შემდეგი რესპონდენტივით, ცოლის მოყვანა უნდა გადაწყვიტოთ, ოღონდ მასზე გაცილებით ჭკვიანურად უნდა მოიქცეთ.

„არ ენდოთ გურულ ქალს!“

„ქალის მიერ დაღუპული სხვაც ბევრი მინახავს და ჩემი თავიც მაგალითად გამოგადგებათ. საკმაოდ გვიან გადავწყვიტე ცოლის მოყვანა — 32 წლის ასაკში. ჯერ გადავწყვიტე და კანდიდატურის ძებნას მხოლოდ ამის შემდეგ შევუდექი. როგორც კი ახლობლებს გავუმხილე ჩემი გადაწყვეტილების შესახებ, მაშინვე ყველა დაფაცურდა, ხან ერთ გოგოს მირიგებდნენ, ხან — მეორეს. მეც უარს არავის „გადანახულებაზე“ არ ვამბობდი, დავდიოდი ასე, კარდაკარ და ვარჩევდი საცოლეს. ამ ძებნა-ძებნაში, როგორც იქნა, გურიის ერთ მაღალმთიან სოფელში, ნათესავთან სტუმრობისას, ერთი გოგონა მომეწონა. მისი მშობლები თანახმა იყვნენ ჩვენს ქორწინებაზე, მაგრამ გოგონამ ჩუმად გამიმხილა, რომ შეყვარებული ჰყავდა, თან მთხოვა, მისი მშობლებისთვის არაფერი მეთქვა. ეს არაფრად ჩავაგდე, იმითაც ვისარგებლე, რომ მშობლებს შეყვარებულის არსებობას უმალავდა და ქორწილის დღე დავთქვით. ვინაიდან მანამ-

დე მთელი 2 თვე იყო დარჩენილი, გურიაში სტუმრობა გავაგრძელე, თანაც, აღარ მინდოდა, ჩემს საცოლეს მოვშორებოდი. დილიდან დაღამებამდე მათთან ვიყავი და უფლება რომ მოეცათ, არც ღამით წამოვიდოდი შინ, მაგრამ მაია იშვიათად მეკონტაქტებოდა, ოთახში იყო ჩაკეტილი და გარეთ თითქმის არ გამოდიოდა. არც მე მაჩერებდა დიდხანს თავის ოთახში. ერთ საღამოს, მაიას ოჯახმა ჩემი მშობლები და ახლობლები მიიწვია. თბილისიდან ასე, 25 სტუმარი ჩამოვიდა. საპატარძლოს ოჯახში სუფრა გაიშალა, მათი მხრიდანაც დაახლოებით ამდენივე ადამიანმა მოიყარა თავი. სუფრას მივუსხედით, მაგრამ მაია არა და არ ჩანდა. ოთახში მივაკითხე, მაგრამ ჩაკეტილი დამხვდა. მისი მშობლები დამეხმარნენ, კარი რომ შეგვემტვრია, მაგრამ იქ არავინ იყო. ცოტა ხნის შემდეგ კი, მეზობლის ახალგაზრდა ბიჭმა ამბავი მოიტანა: მაიკო გათხოვდაო... ელდა მეცა. ამდენ ხალხში შევრცხვი კაცი — საცოლე გამითხოვდა. რაღა ამ ხალხის მოსვლას დაამთხვია მაგ გადასაშენებელმა?! ცუდ დღეში აღმოვჩნდი. სტუმრებიც აიშალნენ. იმავე დღეს დავბრუნდი თბილისში და იმის მერე ისევ მარტო ვცხოვრობ. ცოლის ხსენებაც არ მინდა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 40-ს „მივუკაკუნე“. ასე დამღუპა ერთმა გურულმა ქალმა...“

გადარჩენილი ხართ, ბატონო ჩემო... რატომ? ამასთან დაკავშირებით ერთ ანეკდოტს მოგიყვებით და მიხვდებით: ახალგაზრდა მამაკაცი მანქანით მიემგზავრება. მიადგა ხიდს და სწორედ ამ დროს ყურში ჩაესმის ხმა — არ გადახვიდე, თორემ ჩაინგრევა და დაიღუპებიო... მართლაც, მოიცადა კაცმა და საკუთარი თვალით ნახა, როგორ ჩაინგრა ხიდი. მგზავრმა გზა განაგრძო და გვირაბს მიადგა. ისევ ის იდუმალი ხმა ჩაესმა — არ შეხვიდე გვირაბში, თორემ ჩამოინგრევაო... ისევ დაუჯერა და მართლაც, ასცდა ხიფათს. გაოცებულმა კაცმა „ხმას“ ჰკითხა: — ვინ ხარო? — ვინ ვარ და შენი მფარველი ანგელოზი ვარ და ყველა უბედურებისგან გიცავო... — თუ შეიძლება, ხელისგულზე ჩამომიჯექიო, — სთხოვა კაცმა. ბევრი ხვეწნის შემდეგ, მფარველი ანგელოზი ხელისგულზე ჩამოუჯდა. კაცმა კი მეორე, გაშლილი ხელისგული ზემოდან დაჰკრა, კარგად დაასრისა და თან კბილებში გამოცრა — მფარველი ანგელოზი თუ ხარ, გურული ცოლი რომ მომყავდა, მაშინ სად ჯანდაბაში იყავიო?!

ჩვენი მომდევნო რესპონდენტი პესიმიზმს შეუპყრია და იმედი დაუკარგავს, რომ საქართველო გაბრწყინდება. საქართველოს ბრწყინვალე მომავლისა და აყვავების ალბათ, არც ბრძენ სულხან-საბას სჯეროდა, რადგან მის მიერ შედგენილ ლექსიკონში ვერ აღმოაჩენთ სიტყვებს: სპიკერი, ინვესტიცია, გლობალიზაცია, ევროკავშირი, სოროსი, პარლამენტი და ა.შ. ხოლო რა აწუხებს ბატონ დიმიტრის და რა კავშირი აქვს მას ზემოთ ჩამოთვლილ სიტყვებთან, — ამას მისი მესიჯიდან შევიტყობთ.

„გლობალიზაცია“ თურქულად...

„გამარჯობა. არ ენდო ქალსო, ამბობთ, არა?.. მართალია, არ უნდა ენდო. 5 შვილის მამა ვარ. ერთ მშვენიერ დღეს, მივადექი ერთ „სოროსელ“ ქალბატონს, რომელიც ხშირ-ხშირად ჩანს ტელევიზორში და გლობალიზაციასა და ათასგვარ სისულელეზე ლაპარაკობს. ვთხოვე, რომ სამსახურის მოძებნაში დამხმარებოდა. მედღეხვალიობაში მთელი წელი გავიდა. მე ყოველდღე, კარგი თანამშრომელივით მის კაბინეტთან ვიყავი ატუზული. ვერც თავიდან მომიშორა და არც დამეხმარა. ჩემს დანახვაზე უკვე გული ერეოდა ალბათ, მაგრამ არ ვეშვებოდი. ბოლოს ისღა მოიფიქრა, რომ სამუშაოდ თურქეთში გავეგზავნე. მთელი 3 თვე ვიყავი იქ და ქვიშის კარიერზე ვმუშაობდი... ერთ დღეს კი, სიმაღლიდან ჩამოვვარდი და ფეხი მოვიტეხე. საქართველომდე ძლივს ჩამოვაღწიე, ვალები დამედო... ფეხი ცუდად შემიხორცდა და დავკოჭლდი კიდეც... დამაქცია ამ „ევროკავშირის მონამ“ და ახლა მთლად დავიღუპე. ველარც სამსახურს ვიშოვი და ვერც ოჯახს შევინახავ...“

რას გვიშვრება ეს ფეხბურთი!

„ამბავი, რომელიც ახლა უნდა მოგიყვეთ, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის დროს მოხდა. ჩემი ქმარი შინ ისეთ დროს მოვიდა, როდესაც მატჩი უნდა დაწყებულიყო. ვახშამი მივართვი



და დანაყრებული, დივანზე წამოწვა, რომ წყნარად ეყურებინა ფეხბურთისთვის. ბავშვები შინ არ იყვნენ, მე გვერდით მივუჯექი და მოფერება დავუწყე. მიხვდა, რაც მაწუხებდა, მაგრამ სად ეცალა ჩემთვის? ფეხბურთისთვის უნდა ეყურებინა, ამიტომ ყურადღებას არ მაქცევდა!.. ხან შევეღიტინე, ხან ვუპწკინე, მაგრამ ჩემკენ არც იხედებოდა. ავდექი და სააბაზანოში შევედი. დრო ტყუილად რატომ უნდა დამეკარგა?! სახეზე ცისფერი თიხის ნიღაბი დავიდე. თან ვფიქრობდი, როცა მკითხავდა, სახეზე რა მჭირდა, ვუპასუხებდი — შენ მგონი, ცისფრები მოგწონს-მეთქი... მაგრამ რად გინდა?! ისევ არ მომაქცია, ყურადღება. არც კი გამოუხედავს ჩემკენ. კარგა ხანს ვიჯექი, მერე გადავწყვიტე, მისი ყურადღება სხვა რამით მიმეპყრო. თანაც, საქმე არაფერი მქონდა და კვლავ სააბაზანოს მივაშურე. თმაზე ბლომად ლაქი დავისხი და ყალყზე დავიყენე... საკუთარი გარეგნობით კმაყოფილი, იმაში დარწმუნებული, რომ ნამდვილად ყურადღებას მივიპყრობდი, ოთახში შევედი. უაზრო კითხვებს ვუსვამდი, რომ მოეხედა, მაგრამ ისიც უაზრო პასუხებს მცემდა და თავს არ აბრუნებდა ჩემკენ. გადავწყვიტე, მატჩის დამთავრებამდე დამეცადა და რაიმე საქმე მომეძებნა, რომ გული გადამეყოლებინა. უკვე დიდი ხანია, სამზარეულოში ჭაღის განმენდას ვაპირებდი, მაგრამ ზევით ასვლა მეზარებოდა. ახლა, გაბრაზებულ გულზე სწორედ ამ საქმეს მოვკიდე ხელი. მაგიდა შუაში გამოვათრიე, ზედ სკამი შემოვდგი (სხვანაირად ვერ მივწვდებოდი) და ამ რთულ კონსტრუქციაზე ავძვერი. ცოტა ხნის შემდეგ, თავი ვერ შევიკავე და ჩემი ჭაღიანად, გადმოვვარდი... ხმაურზე კი იკადრა ჩემმა ქმარმა ადგომა და სამზარეულოში შემოვარდა... მეორე ოთახიდან შემოსულ მკრთალ შუქზე ჩანდა, რომ გალურჯებული სახითა და ყალყზე დამდგარი თმით, ძირს ვეგდე და ზევიდან ჭაღის ნამსხვრევები მეყარა. ვაიმეო! — დაიძახა და შეშინებული მომვარდა... მე კი, თავი მოვიმკვდარუნე... მაგრად რომ შეშინდა, მხოლოდ ამის მერე ამიტყდა სიცილი... მას კი უკვე მეზობლებიც შეყრილი ჰყავდა და „სასწრაფოც“ — გამოძახებული, რომელიც თვითონვე დასჭირდა, მოსაბრუნებლად... ამის შემდეგ, სულ იმას ამბობს — ქალს არ უნდა ენდო; თუ არ დარწმუნდები, რომ ნამდვილად მოკვდა, არ უნდა დაუჯეროო. ასეთი ამბავი დაგვემართა მე და ჩემს საყვარელ მეუღლეს. ხელი ვიღრძე, მაგრამ სამაგიეროდ, დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ვყვარები-

ვარ და რომ მოვკვდე, ცხარე ცრემლით დამიტირებს...“

ღიპიანი ნაძირალა

„ქალები რომ არანორმალურები არიან, ამას მტკიცება არ სჭირდება. აღმოჩნდა, რომ არც ჩემი ცოლი ყოფილა გამონაკლისი. ამას წინათ მკითხა:

— მარინა (ის ჩემი ცოლის ბავშვობის მეგობარია) ხომ გახსოვს?

— რა თქმა უნდა, მახსოვს. რა დაემართა?

— საშინელი ამბავი გადახდა თავს. ამ ბოლო დროს, ერთი მახინჯი, მაგრამ მდიდარი საყვარელი ჰყავდა. მართალია, იმ კაცს დიდი ღიპი ჰქონდა, მაგრამ მარინა ის ქალი არ არის, რომელსაც ღიპი შეაშინებს. ჰოდა, ამ კაცმა ხმელთაშუა ზღვაზე დაპატიჟა დასასვენებლად. ერთად გაემგზავრნენ, მთელი კვირა ისეირნეს და შემდეგ, მარინამ ვიღაც იტალიელი გაიცნო, რომელსაც ძალიან მაგარი გარეგნობა ჰქონია. ჰოდა, ამ ჩვენს მარინას თურმე უღალატია ღიპიანი საყვარლისთვის. მას ეს ამბავი შეუმჩნეველი არ დარჩენია, გაბრაზებულა, სასტუმროს საფასური გადაუხდია და საქართველოში დაბრუნებულა, მარინა კი იქ დაუტოვებია. მაგრამ ამაზე არც ნერვიულობდა თურმე, რადგან თავისი იტალიელი იქ ჰყავდა. იმას რომ გაუგია, მარინა უფულოდ დარჩაო, ისიც გაჰქცევია. ჰოდა, დარჩა თურმე საწყალი გოგო უფულოდ, უბილეთოდ, უპატრონოდ და სასტუმროს გარეშე.

ის იყო, მარინას გალანძღვას ვაპირებდი, რომ ჩემმა ცოლმა საშინელი რამ თქვა:

— წარმოგიდგენია?! როგორი ნაძირალა ყოფილა — ადგა და მიატოვა!

— ჰო, იტალიელები არ არიან სანდო...

— იტალიელი რა შუაშია?! ნაძირალა ის ღიპიანია, რომელმაც ხმელთაშუა ზღვაზე წაიყვანა და მერე მიატოვა...

აბა, ამის მერე როგორ უნდა ვენდო საკუთარ ცოლს?..“

„სიდედრიც ადამიანია“

„ჩემი სიდედრი ძალიან მაგარი ქალია, მაგრამ მაინც სიდედრია. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი ბინა აქვს, მაინც ჩვენთან ცხოვრობს. გასათხოვარი ცოლისდა მყავდა და ყველა იმედს მომავალ ქვისლზე ვამყარებდი. ვფიქრობდი, რომ ცოტა შემეშველებოდა და თუ სიდედრი ნახევარ წელს ჩემთან გაატარებდა, მეორე ნახევარი მეორე სიძესთან იქნებოდა და ცოტა შვებას ვიგრძნობდი. მაგრამ ნურას უკაცრავად! არც ამაში გამიმართლა: ჩემი ცოლისდა ქუთაისში გათხოვდა და იქ ქალბატონი სიდედრი ხშირად ვერ მიდიოდა. ალბათ გრძნობდა, რომ მისი ყოფნა დიდ სიხარულს არ მგვრიდა და ასეთი მეთოდი შეიმუშავა: მოვიდოდა გვიან, ასე, 8-9 საათზე და იტყოდა — 15 წუთით შემოვირბინეო, — მერე იჯდა და ჭორაობდა გვიანობამდე. მერე იტყოდა — უი, ახლა როგორ წავიდე? უკვე გვიანია, დავრჩები და დილით წავალო... ხომ არ გავაგდებდი შინიდან! მერე, საღამომდე რჩებოდა... ასე გრძელდებოდა რამდენიმე კვირის მანძილზე. ამ რამდენიმე ხნის წინ კი, ყოველგვარ მოლოდინს გადაეჭარბა. დილით ადრე გაიღვიძა, ბრახუნით დადიოდა მეორე ოთახში, მერე ჩვენს ოთახს მოადგა, დაუკაკუნებლად შემოაღო კარი და ხმამაღალი ჩურჩულით თქვა — ბესო, წამოდი, კარი ჩაკეტე, თორემ, რომ გავიჯახუნო, ყველანი უნდა გავაღვიძოო... ღამის გადავირიე. მეცოდება ჩემი ცოლი დასაობლებლად, თორემ დიდი ხნის წინ მოვკლავდი ამ ქალს...“

„ბატონი ფელიქსი“

„ერთი არცთუ ისე პატარა ფირმის დირექტორი ვარ. გადავწყვიტე, მდივანი ამეყვანა. შევარჩიე ერთი კარგი გარეგნობის გოგონა და თავისი ფუნქციები განვუმარტე... მთელი კვირა იყო გასული, რაც ჩვენთან მუშაობდა, როდესაც ერთ დღეს, ოფისიდან გასვლისას, დავუბარე — თუ ვინმემ მიკითხოს, უთხარი, რომ ერთ საათში დავბრუნდებიმეთქი (როცა ადგილზე ვარ, მე თვითონ ვპასუხობ ტელეფონს). — როგორ გიკითხავენ? რა გქვიათო? — მკითხა. გამიკვირდა: მთელი კვირის განმავლობაში არ დაინტერესებულა, რა ჰქვია მის უფროსს! გადავწყვიტე, გავხუმრებოდი — ფელიქს ძერჟინსკი ვარ-მეთქი, — ვუთხარი. ეტყობა, ძნელად დასამახსოვრებლად მოეჩვენა და ჩაიწერა. რომ დავბრუნდი, ვკითხე — ხომ არავინ მიკითხა? — თქვენ — არა, ვიღაც ლევან ალექსეევიჩს კითხულობდნენ, მე კი ვუხსნიდი, რომ ეს ფელიქს ძერჟინსკის კაბინეტია და ლევან ალექსეევიჩს არ ვიცნობ... გავიდა რამდენიმე დღე. დილით სამსახურში სწორედ იმ დროს მივედი, როდესაც ჩემი მდივანი ყავას ადუღებდა. ჩემს დანახვაზე, დაიბნა და მეკითხება: — ბატონო ფელიქს, იქნებ, რამე გაგიკეთოთო? ლამის სიცილით ჩავბჟირდი: — კარგი, ჯერჯერობით ყავით დავიწყოთ-მეთქი, — ვუთხარი და გულიანად ავხარხარდი... მის მობილურ ტელეფონს საზიზღარი, საშინელი ზარი აქვს. როდესაც სიცილს მოვრჩი, ვთხოვე, რომ ზარი გამოერთო, რადგან ძალიან მიშლიდა ნერვებს. ბატონო ფელიქს, ჩემს ტელეფონს ვიბრატორი არა აქვს და რომ გამოვრთო, ვერ გავიგებ მის ხმასო... — მითხრა. ამაზე ხომ საერთოდ შოკში ჩავვარდი. იმდენი ვიცინე, რომ მუცელიც კი ამტკივდა. აი, ასეთი სასაცილო მდივანი მყავს. მართალია, ვერ ვენდობი და სერიოზულ საქმეს ვერ დავავალებ, მაგრამ ის რომ სამსახურიდან დავითხოვო, მერე რით გავერთო?! უკვე 7 თვეა, ჩვენთან მუშაობს და ისევ ბატონ ფელიქსს მეძახის...“

„ჯერცხებიანი“ ჯაცი

„დადგებიან ახლა მამაკაცები და მოჰყვებიან — თურმე როგორი არასანდონი და ცუდები ვართ ჩვენ. მე კი ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც მათ უზომო განათლებასა და ინტელექტზე შეგიქმნით წარმოდგენას. ამას წინათ, საღამო ხანს, გაჩერებაზე ვიდექი. ჩემს შორიახლოს 2 ახალგაზრდა მამაკაცი იდგა. ცოტა ხნის შემდეგ, ერთ-ერთი მათგანი მომიახლოვდა და მეკითხება — თქვენი გაცნობა შეიძლებაო? უარი ვუთხარი, მაგრამ არ მომეშვა — მითხარი, რა გქვია. ათჯერ მაინც გამიმეორა შეკითხვა. რა მქვია და ის, რაც საქართველოს დიდ მეფე ქალბატონს ერქვა-მეთქი. უხმოდ გატრიალდა, თავის მეგობართან მივიდა და ეკითხება — როგორ ფიქრობ, ალბათ, ნინო ჰქვია, არაო?.. მეორე ამბავსაც მოგიყვებით, რომელიც გასულ ზამთარს გადამხდა თავს. ნახალოვკაში ვცხოვრობ. ჩემს სახლთან მისასვლელი

აღმართი ისე იყინება ხოლმე, რომ თუ ნელა არ იარე, კისერს მოიტეხ. ჰოდა, ერთ დღეს სწორედ ასეთ მოყინულ გზაზე მივდივარ და ძალიან ვფრთხილობ. ჩემ წინ მამაკაცი მიდის, რომელსაც ხელში კვერცხით სავსე პარკი უჭირავს... ჩემს თავზე მეტად, ის კაცი მეცოდებოდა: რომ წაქცეულიყო, არც ერთი კვერცხი არ დარჩებოდა მთელი. მოსახვევში რომ მივიდა, თვალს მიეფარა და კიდეც გავიგონე მისი დაცემის ხმა. ფეხს ავუჩქარე, ადგომაში დავეხმარე და მზრუნველად ვკითხე — კვერცხები ხომ არ დაგემტვრათ-მეთქი? კაცს თვალები გაუფართოვდა. მე კი ცოტა მოშორებით შევნიშნე, რომ ის „კვერცხებიანი“ კაცი ისევ ისე მშვიდად მიდიოდა...“

დიდი „გასეირნება“

„მოკლედ მოგიყვებით, რაც დამემართა. ცოლმა გული გამიწყალა, რომ ბაზარში გამევლო და 30 კილო კომბოსტო მეყიდა, მწნილის გასაკეთებლად. დავტვირთე მანქანის საბარგული და შინისაკენ გავეშურე. ავჭალაში ვცხოვრობ, კერძო სახლში. გზაზე ახალგაზრდა გოგონა იდგა, რომელმაც ხელი ამიწია. მეც ბევრი არ მიფიქრია, ისე დავამუხრუჭე მის მშვენიერ ფეხებთან. წინა სავარძელზე დასკუპდა და პირდაპირ მითხრა — სულ 20 ლარი მჭირდება, თუ გადამიხდი, სადაც გინდა, წამიყვანეო... გონებაში ყველა შესაძლო ადგილი „გადავქექე“ და ჩემს გარაჟზე საიმედოდ არც ერთი არ მომეჩვენა. ჩემი მეზობლები საზღვარგარეთ ცხოვრობენ. ბინა და გარაჟი მე დამიტოვეს მისახედად და მანქანას სწორედ იქ ვაჩერებდი ხოლმე. მათი სახლი განცალკევებით იდგა, ამიტომ ნაკლები საშიშროება მელოდა, რომ ცოლს ან რომელიმე მეზობელს დავენახე... გარაჟის კარი გავაღე, მანქანა შევიყვანე და მხოლოდ ამის შემდეგ გამახსენდა, რომ კარგი იქნებოდა, მაღაზიაში კონიაკი და შოკოლადი მეყიდა. გარაჟი გარედან დავკეტე, „ჩეპეს“ თავიდან ასაცილებლად და შორიახლოს მდებარე მაღაზიაში წავედი. ისე გავერთე ოცნებებში, რომ ვერ შევნიშნე, როგორ მოქროდა ჩემკენ მანქანა დიდი სისწრაფით... ტრავმირებული და გონდაკარგული, საავადმყოფოში აღმოვჩნდი. 9 დღის განმავლობაში, კომაში ვიყავი. გონზე რომ მოვედი, მაშინვე ჩემი უნებლიე ტყვე გამახსენდა. ჩემს ძმაკაცს ვუხმე და ვუთხარი — გარაჟის გასაღები ჩემს ცოლს გამოართვი და გოგონა გაათავისუფლე-მეთქი. ღამის გადაირია — ის ცოცხალი აღარ იქნებაო, — ჩაიბურტყუნა და წავიდა. გარაჟში კი ამბავი დახვედრიაააა, მტრისას! თურმე გოგოს ცოტა ხანს უცდია, მერე დაუწყია ტელეფონზე რეკვა, მაგრამ ვერ აუხსნია ახლობლებისთვის, სად იმყოფებოდა. მისი წყლისა და საკვების ერთადერთ მარაგს, 30 კილო კომბოსტო წარმოადგენდა. წივილ-კივილი აუტეხია, მაგრამ ვერავის ვერაფერი გააგებინა. გამწარებულს, მანქანა იქვე ნაპოვნი „კლუჩებით“ დაუჭეჭყავს... ჩემი ძმაკაცი რომ მისულა და იმას კარის გაღების ხმა გაუგონია, კარს უკან ჩასაფრებულა და დიდი „კლუჩი“ თავში უთხლეშია. ისიც საავადმყოფოში აღმოჩნდა. მაგრამ ჩემმა ცოლმა ყველაფერი გაიგო და მეც მაგრად მომხვდა... აი, ასე დამთავრდა ჩემი ამბავი. აბა, ქალს როგორ უნდა ენდო?! 9 დღე ვერ მოუარა მანქანას და საიდუმლო ვერ შემინახა“.

გარემოების მსხვერპლი

„ათენიდან გიმესიჯებთ. უკვე დიდი ხანია, აქ ვარ და ქართველი შეყვარებულიც მყავს. ხომ იცით, ქართველი გოგონების ამბავი — ქორწილამდე „არაფერი იქნებაო“ და მეც, ჯან-ღონით სავსე ბიჭს, რა გამაჩერებდა უქალოდ?! ჰოდა, ერთი ჩაპუტკუნებული „ბერძენუშკა“ გავიცანი. მაგარი „მურაბა“ აღმოჩნდა და მეც მეტი რა მინდოდა?! არც ერთს არ ვაკლებდი ყურადღებას და ასე ჯიგრულად მიდიოდა საქმე. მაგრამ როდემდე მოვახერხებდი დამალვას?!. ჰოდა, ერთ დღეს, ერთმანეთს შეხვდნენ. იქ ამბავი ატყდაااა! ქართველმა უნამუსო და გარეწარი მეძახა, სილაც გამაწნა და წავიდა. ბერძენმა კი გადამრია — შემომახტა და კოცნა დამიწყო. მეც დავმშვიდდი — რა კარგია, ეს რომ არ გამექცა, შეყვარებულს რამეს მოვუხერხებ-მეთქი... მეორე დღეს, „მურაბამ“ დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. ზღვის ნაპირზე შევხვდით, სადაც ჩვენს მეტი არავინ იყო. ჯერ ერთმანეთს მოვეფერეთ, მერე — გავცუროთო, — მითხრა და შიშვლები შევედით წყალში. მერე თვითონ ნაპირზე გავიდა და წავიდა; თან გაიყოლა ჩემი ტანსაცმელი, მობილური და საბუთები... დავრჩი ასე, დედიშობილა, პლაჟზე. რა უნდა მექნა?! ავიფარე პალმის ფოთლები და ასე, ტარზანივით ვიარე სახლამდე. თითქმის ნახევარი ათენი გამოვიარე... აი, ასე დამემართა. დასჯილი დევიდი“.

აბა, თუ იცით — რა განსხვავებაა ჩემსა და კოკა ყანდიაშვილს შორის?.. გარდა იმისა, რომ ის — მამაკაცია, მე კი — ქალი, კიდევ ის სხვაობაა, რომ მის გადაცემაში ხშირად ისმოდა ფრაზა — „გამარჯობა, კოკა, დანიიდან გირეკავთ...“ ჩვენს რუბრიკაში კი, ეს ფრაზა ასე ჟღერს — „გამარჯობა, მარი, ათენიდან გიმესიჯებთ“. ჰოდა, მოკლე მესიჯების თქვენთვის წარმოდგენას სწორედ ათენიდან მოსული გზავნილებით დავიწყებ.

გაჩალიჩებული

„მივესალმები ჩემს ლამაზ საქართველოს და ჩემს ქართველებს! ამჟამად ათენიდან გიმესიჯებთ. მანდ კი ჩემი ოჯახი მყავს დატოვებული. უზომოდ მენატრება ჩემი პატარა და, გვანცა, რომელიც უჩემოდ იზრდება. ჩემი ლამაზი ოჯახის გარეშე ძალიან მიჭირს. მჭირდებით, გკოცნით და გეფერებით შორიდან. ლაურა ხოსიტაშვილი“.

„მინდა, იმ გოგონას მივმართო, რომელიც წინა ნომერში საბერძნეთიდან გიმესიჯებდათ და ამბობდა, რომ კახელი შეყვარებული, „პუტანკასთან“ ღალატობდა. მე კახელი ქმარი მყავს, მაგრამ მისით ვამაყობ“.

„მარი, იცი, როგორ მიხარია, რომ არსებობთ? უზომოდ მსიამოვნებს, როცა ჩემს მესიჯს ჟურნალში ვნახულობ ხოლმე. 1-2-ჯერ ჩემი მესიჯიდან რაღაც ფრაზა სათაურადაც გქონდა გამოყენებული და ეს ხომ სიამოვნების პიკი იყო!..“

„მას შემდეგ, რაც შეყვარებულმა მიმატოვა, ქალებზე გული ავიცრუე. ჩემს თავს ცვლილებებს ვატყობ და ამ ბოლო დროს, ერთი სანდომიანი და სიმპათიური ბიჭი შემიყვარდა. მას ტანტლეს ვეძახით მეგობრები. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე... ნიკუშა“.

„მე და გოგას 5 წელი გვიყვარდა ერთმანეთი. მოხდა ისე, რომ 2 თვის გაცნობილი ჩემი მეგობარი მოიყვანა ცოლად. ვიცი, ინანებს, ამ გოგოს რომ ენდო, მაგრამ გვიან იქნება. მია“.

„მარი დღემდე სიგიჟემდე მიყვარს. მას ზედმეტად ვენდობოდი და დაწვრილებით ვუყვებოდი, როგორ ვპარავდი მამაჩემს მანქანასა და ფულს. ერთხელ, მარიმ ვიღაც გოგოსთან ერთად დამინახა და გადაწყვიტა, შური ეძია. ადგა და ყველაფერი მამაჩემს ჩაუკაკლა. ახლა უკვე 2 წელია, ზაფხულს მიყრუებულ სოფელში, სკლეროზიან ბებოსთან ვატარებ. ეს სულ მისი დამსახურებაა. ამის შემდეგ, ქალებს აღარ ვენდობი. დათა“.

„ერთ ბიჭს ვერ ვიტანდი. ყოველთვის ვცდილობდი, მისთვის რამე დამეშავებინა. ერთ დღეს, საქმის გამო შევხვდი და თან მინდოდა, რამე გამეჩალიჩებინა მისთვის... დღემდე არ ვიცი, ეს როგორ მოახერხა, მაგრამ თავი შემაყვარა და მის მკლავებშიც აღმოვჩნდი. ახლა თავის დაღწევა მინდა, მაგრამ ვერ ვახერხებ... ასე გამიჩალიჩა გასაჩალიჩებლად გამზადებულმა კაცმა“.

„ამ რამდენიმე წლის წინ, საბერძნეთში ერთი გოგო გავიცანი. თავიდან გართობას ვაპირებდი, მერე ყველაფერი სხვანაირად განვითარდა. ერთ საღამოს მკითხა — არ გინდა, რომ ჩემი ქმარი და შვილების მამა გახდეო? ძალიან დავიბენი და არ ვიცოდი, რა მეპასუხა. თან დაამატა — მენდე და არ ინანებო... ვენდე და ალბათ, ჩემზე ბედნიერი ქმარი და მამა არ არსებობს ქვეყანაზე. ლუკა, ათენი“.

„დაღუპვის რა მოგახსენოთ, მაგრამ ხელი მკრა და „თავი მომაბეზრა“ კი — მასზეა ნათქვამი, — გოგოზე, რომელსაც ვაღმერთებ! მაგრამ ამით თვითონ დაიღუპა თავი, რადგან მე დამკარგა. მუსიე გიო“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 გვიამბეთ, რა დაუჯერებელი ამბავი გადაგხდენიათ თავს. მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

გენდერული თანასწორობის თემა ჩვენს საუკუნეში ძალზე აქტუალურია და ჩვენშიც სულ უფრო ხშირად ახსენებენ. არადა, ქალი უფრო დამოუკიდებელი კი არ გახდა, არამედ ხშირად, მამაკაცის ტვირთის ზიდვაც კი იკისრა... ამგვარად, წლების მანძილზე დამკვიდრებული დიასახლისის სტერეოტიპი თანამედროვე ყოფა-ცხოვრებამ დაანგრია და სუსტი სქესის წარმომადგენლებმა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება სხვადასხვა სფეროში მოახდინეს. დღეს ქალია საკანონმდებლო ხელისუფლების სათავეში, ქალი მართავს მსხვილ ბიზნესს, მუშაობს ტაქსის მძღოლად და თქვენ წარმოიდგინეთ, მეწაღედაც კი. სწორედ მეწაღე ანუ როგორც ჩვენშია დამკვიდრებული — „საპოჟნიკი“ ქალი მინდა გაგაცნოთ ამ ინტერვიუს მეშვეობით.

„პატარ-პატარა „შუხური“ ჩვენს ხელობაშიც მოდის...“

ქართველი ქალი, რომელიც თავს მეწაღეობით ირჩენს

ემა ტუხიაშვილი

ე.წ. „ვაგზლის ბაზრობა“ პროდუქციის, ხალხისა და მომსახურების სიჭრელით გამოირჩევა. აქვე, ერთ პატარა რიგში, ერთმანეთის პირისპირ, ფეხსაცმლის ხელოსნები სხედან და ძირითადად, იმ კლიენტს ელიან, რომელსაც ბაზრობაზე დამქანცველი სიარულისას ქუსლი მოერყევა ან სულაც, ლანჩი ასძვრება... „საპოჟნიკების“ რიგში მახვილი თვალი მაშინვე შეამჩნევს ახალგაზრდა, მეწაღე ქალს, რომელიც მოხერხებულად იქნევს ჩაქუჩს...

ირმა ხუციშვილი:

— წარმოშობით მესხეთიდან ვარ, ასპინძის რაიონიდან, მაგრამ სკოლის დამთავრების შემდეგ, საცხოვრებლად თბილისში გადმოვედი. უმაღლესი განათლება არ მიმიღია, მხოლოდ სამკერვალო კურსები მაქვს დამთავრებული...

— ალბათ, ეს მეწაღის ხელობის დაუფლებაში დაგეხმარათ, არა?

— „საპოჟნიკობა“ სულ სხვა საქმეა, ხელობა, თუ ხელოსანმა არ შეგასწავლა, ჭრა-კერვის ცოდნა ვერაფერს გიშველის. ფეხსაცმლის შეკეთება მეუღლისგან ვისწავლე. ის ამ საქმეს უკვე წლებია, ემსახურება. მართალია, „საპოჟნიკობით“ დიდ ფულს ვერ იშოვი, მაგრამ თავის რჩენა ხომ შეძლებ! როდესაც მატერიალურად ძალიან გაგვიჭირდა, ჩემს მეუღლეს

ცოტ-ცოტა გინებაც ვისწავლე. თუ კონკურენგმა „საპოჟნიკმა“ კლიენგი წამართვა, საქმესაც გავურჩევ

შეგირდად დავუდექი და მალე პირველი შეკვეთაც მივიღე — მამაკაცის ფეხსაცმელს პატარა „სტროჩკა“ დავადე. კლიენტს ჩემი ნამუშევარი ისე მოეწონა, რომ იმაზე მეტი გადამიხადა, ვიდრე გასამრჯელოდ ვითხოვდი.

— საინტერესოა, მეუღლე პირველად როგორ შეხვდა თქვენს ინიციატივას?..

— წინააღმდეგობა არ გაუწევია, პირიქით — ხშირად, შესაკეთებელი ფეხსაცმელი განგებ მოჰქონდა, სახლში რომ მემუშავა. სხვათა შორის, ნიჭიერი მოსწავლე აღმოვჩნდი და როგორც ამბობენ, კარგი ხელი მაქვს. ისე კი, მეც ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ „საპოჟნიკი“ გავხდებოდი. როგორც წესი, ამ საქმეს მამაკაცები მისდევენ, მაგრამ გაჭირვება არჩევნის საშუალებას როდი იძლევა. ხოლო თუ ადამიანი მოინდომებს, შეუძლებელი არაფერია. თითქმის 6 წელია, მე და ჩემი მეუღლე ბაზრობის ტერიტორიაზე ფეხსაცმლის შეკეთებით ვირჩენთ თავს. თავდაპირველად, ღია ცის ქვეშ ვისხედით და ისე ვიღებდით შეკვეთებს, ახლა კი, პატარა ფართიც ვიქირავეთ.

— როგორია ადამიანების რეაქცია, როდესაც „საპოჟნიკ“ ქალს ხედავენ?

— რა თქმა უნდა, ძალიან უკვირთ და ამ გაკვირვებას ვერც ფარავენ. ერთხელ, გაფუჭებული ფეხსაცმლის შესაკეთებლად ჩვენს სახელოსნოში, ცნობილი რუსული გაზეთის — „კომსომოლსკაია პრავდას“ ჟურნალისტმაც შემოიხედა. ცნობისმოყვარეობამ არ მოასვენა და ჩემ შესახებ ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა. რა თქმა უნდა, რუსი ჟურნალისტის ფეხსაცმელიც შევაკეთე, მან კი „კომსომოლკაში“ ჩემზე ვრცელი წერილი დაბეჭდა. ხალხს თავიდან უფრო აკვირვებდა „საპოჟნიკი“ ქალის დანახვა, ახლა კი, ბაზრობაზე ყველა მცნობს და იქ მომუშავე ადამიანების 90%, ჩემი კლიენტები არიან. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მუშაობის სოლიდური სტაჟი მაქვს და ამ ხელობით სახელიც გავითქვი — თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემთან შესაკეთებლად ფეხსაცმელი ვაკიდან და საბურთალოდანაც კი მოაქვთ.

— ქალისთვის ცოტა შეუფერებელი ხომ არ არის ეს საქმე?

— შრომა არაა სათაკილო. არ ვიცი, რას გულისხმობთ, როდესაც ამბობთ — შეუფერებელია. ერთი კია, რომ თავიდან, ნემსის ხმარება გამიჭირდა: იმისათვის, რომ ფეხსაცმლის სქელ ლანჩში ნემსი გაატარო, ხერხთან ერთად, ღონეც გჭირდება. ამიტომ გამოუცდელობის გამო მახათი თითშიც გამიყრია და ფეხიც დამიზიანებია.

— ხალხში არსებობს ასეთი გამოთქმა — რა „საპოჟნიკივით“ იგინებიო! პროფესიონალურ მანერებთან ერთად, ბილწსიტყვაობასაც ხომ არ შეეჩვიეთ?

— გაინტერესებთ, ვიგინები თუ არა?.. ცოტ-ცოტა გინებაც ვისწავლე. თუ კონკურენტმა „საპოჟნიკმა“ კლიენტი წამართვა, საქმესაც გავურჩევ. პატარ-პატარა „შუხური“ ჩვენს ხელობაშიც მოდის. მართალია, ქალი ვარ, მაგრამ თავს არავის დავაჩაგვრინებ. თავიდან, ჩემი კონკურენტი მამაკაცები ამრეზით მიყურებდნენ. ახლა კი, ფეხსაცმლის ხელობაში მათ ტოლს არ ვუდებ და რაღა დაგიმალოთ, იქით ვასწავლი „საპოჟნიკობას“.

— კლიენტებთან ურთიერთობაზე რას იტყვით?

— რა თქმა უნდა, ძალიან პრეტენზიული კლიენტებიც მყოლია, ძალიანაც რომ მოინდომო, მაინც არ მოგიწონებენ ნამუშევარს. ზოგს ტკბილ სიტყვას ეტყვი, ზოგს კი, ჩხუბითა და აყალმაყალით აუხსნი, რომ მეტის გაკეთება შეუძლებელია. ბევრი ისეთი კლიენტიც მყოლია, მხოლოდ ინტერესის გულისთვის რომ მოუტანია „საღი“ ფეხსაცმელი. რამდენჯერმე კი, თავადაც მომივიდა შეცდომა: ვიღაცას პატარა, ვიღაცას კი, რამდენიმე ზომით დიდი ფეხსაცმელი გავატანე.

— როგორც ჩანს, პროფესიის შეცვლას არც ფიქრობთ...

— ჩემი საქმიანობით კმაყოფილი ვარ, ვიცი ხელობა, რომლითაც თავის რჩენა შემიძლია... რა თქმა უნდა, არ ვიტყოდი უარს, საკუთარ სამკერვალო სალონზე, მაგრამ ამის ორგანიზებას სოლიდური თანხა სჭირდება. ამ პატარა სახელოსნოში ხშირად, უანგაროდაც დავხმარებივარ ადამიანს. წარმოიდგინეთ, მოდის შენთან გაჭირვებული კაცი, ჯიბეში ერთი თეთრიც არ უდევს და ერთადერთი გაცვეთილი ფეხსაცმლის შეკეთებას გთხოვს. არ ვიცი, შესაძლოა, ეს ქალურ სისუსტედ ჩამითვალონ, მაგრამ ასეთ კლიენტს ფულს ვერასდროს მოვთხოვ. ■

„ჯეობარის“ ფინალისტი თამუნა ქობულაშვილი და ყოფილი „ჯეობარელი“ კოტიკო თოლორაია დღესდღეობით ყველაზე პოპულარული წყვილია; ინტერვიუს ჩასაწერად შეყვარებულები სახლში მოვიპატიჟე. გზაში უამრავმა ადამიანმა გაგვაჩერა და კოტიკო და თამუნა დალოცა. ერთ-ერთმა კი გვითხრა: ახლა სუფრიდან მოვდივარ და ქალბატონი მაია რჩეულიშვილის სადღეგრძელო პერსონალურად შევსვი, რადგან ორივე ფინალისტს ბინა გისახსოვრათო.

რა უთხრა კოტიკოს ძმამ, სოსო თოლორაიამ თამუნაზე, რას მოიითხოვს ის თამუნასგან და როგორ ღრიალებდა „ქობულა“ პროექტში შესვლის პირველ კვირას — ინტერვიუდან შეიტყობთ.

ყოველ ლამ თამუნა ცვთრვნგეთში ვპირობენ თვთლობ�ა თვის გვცვრიბვს

სოფო ყარალაშვილი

— როგორ გაიცანით ერთმანეთი?

თამუნა:

— ერთ-ერთ კლუბში მეგობრებთან ერთად ვიყავით. თავიდანვე მოგვეწონა ერთმანეთი, თუმცა, მოვლენების ასეთ განვითარებას არ ველოდით.

კოტიკო:

— გაცნობის შემდეგ შემთხვევით შვიდჯერ ვნახე. სხვათა შორის, დღესაც შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს. ძირითადად, ინიციატივას თამუნა იჩენდა — ხშირად მოდიოდა კლუბში, სადაც ბარმენად ვმუშაობდი, მაგრამ რადგან ვმუშაობდი, მისთვის ვერ ვიცლიდი. ეს კი, სწყინდა და მიდიოდა.

თამუნა:

— კლუბი რომ იკეტებოდა, წავიდოდი, აბა, ფეხებს ხომ არ გავფშეკდი?! კოტიკოს უნდოდა, რომ სულ მის წინ, ბართან ვმჯდარიყავი...

— ერთმანეთს სიყვარულში როგორ გამოუტყდით?

კოტიკო:

— არ მინდოდა, რომ მისთვის სიყვარული ამეხსნა, რადგან ვიცოდი, რომ მერე რაღაც ვალდებულებები გაჩნდებოდა, მაგრამ როდესაც ადამიანი გიყვარს, გინდა თუ არა ეს შენ, სიყვარულის ახსნა მაინც მოგიწევს.

თამუნა:

— მესიჯი გამომიგზავნა — მგონი შემიყვარდი, ოღონდ, არ „დაიგრუზოო“.

— კოტიკო, პირველად რა ვითარებაში აკოცე თამუნას?

— ამისთვის წინასწარ არ მოვმზადებულვარ — თამუნას კოცნა კარგი იყო, კარგია და ყოველთვის სასიამოვნო იქნება.

თამუნა:

— სპონტანურად მოხდა. ვცეკვავდით და...

კოტიკო:

— შემთხვევით ვაკოცეთ ერთმანეთს *(იცინის)*.

— სად გიყვართ განმარტოება?

თამუნა:

— მთავარია, ერთად ვიყოთ და ყველგან კარგად ვგრძნობთ თავს.

— თამუნა, მას შემდეგ, რაც „ცენტრ-პოინტმა“ ბინა გაჩუქა, რაიმე გეგმა ხომ არ შეცვალეთ?

— მე და კოტიკოს გრძნობები გარკვეული გვაქვს, მაგრამ ჯერ 6 თვეა, რაც ერთად ვართ და ვფიქრობ, ეს ძალიან ცოტა დროა ოჯახის შესაქმნელად.

კოტიკო:

— სექტემბერში ამერიკაში მივდივარ, თამუნა კი, გერმანიაში მიემგზავრება „იქიდან“ რომ დავბრუნდებით, საბოლოოდ მერე ჩამოვყალიბდებით — ოჯახის შექმნა იოლი საქმე არ არის.

— ერთმანეთთან განშორება არ გაგიჭირდებათ?

თამუნა:

— ადრე შეყვარებული მყავდა და როცა დიდი ხნით მოგვიწია განშორებამ, მაშინ მივხვდი — ამ ადამიანისგან რა მინდოდა. განშორება ჩვენ ბევრ რამეს მიგვახვედრებს... ისე, ძალიან მაგარია, როცა ვიღაც გენატრება.

კოტიკო:

— მე რეალისტი ვარ და ასეთ დროს, ემოციების მოთოკვას ვცდილობ.

— როგორ ქორწილზე ოცნებობთ?

— ქორწილი და ყაყანი არ გვექნება — ჯვარს დავიწერთ, ხელს მოვაწერთ და საქორწინო მოგზაურობას მოვიწყობთ.

თამუნა:

— მინდა, რომ იმ დღეს ყველაზე ლამაზი ვიყო.

კოტიკო:

— ასეც იქნება — თეთრი კაბა გეცმევა. და... ჰო, სად გავემგზავრებით?

თამუნა:

— საფრანგეთში.

— რამდენ შვილს იყოლიებთ?

კოტიკო:

— მინდა, რომ ძალიან ბევრი შვილი გვყავდეს.

თამუნა:

— სამი შვილი საკმარისია.

მინდა, რომ ძალიან ბევრი შვილი გვყავდეს

სამი შვილი საკმარისია

კოტიკო:

— არა, ოთხი. ზუსტად ვიცი, როგორ გავზრდი შვილებს, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მათ „გემრიელი“ ბავშვობა ჰქონდეთ — ოჯახურ გასეირნებას ხშირად მოვაწყობთ. თამუნა ლმობიერი, მოსიყვარულე, ცოტა მკაცრი და პრინციპულია, რაც აუცილებელი თვისებებია ბავშვის აღზრდისთვის.

თამუნა:

— დარწმუნებული ვარ, კოტიკო არაჩვეულებრივი მამა იქნება. ის ბავშვის აღზრდაშიც მიიღებს მონაწილეობას.

— რომელი უფრო ეჭვიანი ხართ?

კოტიკო:

— თამუნა ძალიან ეჭვიანია და ეს მსიამოვნებს კიდეც.

თამუნა:

— „ჯეობარში“ ყოფნის დროს ტვინი „გაბურღეს“ — ტატაზე ეჭვიანობო. რატომ უნდა მეეჭვიანა, როცა კოტიკოს არჩევანი უკვე გაკეთებული ჰქონდა, ვხედავდი, რომ ვუყვარდი. ტატა კი, მისი მეგობარია, ვერ გავიგე, რატომ არ შეიძლება, მას ჰყავდეს მეგობარი გოგო, როცა მეც უამრავ ბიჭთან ვმეგობრობ.

კოტიკო:

— ეგ იგივეა, მე რომ პრეტენზია გამომეთქვა — ჩელე და შენ პროექტში მარტო რატომ რჩებით-მეთქი?!

თამუნა:

— კოტიკო ჟორჟიკაზე ეჭვიანობდა *(იცინის)*. ახლაც, მის თავს მაფიცებს ხოლმე. ოღონდ, ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით.

კოტიკო:

— ვეუბნებოდი — მე, შენ და ჟორჟიკამ ოჯახი შევქმნათ-მეთქი *(იცინის)*.

— რამდენად ხშირად კინკლაობთ და რა არის ხოლმე ამის მიზეზი?

თამუნა:

— სანამ „ჯეობარში“ შევიდოდი, ვუთხარი: მოდი, ვიჩხუბოთ და დავშორდეთ-მეთქი. პროექტში შესვლის წინადღეს ჩემთან მეგობრები შეიკრიბნენ. კოტიკო ძალიან ცოტა ხნით მოვიდა. ამაზე მართლა გავბრაზდი, კარი ისე მივუჯახუნე, რომ არც დავემშვიდობე. მერე, დამირეკა და შევრიგდით.

კოტიკო:

— აი, მაგ დღეს იეჭვიანა — ვიღაცებთან ერთად „პეროვზე“ წახვედიო.

თამუნა:

— კი არ ვიეჭვიანე, მეწყინა — იცოდა, რომ კარგა ხანს ვეღარ მნახავდა. ის კი არ „გამიტყდა“, რომ მეგობრებთან წავიდა, არამედ ის, რომ შეეძლო, ჩემ გვერდით უფრო დიდხანს ყოფილიყო.

— მონატრების გრძნობას როგორ უმკლავდებით?

კოტიკო:

— „ვიგრუზები“ ხოლმე. ასეთ დროს, საუკეთესო ძმაკაცს დავისვამ და თამუნაზე ველაპარაკები. „ჯეობარიდან“ რომ გამოვედი და თამუნა მომენატრა, სწორედ, მაშინ გამიჩნდა იდეა და ადრე თუ გვიან, მას აუცილებლად განვახორციელებ — ტოქშოუ მინდა მოვაწყო, სადაც სიყვარულზე ვიმსჯელებთ. რატომ შორდება ახალგაზრდა ცოლ-ქმარი? რატომ აქვს მამაკაცს ქალზე მეტი უფლებები? რატომ

ალბათ, საკუთარ ქორწილში რომ არ მოვიდეს, ამას ვერ ვაპატიებ. ამის გამკეთებელი კი ნამდვილად არის...

უნდა რეცხავდეს „ნასკს“ ცოლი? — ეს ჩვენი თაობისთვის საინტერესო იქნება და ძალიან კარგია, თუ ვინმე ამ იდეას მომპარავს.

თამუნა:

— თავიდან, პროექტში რომ შევედი, ტატას ტვინს „ვუბურღავდი“ — კოტიკო რატომ არ მოდის-მეთქი? თავზე ბალიშს ვიმხობდი და ვღრიალებდი.

— ერთმანეთს სიურპრიზს ხშირად უწყობთ?

თამუნა:

— კოტიკო ძალიან ყურადღებიანია. აღფრთოვანებული ვიყავი, როცა პროექტში ყოფნისას სუნამო და „ოქროს თევზი“ მაჩუქა. სამწუხაროდ, ქლორიან წყალში მიკვდებოდა და მტკვარში ერთად გავუშვით. მართალია, კალმახი ვერც იქ „გაიხარებდა“, მაგრამ არ მინდოდა, რომ ჩემ თვალწინ მომკვდარიყო.

კოტიკო:

— დედამ ისე გამზარდა, რომ ყოველ დილით, საუზმეს საწოლში მომართმევდა ხოლმე. ცოტა ხანში, ასეთ რაღაცებს თამუნას გავუკეთებ. ჩემმა ძმამ რომ ცოლი მოიყვანა, დედაჩემი თიკოსთან (სადუნიშვილი) მივიდა და უთხრა: იცოდე, ჩემს შვილს დილით ფაფა და რძე უყვარსო... ერთხელ, მაგარი „დაგრუზული“ ვიყავი და თამუნამ ძალიან მაგარი ქუდი მაჩუქა.

— კოტიკო, შენი ძმა თუ იცნობს თამუნას და რას გეუბნება?

— სოსოს, თამუნა ინტერნეტით ჰყავს ნანახი. მკითხა: მთლად ისეთი ხომ არ არის, როგორიც პროექტშიო (თამუნა პროექტში ჩემ მიმართ სითბოს არ გამოხატავდა)? ვუთხარი: შენ არ იცი, სინამდვილეში როგორი ადამიანია — მზეა, გათბობს, გადნობს, გატკბობს-მეთქი.

— რას ვერ აპატიებთ ერთმანეთს?

თამუნა:

— ალბათ, საკუთარ ქორწილში რომ არ მოვიდეს, ამას ვერ ვაპატიებ. ამის გამკეთებელი კი ნამდვილად არის *(იცინის)*.

კოტიკო:

— ვერ ვაპატიებ, თუ თამუნა თავის თავს მოატყუებს ანუ თუ აღარ ვეყვარები და ამას არ მეტყვის.

— კოტიკო, როგორ ფიქრობ, კარგი ურთიერთობა ექნება რძალ-დედამთილს?

— არაჩვეულებრივი. მე რომ პროექტი დავტოვე, დედა ტელევიზორთან იჯდა და თამუნას გულშემატკივრობდა.

— რის გამო შეიძლება იტიროს კოტიკო თოლორაიამ?

— დედის გამოც ვიტირებ და „ქობულას“ გამოც. შეიძლება, რაიმე ისეთი პრობლემის წინაშე დავდგე, რომ ოთახში ჩავიკეტო და ხმამაღლა „ვიღრიალო“.

— თამუნა, ახლა ის მითხარი, რა იგრძენი იმ წამებში, როცა გამარჯვებულად ჩელე დაასახელეს?

— ჩელეს გვერდით რომ დავჯექი, უკვე ვიცოდი, რომ წავაგებდი. „ლაივ შოუმდე“ მეგობარმა მითხრა: გეხვეწები, არ ინერვიულო, იმიტომ, რომ შენ წინ ისეთი ხალხი იჯდება (ყოფილი „ჯეობარელები“), ვინც ფინალამდეც ვერ მიაღწიაო. მაშინ მივხვდი, რომ მე უკვე გამარჯვებული ვიყავი. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კომპანია „ცენტრ-პოინტს“ იმ სიხარულისთვის, რაც მე და ჩელეს მოგვანიჭა.

■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები

☎ 822 006005
822 006 099
822-425-544
SMS 1474

ზარი ფასიანია, 18 წლიდან
დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-პარამეტრებითაც

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი

ეზის წიგნაკიდან:

1. წაფა თიხის დიდი ჯამია.
2. სუეცის არხს 10 წელი აშენებდნენ.
3. პარიზის მერი ჰომოსექსუალისტია.
4. „წინამასწარა“ და „მეტიჩარა“ სინონიმებია.

5. კლაიპედა ლიOტვის ერთადერთი პორტია.
6. ტერმიტები 6 თვეს ცოცხლობენ.
7. წალო კედელში დატანებული განჯინაა ლოგინის შესანახავად.
8. „კაშასა“ — „რომის“ მსგავსი ბრაზილიური ალკოჰოლური სასმელია.
9. ლედი ჰარვეი, კვაჭი კვაჭანტირაძის ლონდონელი სატრფო იყო.
10. მეცნიერთა გამოთვლით, კოლიზეუმში 700000 გლადიატორია დაღუპული.
11. ფაშისტებმა ისე დაიკავეს ავსტრიის დედაქალაქი ვენა, რომ თოფიც არ გაუსროლიათ.
12. შავი ავაზა, როგორც ჯიში, არ არსებობს. შავი ფერის შეიძლება იყოს ლეოპარდი ან იაგუარი.
13. მოთხრობისათვის — „მოხუცი და ზღვა“ — ერნესტ ჰემინგუეის 1954 წელს ნობელის პრემია მიენიჭა.
14. წარნაქი მოყვითალო ფერის საღებავი მიწაა, რომელსაც თიხის ჭურჭელს გამოწვამდე უსვამენ. გამოწვის დროს იგი წითლდება.
15. ჰემინგუეი ძირითადად ფანქრით წერდა. დღის ბოლოს ხშირად უთქვამს — დღეს ბევრი ვიმუშავე, ნახევარი ფანქარი შემომეხარჯაო.
16. საყოველთაოდ ცნობილ სერიულ მკვლელს, ანდრეი ჩიკატილოს სამართალდამცავები 12 წლის განმავლობაში ეძებდნენ. ამ დროის მანძილზე მან 52 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს.
17. „ღმერთის იმედს ნურასდროს დაკარგავთ, მაგრამ დენთი ყოველთვის მშრალად გქონდეთ შენახული...“ — მოძღვრავდა საკუთარ ჯარისკაცებს ოლივერ კრომველი.
18. ნეპალის მხრიდან ევერესტზე ასასვლელი 4 მარშრუტი არსებობს. ერთ-ერთ მათგანზე, სხვებთან შედარებით იოლ მარშრუტზე ასვლის ოფიციალური ნებართვა 70.000 დოლარი ღირს. დანარჩენ სამზე ასვლა 50.000 დოლარი ჯდება.
19. II მსოფლიო ომის დასაწყისში, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაღუპულ გერმანელ ოფიცრებს მიწაში ღრმად არ ასაფლავებდნენ, რადგან იმედი ჰქონდათ, ომს მალე მოიგებდნენ და დაღუპულებს სამშობლოში გადა-

ედუარდ შევარდნაძის მიერ შეწყალებული თაღლითი და ფულით სავსე პარკი

„20 წლის შემდეგ თაღლითი საკუთარ ოჯახში აღმოვაჩინე“...

თაღლითობა ანგარებითი დანაშაულია, ჩადენილი პირდაპირი განზრახვით, რადგან დამნაშავე ითვალისწინებს თავისი ქმედების საშიშროებას და მაინც ცდილობს დასახული მიზნის (დაეუფლოს სხვის ქონებას) მიღწევას. ასეთი დანაშაულის სპეციფიკა ხშირად გარკვეულ ცოდნას და პროფესიონალურ ჩვევებს მოითხოვს — თაღლითმა საკუთარი მჭევრმეტყველებით, გარეგნობით, მანერებით დაზარალებულში ნდობა უნდა აღძრას. აქედან გამომდინარე, თაღლითისათვის ასაკსაც დიდი მნიშვნელობა აქვს...

ლელა ჭანკოტაძე
ნინო ჯავახიშვილი

გიორგი ბეგალიშვილი, ადვოკატი:

— თაღლითის „კლანჭებში“ ბევრი გონიერი, წინდახედული და შორსმჭვრეტელი ადამიანიც კი მოქცეულა, რადგან მათ ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედების საოცარი უნარი აქვთ. თაღლითი ხშირად იძლევა ცრუცნობებს, როგორც საკუთარი პიროვნების, ისე თავისი თანამონაწილის შესახებ. საბჭოთა წყობილების დროს, არაერთი თაღლითი მშენებლობის სამინისტროს მაღალჩინოსნად ასაღებდა თავს. ისინი კოოპერატიული ბინის აშენების მსურველებს არწმუნებდნენ, რომ დახმარება შეეძლოთ და გასამრჯელოს — 2.500 მანეთს იღებდნენ. ახლა მოდური გახდა, საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლის მსურველთა მოტყუება. თაღლითები ამ ადამიანების მოტყუებით საკმაოდ სოლიდურ თანხებს აგროვებენ. ადრე, თაღლითები თავს ხან სუკის, ხან — მილიციის ან პროკურატურის თანამშრომლებად ასაღებდნენ, ახლა კი ძირითადად, ჟურნალისტობას, მკურნალობას (ექიმბაშობას) ან მინისტრის ნათესაობას იბრალებენ. მახსენდება შემთხვევა, რომელიც ჩემს ახლობელ მამაკაცს — გაიოზს გადახდა თავს. ის საწყობის გამგე იყო, საქართველოს ერთ-ერთ რაიონში მუშაობდა და უპატიოსნეს ადამიანად ითვლებოდა, მაგრამ დარღვევები მაინც აღმოუჩინეს — საწყობში აღწერის ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ დანაკლისი 620 მანეთს შეადგენდა. ეს საკმაოდ დიდი თანხა იყო — მაშინ ადამიანებს 3 კაპიკის დანაკლისის გამო იჭერდნენ. გამწარდა გაიოზი, მიხვდა — ციხის საკანში მოუწევდა დარჩენილი ცხოვრების გატარება. მეზობელმა თავისი ბიძაშვილის მისამართი მისცა და უთხრა: ცეკაში მუშაობს, ჩადი და აუცილებლად გადაგარჩენსო. გაიოზი თბილისში ჩამოვიდა, ამ უცნობ თანამდებობის პირს დაურეკა და შეთანხმებისამებრ, სამსახურში მიაკითხა. დერეფანში შეშინებული დადიოდა, ვერ ბედავდა, რომელიმე კარზე დაეკაკუნებინა და ეკითხა, აქ მუშაობს ომარ თვალჭრელიძეო? ბოლოს, ერთ-ერთი კაბინეტიდან კოსტიუმში გამოწყობილი, ჭაღარათმიანი ზორბა მამაკაცი გამოვიდა. მას გაიოზი მიუახლოვდა და ჰკითხა: რომელ კაბინეტში ზის ომარ თვალჭრელიძეო? უცნობმა რიხიანად უპასუხა: მე გახლავართ და თუ ჩემთან რაიმე საქმე გაქვთ, გამომყევით და გზაში მიამბეთ, თათბირზე მაგვიანდებაო. გაიოზმა ყველაფერი უამბო და თან დაამატა: ყველაფერს გავყიდი, ოღონდ ციხეში არ მოვხვდეო. უცნობმა მხარზე ხელი დაჰკრა და გაამხნევა — ჩემთან ისეთმა კაცმა გამოგგზავნა, რომ აუცილებლად დაგეხმარები, ყველას შევაწუხებ, ვნახავ, რისი გაკეთება შემიძლია და ორ საათში კაფე „დილაში“ შევხვდეთო. მთელი ორი საათის განმავლობაში გაიოზი თავის „მხსნელს“ კაფეში ელოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მასთან თაღლითი მივიდა და შეატყობინა: ეს საქმე 40.000 მანეთად გაკეთდებაო. გაიოზს თავზარი დაეცა, მაგრამ მაინც დაჰპირდა — 3

დღეში ფულს ჩამოვიტანო. შეხვედრის ადგილად მეტროს ერთ-ერთი სადგური დათქვეს — აქაოდა, ვინმემ არ შეგვამჩნიოსო... გაიოზმა ნაკვეთი გაყიდა, სახლიც ზედ მიაყოლა და შვილის „მოსკვიჩიც“. 40.000 მანეთი ჩანთაში ჩაიდო და მისი ჭკუით, ომარ თვალჭრელიძესთან შესახვედრად წამოვიდა. მეტროში ის მართლაც შეხვდა ფართოჰალსტუხიან კაცს და ფულით სავსე პარკი გადასცა და დამშვიდებული უკან დაბრუნდა. მაგრამ რამდენიმე დღეში დააპატიმრეს. დღესაც არ იცის — ვის მისცა ფული... ამბობენ — მთა მთას ვერ შეხვდება, კაცი კაცს კი — აუცილებლადო, მაგრამ გაიოზი თაღლითს ვერსად შეხვდა. მართალია, დღემდე ამბობს, მის სახეს რა დამავიწყებს, როგორც არ უნდა შეიცვალოს, მაინც ვიცნობო, მაგრამ მთელი 40 წელი ამაო ძებნაში გავიდა...

გაიოზისგან განსხვავებით, ვალოდია ფერაძეს ნამდვილად „გაუმართლა“. კაცი, რომელმაც საშინლად ატკინა გული, მოატყუა და გააცუცურაკა, 20 წლის შემდეგ, საკუთარ ოჯახში აღმოაჩინა.

ირაკლი კაკიაშვილი, ადვოკატი:

— ყველა თაღლითი ცდილობს, ადამიანი დაარწმუნოს იმაში, რომ თანამდებობის პირია და შესაბამისი გავლენითაც სარგებლობს. ასე მოიქცნენ გოჩა ჩუტკერაშვილი და კახა თვალაბეიშვილი. მათ ჩაიცვეს ისე, როგორც ინჟინერსა და მის ხელქვეითს შეეფერებოდათ, შეიძინეს შესაბამისი ხელსაწყოები და ერთ-ერთ სოფელს მიაშურეს. გზად იქაური კაცი, ვინმე ვალოდია ფერაძე გაიცნეს და მას აუხსნეს, რომ სხვა სოფელში ავტომატური სატელეფონო სადგურის გასამართავად მიდიოდნენ. ვალოდიამ მათ შესთავაზა: ტელეფონები ჩვენს სოფელშიც დადგით და ვალში არც ჩვენ დაგრჩებითო. გადაწყდა: ვალოდიას მსურველებისგან 300-300 მანეთი უნდა აეგროვებინა, ჩუტკერაშვილი და თვალაბეიშვილი კი, მათ სოფელში ტელეფონებს დადგამდნენ.

ვალოდია ფერაძე:

— მე და ჩუტკერაშვილი შეთანხმებულები ვიყავით: ის 20 სექტემბერს ჩემთან უნდა მოსულიყო და ფული მიეღო. მართლაც, მოვიდა. მას რამდენიმე მეზობელთან ერთად დავხვდით. შინაურივით მივიღეთ. გვითხრა: საქმე ჭიანურდება, ფულს ხელს მანამ არ მოვკიდებ, სანამ დარწმუნებული არ ვიქნები, რომ ორ კვირაში თქვენს სახლებში ტელეფონები აწკრიალდებაო. ვეხვწეთ — ფული წაეღო, რადგან გვეგონა, რომ თუ თანხას აიღებდა, ნემსის ყუნწში გაძვრებოდა და საქმეს მაინც გააკეთებდა.

— **ფულს რომ აძლევდით, მისი ზუსტი ვინაობა იცოდით?**

— გვითხრა — სატელეფონო სადგურის ოსტატი ვარ, თბილისში მონტინზე ვცხოვრობო. „ვილისით“ მოდიოდა ხოლმე სოფელში. ბავშვებთან გასაბერი ბუშტები და ტკბილეული მოჰქონდა. ჩვენი ნდობა მოიპოვა — ფულს წინასწარ არ თხოულობდა. ფურცელზე დაბეჭდილი ნომრები მოიტანა და გაინაწილეთო, გვთხოვა. მახსოვს, მე შემხვდა 2-15-17 — ამ ნომერს რა დამავიწყებს?!. ტელეფონის დადგმის მსურველი 93 ოჯახი აღმოჩნდა. 27.000 მანეთი ჩავუთვალეთ და შევთანხმდით, რომ ოქტომბრის ბოლომდე საქმე მოთავდებოდა. ფერადფერადი ტელეფონის აპარატებიც შევიძინეთ და დავიწყეთ ლოდინი.

ირაკლი კაკიაშვილი:

— ჩუტკერაშვილი აღარ გამოჩნდა. ვალოდია თბილისში ჩამოვიდა და მონტინზე სახლში მიაკითხა. აღმოჩნდა, რომ მსგავსი პიროვნება იქ არ ცხოვრობდა. არ ვიცი, ვალოდია როდის მიხვდა, რომ მოატუყეს, საქმე კი, მეორე დღესვე თაღლითობის მუხლით აღიძრა... გავიდა 3 წელი. ჩუტკერაშვილი მოსკოვში დააკავეს — ის უბრალო სამკაულებს ოქროს ნივთებად ასაღებდა. ამ ამბის შესახებ ქართველ სამართალდამცველებს არაფერი გაუგიათ, რადგან მისი ნამდვილი გვარი ნებიერიძე იყო, ასეთი კი საქართველოში არავინ იძებნებოდა...

ვალოდია ფერაძე:

— სოფელში ხმა დაირხა: ვალოდია იმ კაცთან იყო შეკრული და ფული გაიყვესო. მამაჩემი ამ გაუგებრობას ემსხვერპლა — გულმა უმტყუნა... მე კი, იძულებული გავხდი სოფლიდან წავსულიყავი — მამაპაპეული კარ-მიდამო მივატოვე და თბილისში ჩამოვედი. ყოველთვის ვნატრობდი, სადმე შევხვედროდი კაცს, რომელმაც ცხოვრება დამინგრია, რომლის გამოც თანასოფლელების თვალში ავტორიტეტი შემელახა. მეტროში თუ ტროლეიბუსში ყველას ვაკვირდებოდი, ვცდილობდი, რომელიმე მათგანში ჩემი მოსისხლე მტერი აღმომეჩინა. მაგრამ წლები ამაო ძებნაში გავიდა... ამ 2 წლის წინ, ჩემმა ვაჟმა დამირეკა და მითხრა: მამა, ხვალ სტუმრებს ველოდები, როგორც იქნა, ჩემი სიმამრის გაცნობა მეღირსებაო. ჩემი ვაჟი უკვე 2 შვილის მამა იყო, მაგრამ სიმამრს არ იცნობდა, რადგან ის კაცი ასტრახანში ცხოვრობდა და ოჯახთან ყველანაირი კონტაქტი გაწყვეტილი ჰქონდა. ის ყველასთვის მოულოდნელად საქართველოში დაბრუნდა და შვილებთან ურთიერთობის გამოსწორება გადაწყვიტა. ეს ამბავი მესიამოვნა. ვიფიქრე — რუსეთში კაცს საკუთარი ბიზნესი თუ აქვს, იქნებ თავისი სიძეც სამუშაოდ წაიყვანოს-მეთქი... შვილის ოჯახში დაახლოებით 55-60 წლის კარგად ჩაცმული მამაკაცი დამხვა. ხელი ჩამომართვა და რიხიანად მითხრა: გოჩა ნებიერიძე, თქვენი რძლის მამა გახლავართო. ელდა მეცა. მართალია, სახელი და გვარი არ ემთხვეოდა, მაგრამ ეს ნამდვილად ის კაცი იყო, რომელმაც 20 წლის წინ, ფოსტის თანამშრომლად გამაცნო თავი...

ბოლოს კი, მოგითხრობთ ერთი ქალბატონის ამბავს, რომელსაც პროფესიონალი თაღლითობისთვის პირველად 5 წლით, მეორედ კი, 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სასამართ-

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი
უბის წიგნაკიდან:

ასვენებდნენ.

20. ტიტა ევროპაში ჰოლანდიელებმა სპარსეთიდან შეიტანეს. ამ ყვავილის ბოლქვები იმდენად ძვირად ფასობდა, რომ მათ ლატარიაში ათამაშებდნენ. განსაკუთრებით იშვიათი ჯიშის ეგზემპლარებს ეტლებში, ცხენებსა და ზოგჯერ სახლებშიც კი ცვლიდნენ.

21. XVII-XIII საუკუნეების საფრანგეთში არსებობდა ნებაყოფლობითი გადასახადი სახელწოდებით — „პოლეტა“. ფრანგ ჩინოვნიკებს სრული უფლება ჰქონდათ, არ გადაეხადათ იგი, თუმცა ისინი, როგორც წესი, ყოველთვის იხდიდნენ, რადგან „პოლეტას“ გადახდის შემთხვევაში, მათ უფლება ეძლეოდათ, გაეყიდათ ან ვინმესთვის ანდერძით დაეტოვებინათ საკუთარი თანამდებობა.

22. მოსკოვის საფეხბურთო კლუბ „ტორპედოს“ ლეგენდარული ფეხბურთელი ვალერი ვორონინი ყოველთვის განცხრომით ცხოვრობდა. ერთხელ გამოაცხადა, ბობი ჩარტლონს შავი მანქანა და შავკანიანი მძღოლი ჰყავს, მე რითი ვარ ნაკლებიო?! — აიღო და შავი „ვოლგა“ იყიდა. მძღოლიც დაიქირავა. ამის შემყურე, მისი მეგობრები იცინოდნენ: „ჩორნაია იკრა, ჩორნაია „ვოლგა“ ი ჩორნი ვადიტელ! კაროჩე, ვალერკა ზაჟილ პო ჩორნომუ!“

23. პრემიერ-მინისტრობის დროს, მარგარეტ ტეტჩერი ხელჩანთით წყლით სავსე ბოთლს დაატარებდა, რადგან ეშინოდა, ბრბოში გარეულ ვინმე მანიაკს მისთვის სახეში მჟავა არ შეესხა.

24. მსოფლიოში პირველი სილამაზის კონკურსი 1888 წელს ბელგიის ქალაქ სპაში ჩატარდა. მასში 350-მა ლამაზმანმა მიიღო მონაწილეობა. კონკურსის მონაწილეთა მცირე რაოდენობა ღონისძიების ერთ-ერთმა აუცილებელმა პირობამ განსაზღვრა — კონკურსანტებს ჟიურისათვის წინასწარ უნდა წარედგინათ საკუთარი ფოტო, რაც იმ დროისათვის საკმაო სიძნელეს წარმოადგენდა.

25. პირველი კინორეპორტაჟი რუსეთში ფრანგულმა ფირმა „პატემ“ გადაიღო. ფრანგმა ოპერატორებმა ფირზე ნიკოლოზ მეორის „კორონაცია“ აღბეჭდეს. კინოფირს ჩვენს დრომდე არ მოუღწევია — მას რუსეთის პოლიციამ გაუკეთა კონფისკაცია. ოპერატორებს შპიონაჟში დასდეს ბრალი, აპარატი ჩამოართვეს და დააპატიმრეს.

ლოზე მისმა ადვოკატმა თქვა: ბერიძეს კი არ უნდა ვიჭერდეთ, კადრების შემოწმებისთვის ჯილდოს უნდა ვაძლევდეთო. თუ რა იგულისხმებოდა მის ნათქვამში, ამას თავად ბერიძის მონათხრობიდან შეიტყობთ:

— პროფესიონალი თაღლითის იარლიყი საზოგადოებამ „მომაკერა“. გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მთელი ცხოვრება აქეთ მატყუებდნენ. დავიბადე ჩვეულებრივ ქართულ ოჯახში, სადაც მატერიალურზე მეტად სულიერი ღირებულებები ფასობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორიულ ფაკულტეტზე ჩავაბარე. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის მსახიობობაზე ვოცნებობდი, პროფესიონალურ სცენას მაინც ვერ ვეღირსე. სამაგიეროდ, გარდასახვის ნიჭი ცხოვრებაში ბევრჯერ გამომადგა. ერთხელ, ბაღდათიდან მეგობრებთან ერთად მოვდიოდი. იმ პერიოდში არეულობა იყო და მატარებელი არ მოძრაობდა, ავტობუსით მგზავრობის ფული კი არც ერთს არ გვქონდა. სადგურის მორიგესთან მივედი და ვუთხარი: სახელმწიფო საბჭოს წევრები ვართ, ზუგდიდიდან მოვდივართ და თბილისში აუცილებლად უნდა გაგვამგზავროთ-მეთქი... ზესტაფონიდან თბომავლით გამოგვიშვეს, თანაც დაგვპირდნენ, რომ იქიდანაც უპრობლემოდ გამოგვაცილებდნენ. ეს იყო ჩემი

პირველი უწყინარი ტყუილი, რომელმაც მერე და მერე, აზარტში შემიყვანა... ერთხელ, ერთ-ერთი რაიონის გამგებელთან დავრეკე და ჯაბა იოსელიანის ხმით ვუთხარი, რომ სახელმწიფო საბჭოდან მათთან ერთი ქალბატონი ჩავიდოდა... გამგეობიდან მანქანა გაგზავნეს. რაიონში ჩავედი, გამგებლის მოადგილეს შევხვდი და მას დაწინაურებას შევპირდი. მაშინ პირველად ვნახე ფრანგული პარფიუმერია, მივიღე ამანათიც, რომელშიც კარგა ბლომად ფული იდო... საქართველოში გაჭირვებულებს რა გამოლევს?! ჰოდა, ფული სულ დავარიგე — ქუჩაში ხალხს ვაჩერებდი და ვჩუქნიდი. ყველა გაოცებული მიყურებდა, უკვირდათ — ასე რატომ ვიქცეოდი (ამის გამოა, რომ დღემდე საკუთარი სახლი არა მაქვს, არადა, მისი ყიდვა უპრობლემოდ შემეძლო)... საკმარისი იყო, მეთქვა — მაკა ვარ იოსელიანი-მეთქი (ჯაბას დისშვილობას ვიბრალებდი), რომ ყველაფერი გვარდებოდა... მალე ამ ამბავმა თვითონ ჯაბა იოსელიანის ყურამდეც მიაღწია. მან დამიბარა და მითხრა: რა გინდა, რას ასულელებ ამ ხალხს? თავი დამანებე, წადი და შევარდნაძის სახელით იარეო!.. ეს რჩევა ჭკუაში დამიჯდა — თავს შევარდნაძის დისშვილად ვასაღებდი და უფრო მეტის გაკეთება შევძელი. ყველაზე უცნაური ის იყო, რომ საბუთებს არავინ მთხოვდა. კახეთში პრივატიზაციით უკმაყოფილო მოსახლეობამ, როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრსა და შევარდნაძის დისშვილს, დახმარებისთვის მომმართა. ჩავედი და მიწები დავარიგე, ადგილობრივ ხელისუფლებას კი, აღებული ფული ხალხისთვის დავაბრუნებინე. ყველა ჩემს მზეს ფიცულობდა... ერთ-ერთ პიროვნებას თავდაცვის მინისტრად „ვნიშნავდი“ და ამისთვის გასამრჯელოც მივიღე. ჩემი რეგალიების შესახებ რომ მკითხეს, — ადვოკატ-ლეიტენანტი ვარ-მეთქი, — ვუპასუხე. თავდაცვის სამინისტროში მომუშავე კაცი იმასაც ვერ მიხვდა, რომ ასეთი სამხედრო წოდება არ არსებობდა... ეტყობა, მოსალოდნელმა წარმატებამ დააბნია. ცხადია, მან თანამდებობა ვერ მიიღო და იმ პირს მიმართა, ვისი სახელითაც დახმარება აღვუთქვი. აქედან გაჩნდა ეჭვი (თან, რამდენიმე ადგილას ჩემი ხელწერა გამეორდა) და დამიწყეს ძებნა. ამის შესახებ არაფერი ვიცოდი, უნივერსიტეტში ლექციებს ვესწრებოდი. 5 თვე მეძებდნენ, ბოლოს, დიდუბეში ამიყვანეს. სხვადასხვა ინსტანციის გავლის შემდეგ, ედუარდ შევარდნაძესთან მიმიყვანეს — ბოდიშს მოუხდი და სახლში წახვალო. ჩემი დაჭერა არ უნდოდათ, იცოდნენ, რომ ამ ამბავს უნივერსიტეტში დიდი რეზონანსი მოჰყვებოდა... ბატონ ედუარდს ჩემი საქმე წინ დაუდეს. გაეცინა და მკითხა: ჩემთან სათხოვარი ხომ არაფერი გაქვსო? ვიხუმრე: სანამ გამოვალ, ერს მიმიხედეთ-მეთქი. გადაიხარხარა. მას ყველა აჰყვა. გაჩუმდა — ისინიც გაჩუმდნენ. ბოლოს თქვა: ჩემი პირადი სიმპათიები ამ გოგონას მხარესაა, მაგრამ გამოძიების კომპეტენციაში ვერ ჩავერევიო... მოკლედ, ციხეში წამიყვანეს. იზოლატორში 9 თვე ვიყავი, მერე კი, ქალთა კოლონიაში გადამიყვანეს. ჯერ უზენაესმა სასამართლომ გამასამართლა, შემდეგ — ქალაქის სასამართლომ. მაშინ, 18 წლის ვიყავი. კოლეგიას ჩემ მიერ ჩადენილი დანაშაულის შესაბამისი მუხლით დაკვალიფიცირება გაუჭირდა: 96-ე პრიმა მუხლი სასამართლომდე ერთი დღით ადრე (სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების მითვისება ნებისმიერი ხერხით), პარლამენტმა კოდექსიდან ამოიღო. ამიტომ, ჩემი ქმედება თანამდებობის პირის უფლების მითვისებად შეაფასეს, მაგრამ აქაც შეუსაბამობას წააწყდნენ — სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ადიუტანტი (ზოგს ასეც ვეუბნებოდი) ან ჯაბა იოსელიანის თუ ედუარდ შევარდნაძის დისშვილობა — თანამდებობა ხომ არ იყო?!. მოკლედ, სასამართლო კოლეგია იძულებული გახდა, რომ დაებრუნებინა ძველი მუხლი, რომელიც 10-15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა, მაგრამ ისტორიის ფაკულტეტის დეკანის თავდებად დადგომამ გაჭრა და მხოლოდ 5 წლით თავისუფლების აღკვეთა შემიფარდეს. განაჩენის წაკითხვის დროს, დარბაზში ჩემი მეგობრები — ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, ტექნიკური უნივერსიტეტის კაპელა შემოვიდა და სიმღერა დასჭექეს. მოსამართლე სიბრაზისგან ცოფებს ყრიდა... გამიმართლა — წელიწადსა და 8 თვეში პრეზიდენტმა შემიწყალა, მაგრამ მალე, სრულიად შემთხვევით, კვლავ ციხეში აღმოვჩნდი: მე და ჩემმა მეგობრებმა ერთ-ერთ რესტორანში შეკვეთა მივეცით, მაგრამ შემდეგ, რაღაც გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, მისი გაუქმება მოვითხოვეთ. ამას რესტორნის მესვეურებთან კამათი მოჰყვა. ამასობაში პოლიციაც მოვიდა, მიცნეს და ამიყვანეს, როგორც საზოგადოებრივი ქონების ძალადობით მიმთვისებელი. 3 წელი მომისაჯეს, მაგრამ მიმაგრებით 8 თვეში გამათავისუფლეს... ასეთია ჩემი თავგადასავალი. ციხემ ყველაფერი წამართვა, ხალხში ნდობა დავკარგე, შემექმნა ნაციხარის იმიჯი, გული ვატკინე ახლობლებს, ოჯახის წევრებს და რაც მთავარია, ჩემი ცხოვრების ულამაზესი წლები დავკარგე...

P.S. წერილში დასახელებული ყველა პირის გვარ-სახელები შეცვლილია.

■

ბატონ ედუარდს ჩემი საქმე წინ დაუდეს. გაეცინა და მკითხა: ჩემთან სათხოვარი ხომ არაფერი გაქვსო? ვიხუმრე: სანამ გამოვალ, ერს მიმიხედეთ-მეთქი

„თინეიჯერობა ჩემთვის მსუბუქ წლებთან, ლამაზ, უდარდელ, მარტივ ცხოვრებასთან ასოცირდება და ეს ის ასაკია, როცა ბევრი შეცდომა გეპატიება“, — ამბობს მომღერალი ნინა წკრიალაშვილი, რომელიც თინეიჯერულ ასაკში ხულიგნურს „აწვეებოდა“, ბიჭებს სცემდა და მიუხედავად ამისა, მაინც ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა.

კონკიას ცულლუტური იდეები, „პაპლინიკების“ მრძელი რიგი და ტელევიზორში ნანახი „კაზანოკები“

„ძალიან ბავშვობა მქონდა... ლამეშუქრა, იმ აღმილს ღანით ამოგჭრიო“

ლიკა ქაჯაია

— ყველაზე დიდი შეცდომა, რომელიც ამ ასაკში დავუშვი, თუნდაც ის იყო, რომ 17 წლის ასაკში გავთხოვდი. ახლა თინეიჯერი რომ ვიყო, არავითარ შემთხვევაში არ გავთხოვდებოდი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ამ ასაკში ჩამოუყალიბებელი ხარ. წლების მატებასთან ერთად, გეცვლება გემოვნება, შეხედულებები, სურვილები. თინეიჯერმა მთელი ყურადღება სწავლაზე უნდა გადაიტანოს, რათა მერე, მთელი ცხოვრება (მეტ-ნაკლებად) უზრუნველყოფილი იყოს.

— კი, მაგრამ გათხოვების პარალელურად, სწავლაც ხომ შესაძლებელია?

— გათხოვებას ჩემთვის ხელი არაფერში შეუშლია — იმ პერიოდში უნივერსიტეტშიც ვსწავლობდი, მაგრამ მაინც, ეს ყველაფერი რაღაც სირთულეებს წარმოშობს...

— ამბობენ: ნაადრევი ყველაფერი კარგიაო...

— ნაადრევი მხოლოდ შვილია კარგი. ჯერ არ მინახავს ადამიანი, რომელიც ამ ასაკში გათხოვდა და თავისი ცხოვრებით კმაყოფილი იყო. საერთოდ, ნაადრევად შექმნილი ოჯახები უმეტესწილად ინგრევა...

— როგორი იყო თინეიჯერი ნინა?

— ძალიან ცელქი, ენერგიული, მეგობრული, მხიარული და კიდევ, რამდენიმე საქმის ერთდროულად გაკეთება შემეძლო.

— დღეს ასეთი ალარ ხარ?

— რატომღაც ყველას ჰგონია, რომ ძალიან მხიარული ვარ, მაგრამ ცდებიან, შევიცვალე და ახლა სერიოზული, თავშეკავებული, გაწონასწორებული ვარ და სიმართლე რომ გითხრათ, ამის გამო გულიც კი მწყდება.

— მაშინ ხომ შეიძლება, რომ თინეიჯერივით მოიქცე?

— კი, მაგრამ ეს მოჩვენებითი მხიარულება იქნება და საერთოდ, არც ისე ლამაზია, როცა უკვე ჩამოყალიბებული ადამიანი ბავშვივით იქცევა... არ ვიცი, იქნებ ასე მარტო მე ვფიქრობ და ნაადრევად დავბერდი?..

— შენ თქვი — ცელქი ვიყავიო. სიცელქე რაში გამოიხატებოდა?

— ვცდილობდი, ყველაფერი გამეფუჭებინა, რაც მინდოდა, იმას ვაკეთებდი, მაგრამ ეს ყველაფერი, სახლის გარეთ ხდებოდა... არა, პრინციპში სახლშიც ასეთი ვიყავი — ჩემი აზრის სხვებისთვის მოხვევა მიყვარდა.

— ეს კარგად გამოგდიოდა?

— შენ წარმოიდგინე, ყოველთვის გამომდიოდა, მაგრამ ამას როგორ ვახერხებდი, არ ვიცი. მერე, როცა გავიზარდე, მივხვდი, რომ ასეთი საქციელი სისულელეა.

— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიიჩნეოდი?

— ფანტასტიკურად ვსწავლობდი, ყოველთვის და ყველაფერში ფრიადი მქონდა, მაგრამ როცა მშობელთა კრება იყო, ჩემებს მაინც აგიჟებდნენ — კარგი მოსწავლეა, მაგრამ ესა და ეს მაგრად სცემაო.

— ვის და რატომ სცემდი ხოლმე?

— ხულიგანი ვიყავი, ფეხები სულ გადატყავებული მქონდა, მე-4-5 კლასამდე ბიჭებს ვცემდი ხოლმე, მაგრამ არა ჩემ გამო — სხვებს ვიცავდი, ვერ ვიტანდი, როცა ვიღაცას ჩაგრავდნენ. ეტყობა, ეს თვისება გენეტიკურად მამისგან გამომყვა.

— ბიჭებს ერეოდი თუ ხელს არ გიბრუნებდნენ?

— „ხურდის“ დაბრუნების მცდელობები ჰქონდათ, მაგრამ მგონი, ვერ მერეოდნენ... ბოლოს, როცა ქალური რაღაცები შემომეპარა, მივხვდი, რომ ასეთი საქციელით შორს ვერ წავიდოდი, რომ ბიჭის ცემა უხერხულიც კი იყო...

— გაპრანჭვა რა ასაკში დაიწყე?

— 15 წლის რომ გავხდი, მაშინ — დედას კაბებს ვპარავდი, მის პარფიუმერიაში „ეძვრებოდი“, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით დავბაკუნებდი და ბედნიერი ვიყავი. სხვათა შორის, მაშინ უფრო ვიპრანჭებოდი, ვიდრე დღეს. სკოლა დავამთავრე თუ არა, პირველივე დღეს თმა შევიღებე, მაკიაჟის გარეშე გარეთ არ გამოვდიოდი, 17 წლის ასაკში კი, გავთხოვდი.

— მასწავლებლებს არ აბრაზებდი ხოლმე?

— ცელქი ვიყავი, მაგრამ უზრდელი არა. როგორც ყველგან ხდება, მასწავლებელს ჭიკარტებს ჩვენც ვუდებდით ხოლმე, მაგრამ რაღაც-რაღაცებისგან თავს ვიკავებდით.

— თქვენს ჭიკარტებს ვინმე „ემსხვერპლა“?

— ეგ აღარ მახსოვს, მაგრამ მასწავლებლები ჩემი ცუღლუტური იდეის მსხვერპლნი ბევრჯერ გამხდარან — მაშინ მოდაში ბუმბულით გაწყობილი ქუდი იყო. გვყავდა მასწავლებელი, რომელიც სწორედ ასეთი, ბუმბულებით გაწყობილი ფერად-ფერადი ქუდებით დადიოდა და ერთხელ, მომივიდა იდეა — კარგი იქნება, ქუდს სანთებელათი ცეცხლი რომ წავუკიდოთ-მეთქი. ბიჭებმა ეს იდეა უმალვე აიტაცეს და ერთ-ერთ მასწავლებელს ქუდი დაუწვეს. სხვათა შორის, ამის გამო ძალიან ვინერვიულე.

— არ დაგსაჯეს?

— გამიმართლა და იმ ბავშვმა არ ჩამიშვა, ყველაფერი თავის თავზე აიღო.

— შენ არასდროს და არავინ ჩაგიშვია?

— არა, რადგან ეს ცუდ ტონად მიიჩნეოდა.

— კიდევ რა მიიჩნეოდა ცუდ ტონად?

— აღარ მახსოვს... ჩვენ სხვანაირი ბავშვები ვიყავით, ძალიან ვმეგობრობდით და ცუდს არავის ვუკეთებდით. ახლა კი, ძალზე განსხვავებული, სხვანაირი თაობა წამოვიდა.

— „სასტავებად“ არ იყოფოდით?

— კი, მაგრამ როცა საჭირო იყო, მაშინ მთელი კლასი ერთ გუნდად ვიკვრებოდით.

— შენს „სასტავში“ როგორი მოსწავლეები იყვნენ?

— მე და ჩემი 2 კლასელი მუსიკალურ ანსამბლში დავდიოდით, ბუნებრივია, სკოლის გარეთ ერთად ბევრ დროს ვატარებდით. ჩვენთან კიდევ რამდენიმე ჩემი ახლობელი გოგონა მეგობრობდა, დღე და ღამე ერთად ვიყავით.

— მეგობრებთან უპრობლემოდ გტოვებდნენ?

— ხან მიშვებდნენ, ხან — არა და ამ დროს, ვღრიალებდი ხოლმე... გოგოები ერთად რომ ვიყავით, ღამეებს ვათენებდით, მხოლოდ გამთენიისას ვწვებოდით.

— მთელი ღამე რას აკეთებდით?

— ვჭორაობდით და ძირითადი თემა, რა თქმა უნდა, შეყვარებულები იყვნენ.

— მშობლების არ გეშინოდა?

— მათი არასდროს მეშინოდა, უბრალოდ, რიდი მქონდა — ისინი ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ თავი ბედნიერად მეგრძნო და კიდევ კარგი, რომ მქონდა იმდენი შეგნება, მათი ამაგი დამეფასებინა. დღეს უფრო ვხვდები, რომ მათზე უკეთესი არავინაა. რაც უფრო მემატება ასაკი, დედასთან მეგობრობის სურვილი უფრო მიმძაფრდება.

— ეს იმიტომ ხომ არ ხდება, რომ უკვე შენც მშობელი ხარ?

— არა. პირველად მაშინ მივხვდი, რომ დედ-მამაზე ვგიჟდებოდი, როცა ვთხოვდებოდი — წინა საღამოს ვტიროდი და ვამბობდი: დღეს აქ ბოლოჯერ ვრჩები, ამ კიბეზე ველარ ავალ, ჩემი საყვარელი ჭიქით ჩაის

ველარ დავლევ-მეთქი *(იცინის)*. დედა მეჩხუბა და მითხრა: რა იყო, ხომ არ კვდებიო?!. მოკლედ, გათხოვების წინადღეს, სახლში პანაშვიდი მქონდა და მეორე დღეს, ქორწილში თვალებდასივებული მიმიყვანეს.

— ჭიქა მზითევში არ გაგატანეს?

— მზითევში ბევრი რამ გამატანეს, მაგრამ ყველაფრის უკან წამოღება მომიხდა...

— მშობლები რას გიკრძალავდნენ?

— კონკია ვიყავი იმ გაგებით, რომ 9 საათზე სახლში უნდა ყოფილიყავი, მაგრამ რატომ, ამას დღესაც ვერ ვხვდები. დაბადების დღეზე ვიყავი თუ რაიმე დღესასწაულზე, მამწარებდნენ, მირეკავდნენ: დაღამდა, წამოდიო. 10 საათამდე თუ დამტოვებდნენ, ჩემზე ბედნიერი არავინ იყო... მამაჩემი იმასაც ვერ იტანდა, როცა ტელეფონთან დიდხანს ვიჯექი და ვჭორაობდი. მეუბნებოდა: ვის ელაპარაკები ამდენს, ტელეფონი ახლავე გათიშეო. ასევე, მიკრძალავდნენ ჩემი კლასელის და მამიდაშვილის მანქანაში ჩაჯდომას — სკოლის მერე, მანქანაშიც ვჯდებოდით და აღმადაღმაც დავქროდით. ჭკუაზე არ ვიყავით, მამას რომ დავინახავდი, ვიმალებოდი. მაშინ მიკვირდა — რას გვერჩიან-მეთქი, მაგრამ დღეს ზუსტად ვიცი, რომ ამას ჩემს შვილს მეც ავუკრძალავ. განა იმიტომ, რომ ამით რაიმე ფუჭდება, უბრალოდ, ძალიან სახიფათოა.

— „შატალოზე“ არ მიდიოდით ხოლმე?

— ჩვენს კლასში 38 ბავშვი იყო და თუ „შატალოზე“ წავიდოდით, ერთ-ერთის სახლი გვქონდა ამოჩემებული. მახსოვს, ერთხელ ის ოჯახი ცუდად შეგვხვდა და გაგვიკვირდა — რა არ მოეწონათო?.. ჩემმა შვილმა ამდენი ბავშვი სახლში რომ მომიყვანოს, შეიძლება ჭკუიდან შევცდე, ან ინფარქტი მივიღო... ერთხელ „შატალო“ იმიტომ მოვაწყვეთ, რომ რაღაც სერიალის — ხუანის თუ რაღაც ჯანდაბის ყურება გვინდოდა. 38-ვე ბავშვი იმ ერთის სახლში წავედით, ჯუყურეთ და რადგან ბოლო სერია (ვითომ ძალიან მძაფრი და საინტერესო) იყო, ყველამ ვიტირეთ, ვიქვითინეთ.

მამაჩემის მანქანას რომ დავინახავდი, ბუჩქებში ვიმალებოდი — არ დამინახოს-მეთქი

— იმ ოჯახის გარდა, კიდევ სად დადიოდით?

— პარკში, კინოში ან უბრალოდ, ქუჩაში დავტანტალებდით. ხშირად, სადმე დირექტორს წავაწყდებოდით ხოლმე, რომელიც ჯერ გვლანძღავდა, მერე კი, სათითაოდ ყურს გვიწევდა.

— თინეიჯერობის ასაკში რაიმეს კომპლექსი თუ გქონდა?

— სადღაც 16 წლის ვიყავი, როცა უაზროდ გავსუქდი და რაღაც დროის მანძილზე, ამან დამაკომპლექსა. მერე, რატომღაც გადამიარა და 24 საათის განმავლობაში, ჩემს სიმსუქნეზე ვკაიფობდი ხოლმე... თუმცა, სიმსუქნის კომპლექსი დღესაც მაქვს — ახლა 2 კილო მოვიმატე და კინაღამ გავგიჟდი. ამის გამო, საჭმელს აღარ ვჭამ და მიკნავებული ვზივარ.

— ამ ასაკში ცდილობდი თუ არა, რომ სხვებისგან რაღაცით გამორჩეული ყოფილიყავი?

— ვცდილობდი და გამომდიოდა კიდეც. ამაში ისიც მიწყობდა ხელს, რომ ჩემი მშობლები ხშირად მოგზაურობდნენ და ჩემთვის ორიგინალური ტანსაცმელი ჩამოჰქონდათ; მქონდა უცნაური ვარცხნილობა. გამოვირჩეოდი იმითაც, რომ კარგად ვსწავლობდი, ვმღეროდი, საკმაოდ დატვირთული ვიყავი და ამავე დროს, გართობასაც ვახერხებდი, მაშინ, როცა ჩემი ზოგიერთი ბეჯითი კლასელი მართალია, კარგად სწავლობდა, მაგრამ ფანჯრის იქით რა ხდებოდა, არ იცოდა... მძიმე ბავშვობა მქონდა, დედაჩემი სულ მეჯუჯღუნებოდა — ბუნება და გეოგრაფია ისწავლეო. მუსიკის გაკვეთილზე რომ მივყავდი, ქუჩაშიც არ მასვენებდა, მეკითხებოდა: ამ სრუტეს რომელი მდინარე უერთდება, 9X5 რამდენია, როგორ არის რუსულად — ბებიას ძაღლი მოუკვდაო? — და რაღაც სისულელეებს. გამწარებული ვყვიროდი: გზაში მაინც დამასვენეთ-მეთქი *(იცინის)*.

— როგორ ფიქრობ, ზოგადი განათლების მიღება აუცილებელია?

— აუცილებელია. ახლა ფიზიკა-ქიმიაში დებილი ვარ და ძალიან ვნანობ იმას, რომ ამ საგნებს არ ვსწავლობდი. ქიმიის მასწავლებელი (ის, ვისაც ქუდი დავუწვით), ჩემი დაქალი იყო და გაკვეთილზე ძირითადად, სხვა რაღაცებზე (ქიმიის გარდა, ყველაფერზე) ვსაუბრობდით.

— ალბათ, სერიალს განიხილავდით, არა?

— თუნდაც, ხუანზე ან კასანდრაზე ვლაპარაკობდით და ეს უფრო სასიამოვნო მეჩვენებოდა, ვიდრე ქიმია.

— ვისი ფანი იყავი?

— თინეიჯერობიდანვე ვგიჟდები სტინგზე, რომლის ალბომებითაც ჩემი მეგობარი — კახა კილაძე მამარაგებდა. ეს მაშინ, როცა მოდაში რუსული ესტრადა იყო და ჩემს კლასში, ჰიტად იყო ქცეული ბულანოვას — „ნე პლაჩ“. სხვათა შორის, ფილმების არჩევაშიც განსაკუთრებული გემოვნება მქონდა — თუ სხვები კომედიას და „ბოევიკებს“ უყურებდნენ, მე სერიოზულ ფილმებზე ვაფანატებდი და მერე, როცა მათ მოყოლას ვიწყებდი ან ჩემს იდეებს გადმოვაფრქვევდი, თანატოლები დამცინოდნენ — არანორმალური ხარო.

— თუ გაგჩენია იმის სურვილი, რომ ვინმესთვის მიგებაძა?

— ერთადერთი, გამხდარ გოგოებს შევნატროდი და მინდოდა, მეც მათნაირი ყოფილიყავი, თორემ, დანარჩენში (არასწორად ნუ გამიგებთ), შემიძლია თამამად ვთქვა, რომ აქეთ მბაძავდნენ... მე-8 კლასში ვიყავი, როცა ჯინსი დავხიე და ისე დავდიოდი. ხალხი გაკვირვებული მიყურებდა. ერთხელ, ტელევიზორში ვნახე „კაზაჩოკები“ და დედაჩემს ტვინი „შევუჭამე“ — მიყიდე-მეთქი. როგორც იქნა, ჩამომიტანეს, შუა ზაფხულში, „ჩექმა-კაზაჩოკით“ და მოკლე შორტებით დავდიოდი, თან, წარმოიდგინე — ეს გორში ხდებოდა. ამბობდნენ: ეს გოგო გიჟიაო. ოღონდ, მამაჩემის მანქანას რომ დავინახავდი, ბუჩქებში ვიმალებოდი — არ დამინახოს-მეთქი, რადგან ჩემი ასეთი ჩაცმულობა არ მოეწონებოდა.

— თინეიჯერულ ასაკში გოგოებს რა პრობლემები აქვთ?

— ამ ასაკში, ძირითადი პრობლემა ისაა, რომ თავი დიდი ჰგონიათ, საკუთარ თავზე ბევრ რაღაცას იღებენ, ყველანაირი პრობლემის მოგვარებას მარტო, უფროსების ჩარევის გარეშე ფიქრობენ და შესაბამისად, ბევრ შეცდომას უშვებენ. მათ ურჩევნიათ, რომ რჩევა დაქალებს სთხოვონ, იმას კი არ ფიქრობენ, რომ მათ თავიანთთვის არაფერი იციან და რა უნდა გირჩიონ?!

— ამიტომ, საჭიროა თუ არა, რომ მშობლებმა შვილები აკონტროლონ?

— რა თქმა უნდა, რაღაც დოზით უნდა აკონტროლონ, მაგრამ ეს არ უნდა გადავიდეს პათოლოგიურ თვალთვალში.

— დღევანდელ თინეიჯერებს როგორ შეაფასებდი?

— ისინი ძალიან საყვარლები, თამამები და შეიძლება ითქვას, რომ ჩვენზე ნიჭიერები არიან, მაგრამ არსებობენ ისეთი თინეიჯერებიც, რომლებიც არავითარ ეთიკის ნორმას არ იცავენ.

— მიგაჩნია თუ არა, რომ ისინი ზედმეტად უკომპლექსოები არიან?

— რაღაც დონეზე — კი, რადგან შემხვედრია ისეთი ბავშვებიც, რომელთაც უკომპლექსობა უზრდელობასა და გარყვნილობაში გადასდით. ვიმედოვნებ, რომ ეს ასაკის ბრალია და ის დროს თან გაჰყვება. მანამდე კი, მათ უნდა გააცნობიერონ, რომ რწმენის გარდა ყველაფერი სისულელეა, დედებმა საკუთარი შვილები აუცილებლად უნდა ატარონ ეკლესიაში და მათ ღვთის სიყვარული ასწავლონ. თუმცა, ჩემს შემთხვევაში პირიქით მოხდა — შვილი და დედაჩემიც მე წავიყვანე.

— შენს მშობლებს ჯვარიც ხომ არ დააწერინე?

— სხვათა შორის, მათ ჯვარი ჯერ დაწერილი არა აქვთ და ზუსტად ერთი კვირის წინ მივიღე თანხმობა, რომ ეკლესიაში წამოვლენ და მათ ჯვარს ჩემი მოძღვარი დასწერს.

— ნინა, ალბათ, თინეიჯერულ ასაკში ბევრი თაყვანისმცემელი გყავდა, არა?

— მყავდა და იცი რატომ?..

— იმიტომ, რომ ლამაზი ხარ?

— არა, ლამაზი არასდროს ვყოფილვარ,

უბრალოდ, იმის გამო, რომ კარგად ვმღეროდი, ვსწავლობდი და ვხულიგნობდი კიდეც. გორში ყველა მცნობდა, იქაური დედადედოფალა ვიყავი *(იცინის)*. ვმღეროდი ანსამბლ — „აი ია“-ში და მაშინ, როცა ხალხი გორს არ იყო გაცილებული, მთელი მსოფლიო მოვლილი მქონდა.

— ეი. პოპულარული იყავი?

— გორში კი... ანსამბლში სულ 4 გოგო ვიყავით და მთელი გორელი ბიჭები ჩვენზე გიჟდებოდნენ — კონცერტებზე მოდიოდნენ, სადაც ჩვენი „პაკლონიკების“ გრძელი რიგი იდგა, ერთმანეთს ექიშპებოდნენ, ყვავილებს გვჩუქნიდნენ და თავს გვაწონებდნენ.

— სვირინგის გაკეთება არასდროს გიფიქრია?

— მიფიქრია კი არა, გადაწყვეტილებაც მივიღე და როცა მამას ვკითხე — რა ფიგურა დავიხატო-მეთქი, საჭმელს ჭამდა და კიბალამ დაიხრჩო. მითხრა: როგორც კი რაიმეს დაიხატავ, იმ ადგილს დანით ამოგაჭრიო. მართალია, მაშინ ბევრი ვიტირე, მაგრამ დღეს მისი მადლობელი ვარ, რომ ეს სისულელე არ ჩავიდინე.

— სვირინგი არ მოგწონს?

— გამაგებინე, რატომ უნდა დავიხატო მზე ან კატა?

— ხომ შეიძლება, შეყვარებულის სახელი ან ინიციალები დაიწერო?

— ჰო და მერე, როცა ის შეიძლება გადაგიყვარდეს, რაღას იზამ? დაიხატე მაშინ ერთკვირიანი სვირინგი და იარე, ეს უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნია.

— დაბოლოს, რას ურჩევდი თინეიჯერებს?

— მათ ვურჩევდი, რომ სხვებს კარგ რაღაცებში მიჰბაძონ, ყველაფერში ზომიერება დაიცვან, მშობლები არ გააბრაზონ, კარგად ისწავლონ, შურიანები არ იყვნენ, ეკლესიაში იარონ, არ გათხოვდნენ და მით უმეტეს, ცოლები არ მოიყვანონ. დაისახონ მიზანი და მის მისაღწევად ბოლომდე იბრძოლონ.

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! შენ შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.*

ვამეხმაურება

სოფო, *15 წლის:*

„რატომ მომენატრე დღეს ასე ძალიან? ალბათ, სევდიანი ამინდის ბრალია, ფიქრები, ძვირფასო, სულ შენთან არიან, ნეტა, გენატრები შენც ასე ძალიან?.. ეძღვნება თემოს“.

პავლიკა, *მონასტრის ბიჭი, 17 წლის:*

„თამთა, შენი მესიჯი ჩემ შესახებ ადრეც წავიკითხე. კარგია, როცა ვიღაც გაფასებს და მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადო. შენც კარგი გოგო ჩანხარ და აბა, შენ იცი... ობობა, ლანკას საიდან იცნობ?“

ზეზუ, *16 წლის:*

„მინდა, 29 წლის მარის ვუთხრა, რომ საშინლად მოიქცა. დათოს ადგილას რომ ვიყო, ასეთ საქციელს არ ვაპატიებდი და დარწმუნებული ვარ, რომ ასეც მოიქცევა. ამიტომ, ჩემო კარგო, აღარაფრის იმედი გქონდეს“.

ბეტმენა, *16 წლის:*

„პატარავ, არ გეთანხმები, რომ ამბობ — ყველა ბიჭი ნაგავიაო. ძალიან ცდები და ჩემი რჩევა იქნება, მათ სხვა თვალით შეხედო. იმედია, დამიბეჭდავთ“.

მართალა, *18 წლის:*

„გთხოვ, დამიბეჭდე. ვეხმაურები 893589358 ნომრის მფლობელს. შენი ნომრის დანახვაზე გულიანად ვიცინე — ჟურნალ „გზისთვის“ დათო ხარ და ჟურნალ „სექსტაზისთვის“ ოთო, არა? ხალხნო, აფერისტია, არ ენდოთ“.

მიშა, *16 წლის:*

„16 წლის პატარავ, გოგოების უმრავლესობას ბიჭები ნაგავი ჰგონია, არადა, ამ ნაგავში როგორი სიამოვნებით იქექებით“?

ანუკი, *17 წლის:*

„მარი, შენს ადგილზე დათოსთან მივიდოდი და ვეტყოდი — რაც მოხდა, რომ შენ გაუგებრობის მსხვერპლი ხარ და თუ მასაც უყვარხარ, ჯობია, შენ ქმარს გაშორდე და მასთან ერთად იცხოვრო — არც ახლაა გვიან, თუ ნამდვილი სიყვარულია. შენს ქმარს კი, რომელიც როგორც შენ ამბობ: ასეთი დიდი სიყვარულის შუაში ჩადგა, სამაგიერო უკვე იმით ეხდება, რომ გეზიზღება. მეც მასე მოვიქცეოდი. გისურვებ წარმატებებს“.

გულკეთილი, *20 წლის:*

„ვეხმაურები 19 წლის გოგოს. მინდა გითხრა, რომ დიდი შეცდომა მოგსვლია, მაგრამ გული არ გაიტეხო, შეცდომას ყველა უშვებს... რომ შეიძლებოდეს, მოგისმენდი და რჩევასაც მოგცემდი“.

თამუნა, *18 წლის:*

„პრივეტ“. ვეხმაურები პატარას, რომელმაც ბიჭებზე თქვა: ნაგვები არიანო. მართლა ეგრეა, გამონაკლისები თითქმის არ არსებობენ. პირადად მე, ერთი მიყვარდა, მაგრამ „ავახვევინე“, რადგან ჩემი ღირსი არ იყო. ახლა ისე ვარ, რომ ალბათ, აღარავინ შემიყვარდება, „ზატო“, ჩემი გულისთვის ბიჭები ერთმანეთს ხოცავენ (ეგრე მოუხდებათ). მთელი გოგოების ჯავრი უნდა ვიყარო, ყველას გავამწარებ და შენც იმასვე გირჩევ“.

ირაკლი, *20 წლის:*

„ვეხმაურები მსხვერპლს. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ ეგეთი ადამიანებისთვის სამაგიეროს გადახდაში დაგეხმარო, თუ რა თქმა უნდა, ეს შენც გინდა“.

კიკა, *18 წლის:*

„ვეხმაურები 20 წლის უცნობს, რომელსაც გოგო მესიჯებით შეუყვარდა... მეც შენს დღეში ვარ — არ ვიცი, ის ბიჭი მეთამაშება თუ ჩემზე სერიოზულად ფიქრობს“...

მერი, *18 წლის:*

„პრივეტ“. მაინტერესებს — რა სიამოვნებას იღებთ ნარკოტიკისგან? შეეცადეთ, ცხოვრება სხვანაირად გაილამაზოთ. ნუ მოექცევით სხვისი ზეგავლენის ქვეშ და კიდევ, ბიჭებზე გაგიჟებულო გოგოებო, ძალიან საცოდავები ხართ, თქვენი არ მესმის — საკუთარი თავის ფასი ისწავლეთ და სხვებიც დაგაფასებენ“.

მარი, *16 წლის:*

„მართალია, ყველა ბიჭი ნაგავი და საკუთარ თავში დარწმუნებული იდიოტია. გოგოებო, მაგათი გულისთვის ნერვების შლა არ ღირს. გავერთიანდეთ იდიოტების წინააღმდეგ“.

ნათია, *17 წლის:*

„მინდა, 19 წლის გოგონას, რომელიც თავს მსხვერპლს უწოდებს, ვუთხრა: ჩემო კარგო, ამ ქვეყანაზე სიკეთეც არსებობს. ის ნაძირლები დაისჯებიან. შენ კი, უნდა შეძლო და ტკივილს მოერიო. უფალი არ მიგატოვებს“.

სახელის გარეშე, *17 წლის:*

„როგორ ხართ? ვეხმაურები 19 წლის მსხვერპლს — მინდა, ეს ადამიანი ახლოს გავიცნო, რა თქმა უნდა, თუ თვითონაც ექნება ამის სურვილი. მეც ცუდ დღეში ვარ, 3 წელია, ვიტანჯები და ამას ვერავის ვეუბნები. ძალიან გთხოვთ, გამომიქვეყნოთ და ეს ადამიანი თუ წაიკითხავს, იმედია, გამომეხმაურება. მაპატიეთ, თუ აზრი ვერ დავალაგე, თქვენი ინტერვიუ ახლა წავიკითხე და ძალიან ვღელავ. ლიკა, გთხოვ, ჩემი სახელი არ გამოაქვეყნო“.

XXX, *17 წლის:*

„ვეხმაურები 20 წლის უცნობს — მსგავსი რამ მეც გადამხდა. თუ გიყვარს და უიმისოდ ვერ ძლებ, პირველი ნაბიჯი შენ გადადგი. მით უმეტეს, რომ მარი ჰქვია, 28-მდე მოითმინე და მარიამობა მიულოცე“.

სვანჩიკა, *17 წლის:*

„ვეხმაურები პატარას — დამივჯერე, ყველა ბიჭი ნაგავი არა არის, ცუდად არ გამიგო და თუ არ გჯერა, ამ ნომერზე 8(98) 28.86.11 დამირეკე“.

ირმა, *22 წლის:*

„მინდა, იმ გოგოს გამოვეხმაურო, რომელმაც მსხვერპლის სახელით მოგწერათ. მეც შენი ასაკის ვარ და ძალიან განვიცადე, როდესაც შენი გზავნილი წავიკითხე. თავს ნურაფერში დაიდანაშაულებ, შენს ადგილას შეიძლებოდა, ნებისმიერი აღმოჩენილიყო. ვხვდები, რომ ამ ამბავს ძალიან განიცდი, ამიტომ გირჩევ — გული ვინმეს გადაუშალე, შეეცადე, საკუთარ თავში ძალა იპოვო და ცხოვრება თავიდან დაიწყე, შენ ხომ ძალზე ახალგაზრდა ხარ... ლიკა, ამ ადამიანს დახმარება სჭირდება და გთხოვ, ჩემი მესიჯი დაბეჭდე, იქნებ, ის რაიმეში მაინც დაეხმაროს“.

ლანკა, *19 წლის:*

„21 წლის ობობავ, მე ზუგდიდელი ლანკა ვარ, მაგრამ შენ ვინ ხარ, არ ვიცი. ისე კი, ლამაზ სიტყვებს მწერ, გმადლობ. ანასტასიას და 19 წლის უცნობს მინდა დავეთანხმო იმაში, რომ დათო მართლა აფერისტი, თავხედი და მათხოვარია... კიდევ, ძალიან, ძალიან მომეწონა 15 წლის სალომეს მესიჯი. სალო, მინდა გითხრა, რომ შესანიშნავად აზროვნებ, შენს მესიჯებს როცა ვკითხულობ, ასე მგონია, მე დავწერე. შენთან სიამოვნებით ვიმეგობრებდი“.

■

იქნებ იმიტომ, რომ ძალიან უყვარს ელდარ შენგელაიას „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“, „ცისფერი მთები“, ქართველ მაყურებელს გაუჭირდა მასში პოლიტიკოსის დანახვა. ამან გაღიზიანება გამოიწვია. ახალი ფილმის მოლოდინი კი თანდათან გაფერმკრთალდა. კინოს მოყვარულები აღარც ელიან მისგან, ხელოვნებაში დაბრუნებას... ბატონ ელდართან საუბარი სწორედ ამით დავიწყეთ:

ველოდ შენგელაია: ბედნიერ ცოცხალ რა ყვავილი ბაიშლება?!.

ლელა ჯიყამშვილი

— ამბობენ და, სხვათა შორის, თქვენი ძმაც ამ აზრისაა, რომ რეჟისორობა ახალგაზრდული პროფესიაა და შედევრებსაც ახალგაზრდა რეჟისორები ქმნიან... ეს ხომ არ არის მიზეზი იმისა, რომ კარგა ხანია, აღარაფერს იღებთ?

— არა მგონია, შესაძლებელი იყოს ზუსტი განსაზღვრა იმისა, თუ რა ასაკში უნდა შეიქმნას ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუში. ზოგჯერ 80 წელს გადაცილებული მწერალიც ქმნის შედევრს, ზოგჯერ — ძალიან ახალგაზრდაც. გოეთემ „ფაუსტი“ მოხუცებულობაში დაწერა. დიდი შემოქმედი შეიძლება, ახალგაზრდობაში დაწერილსაც მიუბრუნდეს. ტოლსტოის კავკასიის ომზე დიდი ნაწარმოების შექმნა უნდოდა. „ჰაჯი მურატს“ იმ დიდი ნაწარმოების ნაწილად მიიჩნევდა. გავიდა დრო, გადაიფიქრა, გადაიკითხა „ჰაჯი მურატი“ და დააწერა — „მხოლოდ ასე“. არც ერთი სიტყვა არ შეუსწორებია, ისე გამოაქვეყნა... კინო, რა თქმა უნდა, ერთგვარად, ადამიანის აქტიური პერიოდის (20-დან 50-60 წლამდე) ხელოვნებაა და მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხოვრებასთან. დაბადების შემდეგ ადამიანი სულ უახლოვდება მის გარშემო არსებულ ყოფიერებას, ემსგავსება თავისსავე ცხოვრებას. მერე კი უეცრად აღმოჩნდება, რომ ყველაფერს დაშორდა. ეს მაშინ ხდება, როცა ახალი თაობა მოდის და თვითონ, „მამათა“ შორის აღმოჩნდება. ხელოვნებაში ახალგაზრდები „ახალი ტალღით“ მოდიან (ახალი ტალღა იყო ფელინის, ბუნიუელის მოსვლაც), მაგრამ მაინც ვფიქრობ, ფილმი ასე თუ ისე, ცხოვრებანანახმა უნდა გადაიღო და გარკვეული დროის მერე, ცოტა შორიდან უნდა შეხედო შენსავე ნააზრევს. ბოლო ფილმი 1994 წელს დავასრულე — „ექსპრესინფორმაცია“. რომ გითხრათ, მომწონდა-მეთქი, არ ვიქნები მართალი. გავიდა 12 წელი. რაკი არ მომწონდა, აღარც მინახავს. წელს კი რატომღაც მომინდა, მეყურებინა და რაღაც საინტერესო დავინახე. თერთმეტნაწილიანი *(თითოეული ნაწილი 10 წთ-იანია. — ავტ.)* სურათი 9-მდე შევკვეცე. დღევანდელობას, როგორც ჩანს, ჩვენ ვერ ვწვდებით, ვერ ვაფასებთ. მხატვრული ფილმის გადაღებამდე საჭიროა ხანგრძლივი გააზრება, დროის შეცნობა... არსებობს საშიშროება, ლამაზი პეპელა შექმნა — ხალხმა ნახოს და მალევე დაივიწყოს. ქართულ კინოში დღესაც ხდება ასეთი რამ.

— „არაჩვეულებრივი გამოფენის“, „შერეკილების“, „ცისფერი მთების“ რეჟისორი, როგორ უნდა მოხვედრილიყავით პოლიტიკაში? რაღაც გაუგებრობას ჰგავს ყველაფერი...

— იმდენი კომედიური, იუმორისტული და სატირული ფილმი მაქვს გადაღებული, რომ ჩემს თავს არასერიოზულ რეჟისორს ვეძახდი. მთავარია, როგორ ჩასწვდები, რას ჩასწვდები... 80-იანი წლების მიწურულს, როცა საბჭოთა კავშირის დაშლა დაიწყო, ხალხი ითხოვდა ამ პროცესში ინტელიგენციის მონაწილეობას. მე განსაკუთრებული პერსონა არ ვყოფილვარ, მაგრამ ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი რომ ჩაერთო პოლიტიკურ ცხოვრებაში და რადგან საზოგადოება ითხოვდა, მეც ჩავები. მაშინ ისტორიული მოვლენები ხდებოდა. ვხედავდი, გადამწყვეტი დრო იყო...

— არ ნანობთ?

— არა, არ ვნანობ. დღეს საქართველო რთულ მდგომარეობაშია, მაგრამ ვფიქრობ, გამოვა ამ კრიზისიდან. შეიძლება, ჩემმა თაობამ ვერ დაინახოს, მაგრამ მომავალი თაობა იმედია, ნახავს, რომ სახელმწიფო შეიქმნა...

— ალბათ იცით, რომ პოლიტიკაში მოხვედრის შემდეგ, თაყვანისმცემელთა რიგები შეგითხელდათ... მეტიც — ბევრი აშკარად გაღიზიანდა და ადრე თუ ყველას უყვარდით, დღეს ასე აღარ არის...

— ჩვეულებრივი დეპუტატი ვარ. ბოლო რევოლუციაში სერიოზული მონაწილეობა მივიღე და ვთქვი კიდეც — ძალიან კარგად ვიცი, ადამიანი როდის უნდა მოვიდეს და როდის წავიდეს პოლიტიკიდან-მეთქი. სიმართლე გითხრათ, არ მინდოდა კიდევ დეპუტატობა. მთხოვეს და დავრჩი, მაგრამ... თანამდებობაზე უარი ვთქვი.

— ეი. ახლა ის დროა, რომ უნდა წახვიდეთ პოლიტიკიდან?..

— შემდეგ პარლამენტში მე ველარ მიხილავთ. პოლიტიკა პროფესიად არ გავიხადე, თუმცა პარლამენტის ვიცესპიკერიც ვიყავი...

— არ გაიხადეთ თუ ვერ გაიხადეთ?

— მე მაინც კინოთი ვსაზრდოობდი. პარლამენტშიც კი მუდამ ამაზე ვფიქრობდი. ვმუშაობდი კინოკანონის შექმნაზე, რაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ბევრი რამ თანდათან დავინახე და ვისწავლე.

კადრი ფილმიდან „არაჩვეულებრივი გამოფენა“

იმასაც მივხვდი, რომ სულ სხვა არის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა, სულ სხვა — პოლიტიკა. ვერ ვიტყვი, ყველაფერს ერთ დღეში მივხვდი-მეთქი, ეს ხანგრძლივი პროცესი იყო. მე და არა მარტო მე, ცოტა ვარდისფრად ვხედავდი ყველაფერს, რაც გარშემო ხდებოდა. გვეგონა, შედეგს იოლად მივაღწევდით. მჯეროდა, მოვესწრებოდი ამას. ახლა ვფიქრობ, რომ ვერ მოვესწრები... ჩვენ ძალიან დიდი პრობლემები გვაქვს, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ 10 წლის წინანდელი და დღევანდელი საქართველო ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. ამბობენ — ის არის დამნაშავე, ეს არის დამნაშავეო... აღარ გამოვდივარ არანაირი განცხადებით. ვფიქრობ, რომ ეს არის პროცესი: გაუთავებელი შეცდომები ხელისუფლების მხრიდან იწვევს ოპოზიციის ასეთსავე გაუთავებელ საპასუხო შეცდომებს. მივდივართ გზაზე, რომელზეც არ გვივლია. იმის განსაზღვრაც ძნელია, თუ რა იქნება გზის ბოლოს. ჩვენი პოლიტიკოსები ისე მსჯელობენ, თითქოს დიდი ქვეყანა ვიყოთ... ჩვენ კი არ მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, ისტორიამ მოგვცა, როგორც ეს გასული საუკუნის დასაწყისში, 1918 წელს მოხდა. საქართველო, როგორც სახელმწიფო, ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული... შეიძლება, რასაც ვამბობ, ისიც არ იყოს ზუსტი — ეს ხომ ჩემი პროფესია არ არის.

— ანუ მიხვდით, რომ პოლიტიკური საქმე თქვენი საკეთებელი არ არის?

— რა თქმა უნდა.

— კინოში დაბრუნებას აპირებთ?

— არც წავსულვარ იქიდან. აკი გითხარით, პარლამენტშიც კინოკანონზე ვფიქრობდი-მეთქი. თუ გვინდა, კინოსივრცეში არსებობა, უნდა მოვნახოთ კინობაზარი, — ეს ვიცოდი და ვცდილობდი, სხვებისთვისაც დამენახვებინა. ხომ არ შეიძლება, ქართველმა რეჟისორმა ფილმი გადაიღოს კინოთეატრ „ამირანისათვის"!.. გინდაც, 20 კინოთეატრი იყოს — ეს მაინც არ არის ბაზარი. კინოინდუსტრია იქ ვითარდება, სადაც მაყურებელია — მაგალითად, ჩინეთში, ინდოეთში, ამერიკაში. ევროპას უკვე ძალიან უჭირს. რუსეთში კი კინო მომგებიანი გახდა, 50 ფილმს მაინც იღებენ. ჩვენთან ეს არ მოხდება, მოსახლეობა არ იძლევა ამის საშუალებას. ჩვენ უნდა მივეკედლოთ რომელიმე დიდ ბაზარს. ჯერჯერობით ვერ ვისწავლეთ, როგორ... დავაარსეთ კინოცენტრი, რომელიც ჯერ ვერ მუშაობს. ამასაც დრო უნდა...

იმდენი კომედიური, იუმორისტული და საგირული ფილმი მაქვს გადაღებული, რომ ჩემს თავს არასერიოზულ რეჟისორს ვეძახდი (კადრი ფილმიდან „შერეკილები")

— თქვენ მაინც ხომ შეგიძლიათ, თქვენი ურთიერთობები გამოიყენოთ და გადაიღოთ ფილმი...

— შანსი მომეცა, ნიდერლანდებში გამეტანა ჩემი სცენარი. მოლაპარაკებისას მკითხეს — რა გაქვთო? — გვყავს მსახიობები, გვაქვს შესანიშნავი ბუნება-მეთქი. გაკვირვებით შემომხედეს — თუ სხვა არაფერი გაქვთ, თქვენ არ გნდომებიათ კინოს გადაღებაო... გელა ბაბლუანმა საფრანგეთში გადაიღო ფრანგული ფილმი, თემურ ბაბლუანიც ფრანგულ სურათს ამთავრებს. ნანა ჯორჯაძე, ოთარ იოსელიანი — ყველანი იქ მუშაობენ, სადაც ყველაფერი მოწესრიგებულია. ჩვენ კი საქართველოში ფილმებს მხოლოდ ფესტივალებისთვის ვიღებთ და გვიხარია. ფესტივალი კი კინოსაბაზრო ეკონომიკაში არის რეკლამის ერთ-ერთი საშუალება... არის ქვეყნები, რომლებიც ამ გზით მიდიან — მაგალითად, ფინეთი. ის თავის კინოს 100%-ით აფინანსებს. ჩვენს ბიუჯეტს ეს არ შეუძლია...

— არც კინო, არც პოლიტიკა... ვერსად ვერ გრძნობთ თავს კარგად...

— ჯერ ვერაფერს გეტყვით. ერთ ძალიან დიდ თემაზე კი ვმუშაობ და ვნახოთ, რა იქნება...

— როგორ მოქმედებს ის, რასაც თქვენზე ამბობენ ტელევიზიით, პრესით?

— იყო დრო, როცა გაკილვას ძალიან განვიცდიდი, განსაკუთრებით მას მერე, რაც პოლიტიკაში მოვედი. მერე ეს გაქრა. რომ გადაქექოთ მთელი პრესა, ცილისწამებაზე ჩემს პასუხს ვერსად ნახავთ. რა უნდა მეპასუხა?.. ერთხელ მანქანების ქურდობაც დამაბრალეს — იპარავს, შლის და ნაწილებად ყიდისო. ატყდა ერთი ამბავი — მეგობრები მირეკავდნენ: პარპრიზი მომპარეს, შენ ხომ არ გაქვსო? საბურავი მომპარესო...

— უფრო სერიოზულია, როცა თქვენს აგენტობაზე ლაპარაკობენ... თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?

— უცნობს თუ დაარქმევ აგენტს, ეს საინტერესო არ არის, ცნობილს კი... ყველა, ვინც კი 9 აპრილის შემდეგ რუსეთში რაღაც თქვა, ამ ქარცეცხლში აღმოჩნდა.

— სინამდვილეში არასოდეს ყოფილა თქვენზე ზემოქმედების მცდელობა?

— არასოდეს. იმ ორგანოებმა უკეთ იცოდნენ, ვისთან უნდა ეცადათ საქმის დაჭერა და ვისთან — არა. სუკში ერთხელ დამიბარეს, ისიც — მსახიობ ნუგზარ შარიას ამერიკაში დარჩენის გამო. მაშინ კინოკავშირის სამდივნოს წევრი ვიყავი, ახალგაზრდებთან ურთიერთობის დარგში. პოლკოვნიკმა ზარდალაშვილმა (ახლაც მახსოვს მისი გვარი) მითხრა: გვაინტერესებს თქვენი აზრი, რატომ დარჩა შარია უცხოეთშიო? — ამას ხელი თვითონ შეუწყვეთ-მეთქი. — როგორო? — ინსტიტუტი მეც დავამთავრე, მაგრამ არავის არაფერი დაუწერია „ზარია ვოსტოკაში", ნუგზარ შარიაზე კი დაიწერა... თვითონ გაანებივრეთ ეგ კაცი-მეთქი. ასეც იყო. ნუგზარ შარიას ბიძა, მიტროფანე კუჭავა იმდროინდელ

მთავრობაში დიდი კაცი იყო. ამიტომაც გაუშვეს ამერიკაში დელეგაციასთან ერთად მაშინ, როცა რომელიმე დიდ რეჟისორს — მაგალითად, თენგიზ აბულაძეს არავინ გაუშვებდა... მეორედ ძალიან სასაცილო ურთიერთობა მქონდა სუკთან. ბატონი სიკო დოლიძის შემდეგ მე გავხდი კინოკავშირის პირველი მდივანი (მდივნებს არ ირჩევდნენ, ცეკა ნიშნავდა). იმ დროს თბილისში პატიმრობიდან დაბრუნდა სერგო ფარაჯანოვი. ის ჩვენი მეგობარი იყო. მძიმე დღეში აღმოჩნდა. ფილმს არ აღებინებდნენ, ავიწროებდნენ. გადავწყვიტე, მისი ნამუშევრების გამოფენა გამეხსნა — ის ხომ შესანიშნავი მხატვარი და კოლაჟისტი იყო. კინოს სახლში ხშირად ეწყობოდა კინომხატვრების ნამუშევრების გამოფენა... მოვიდა ჩემთან ერთი სუკელი კაცი და მითხრა: ფარაჯანოვის გამოფენის მოწყობა გადაგიწყვეტიათ და ან ჩვენთვის გეკითხათ, ან ცენტრალური კომიტეტისთვისო... მხრები ავიჩეჩე — თქვენთან ასეთი ურთიერთობა არ გვქონია, სუკელები კინოს სახლში მხოლოდ საზღვარგარეთული ფილმების სანახავად მოდიოდნენ-მეთქი (კინოს სახლში ჩამოჰქონდათ ცნობილი უცხოელი რეჟისორების სურათები და ეწყობოდა დახურული ჩვენებები. მთელი ქალაქი კარს გვაწყდებოდა, მათ შორის სუკიც. მოითხოვდა, 100 ბილეთი ჩვენ მოგვეცით, 200 — ცეკასო. კინემატოგრაფისტების ადგილი არ რჩებოდა ხოლმე, ამიტომ დიდი წვალების შემდეგ ორ სეანსს ვუშვებდით). ვუთხარი — სერგო ფარაჯანოვის გამოფენის ამბავი გახმაურებულია და ვეღარ ავკრძალავთ, ძალიან ცუდი პრეცედენტი იქნება-მეთქი. — მაშინ, გამოფენის გახსნამდე გვაჩვენეთ და მოგვეცით უფლება, რაც არ მოგვეწონება, მოვხსნათო. დავთანხმდი, სხვა რა გზა მქონდა?! ეს სერგოს რომ ვუამბე, დამამშვიდა: ისეთ კოლაჟს გავაკეთებ, რომ ძალიან მოეწონებათო. გავიფიქრე: ნაღდად ისეთ რამეს იზამს, ყველას დაგვიჭერენ-მეთქი. სამ დღეში დამიბარა. მივედი. სერგოს ძალიან უყვარდა „სპექტაკლების დადგმა“. ჯერ გარეთ დამაყენა — უნდა მოვამზადო, გავანათო კოლაჟები, მერე უცბად შემოდი და უცბადვე შეხედეო. შევედი და გავშრი: ლენინის თემაზე გაეკეთებინა 4 კოლაჟი. ძალიან საინტერესო იყო, მაგრამ... სერგო მამშვიდებდა — ნახე, ეს გადაარჩენს ყველაფერსო... გამოფენა მოვაწყვეთ. თავში ყვავილების კოლაჟები დავკიდე, მერე — ლენინის და ბოლოს — ბანაკის კოლაჟები — ამისი განსაკუთრებით მეშინოდა. მოვიდა სუკი. თითო საათი იდგნენ ყვავილებთან, რაღაცას ეძებდნენ. რომ მიადგნენ ლენინს, გაშრნენ. მერე მითხრეს: ოღონდ ლენინის კოლაჟები ჩამოხსენით და სხვა ყველაფერი იყოსო. ამოვისუნთქე და სერგოს ვახარე. არ გაბრაზდა?! როგორ, ეგ ჩემი ბოლო, საუკეთესო ნამუშევარია, მაშინ აღარ მინდა ეს გამოფენაო! ორი კვირა ვეხვეწებოდი, „ლენინების“ ჩამოხსნის ნება დაერთო.

პარლამენტშიც კინოკანონზე ვფიქრობდი

— განვლილ ცხოვრებაზე რას ფიქრობთ?

— ბავშვობა რთული გვქონდა, მშობლები ადრე დავკარგეთ. სოციალურად მძიმე იყო ჩვენი ყოფა, მაგრამ ძალიან საინტერესო პერიოდში ვცხოვრობდით... მსოფლიო ომმა ბევრი რამ გვაჩვენა. ყველაფერმა, რაც ზურგში ხდებოდა, ჩვენს მხრებზე გადაიარა. ისეთი სიხარული, რისი მომსწრეც მე 9 მაისს, გამარჯვების დღეს გავხდი, არასოდეს მინახავს... დილით რაღაც ხმამ გამაღვიძა. წამოვხტი, გავიხედე და ხალხი გარბოდა. ჩავიცვი და მეც მათ გამოვუდექი. გზაში გავიგე, ომი დამთავრებულიყო. თავისუფლების მოედანზე (მაშინ ბერიას მოედანი იყო და არც ლენინის ძეგლი იდგა) თავშეყრილი ხალხი ტიროდა, იცინოდა, ცეკვავდა... ეს საოცარი იყო. ომის მერეც გვიჭირდა. მოსკოვში სტიპენდიით ვცხოვრობდი. ცოლი მანამ ვერ მოვიყვანე, ვიდრე პირველი ფილმის გადაღება არ დავიწყე „მოსფილმში“ ალექსეი სახაროვთან ერთად და პირველი ჯამაგირი არ მივიღე... გვიჭირდა, მაგრამ 60-იანი წლების შემდეგ მაინც იმას ვაკეთებდით, რაც გვინდოდა. ბევრი ჩვენგანი დაისაჯა — მიხეილ კობახიძე, სერგო ფარაჯანოვი. მათი ესთეტიკა საბჭოთა კინოსთვის მიუღებელი აღმოჩნდა... და მაინც, 60-იანელები ბედნიერები ვიყავით. მამაჩემის დროს ვერ გადავიღებდი იმას, რაც გადავიღე. ახლაც კი ჩანს, რომ ქართული ხელოვნებით ნიადაგი მზადდებოდა იმისა, რომ გვეთქვა: ჩვენ ვარსებობთ, როგორც ცალკეული ერთეული. ქართულმა კინომ მიაღწია ამას: პარიზში, პომპიდუს ცენტრში, საბჭოთა კინოს რეტროსპექტივა გაიმართა. შემდეგ ცალკე ჩატარდა 100 ქართული ფილმის რეტროსპექტივა. ამ საქმეს ემსახურებოდა ქართული თეატრიც, ცეკვაც...

— ამბობენ, დედის გარდაცვალების შემდეგ მუდმივ სტრესში იმყოფებოდით, რადგან არ ცხრებოდა ხმები, ვითომ ქალბატონი ნატო ცოცხალი იყო და სადღაც ციმბირში ჰყავდათ, ერთხელ, საძებნელადაც კი წავიდნენ ელდარი და გიორგიო...

— არა, მოსაძებნად არ წავსულვართ, რადგან ვიცოდით, რომ დედა მართლა დაიღუპა... ცხადია, უსიამოვნო იყო ასეთი ჭორების მოსმენა...

— ძმებზე რას იტყვით?

— მე, თენგიზი და გიორგი ძალიან დამოუკიდებლები ვიყავით ჩვენი შეხედულებებით, გვქონდა განსხვავებული ხედვა. ამავე დროს, ერთიანობასაც ვახერხებდით. უფროსუმცროსობას არ ვარჩევდით არასდროს, ძმები ვიყავით და ვართ...

— მამას რომელი ჰგავხართ?

— ალბათ, უფრო — გიორგი...

— თქვენ დედასთან გაქვთ მეტი საერთო?

— ვერ ვიტყვი... გეტყვით, რაზე ვდარდობ... რაც ხანში შევედი, მეტი სულიერი კონტაქტი გამიჩნდა მშობლებთან და უფრო მეტად მასევდიანებს მამაჩემის ბედი. მას გაცილებით მეტი უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ისიც ვიცი, რისი გადატანაც უხდებოდა. რა ექნა მამას, რომელსაც ოჯახი ჰქონდა, მცირეწლოვანი შვილები ჰყავდა?!. ამიტომ დაიწყო „ელისოთი“ და დაამთავრა „სამშობლოთი“... სერგო კლდიაშვილი მამაჩემის მეგობარი იყო. ძია სერგოს ყველა მოთხრობა წავიკითხე. ის დიდი ევროპელი მწერალი უნდა გამხდარიყო. წელში გადატეხეს... გადატეხილ ტოტზე კი, რა ყვავილი გაიშლება?!. ასე გადატეხეს მამაჩემის თაობის ბევრი ნათელი ნიჭი. ახლა თავისუფლებაა: შეგვიძლია ვწეროთ, გადავიღოთ... კარგი კინო — ფუფუნებაა, ფურცელი და კალამი — იაფია. ბევრი ნიჭიერი მწერალი გვყავს, მაგრამ ჯერჯერობით მნიშვნელოვანს ვერაფერს ვხედავ. ლიტერატურა, სიტყვა ბევრს განსაზღვრავს, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის... რთულია ხელოვნების და ხელოვნის ბედის განსაზღვრა... ეპოქას თავისი მოაქვს და მიაქვს...

■

მოძღვრავდა, რომ ძალიან არ გვეაქტიურა. მას მერე მსგავსი შეხვედრა არაერთხელ გვქონია. ვჩხუბობდით კიდეც, ჩვენ მის მარქსისტულ იდეებს ვაკრიტიკებდით, ის კი გამოკვესავდა თვალებს და თავგადაკლული იცავდა თავის მარქსს. მათთვის ეს რწმენა იყო, რაღაც რელიგიის მსგავსი რწმენა. ამ დროს ასაკის სხვაობა გვავიწყდებოდა და არც ერთი მხარე არ თმობდა პოზიციებს. როცა გვიბრაზდებოდა, ქრისტიან ფანატიკოსებს გვეძახდა, რადგან ჩვენი ეროვნული იდეალები მართლმადიდებლურ რწმენაზე იყო დაფუძნებული, ის კი, როგორც მარქსისტი, ათეისტი იყო. ძნელად, მაგრამ მაინც აღიარებდა, რომ პირველმა რესპუბლიკამ ბოლშევიკების წინააღმდეგ სათანადო სიმტკიცე ვერ გამოიჩინა. ლიზიკოსთან საუბარი ძალას მმატებდა, პირველად ვხედავდი მისი ასაკის ადამიანს, მამაჩემს თუ არ ჩავთვლი, რომელსაც მსგავსი ანტიკომუნისტური აზრები ჰქონდა. მაინც იდეალისტი იყო, მაგრამ ეს პატარა, კაფანდარა ქალი უზარმაზარ ენერგიას ასხივებდა. რომ შეხედავდი, ეგრევე გრძნობდი, რომ გაუტეხელი იყო. ეს ანდამატივით გვიზიდავდა, ამავე დროს ფაქიზი იყო და ნაღდი“.

თუ, ლიზიკოს ასაკის და გამოცდილების პატივისცემით, ბიჭები მაინც უთმობდნენ, თამარ ჩხეიძე უკომპრომისო იყო. აქ მხოლოდ ერთი ძველი გამოთქმა ივარგებს: მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო. ახლა წლებმა და გამოცდილებამ ყველა დაადინჯა და დააბრძენა, მაშინდელი დისკუსიები, ხმის ჩახლეჩამდე საკუთარი იდეის დაცვა დავიწყებას მიეცა, არადა, კარგი იყო, გაფხიზლებდა... მიუხედავად მწვავე კამათისა, თამრიკო ყოველთვის დიდ პატივს მიაგებდა ლიზიკო ქავთარაძის პიროვნებას:

„სულ წერდა და კითხულობდა. მისთვის ზეიმი იყო, თუ ვინმე ესტუმრებოდა. ნუცუბიძეზე, პირველ სართულზე ცხოვრობდა. ანტიბოლშევიკი მარქსისტი იყო და ათეისტი, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობა მისთვის, ისევე, როგორც ჩვენთვის, უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენდა. გვიყვებოდა ციხესა და ბანაკებზე, სუკის ხრიკებსა და არაადამიანურ მეთოდებზე. ჩვენ მაშინ ძალიან ახალგაზრდები ვიყავით და ბევრ რამეს სხვაგვარად ვუყურებდით. გოგონებს სულ გვეჩიჩინებოდა — გათხოვდით, დაოჯახდითო, თვითონ კი გაუთხოვარი იყო. პირველმა, მარიკა ბაღდავაძემ დაუჯერა...

ერთხელ, ჩვენი დაჭერის წინ მივედით მასთან სტუმრად. ისე, სასხვათაშორისოდ ვუთხარით, რაც გველოდა. თავისი ამბავი მოგვიყვა. 1924 წელს მასაც დასაჭერად დასდევდნენ და თავის მასწავლებელს, ლუარსაბ ანდრონიკაშვილს რჩევა სთხოვა, მას კი უპასუხია: „ლიუბიშ კატაცსა, ლიუბი ი სანოჩკი ვოზიტ“. ძალიან გაბრაზდი მაშინ ლიზიკოზე. მერე დარიგება დაგვიწყო, ციხეში რა საფრთხე გველოდა და როგორ უნდა მოვქცეულიყავით“...

კინორეჟისორმა **გია ჟუღაბრიამ** *დეიდის რამდენიმე ნაშრომი გამაცნო და შემომჩივლა, რომ მათ გამოსაცემად თანხა ჯერ ვერ მოიძებნა. გული დამწყდა, რომ ასეთ მაღალმხატვრულ, საინტერესოდ საკითხავ ნაშრომებს და ცოცხალ მოგონებებს დღემდე მტვერი ეყრება — მაშინ, როდესაც ვიღაცისგან დაფინანსებულ მაკულატურას, რომელსაც ავტორიც კი აღარ კითხულობს, მიაქვს ყველაფერი. პატონმა გიამ თავისი ოჯახისა და ლიზიკოს ისტორია მიამბო:*

„სამი წლის ასაკს 13 დღე მაკლდა, როდესაც ჩვენს ოჯახს სუკის აგენტები „ეწვივნენ“. ციმბირის გადასახლებიდან ახალდაბრუნებული ჩემი ერთადერთი დეიდა ლიზიკო განმეორებით დააპატიმრეს. ჩხრეკა, სუკის აგენტების გაპრიალებული ჩექმები, გადმოყრილი წიგნები, ფოტოგრაფიები და დოკუმენტები. ქართული და არაქართული ყალბად მოღიმარი სახეები, ოთხკუთხედი შავი ულვაშებით და ჩვენი სასადილო ოთახის ცისფერი ჭაღის შუქი. შემდეგ ყრუ ჩასასვლელის გრძელი ხის კიბე და ქვემოთ, კართან გაჩერებული მანქანა, გვერდითი დიდი ნათურით. დეიდამ პატარა ხელზე მომითათუნა, შუბლზე მაკოცა და ჩვენ დავშორდით. დეიდასთან შეხვედრა მეორე თუ მესამე დღეს ორთაჭალის ციხის ბინძურ დარბაზში მოხდა. გისოსებს მიღმა სიღრმიდან მცირე კარი გაიღო, ხელგაშლილი დეიდაჩემი გისოსებს

თბილისის მეორე ქალთა გიმნაზიის დამამთავრებელი კლასი (ზემოთ ლიზიკო ქავთარაძე)

მოუახლოვდა და ხმამაღლა, უტეხად შემოგვღაღადა: „ამ ღამეს მაწამეს“. ეს გონებაში ჩამრჩა და მოგვიანებით გავაცნობიერე.

როგორც ვიცი, პირველი დაპატიმრების დროს, ლიზიკოს შესთავაზეს ემიგრაციაში წასვლა. მაშინ კომუნისტები ამ გზით იშორებდნენ აქტიურ მოწინააღმდეგეებს, მაგრამ დეიდამ უარი უთხრა, დაახლოებით ისეთივე სიტყვები მიახალა „ენკავედეს“, როგორიც მარო მაყაშვილმა: „სადაც ჩემი თანამემამულეთა სისხლი და ცრემლი იღვრება, მეც იქ უნდა ვიყო“. იგი მეტეხის ციხეში ჩასვეს. კამერის კედელზე ლიზიკომ თავისი მამის, ქაიხოსრო ქავთარაძის მინაწერი ნახა.

ჩემი პაპა, ქაიხოსრო ქავთარაძე ქართული საზოგადოებაში ცნობილი პიროვნება იყო. მეგობრობდა ილიასთან, მიხეილ ჯავახიშვილთან და იმ დროის გამოჩენილ ადამიანებთან. სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი იყო და 1911 წელს დაიჭირეს. მეტეხის ციხეში იჯდა და შემდეგ, როსტოვის ოლქში გადაასახლეს. მალე მას „თავისუფალი გადაადგილების“ უფლება მისცეს, იყო სასჯელის ასეთი ფორმა და სათანადო განაცხადით ზოგჯერ სამშობლოში ჩამოსვლაც შეეძლო. ლიზიკო გადასახლებაში დაიბადა. ჩემი გამზრდელი ბებია ოლგა გაბიტაშვილი ექიმი იყო. მან უამრავი გაჭირვება გადაიტანა — ჯერ მეფის რუსეთის რეჟიმისაგან, ქმრის გადასახლების გამო, შემდეგ კი ლიზიკოს დაპატიმრებამ ლოგინად ჩააგდო. მაგრამ ქმრის გარდაცვალების შემდეგ ყველა ძალა მოიკრიბა და ოჯახს უძღვებოდა. ლიზიკოს მეორედ დაპატიმრებაც მძიმედ გადაიტანა. ჩვენს ოჯახს მუდმივად უთვალთვალებდნენ და საცხოვრებლად საჩხერის რაიონის სოფელ ივანწმინდაში გადავედით. იქ დაწყებით სკოლაში ვსწავლობდი. ზამთარში მძიმედ გავხდი ავად და ბებიამ გადამარჩინა. ომის შემდეგ, თბილისში დავბრუნდით. აქაც ძალიან გვიჭირდა. ბებია სისხლს აბარებდა, რომ ლუმპაპური გვქონოდა და წელიწადში ერთხელ ლიზიკოსთვის წერილი და ამანათი გაეგზავნა. სამწუხაროდ, შვილის დაბრუნებას ვერ მოესწრო, ერთი წლით ადრე გარდაიცვალა... ლიზიკო ოჯახს საბოლოოდ, 1956 წელს დაუბრუნდა. მახსოვს, წინასწარ შევიტყვეთ, როდის ჩამოდიოდა და მანქანით გორში ჩავედი მატარებლის დასახვედრად. დეიდა არ მახსოვდა. ვაგონში ავედი და ძებნა დავუწყე პატარა ტანის ქალს, რომელიც ლიზიკო უნდა ყოფილიყო. ხელებით მივხვდი, რომ ისაა, დეიდაჩემის მსგავსი ხელები ჰქონდა. შემდეგ დეიდამ რეაბილიტაცია მიიღო და ორთაჭალაში ერთი ოთახი მისცეს. უსინდისობა იყო ეს რეაბილიტაცია, ცხოვრების 28 წელი ვითომ არც ყოფილა: თქვენ გამართლებული ხართ, დანაშაული არ მიგიძღვით სახელმწიფოს წინაშეო... ის კი მაინც გაუტეხელი იყო და სულ ცდილობდა, სამშობლოს სიყვარულით ანთებული ხალხი გარშემო შემოეკრიბა. ვეუბნებოდი, ეს ხალხი ის აღარაა, რაც შენს ახალგაზრდობაში იყო-მეთქი, რადგან აქ დამკვიდრდა მედროვეობა, ნებისმიერი გზით მიზნის მიღწევისკენ სწრაფვა და გაუტანლობა. გიჟდებოდა, ამას რომ ვეუბნებოდი — არაო; როგორც კი დამოუკიდებლობას მოვიპოვებთ, ერთ დღეში ეს ხალხი გადაიქცევა იმათ, რასაც დიდი ქართველი ერი ჰქვიაო. სამწუხაროდ, ჩემმა პრაგმატიზმმა გაიმარჯვა. ახლა, რაღაც ფორმით 37 წელი რომ დაბრუნდეს, ნამდვილად იგივე მოხდება, რაც მაშინ და შეიძლება, უარესიც. იმ დროს, ოფიციალური მონაცემებით, ერის 170 ათასი საუკეთესო შვილი დაიღუპა და უგზოუკვლოდ დაიკარგა გულაგის ჯურღმულებში“.

პატონ გიას ვთხოვე, უფლება მოეცა, ჩემს წიგნში ჩამერთო ლიზიკო ქავთარაძის ნაშრომების ფრაგმენტები, რადგან საშველი არ დაადგა მათ გამოცემას. მთლიანი, სრულყოფილი სურათის „დაჩეხვა“, რასაც ლიზიკო ქავთარაძის ნაშრომები წარმოადგენს, ჩემი მხრიდან დიდი უკეთურობაა, მაგრამ სხვა გამოსავალს ამჯერად ვერ ვხედავ. ვეცდები,

ამ ფრაგმენტებით დროის ქროლვა და ქართველი ქალის შეუდრეკელი სული წარმოვაჩინო. ჩვენ ყველანი ხომ წარსულიდან მომავალში მოვდივართ და ეს ხაზი არასოდეს წყდება.

ელისაბედ (ლიზიკო) ქაიხოსროს ასული ქავთარაძე დაიბადა 1906 წელს და ისეთ გარემოსა და დროში ცხოვრობდა, რომ ბავშვობიდანვე ჩაერთო საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. 14 წლისა, უკვე „ახალგაზრდა მარქსისტთა“ წევრი იყო. ძალიან მტკივნეულად განიცადა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა და ბოლშევიკების შემოსვლა. ამ დღეებს ლიზიკო დიდი გულისტკივილით აღწერს:

საქართველოს შავი თებერვალი

„როდესაც საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიაზე მეთერთმეტე არმიის მოძრაობა საეჭვოდ შესამჩნევი გახდა, შეშფოთებული გრიგოლ ლორთქიფანიძე დიდ ნოეს ეახლა (ნოე ჟორდანიას, ხანდაზმულობით და უპირატესი მნიშვნელობით, ნოე რამიშვილისგან გამოსარჩევად, ასე ეძახდნენ) და კვლავ რუსეთის მიმართ ნდობის შეუწყნარებლობის შესახებ მოახსენა. ნოე, მისი თანდასწრებით, ლენინს პირდაპირი ხაზით დაუკავშირდა. სასტიკად შეურაცხყოფილმა რევოლუციის ბელადმა უპასუხა: — ნოი ნიკალაევიჩ, საქართველოს დამოუკიდებლობა, დე ფაქტო და დე იურე, რუსეთმა პირველთაგანმა ცნო. ეჭვს ნუ კადრულობთ, ჯარი თავის მორიგ მანევრებს, სწავლის მიზნით მართავს და სხვა არაფერი. ტელეგრაფის ლენტზე აღბეჭდილი, ლენინის ცბიერი და ვერაგი პასუხი რამდენიმე დღეში, ახალი ლენტით შეიცვალა, რაც ყველამ იცის.

მახსოვს, იმ საბეწისწერო დილას, ხალხი თავისი დედაქალაქის შუაგულ მოედანზე შეკრებილიყო. ერთი წუთითაც არ წყდებოდა შეკრებილთა სრულიად სტიქიური და ამავე დროს მწყობრად საქმიანი მოძრაობა. წესრიგის დამცველთა სულ ახალი რაზმები იქვე დგებოდნენ და სწრაფად მიემართებოდნენ დანიშნულების მისაღებად. აქა-იქ გაბნეულ მაგიდებთან მოხალისეთა ჩაწერა მიმდინარეობდა და ტევა არ იყო. სახელდახელოდ მიტინგები იმართებოდა, ფრონტის ამბების ზეპირი გადმოცემა ისმოდა. გაზეთის გამყიდველები ჩანთებს სწრაფად აცარიელებდნენ; ქალებს საკერავი ნაჭრები მიეღოთ და სახლისაკენ მიიჩქაროდნენ. უქმად არც ბავშვები რჩებოდნენ. ერი თავის დასაცავად აღმდგარიყო და რაღაც საოცარი წესრიგიანობის გუმანით საქმეში თანდათან ებმებოდა, თავის ადგილს იკავებდა. არავითარი პანიკა, არეულობა, მით უმეტეს ძაბუნი, მოდუნება, გულხელდაკრეფილი შორიდან ცქერა, შიშნაკრავი, ანგარიშიანი განდგომა, არ არსებობდა.

აგერ გამოჩნდა ყველასათვის ასე ნაცნობი კაბრიოლეტი:

„— ბატონო ნოე!“ — შეღაღადა ხალხმა. კაბრიოლეტში ჭაღარა მოხუცი წამოიმართა:

„— შვილებო!“ — „დიახ“, — გოდებდა ხალხი, ქვითინებდნენ ქალები, კაცის ხელი მალული წკიპურტით იშორებდა ჩამოგორებულ სიმწრის ცრემლს... ტროტუარების გასწვრივ ჯარი მიედინებოდა. ხელების ქნევით და სახელდახელო ნუგბარით მათ ქალები და ბავშვები მისდევდნენ...

„— თქვენ იცით და თქვენმა ვაჟკაცობამ!“ — საპასუხოდ ომახიანი შეძახილები ისმოდა.

თეთრ ცხენზე ამხედრებულმა, თმაქოჩორა ჭაბუკმა, საგანგებო კინოკადრივით გაიელვა: „გამარჯვება! გამარჯვება!“ — გრგვინავდა მისი ხმა. მაცნე თუ იყო ფრონტიდან, თუ გაცოცხლებული ბაში-აჩუკი. იქნებ გასამხნევებლად ჩაიქროლა ვინმემ. მაგრამ ჭაბუკი შემდეგაც ვნახე. ცხენს კვლავ დიდი სისწრაფით მოაგელვებდა და გამარჯვება მის სახეს აღარ ეწერა. ალბათ იქ, ზემოთ, არცთუ ისე იმედიანად მიიჩნიეს მისი პატაკი...

დიდ ეროვნულ მწუხარებას მოეცვა ყველა. ერთიანობის გრძნობას ერთ არსებად ექცია ხალხი. დანაშაულზე წასწრებული ორი ჯაშუში — კოხი და ივანოვი, ბადრაგს მოჰყავდა. მათ ირგვლივ აღმართული მუშტების რკალი გაჩნდა. წრე ვიწროვდებოდა. ბადრაგი დაცვას ვეღარ ახერხებდა... მოულოდნელად ხმამ იჭექა. რამდენიმე მოქალაქეს ხელში აეტაცა ვინმე ქართველი და უცბათ ჩამოვარდნილ სიჩუმეში ამ ცოცხალი ტრიბუნიდან კვლავ დაირხა ქართველი ერის მარადი დიდსულოვნების სიტყვა: „— შეჩერდით! მონური ძალადობით არ წაიბილწოთ! ბრმა შურისგებით ჩვენ მტერს ანგარიშს არ ვუსწორებთ. ჩვენ ვიყავით და ვართ თავისუფლების ერთგული ხალხი. მონების ბოგან ბრბოდ არც დღეს ვიქცევით. დამნაშავენი კანონს ჩავაბაროთ“ — რკალი გაირღვა და უცაბედი ორატორი, რომელსაც მკვდრისფერი ედო, ძირს დაუშვეს. ეს საოცარი სცენა სიტყვასიტყვით ჩამრჩა გონებაში.

ნოე ჟორდანია და პირველი რესპუბლიკის მთავრობის წევრები

მეორე დღეს ტყვეები მოჰყავდათ, ჩამოძონძილი, წვერიანი და უტყვი სახეებით, შეშინებულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ... კვლავ აღშფოთება, ზიზღი, გულამღვრეული შეძახილები და თვალის დახამხამებაზე კვლავ ცოცხალი ბარიერი: ქალი, კაცი, მოხუცი, ბავშვი ხელიხელჩაკიდებული გადაიჯაჭვა მათ დასაცავად. ერთი სული მქონდა, მეც ამ ცოცხალ ჯაჭვს რგოლად შევმძვრალიყავ, მაგრამ ყელზე უკვე საკმაოდ შემძიმებული ყულაბა მეკიდა. მრავალი ჩემი ტოლი გოგობიჭი ხალხში შეწირულობას ვაგროვებდით. არ ვიცი, ვინ დაგვავალა, ასე კი ხდებოდა, ავავსებდით ყულაბებს და სასახლისაკენ გავრბოდით. კონტროლს არავინ გვიწევდა. ალბათ არც იმათ, ვინც შეწირულობას იბარებდა, ითვლიდა და სიებში შენაჯამი შეჰქონდა.

საგანგებო ზომებით, ჩვენი მთავრობა კვლავდაც აწესრიგებდა ნირშეუცვლელად წინ უძღოდა მარადი ჭირვარამის, ქედუდრეკელ თავის ქვეყანას. ჩვენ, „შეკარდენის“ გაზრდილები, ვისაც ფრონტი არ უწევდა, წილს ვიდებდით ყველგან, სადაც საჭიროება იბადებოდა. სასახლეში, სიმბოლურად ალებარდებით აღჭურვილ საპატიო დაცვით გარემოცული, ხალხის რჩეულნი შეკრებილიყვნენ. დამფუძნებელი კრება სამი დღე-ღამის უწყვეტ სხდომაზე, დასამტკიცებლად განიხილავდა საქართველოს კონსტიტუციის პროექტს. რადგან ყიზილბაშური ძალმომრეობით კვლავ ისპობოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობა, თავისი ჭეშმარიტი სახით საქართველო უნდა წარმდგარიყო კაცობრიობის და ისტორიის წინაშე, ვანდალების სიყალბე-სიმრუშის ხელყოფისაგან სრულიად დაცული... ერის ძირითადი კანონი იყო სისხლიან საუკუნეთა გამოვლილი დროშის გამარჯვება — ბოროტების წინააღმდეგ სიკეთისათვის შემართება, თავისუფლება სინდისის, მრწამსის, ადამიანის, მოქალაქის, ერის და ქვეყნის... სწორუპოვარი, არაფერთან არშესადარ ღერბის ქვეშ დააყენა ქართველმა ხალხმა თავისი სამშობლო. კანონი, როგორც გულზე დაკიდებული სჯულის ფიცარი კვლავდაც დაიფარავდა ქვეყანას განსაცდელის შავბედით გზებზე. ასე იყო და ასე იქნება; წინ გვიძღოდა დავითის ხმალი და თანაბარის ძალით „გალობანი სინანულისა“... მეთერთმეტე არმიამ ომის გამოუცხადებლად დაიწყო საქართველოს ოკუპაცია. ყაჩაღური თავდასხმა ლენინმა აჯანყებულთა დახმარებად გამოაცხადა. ნადირ-ბელადს თავი არ შეუწუხებია, აჯანყების ერთი მიყრუებული სოფელი მაინც დაეზუსტებინა და წყვილი მეამბოხე მაინც დაესახელებინა... თუმცა ეს რა მოსატანია, სამართლის პოზიციიდან მგელს არავინ ელაპარაკება.

იმ დილას, როდესაც საზღვრის დარღვევა ფაქტად იქცა, მთავრობის სასახლისაკენ გაშურებულ გრიგოლ ლორთქიფანიძეს, გზად კიროვთან შეუვლია, რომელიც მაშინ რუსეთის საელჩოს ხელმძღვანელობდა ანუ ჯაშუშების ბუდეს კრუხობდა:

— Карты на стол! — ზიზღით შეუძახია გრიგოლს, ნაამხანაგარ რევოლუციონერისთვის.

— Не только карты, но и чемодан на столе, — ხულიგნურად დაღრეჯილა გარეწარი, რომელიც ბარგს ალაგებდა. ჯაშუშების ბუნაგი აყრილიყო. ომგამოუცხადებელ ომის დილას, პოლიტიკურ „შპანა-ურკების“ საელჩო თავის „მალინას“ ტოვებდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ფონდის საჯარჯიფო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. რა არის ზარინი?
2. ამ პროფესიის ადამიანს ჩვენ წინაპრები ბეითალს ეძახდნენ.
3. რატომ შეხვდა კათოლიკური ეკლესია სასტიკი პროტესტით ვაკუუმის აღმოჩენას?
4. ამ ეროვნების ხალხი კორსიკელებსა და ამერიკელებზე ადრე ასრულებდა ქართულ ხალხურ სიმღერებს.
5. საყოველთაოდ ცნობილი რომანის ამ გმირს დიდი სურვილი ჰქონდა, მუნჯი მასხარა ჰყოლოდა. მან ერთი ნუბიელი სკვდილმისჯილი შეარჩია, რომლისთვისაც ერთ დღეს ენა უნდა მოეჭრათ, მეორე დღეს — ხელი და მესამე დღეს — თავი. მან დაიცადა, სანამ ნუბიელს ენას მოაჭრიდნენ და შემდეგ გამოისყიდა იგი. დასახელეთ ეს პერსონაჟი.
6. 1950 წელს ფიფამ აკრძალა ფეხბურთის ფეხშიშველი თამაში. დასახელეთ ქვეყანა, რომლის ნაკრებიც ამ დრომდე ასე ასპარეზობდა?
7. რომელ ქალაქში გარდაცვალა შამილი?
8. ციცქა, ალიგოტე, ჩინური, ცოლიკაური, გორული მწვანე, რქაწითელი, ძველშავი — რა ნიშნით შეიძლება ამ ყურძნის ჯიშების გაერთიანება?
9. რა დანიშნულებით იყენებენ აზიის, აფრიკისა და წყნარი ოკეანის კუნძულების მოსახლეობა კაურის მოლუსკების ნიჟარებს?
10. ამ ამერიკელი პოეტისა და პროზაიკოსის 1963 წელს გამოცემულ ლექსების კრებულში — „ტელეფონის ბოძები“, შესულია ქართველი სპორტსმენისადმი მიძღვნილი ლექსი — „ტრამპლინზე წაქცევა“. დასახელეთ იგი.
11. პაბლო პიკასო, ჰაინრიხ შლიმანი, აკაკი წერეთელი, ეკვთიმე თაყაიშვილი, სალვადორ დალი — რა ნიშნით შეიძლება ამ ადამიანების გაერთიანება?
12. ვინ გაწმინდა ავგიას თავლა?
13. დასახელეთ ფოლადის ნაკეთობა, რომელიც გადმოცემის მიხედვით მჭედელ გიორგაძეს საცერში წრიულად ჩაუდვია და თავად წერეთლისათვის ისე მოურთმევია.
14. ეს უდიდესი დრამატურგი პარიზში, საკუთარ კომედია „ცრუ ავადმყოფში“ თამაშისას სცენაზე წაიქცა და გარდაცვალა.

ანეკდოტები

* * *

ორი მამაკაცი და ერთი ქალი უკაცრიელ კუნძულზე აღმოჩნდნენ. როცა ისინი იხსნეს, კაცებს ჰკითხეს — თუ როგორ იყოფდნენ ერთ ქალს. მათ უპასუხეს:

— სულ ადვილად — კვირაში სამი დღე ერთი საყვარელი იყო, მეორე — ქმარი, მომდევნო სამი დღე — პირიქით.

— მეშვიდე დღეს?

— მეშვიდე დღეს ორივე ვცემდით — ღალატისათვის.

* * *

— მე შოტლანდიელი ვარ!

— კი, მაგრამ შარვალი რომ გაცვია?

— ცისფერი შოტლანდიელი ვარ!

* * *

მამაკაცი უცნობ ქალს ეკითხება:

— მილიონ დოლარად ჩემთან დაწვებით?

— რასაკვირველია!

— ერთ დოლარად?

— თქვენ მე ვინ გგონივართ?

— ვინცა ხართ, ეგ უკვე გავარკვიე, ახლა ფასზე შევთანხმდეთ.

* * *

— დეფექტები ადამიანთა მობილიზებას იწვევს: ნაპოლეონი ტანდაბალი იყო და უმაღლესი პოსტები ეკავა; გარინჩას ცალი ფეხი მოკლე ჰქონდა და შესანიშნავად თამაშობდა ფეხბურთს, მაგრამ თქვენ, თქვენი ცხრა ბავშვით, პირდაპირ სასწაული მოახდინეთ!

* * *

გაბრაზებული მიხო მაროს უყვირის:

— თავი გამანებე, შე ძროხა!

— მაშ, მე ძროხა ვარ, არა, შენი ზოოფილი დედა რო ვატირე?!.

* * *

მამა ბრუნდება სამსახურიდან. მას შვილი ეუბნება:

— მამიკო, გაკვეთილები უკვე ვისწავლე.

— ყოჩაღ, შვილო.

— ჭურჭელიც გავრეცხე.

— ყოჩაღ, შვილო.

— ჩემი ოთახიც დავალაგე.

— ყოჩაღ, შვილო.

— მამიკო, იცი, ჩვენი კატა ორსულადაა.

— ყოჩაღ, შვილო.

* * *

ქმარი კითხულობს გაზეთს, სადაც წერია, რომ პამელა ანდერსონი

ვიღაც სპორტსმენს მიჰყვება ცოლად და აღშფოთებული ყვირის:

— რატომ უმართლებს ასე ცხოვრებაში იდიოტებსა და თავცარიელ რეგვენებს? ყოველთვის ამისთანებს რჩებათ მსოფლიოს ულამაზესი ქალები.

— გმადლობ, ძვირფასო, — ისმის მეორე ოთახიდან ცოლის ხმა.

* * *

— დამისახელეთ ყველაზე საუკეთესო პოზა ცოლთან.

— მისიონერული — ცოლი წევს ლოგინში გულაღმა. მოდუნებულია, მშვიდი. შენ კი, ამ დროს, რაიმე მისიით ჰავაის კუნძულებზე იმყოფები.

* * *

— რატომ დაანებე თავი გიტარის

გაკვეთილებზე სიარულს?

— იცი, რას გეტყვი? — გიტარას ექვსი სიმი აქვს, მე კი, ხუთი თითი.

— აბა, შენი აზრით, როიალზე მარტო მუტანტები უკრავენ?!

* * *

— გუშინ ერთი „ნატურშიცა“ გავიცანი.

— ლამაზია?

— ყოველ შემთხვევაში, არც ისეთი საშინელებაა, მხატვრები რომ ხატავენ.

* * *

ებრაელი მეგობარს შესჩივლებს:

— ცოლმა მიმატოვა! წასვლის წინ კი, თავი ასე იმართლა: „ჩემო იაშა, შენი ხელფასი ფასიან ტუალეტში მხოლოდ ორჯერ შესასვლელად თუ მეყოფა. მესამეჯერ რომ მომინდეს, მერე რაღა ვქნა?!“

* * *

დედამ, ჩვეულებრივი სარეცხი საშუალებით 50 თეფში გარეცხა, შვილმა კი, „ფეირით“ — ორჯერ მეტი. ისმის კითხვა — ამდენი რა ჭამეს, ამ უპატრონოებმა?!

* * *

სვანი ქუჩაში მიდის. ხედავს, ძველი ბოთლი გდია. წაჰკრა ფეხი და იქიდან ჯინი ამოვიდა:

— რას მიბრძანებ, მბრძანებელო?

— შენ რა, ნატვრის ასრულება შეგიძლია?!

— კი, მიბრძანე, რაც გენებოს!

— მაშინ, ამიშენე დიდი სასახლე — წინ შადრევნებით, ოთხი გარაჟით, ჩუქურთმებიანი აივნით, მაგარი რემონტით და მაგარი ავეჯით!

— მოიცა, მოიცა, თუ ძმა ხარ! ვერა ხედავ, მე თვითონ სად ვცხოვრობ?!

* * *

— რა საზიზღარია ჩემი ქმარი, — ოხრავს ლიკა.

— რაშია საქმე? — დაინტერეს-

და ქეთინო.

— ვიღაც ქალთან დაძვრება. გუშინწინ პრეზერვატივები ვუპოვე ჯიბეში და გამწარებულმა სულ ნემსით დავუხვრიტე.

— მერე, ისევ ჯიბეში ჩაუდე?

— ჰო!

— ვაი!.. — აღმოხდა ქეთინოს და გული წაუვიდა.

* * *

მიხომ სტუმრად ჩამოსულ იმერელ სიდედრს სუფრა გაუშალა და ეხვეწება:

— ჭამე, სიდედრო!

სიდედრი მორცხვად ზის. მიხო რამდენჯერმე კიდევ შეეხვეწა და ბოლოს აყვირდა:

— ჭამე, რა, შე კეთილძაღლო, რა ჯიბგირაანთ ლევანას ბრუციანი ვირივითა ხარ გაჩერებული, ვერა ხედამ, ხაშლამა განავალივითა ყრია, სხვა რაღა ჩემი ფეხები გინდა?!

ჯრნალის საჩუქარი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ზარინი ფაშისტების მიერ შემუშავებული მომწამვლელი ნივთიერებაა, რომელსაც გერმანელები საკონცენტრაციო ბანაკებში ტყვეების მასობრივი განადგურებისათვის იყენებდნენ.
2. ვეტერინარი.
3. კათოლიკური ეკლესიის წმინდა მამები სასტიკი პროტესტით შეხვდნენ ვაკუუმის აღმოჩენას, რადგან სწამდათ, რომ ღმერთი ყველგან და ყველაფერშია.
4. იაპონელები.
5. გრაფი მონტე-კრისტო.
6. ინდოეთი.
7. ტყვეობაში მყოფ შამილს რუსებმა ნება დართეს, მექაში გამგზავრებულიყო. დაღესტნელი იმამი 1871 წელს არაბეთში, ქალაქ მედინაში გარდაიცვალა.
8. ყველა ამ ჯიშის ყურძნისგან ცქრიალა ღვინო მზადდება.
9. ამ მოლუსკების ნიუარებს ეს ხალხი ფულის მაგივრად ხმარობდა.
10. ჯონ ჰოიერ აპდაიკი.
11. აქ ჩამოთვლილ ყველა პიროვნებას რუსი ეროვნების ცოლი ჰყავდა.
12. ელიადის მეფის, ავგიას თავლა 30 წლის განმავლობაში არავის დაუსუფთავებია, შმაგი პირუტყვი არავის იკარებდა. ჰერაკლემ ბოსლის ორი კედელი გაარღვია, მდინარე ალფეიოსსა და პენეოსს კალაპოტი უცვალა, თავლაზე მიუშვა და ერთ დღეში გაწმინდა.
13. ფოლადის ხმალი.
14. ჟან ბატისტ მოლიერი.

ბალანსი ფიგურაში

როგორ განსაზღვროთ ადამიანის საზაფხულო ჰობი შემოდგომაზე მისი „ზაგრის“ მიხედვით

veluri wablis xeivani

დასაწყისი იხ. „გზა“, №24-30

ზაზა ვაჩნაძე

ყოფილი ემიგრანტი, არქიტექტორი ნიკა ბერიძე თბილისში ბიზნესსაქმიანობას იწყებს: თბილისის მახლობლად დიდ ნაკვეთს იძენს და სამშენებლო-სადიზაინერო ფირმას აფუძნებს, რომლის შერჩევაშიც, მისი 13 წლის ქალიშვილის, თეონას დედა — უძრავი ქონების ფირმის მენეჯერი ნატო ეხმარება. მაგრამ სწორედ ამ მიწის ნაკვეთით ვიღაც ძალზე დაინტერესებულია და პირველი დღიდანვე მოსვენებას არ აძლევს ნიკას... ოფისის გახსნიდან სულ ცოტა ხანში, მას მოულოდნელად, პარლამენტარი ქალი, ნანა მელაძე ეწვევა.

ნიკა სტუმრის შეფასებით იყო გართული. მოეწონა.

— იცით, რა?.. — მიუბრუნდა ქალბატონი ნიკას. — მე გაზეთში წავიკითხე თქვენი განცხადება. როგორც მივხვდი, სამშენებლო ბიზნესი გაქვთ და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, იმან დამაინტერესა, რომ... ნიკა, ხომ?

— დიახ, დიახ, — უპასუხა ნიკამ.

— ...რომ თქვენ კოლუმბიის უნივერსიტეტი გაქვთ დამთავრებული და იქაც, ამერიკაშიც ამ ბიზნესით იყავით დაკავებული... ასეა?

— დიახ. იქ რამდენიმე დიდი პროექტი მიმყავდა, როგორც მენეჯერს — აქ მთავარი ინჟინერი რომ ჰქვია... მინეაპოლისის შტატში. თუმცა, იქ სულ სხვა ტექნოლოგიებია... ისე, არქიტექტორი ვარ, — უპასუხა ნიკამ.

— დიახ, დიახ! — დაუმოწმა სტუმარმა.

— წამობრძანდით. მართლა, რატომ ვდგავართ?.. ეკა!

— კი, ბატონო! — მიუხვდა ეკა, რომ სტუმრის სათანადო მიღება მართებდათ.

ნიკამ ის მისაღებში შეიპატიჟა. ნანა სავარძელში ჩაჯდა და მის წინ დაბალ მაგიდაზე დაყრილი ბუკლეტებით დაინტერესდა.

— შეიძლება? — იკითხა მან.

ნანას ლამაზი, თლილი თითები და მოვლილი ხელები ჰქონდა. ბუკლეტი აიღო და გადაშალა.

— ა, ვებ-გვერდის მისამართიც, სადაც თქვენი პროექტებია, ხომ?

— დიახ, — უპასუხა ნიკამ.

ნანამ ბუკლეტი ჩანთაში ჩაიდო.

— გასაგებია, — თქვა მან. — რა თქმა უნდა, გარანტია მაინტერესებდა, მაგრამ რადგან ასეთი სოლიდური ბანკი დგას თქვენ უკან... თუმცა, მაინც გადავამოწმებ, ცხადია...

— რას გვთავაზობთ, რომ?.. — შეეკითხა ნიკა.

— კოლეჯის აშენება მინდა... ჩემს ნაკვეთში... ზედა ვაკეა. თავისუფლად შეიძლება სამ-ოთხსართულიანი ნაგებობის ჩადგმა... რაღაც ტექნოლოგიების ნაწილს ხომ შეგიძლიათ, ამერიკელებს დაესესხოთ?

— საკმაოდ ბევრი, თანხას გააჩნია, — უპასუხა ნიკამ.

— მაგის თაობაზე შევთანხმდებით... — თქვა ნანამ.

— პასპორტი გაკეთებული გაქვთ? — იკითხა ეკამ, რომელიც ყავას ამზადებდა და თან მათ საუბარს უსმენდა.

— პასპორტი? — ვერ მიუხვდა ნანა.

— პროექტამდე ნაკვეთის პასპორტია ასაღები: რომ ყველა კომუნიკაციების მიყვანა შეიძლება თქვენს ნაკვეთთან. პასპორტში წითელი ხაზიც შედის... — აუხსნა ეკამ, — რომელ ყავას ინებებთ — თურქული, იტალიური „ესპრესო“ თუ „კაპუჩინო“?

— ჩვენებური, თურქული, — გაიცინა ნანამ და ლამაზი, ჩაწიკწიკებული თეთრი კბილები გამოაჩინა.

— ხილის ტორტი უნდა შემოგთავაზოთ. ხომ ინებებთ? — გაუღიმა ეკამ.

— სიამოვნებით! — თვალი შინაურულად ჩაუკრა ნანამ ეკას.

— მაშინ, თქვენი ნებართვით, შამპანურსაც შემოგთავაზებთ, — თქვა ეკამ.

— ოოო, მშვენიერ ფეხზე მივლია, — თქვა ნანამ და გადაიკისკისა. თან ფეხი ფეხზე გადაიდო. მისმა სწორმა, ლამაზმა კანჭებმა ნიკაზე, რა თქმა უნდა, შთაბეჭდილება მოახდინა.

ეკამ სუფრა გააწყო და თვითონ საპროექტოში გავიდა.

— აი, მესმის სერვისი! როგორც მივხვდი, ნაკვეთის პასპორტსაც თქვენ აკეთებთ, ხომ? — ჰკითხა ნანამ ნიკას.

— დიახ, რა თქმა უნდა. და შეგვიძლია, შენობა „პად კლიუჩ“ ჩაგაბაროთ, როგორც თბილისელები ამბობენ. — შამპანური უხმაუროდ გახსნა და მაღალი ჭიქები შეავსო ნიკამ.

— იცით, ძალიან მომეწონა აქაური აურა, — ხელი ლამაზად შემოატარა გარშემო ნანამ. — მე თქვენ უკვე გენდობით...

— მეც ძალიან მომწონს აქაური აურა... — გაეღიმა ნიკას. — ჰო, როგორ ამბობენ? — ნურასოდეს ენდობით ამინდს და პოლიტიკოს ქალს, ხომ?.. მაგრამ ეს თქვენ არ გეხებათ, რადგან თქვენ ორმაგად შეიძლება ვერ გენდოთ ადამიანი...

— ორმაგად? — ნანა ამას არაფრით მოელოდა.

— ჰო, თუკი ქართველების გამოთქმასაც მოვიშველიებთ — „ნურასოდეს ენდობით ლამაზებს“... — ცოტაც დააკლდა, რომ არ წაუღიღინა, ხუმრობის და ეგებ, არშიყობის ხასიათზე მოსულმა ნიკამ.

— შავი იუმორი გამიგია, მაგრამ შავი ქათინაური, მართალი გითხრათ, პირველად მოვისმინე... — მოურიდებლად გადაიკისკისა ნანამ.

— დიახ, სილამაზე ღვთის საჩუქარია და ვისაც ნიჭი აქვს, იყენებს კიდეც... — თვალებში უმზერდა ნანას ნიკა.

— არ ვიცი, რას გულისხმობთ, ერთი კია, რომ ღვთის მიერ ბოძებულ საჩუქრებს — ნიჭი იქნება, სილამაზე თუ ტალანტი, — რომ გამოიყენო ან განავითარო, შესაბამისი ხელსაყრელი პირობებიც სჭირდება. ასე არ არის? — გვერდიდან კეკლუცად გახედა ნანამ ნიკას.

— კი, მაგრამ ვფიქრობ, ეს თქვენს სილამაზეს არ ეხება: თქვენ საითაც არ უნდა გაიხედოთ, ყველგან ხელსაყრელი პირობები დაგხვდებათ, — უთხრა ნიკამ და ჭიქას მოჰკიდა ხელი.

— იცით, ქათინაური, ტყუილიც რომ იყოს, მაინც სიამოვნებს ქალს, — თქვა ნანამ.

— გამიგონია, ქალებს ყველა კომპლიმენტი ამახსოვრდებათ, რომელიც კი მათთვის ოდესმე მამაკაცებს უთქვამთო. მართალია? — იკითხა ნიკამ.

— სრულიად შესაძლებელია... — უპა-

სუხა ნანამ და თვალი გაუსწორა.

— მაშინ, თქვენს დამაბრმავებელ სილამაზეს გაუმარჯოს! — თქვა ნიკამ და შამპანური მოსვა.

— გმადლობ! — გულიანად გადაიკისკისა ნანამ. — თქვენც გაგიმარჯოთ! — მოსვა და სასმელი შეაფასა: — ოო, ფრანგულია?

— გახლავთ. თქვენ პროფესიითაც პოლიტიკოსი ბრძანდებით? — შეეკითხა ნიკა.

— არა, არა, მე გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული მოსკოვში... — თქვა ნანამ. — სხვათა შორის, იქ ახლოს ვიცნობდი ერთ თქვენს მოგვარეს, ლადო ბერიძეს...

— ბიძაშვილია ჩემი, — მაინცდამაინც არ ეჭაშნიკა ნიკას. — არ იცით, რომ ლადო თბილისშია ჩამოსული? თუ გაწყვეტილი გაქვთ ურთიერთობა? — შეეკითხა ის ნანას და შამპანური დაასხა.

— არა, არა... როდინდელი ამბავია!.. — იუარა ნანამ.

— დავიჯერო? არა, ვერ დავიჯერებ! მაქსიმუმ, ოცდახუთი წელი — მეტს ვერ მოგცემთ... — თქვა ნიკამ.

— ვაიმე! — ისევ გადაიკისკისა ნანამ. — მე ამ სიცილ-კისკისში შესაძლოა, დავაგვიანო კიდეც... — ჭიქა მიუჭახუნა ნიკას. — მხოლოდ ეს ერთი ბოკალი კიდევ და უნდა გავიქცე. ჩვენს გაცნობას და მომავალ საქმიან ურთიერთობას!.. — მოსვა და ჭიქა დადგა. — აუცილებლად დაგიკავშირდებით. ახლა კი უნდა წავიდე, — ფეხზე წამოდგა ნანა.

— და მომავალ ლამაზ თავგადასავალს... — თქვა ნიკამ და მოსვა.

— ოოო, ეგ ცოტა მეეჭვება, — გამომცდელი თვალით მიაჩერდა ნანა ერთ წამს ნიკას და დაემშვიდობა: — ნახვამდის.

ის უკვე ჩქარობდა. ნიკამ გააცილა. ნანა ეკას დაემშვიდობა:

— ნახვამდის.

— კარგად ბრძანდებოდეთ. კიდევ გვესტუმრეთ! — დაემშვიდობა ეკაც.

— აუცილებლად, — თქვა ნანამ და ოფისიდან გავიდა.

ნიკა გარეთ გაჰყვა. ეკამ კი, რომელიც ოფისში დარჩა, ენა გამოუყო ორივეს...

კარი გაიღო და ოფისში კახამ შეალაჯა. ეკას ყურადღებაც არ მიაქცია. პირდაპირ ოფისის დათვალიერებაზე გადავიდა. დაევასა. იმწამს ნიკაც შემობრუნდა.

— შენ რა, იცნობ ნანა მელაძეს? — შეეკითხა კახა ნიკას.

— არა, მაგრამ მე მგონი, ჩვენი პირველი დამკვეთი იქნება, — უთხრა ნიკამ.

— პარლამენტარია, ხომ იცი? — თქვა კახამ.

— კი. აი, ეკამ იცნო, — თქვა ნიკამ.

— მაჟორიტარია. მაგარი მიმწოლია... — თქვა კახამ.

— ქმარშვილიანია? — დაინტერესდა ნიკა.

— გაცილებულია. 9 წლის ქალიშვილი ჰყავს... — ბრძანა ეკამ.

— გასაგებია. მაგით ის გინდა თქვა, რომ არც ისეთი ახალგაზრდაა?.. — ღიმილით შეეკითხა ეკას ნიკა.

— არა, რატომ, ეგ რა შუაშია?! — ეწყინა ეკას.

— კაი, კაი, თუ ეს ქალბატონი ჩვენთან ხელშეკრულებას გააფორმებს, შენ წაიყვან პროექტს, როგორც გიპი. ხომ გააფრთხილე ყველა? — ჰკითხა ნიკამ.

— არქიტექტორის გარდა, როგორც თქვენ მითხარით. დიახ... — უპასუხა ეკამ.

— ჰოდა, ძალიან კარგი, — უთხრა ნიკამ და კახას მიუბრუნდა. — წამოდი შენ ჩემთან.

— მაგარი ოფისი გაგიჩითავს, — შეუქო კახამ.

— ოფისი იქით არის. წამო, წამო. ეს საპროექტოა, — ხელი მოჰკიდა ნიკამ კახას.

— მოკლედ, შენ რა გქვია — პრეზიდენტი თუ ბოსი? ახლა ყველას პრეზიდენტი ჰქვია, ხომ იცი. წყალში დამხრჩვალთა საზოგადოების პრეზიდენტი — როგორია?! — ალაპარაკდა კახა და მისაღებში შესულმა, შეუსტვინა: — ჰოო, ეს უკვე მაგარი ბაითია.

— ბაითი კი არა, სასტუმრო ოთახია, — შეუსწორა ნიკამ.

კახამ სიგარეტის კოლოფი ამოიღო. ნიკამ თავისი გაუწოდა.

— აჰა, რა, ეს მოსწიე, არ ამაქოთო მაგის კვამლით.

კახამ შეიფერა. დივანზე გადაწოლილმა, გემრიელად გააბოლა „ქემელი“.

— რაზე შევჩერდით? — იკითხა მან. — მაშ, საბოლოოდ გადაწყვიტე დარჩენა?

— მოდი, ჯერ საქმე, — სთხოვა ნიკამ.

— არაფერს დავლევთ? — იკითხა კახამ.

— ეკა! — გასძახა ნიკამ.

ეკამ შემოიხედა.

— დიახ.

— ორი ყავა მოგვიდუღე, რა, და მერე ისევ საინჟინრო საქმეებზე შეგიძლია გადახვიდე, — სთხოვა ნიკამ.

— რომელს ინებებთ — თურქულს, „ესპრესოს“ თუ „კაპუჩინოს“? — შეეკითხა ეკა.

— მე ვინებებდი ჩვენებურ ჭაჭას, მაგრამ „კაპუჩინოზეც“ არ ვიტყვი უარს, — გამოაცხადა კახამ.

— მისმინე. თუ შენც ზღაპრების მოყოლას აპირებ, უკვე იმდენი ზღაპარი მოვისმინე, ერთი 100 წელი კიდევ მეყოფა... — უთხრა ნიკამ.

— არა, რა ზღაპრები, ბიჭო?! მე მუდამ რეალურებს „ვაწვები“, — დამაჯერებლად თქვა კახამ.

— კი, გეტყობა... — აათვალ-ჩაათვალიერა ნიკამ.

— გეუბნები — მთავარია, შენ მომყვე, რაა, და საათივით ავაწყობდით. თუ ცოტა ფული გაქვს, ყველას დამარხავთ! — ხელი დაჰკრა მაგიდაზე კახამ. — ჩვენთან ხომ მაგარი ქაოსია, არა?.. ვისაც რისი ხოში აქვს, იმას უბერავს. მე შენ ფქვილის შემოტანას არ გთავაზობ...

— რატომ? — დაინტერესდა ნიკა.

— რატომ და ეგრევე გაგაგორებენ. ვაკელია ერთი, სხირტლაძე ნუგზარა... გემით ფოთში შემოტანილი ფქვილი უკან წაიღო... არ იკითხავ, რატო?.. სიცოცხლე ტკბილია, ძმაო!.. ფქვილს თავი დაანებე, სხვებმა შემოიტანონ. ჩვენ?.. ჩვენ პატარ-პატარა თონეები ჩავდგათ, სამი-ოთხი ყველა უბანში. შეშაზე გამოვაცხოთ, სულ ხუთი თეთრით გავაიაფოთ და გეუბნები, ორ-სამ თვეში ყველას დავმარხავთ, ვინც კი ამ საქმეში ტრიალებს, — არწმუნებდა კახა.

— კაი, ვთქვათ, ეგ კლასიკური ზღაპარია. ახლა ქართულ ხალხურზე გადადი... — ურჩია ნიკამ.

— კაი. მაშინ ავიღოთ თუნდაც ქსეროქსები, — სხვა თემაზე გადავიდა კახა. — ჰო, ვითომ არაფერია, არა? რა არი, ქაღალდებია, არა? ცარიელი ფურცლები. მაგრამ აბა, დათვალე! თითო ფურცელში ერთი თეთრიც რომ მოიგო!.. მარტო უნივერსიტეტები გახსნეს „მილიონ-ტრისტა“. დაქსელე ქალაქი, ერთი 100 ათასი სულ ყელზე გადაუვა. დამიჯერე, ერთ კვირაში დავმარხავთ ყველას, ვისაც კი ქსეროქსი უდგას.

— ეგ მეორე ზღაპარი. მერე? — არ უჯერებდა ნიკა კახას.

— კაი, ყვავილები აიღე. მარტო ვარდები შემოვიტანოთ ჰოლანდიიდან. ათასი ვინმე კვდება, ქორწილები, ძეობები, დაბადების დღეები, ათასი მიზეზია. იცი, რა ღირს ზოგი ვარდი?.. ცალი, სულ ცოტა, სამი, ხუთი და ათი ლარიც კი ღირს ზოგიერთი! სამ დღეში, მთელ მეყვავილეებს დავმარხავთ, არა გჯერა?

— მჯერა, მაგრამ შემომხედე, ვგავარ მე რაიმით მეყვავილეს? ან მესაფლავეს?.. — გადაიხარხარა ნიკამ.

— კაი, მაშინ, ტოტალიზატორები აიღე. შენ თუ ფული გაქ... მარტო ერთი ტოტალიზატორი უნდა გახსნა, მეტი კი არ არის საჭირო. დაუდე ამ ტოტალიზატორებს მაგარი მაყუთი...

— ეგ რას ნიშნავს? — ვერ მიუხვდა ნიკა.

— რას და ხალხს კი არ უნდა ეთამაშო, ტოტალიზატორებს უნდა ეთამაშო.

ეკამ ფრთხილად დადგა მაგიდაზე ყავის ფინჯნები და გაკვირვებულმა შეხედა აზარტში შესულ კახას.

— ესენი ასე იქცევიან: ვისაც დიდი მაყუთი აქვს, პატარა ტოტალიზატორებს უდებენ და ძირავენ. მარხავენ, რა, ეგრევე!

— არაა. ეგ სუფთა მიუნჰაუზენის ზღაპარია, — იუარა ნიკამ. — მოდი, რა, სხვა რამეზე გადადი.

— კაი, მაშინ, ქალების საცვლები შემოვიტანოთ ჩინეთიდან, — თვალი არ დაუხამხამებია, ისე განაგრძო კახამ. — პერანგები, ბიუსტჰალტერები და რა ვიცი... ჩინეთში

ბევრი ვერ დადის. დუბაიში დადის უმეტესობა. არადა, ჩინური სამჯერ იაფია და უკეთესიც. მაგათ დამარხვას არაფერი უნდა.

— ქალის ნიფხვებზე და ბიუსტჰალტერებზე ვიჩალიჩო, თან — ჩინეთში?! — გადაირია ნიკა. — ვახ, ერთი შენს თავზე სკალპი ამახდევინა და შენს ტვინში ჩამახედა, რა! შენ როგორა ხარ, ტო?! ამერიკიდან ჩამოსულ კაცს, ჩინეთში, ხუნვეიბინებში მიშვებ, შე ჩემისა?!

— კაი, მაშინ ერთი აბანო რომ გვეყიდა, საუნათი... უფასო ქალები, უფასო ბაითი და ქეშიც წყალივით მოდის, როგორია?! — თვალებში მიაშტერდა კახა ნიკას.

— რაა?! — ისევ ახარხარდა ნიკა. — მთლად ნუ გამასულელე, რა, თუ ძმა ხარ! ვგავარ ახლა მე, ბიჭო, რაიმით ან მექისეს, ან „მამაშას“?!

— შენ ალბათ, ერთი ხელის გაქნევით გინდა, მილიონები გაჭრა და საქართველოში ეგ — ტყუილია, არც იოცნებო, — „გაუტყდა“ ბოლოს და ბოლო, კახას.

— ყველაზე რეალური იცი, რა იქნებოდა?.. — იქით სთავაზობდა უკვე ნიკა რაღაცას კახას. — შენ ხომ მაგ ხალხის დამარხვას აპირებ, არა? ყველა შენი კონკურენტისას. ერთი სასაფლაო გავხსნათ და დავმარხოთ ეგ ხალხი. რას იტყვი?

— სასაფლაო? — სერიოზულად დაფიქრდა კახა. — სასაფლაოს ვინ გაგახსნევინებს?! იცი, რა ღირს ერთი პატარა სასაფლაოს გახსნა?!

— შენ? შენ იცი? — შეეკითხა ნიკა.

— არც მე ვიცი, მაგრამ — ზღაპარია, არაფერი გამოგვივა, — ხელი ჩაიქნია კახამ.

— მაშინ, სამზე ჩაწერა მაქვს ტელევიზიაში, რამე უფრო რეალური მოიფიქრე და ისე გამომიარე, კარგი? — შესთავაზა ნიკამ.

— შენ ფული თქვი, თორემ ყველაფერიც რეალური გითხარი. ხალხი ტურისტებად კოსმოსში დაფრინავს უკვე, — ხელი ცისკენ გაიშვირა კახამ.

— არ მითხრა ახლა, კოსმოდრომი ავაშენოთო, თორემ მთლად გავგიჟდები, — ჩაბჟირდა ნიკა.

— კოსმოდრომი — არა... — ეწყინა კახას.

— ჰოო, რა იყო? შენ მგონი, ისედაც მაგრად დაფრინავ... — თვალებიდან ცრემლები სდიოდა ნიკას. — მოდი, ერთ რამეს გირჩევ. მოკლედ, ახლა შენ შენს გზაზე წადი და მე კიდევ, ჩემს გზაზე წავალ, კარგი? მოკლედ, მე თვითონ მოვიფიქრებ რამეს შენთვის, მოსულა?

— მე ბესოსავით ტყეში ყარაულად ვერ წავალ, — ხელი დუნედ გაუწოდა კახამ ნიკას. — ჰო, მართლა — დედამისმა დიდი მადლობა შემოგითვალა: ასეთი დაწყნარებული დიდი ხანია, არ მინახავსო.

— „ოკეი“! აბა, ჰე! — მხარზე ხელი დაჰკრა ნიკამ კახას. — მაგრად მაცინე. ჩაგეთვალა.

ტელეეკრანზე გამოჩენა ნიკას დიდად არ ეპრიანებოდა. არც იმის სურვილი ჰქონდა, თვალში შესჩხირებოდა მთავრობას, მაგრამ არც მთლად უპიარობა იქნებაო და ანის მიერ მომზადებულ გადაცემაში მონაწილეობაზე უარი არ თქვა.

ნიკამ ძლივს შეაჩვია ყური წამყვანის უცნაურ დიქციას, რომელიც სწრაფად ლაპარაკობდა და მახვილებსაც სრულიად უადგილო ადგილას სვამდა...

— რას გვეტყოდით, ბოლო დროს, ასე მომრავლებული სამშენებლო ფირმების შესახებ? — დაუსვა ნიკას პირველი შეკითხვა წამყვანმა.

— თუ ზოგადად ვიმსჯელებთ და არ დავაკონკრეტებთ, გარდამავალ სტადიაში მყოფი ყველა სახელმწიფოს აღმავლობა სწორედ მშენებლობის ტემპის დაჩქარებით იწყება. ალბათ, საქართველოშიც ასეთივე სურათია, — უპასუხა ნიკამ.

— მაგრამ ხომ არ ხდება ისე, რომ ამ მშენებლობებს ერთი და იგივე ფირმები აწარმოებენ — მხოლოდ მსხვილი კომპანიები, ხოლო ნაკლებად ძლიერი, მცირეშემოსავლიანი ფირმები, ასე ვთქვათ, კოტრდებიან?

— თუ ჩემს ფირმას გულისხმობთ, მე ეგ ნაკლებად მეხება. ისე, ყველა სახელმწიფოში და როგორც ვიცი, საქართველოშიც, არსებობენ ანტიმონოპოლიური სამსახურები, რომელთაც სწორედ კონკურენციის დაბალანსება ევალებათ. ყველა, თანაბარ პირობებში უნდა იმყოფებოდეს. რამდენად ეფექტიანად მოქმედებენ ისინი, ეს სხვა საკითხია. კაპიტალისტურ სამყაროში კონკურენცია, პროგრესის აუცილებელი ატრიბუტია. მას შემდეგ, რაც ჩამოვედი, უამრავი წინადადება შემომთავაზეს ერთობლივი ბიზნესისთვის და როგორც დავაკვირდი, ჩვენში ყველას ერთი სურვილი ამოძრავებს — ყველაფერი თვითონ ჩაიგდოს ხელთ და დანარჩენები დამარხოს. თუ მთელი ფული ერთის ჯიბეში ჩავა და დანარჩენები ცარიელზე დარჩებიან, ეს კონკურენციას შეასუსტებს და ქვეყნის სიღატაკის მაჩვენებელი უფრო იქნება, ვიდრე სიძლიერის, — უპასუხა ნიკამ.

— დარწმუნებული ხართ, რომ შეძლებთ, კონკურენცია გაუწიოთ უკვე მყარად ფეხმოკიდებულ კომპანიებს? — ბოლომდე ჩაეძია წამყვანი.

— არსებობს აპრობირებული მეთოდები და ხერხები, აგრეთვე ნიჭი და ასე შემდეგ... რამდენად გაგიმართლებს, ეს სხვა საკითხია. ჩვენი მხრივ, მომხმარებელს უახლეს ტექნოლოგიებს ვთავაზობთ და აქედან გამომდინარე — მეტ კომფორტს. ცოდნა და მისი გამოყენების უკეთესი უნარი — აი, ეს უნდა იყოს ჩვენი წარმატების გარანტია, — უპასუხა ნიკამ.

— თქვენ კოლუმბიის უნივერსიტეტი გაქვთ დამთავრებული. რამდენად ძნელი იყო იქ სწავლა? თუ ადვილი იყო? ეს მეც მაინტერესებს და ალბათ, მაყურებელსაც...

— ადვილი, რა თქმა უნდა, არ იყო. მე სტიპენდია მოვიგე და ამან გადამარჩინა. არ ვიცი, ვერ ვიტყვი, ეს რომ არა, იქნებ, ვერც დამემთავრებინა ან სხვა გზა გამომენახა... აქ სამი კურსი მქონდა გავლილი... როგორ გითხრათ, აქ ინერციით, ისევ საბჭოთა მეთოდებით გვასწავლიდნენ... იქ ჯერ აუცილებელ საგნებს აბარებ, პირველ წლებში, შემდეგ კი, შენ თვითონ ირჩევ საგანსაც და პროფესორსაც. ერთიც — იქ ყველა პროფესორია: პედაგოგს ჰქვია პროფესორი, ხარისხი ან რანგი არაფერ შუაშია.

— ააა, საინტერესოა... დიდი მადლობა, ბატონო ნიკა, ჩვენი დრო თითქმის ამოიწურა. ვისურვებდი, რომ თქვენი ფირმა „ხუროთმოძღვარი“ ისევე გაძლიერდეს, როგორც სხვა დიდი სამშენებლო კომპანიები და მუდამ ქვეყნისა და ხალხის სამსახურში მდგარიყოს.

— გმადლობ, — თქვა ნიკამ და ჩაწერა დამთავრდა.

ანიმ, რომელიც ერთ-ერთი კამერის უკან იდგა, ცერა თითი უჩვენა ნიკას.

— აღარ გაცილებ... ყველაფერი კარგად იყო, როგორც ყოველთვის... გზას ხომ გაიგნებ? — ჰკითხა მან ძმას.

— ალბათ, გავიგნებ, ყოველ შემთხვევაში, არ დავიკარგები, — გაეცინა ნიკას.

სტუდიის კარიდან გამოსული ნიკა დერეფანში ნანა მელაძეს გადააწყდა...

— ნიკა?.. დღეს უკვე მეორედ ვხვდებით. ეს, ხომ იცით, რისი ნიშანია? — შეეკითხა ნანა.

— არ ვიცი, — გულზე ხელი მიიდო ნიკამ.

— ამბობენ, გამდიდრების ნიშანიაო, პირველად გესმით? რა საკითხზე ბრძანდებოდით?

— თქვენ? — ჰკითხა ნიკამ.

— რა გულუბრყვილო შეკითხვაა! ჩვენ ხომ ტელევარსკვლავები ვართ... — გაიცინა ნანამ. — ჰო, ჰო, მოსვენება არა გვაქვს... ყავა ხომ არ დაგველია? თან საქმეზეც ვისაუბრებდით. წამოდით, მე გეპატიჟებით. აქვე, დაბლა, ძალიან კარგი კაფე-ბარია, — შესთავაზა ნანამ.

— ჩავიდეთ, — არაფერს კარგავდა ნიკა...

ნანამ ხელკავი გამოსდო. „ოჰო“, — გაიფიქრა ნიკამ.

ბარში მრავლად იყო ცნობილი თუ უცნობი ჟურნალისტი და ტელევიზიის თანამშრომელი. მოგეხსენებათ, ისინი ყველას და ყველაფერს ამჩნევენ. არც ახალი წყვილი გამოჰპარვიათ მხედველობიდან. ნანა და ნიკა თავისუფალ მაგიდას მიუსხდნენ.

— ჯერ თითო სიგარეტი მოვწიოთ და მერე ალბათ, უნდა მომემსახუროთ. აქ თვითმომსახურებაა. ეს ან ძველი კომუნისტური გადმონაშთია, ან ფულის ეკონომიის მიზნით კეთდება, — თქვა ნანამ.

— უფრო ფულის ეკონომიის მიზნით, — ჩაილაპარაკა ნიკამ.

— მერე, დისკომფორტს არ განიცდით? — ჰკითხა ნანამ.

— რა თქმა უნდა, განვიცდი. იმ წესრიგიდან ამ ქაოსში რომ აღმოჩნდები, ბუნე-

ბრივია, ამას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეჯახები. პირველ დღეებში მაგრად მაღიზიანებდა, მაცოფებდა კიდეც. ახლა ნელ-ნელა ვეგუები... მოგეხსენებათ, ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია და შემგუებლობის დიდი უნარი აქვს, — თქვა ნიკამ.

— იცით, ჩვენი საზოგადოება ძალიან შეიცვალა. ჰო, ფიზიკურადაც, იცით?.. შინაგანად ხომ საერთოდ განადგურებულია!.. მაგრამ ის, რომ სილამაზე დაკარგა ერმა, ჩემთვის დამანგრეველია. ძალიან დიდხანს ვერ გამოვედით აფხაზური შოკიდან... — თქვა ნანამ.

— ნანა, მოდი, რა, შევეშვათ ამ პოლიტიკომანიას და სხვა ამბებზე ვილაპარაკოთ, — სთხოვა ნიკამ.

— რაზე? — გამოცოცხლდა ნანა.

— რაზე და რაზედაც უნდა საუბრობდნენ ახალგაცნობილი ქალი და მამაკაცი, თუ მათ ერთმანეთი მოეწონათ, — გაუღიმა ნიკამ.

— თქვენ დარწმუნებული ხართ? — სკეპტიკურად ასწია ტუჩის ბოლო ნანამ.

— მე — კი. თქვენ — არა? — ჰკითხა ნიკამ.

— მეც. რატომ არ უნდა მომწონებოდით? მშვენიერი მანერები გაქვთ, — სერიოზულად აკვირდებოდა ნიკას ნანა.

— თქვენ კი თვით მშვენიერება ხართ! — თვალებში უმზერდა წყვილი ერთმანეთს.

— გმადლობ, — თქვა ნანამ.

— წავალ, რამეს მოვიტან.

ნიკა ადგა და დახლისკენ წავიდა. ნანამ თვალი მოავლო დარბაზს... ნიკა ნამცხვრითა და ყავით ხელში დაბრუნდა.

— სხვაც ხომ არ გნებავდათ რამე? — შეეკითხა ნიკა ნანას, როცა ფინჯნები მაგიდაზე დადგა.

ნანამ ყავა დაყნოსა.

— მინდა, რომ ძალიან ლამაზი და „პრაგმატული“ შენობა ავაშენოთ. მთელი სივრცე რომ მაქსიმალურად იყოს აუცილებელი საჭიროებისათვის გამოყენებული და ამავე დროს, იყოს მყუდრო და კომფორტული, — თქვა ნანამ.

— გაუდი არ გახლავართ, მაგრამ არც უკმაყოფილო დარჩებით. ამ თემაზე მერეც მოგვიწევს... — თქვა წყენით ნიკამ, რადგან ნანამ თემა შეცვალა.

— რატომ, რატომ? თქვენ ცოტას ხომ არ ჩქარობთ, ძვირფასო ნიკა? — გაეცინა ნანას.

— დიახ, იმიტომ, რომ მაგრად მაინტერესებს, ასე ვთქვათ, თქვენი ოჯახური მდგომარეობა... — შეტევაზე გადავიდა ნიკა.

— ანუ მყავს თუ არა ქმარ-შვილი, არა?

— არა მარტო ქმარ-შვილი... — თქვა ნიკამ.

— დამშვიდდით, — თქვა ნანამ. — ძალიან მიხარია, რომ შევხვდით. — თქვენ?.. თუმცა, მამაკაცებს ეს ეპატიებათ, არა? — თვალები ლამაზად აუციმციმდა ნანას.

— ვარ უცოლო, მყავს 13 წლის ქალიშვილი... — მოახსენა ნიკამ.

— უცნაური დამთხვევაა... ოღონდ, ჩემი ქალიშვილი თქვენსაზე 4 წლით პატარაა... მე მგონი, თემა ამოვწურეთ. გადავიდეთ ისევ პოლიტიკაზე? — იკითხა ნანამ.

— როცა ამერიკაში ჩავედი და იქაურობას ვეცნობოდი, უბრალო ურთიერთობის დროსაც კი უამრავ შეცდომას ვუშვებდი. იქიდან ამეკვიატა, რომ ჩვენ... გახსოვთ ალბათ, საბჭოთა პროდუქტს რომ ვეძახდით ჩვენს თავს... რომ ჩვენ, ადამიანები კი არა, ადამიანების ანტიპოდები ვართ, — თქვა ნიკამ.

— დღემდე? — შეეკითხა ნანა.

— დიახ. და ახლა უფრო მყარად ვდგავარ ამ პოზიციაზე...

— არ ვიცი, ამერიკაში არ მიცხოვრია, მაგრამ ყველა იმას ამბობს — იქაურები პატარა ბავშვებივით არიანო. რომ ჩვენებს ძალიან უჭირთ მათთან დამეგობრება.

— ქალბატონო ნანა, ჩვენ მგონი, მხოლოდ იმაზე ვლაპარაკობთ, რაც არც ერთს არ გვაინტერესებს, — თქვა ნიკამ.

— მაინც, რაზე უნდა ვილაპარაკოთ? — იკითხა ნანამ.

— რომ ძალიან ლამაზი ხმა გაქვთ... ძალიან ლამაზი თვალები... გემოვნებით გაცვიათ და რაც უფრო ადრე შემეჩვევით, მით უკეთესი ორივესთვის... — გაიხსენა ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“ ნიკამ.

— მე რა უნდა გიპასუხოთ? — იკითხა ნანამ.

— რომ მე სწორედ ის რაინდი ვარ, თეთრ რაშზე ამხედრებული, რომელსაც მთელი ცხოვრება ელოდით, — ძველ, ლამაზ ქართველ თავადს ჰგავდა ნიკა იმწამს. თავადივითაც იჯდა სკამზე.

— ძალიან საინტერესო ჰიპოთეზაა. თქვენ მართლაც მოგიხდებოდათ ალბათ, რაშზე ამხედრება, — თქვა ნანამ.

ორივეს გაეცინა.

ბერიძეების ოჯახს ლადო სულ მალე ესტუმრა. შინ მხოლოდ ელისო და სოლომონი დახვდნენ.

სამივენი სამზარეულოში ისხდნენ და ლაპარაკობდნენ.

— ყოველდღე მოდის, — თქვა სოლომონმა.

— ვინ? — შეეკითხა ლადო.

— შოთა.

— მამაჩემი? — ჩაეკითხა ლადო.

— მაგრამ არ მელაპარაკება. მიყურებს, მიყურებს და მერე ცაში მიფრინავს, — თქვა სევდიანად სოლომონმა.

— რატომ არ გელაპარაკება? — შეეკითხა ლადო.

— ველოსიპედზე არ დავსვი და იმიტომ, — გაბუტულივით თქვა სოლომონმა. — მიმტვრევს სულ. სამჯერ დავსვი და სამჯერვე დოდაშვილების კედელს შეახეთქა. დაეშვება მაღლიდან და აღარ აჩერებს... აღარ დავსვი და აღარ მელაპარაკება...

— თავისი ველოსიპედი არა აქვს? — შეეკითხა ლადო.

— თავისი ხომ დაამტვრია. ახლა ჩემიც უნდა, რომ დაამტვრიოს. არ დავსვამ! — თქვა სოლომონმა.

— ნაყინი რომ გიყიდოს, არც მაშინ დასვამ? — შეეკითხა ლადო.

— ჩემთვის ნაყინის ჭამა არ შეიძლება, გლანდები მაქვს, — თქვა სოლომონმა.

— შოკოლადი? — შეეკითხა ლადო.

— ეგ შოკოლადს გაიმეტებს, ეგ წუწურაქი?!

— შენ, შენ არა ხარ წუწკი? — შეეკითხა ელისო.

— ვა, თუკი ის არ მაჭმევს, მე რატომ უნდა ვაჭამო?!

— რამდენი წლისა ხარ? — შეეკითხა ისევ ელისო.

— ექვსის, — თქვა სოლომონმა.

— ექვსის, — შეუსწორა ელისომ.

— ექვსის, ექვსის, ექვსის... — ენას უჩლექდა სოლომონი.

— წადი, სახლი ააშენე, — ურჩია ელისომ.

— რომ მენგრევა? აღარ ავაშენებ! — გაჯიუტდა სოლომონი.

— საძირკველი უნდა გაუთხარო და აღარ დაგენგრევა, — ურჩია ლადომ.

— აბა, რას ასწავლი? ადგება და პარკეტს აყრის, — თქვა ელისომ.

— გვირაბი მინდა გავიყვანო, — თქვა სოლომონმა.

— საიდან სადამდე? — დაინტერესდა ლადო.

— აქედან სტადიონამდე. ტრიბუნების ქვეშ ამოვძვრები ხოლმე, — თქვა სოლომონმა.

— არავითარ შემთხვევაში! — გაბრაზდა ელისო. — მაგის უფლებას არ მოგცემ. თუ გინდა, „ვანაში“ წყალს დაგიგუბებ და ნავები ჩაუშვი. გინდა?

— არა, მე გვირაბი მინდა გავიყვანო, — ადგა და თავის ოთახში გავიდა სოლომონი.

— ასე დაიჟინებს და ვერ მოაშლევინებ, — თქვა ელისომ.

— რას აპირებს მაინც იმ თავის ნაყიდ მიწაზე ნიკა, არ ამბობს? — შეეკითხა ლადო ელისოს.

— არა, ჯერ კარგად არ იცის. უნდა



ჩამოვყალიბდეო, ამბობს, — უპასუხა ელისომ.

კარზე ზარმა დარეკა. ელისომ გააღო და — ლადო გვყავსო სტუმრად, — უთხრა შინ შემოსულ ნიკას...

— ლადო? — არ ესიამოვნა ნიკას.

— რა არი? — შეატყო რაღაც ელისომ.

— არა, არაფერი. მაგრამ ცოტა ხანს მარტო თუ დამტოვებ მაგასთან, კარგს იზამ, — სთხოვა ნიკამ.

— კი, ბატონო, არ შემოვალ, — უთხრა დაეჭვებულმა ელისომ და სამზარეულოსკენ მიმავალ ნიკას თვალი გააყოლა.

— ო, ნიკა, მოხვედი?! — ფეხზე წამოდგა მის დანახვაზე ლადო. — შენ გელოდები. ჰა, როგორა ხარ? გავიგე, სამუდამოდ აქ დარჩენას აპირებსო, მართალია?

— კი... აქ კაცს გაფიქრებულიც არა გაქვს ჯერ, რომ მთელმა ქალაქმა იცის უკვე, — თქვა ნიკამ.

— ის ნაკვეთი პირდაპირ ხელიდან ამაცალე! — აჯახა მიკიბ-მოკიბვის გარეშე ლადომ.

— ჰო, ყველაფერი დასწრებაზეა. რა ერქვა იმ კაცს, შენი სახელით რომ მელაპარაკა? — შეეკითხა ნიკა.

— გურამი?.. რამე შეეშალა? — შუბლი შეიკრა ლადომ.

— არ შეეშალა?.. — თვალებში უმზერდა ლადოს ნიკა. — მე მთელი ჩემი აქციების ფული მაგ ნაკვეთში ჩავდე... იმიტომ, რომ პერსპექტივა დავინახე. შენ კი ამ დროს...

— მაჩუქე-მეთქი, ხომ არ მითქვამს!.. — შეაწყვეტინა ლადომ. — არც ის ვიცი, რა შეეშალა. ცოტა შემოგთავაზა? მერე, მაგ შენი აქციების ფული რომ უცბად გააორმაგო, არც ის გაწყობს?.. — მოკლედ მოჭრა ლადომ.

— რა არის, იცი?.. მე არც ბიზნესმენი ვარ და არც ვაჭარი... ვთქვი ერთხელ და დავამთავრე. თუ დღემდე არ ამილოკავს, როგორ გგონია, ამის მერე ავლოკავ?! — ნიკა წკიპზე იყო, ცოტაც და აენთებოდა.

— ნათესავები ხომ ვართ, — ცოტა მოლბა ლადო. — რა მოხდება ვითომ, ძმობაში რომ დამითმო?.. იგებ, არა? ხომ არ აგებ! — და უცებ მიახალა: — მე შენ კაცური კაცი მეგონე!

— ნამუსზე მაგდებ?! — გაეცინა ნიკას. — შენ — მე-ე?! შენ მე რუსი ხომ არ გგონივარ ან ციდან ჩამოფრენილი? მომაწვები — მოგაწვები... არ ვყიდი-მეთქი, არა და მოვრჩეთ ამაზე, დავამთავროთ! — შეუვალი იყო ნიკა.

— მოიცა-მოიცა, ცოტა დაფიქრდი. იმ ტოტს ხომ არ ჭრი, რომელზედაც ზიხარ?! რა, პრინციპის ამბავია? — გააგრძელა მიწოლა ლადომ.

— თუნდაც... — თქვა ნიკამ.

— ბიჭო, ჯერ მე წინ არავინ გადამდგომია... — ბოლომდე გაიხსნა ლადო და ფეხზე წამოდგა. — მე ლადო ვარ ბერიძე!

— ვინ ვის უდგება წინ, შენ — მე თუ მე — შენ? — აუღელვებლად თქვა ნიკამ. — ის მიწა ჩემი საკუთრებაა! მე რაიმეს გთხოვ შენ?.. შენა მთხოვ, არა?! მგონი, მემუქრები კიდეც. ასეა?.. შენ თუ ლადო ხარ, მე — ნიკა ვარ. შენ თუ ბერიძე ხარ, მეც ბერიძე ვარ! — ისევ სკამზე ივჯდა ნიკა.

— არ მეგონა, თუ ხელს მკრავდი... — ტაქტიკა შეცვალა ლადომ. ნიკამ არ უპასუხა. — ჰო, თუ რაღაც ორ გოჯ მიწაში გამცვლიდი... — თქვა ლადომ. გავიდა და სამზარეულოს კარი გაიჯახუნა.

ნიკას, ელისოს ხმა მოესმა.

— ლადო, შვილო, მიდიხარ უკვე? სუფრა მინდოდა გამეშალა.

სადარბაზოს კარიც გაჯახუნდა. ელისო ნიკასთან შევიდა.

— რა მოხდა, ნიკა, თქვენ შორის? ხმაც კი არ გამცა. გავიდა და კარი ისე გაიჯახუნა, სადარბაზო ჩამოიღო... იმის ნაცვლად, რომ ბიძაშვილები ერთმანეთს მხარში ამოუდგეთ...

— კაი, ელისო, დამთავრდა ეგ ეპოქა, მოკვდა! — ფეხზე წამოდგა ნიკა. — ადამიანი ადამიანისთვის — მგელია, დათვი, მელა, ტურა!.. წავედი მეც.

— მოიცა, გევახშმა, სად გარბიხარ? — შეეკითხა ელისო.

— მე ალბათ, ოფისში დავრჩები. ბევრი საქმე მაქვს. დედას ნუ ეტყვი ნურაფერს, არ არის საჭირო, — უთხრა ნიკამ და გავიდა.

— არ ვეტყვი... შენ მართალი ხარ — ეს ის ქალაქი აღარ არის. შეიცვალა, თავისი ხალხიანად... — ჩაილაპარაკა ელისომ.

ნიკამ ხმაურით შეაღო თავისი ოფისის კარი. ნანას ეღიმებოდა. იცოდა, რომ ღიმილი უხდებოდა და არც ენანებოდა ეს თავისი „სამკაული“ მათთვის, ვინც მოსწონდა... ნიკა კი მართლაც, მოსწონდა. „რაღაც მაგნეტიზმია ამ კაცში, რაღაც გადამდები და უცხოური“, — ფიქრობდა თავისთვის და თვალს ლამაზად, ჩუმად აპარებდა მისკენ.

— უკვე მესამედ ვხვდებით შემთხვევით... — თქვა ნიკამ.

— ჰო, ძალიანაც რომ გვნდომებოდა, ვერ მოვახერხებდით, — უპასუხა ნანამ.

— რომც გვეოცნება... — დაამატა ნიკამ.

— არა, მე ყოველი შემთხვევისთვის გამოვიარე, ჩემი ეზოს გეგმა წამოვიღე. — ნანამ ცელოფანის პარკიდან დახვეული გორგალი ამოიღო და ნიკას მიაწოდა. ნიკამ ნახაზი მაგიდაზე გაშალა.

— აი, ეს... — ნანა ნახაზზე სწორედ იმ ადგილას აპირებდა თითის დადებას, საითაც ნიკამ წაიღო ხელი. მათი მტევნები უნებურად ერთმანეთს შეეხო და ორივემ ერთდროულად ჩახედა თვალებში ერთმანეთს. — რა მგრძნობიარე თითები გქონია!.. — თქვა ნანამ.

— მაპატიე, — თითქოს ოდნავ შეცბა ნიკა. — ესაა ხომ, თქვენი ეზო?.. ცხრაასი კვადრატული შემაღლებულზე. ეს რა, ქოხმახებია? — ნანამ პასუხი არ გასცა, ალბათ სულ სხვა სიტყვებს ელოდა ნიკასგან. — ეს — ქოხმახებია? — გაუმეორა ნიკამ.

— არა, მთლად ქოხმახები არა... მაგრამ — კი, მთელი ეს სახლები ერთმანეთზეა მიხორხლილი, — თქვა ნანამ.

— ეს თქვენი სახლია? — თითი დაუდო ნახაზზე ნიკამ.

— კი. მაგრამ დასანგრევია.

— კაი, გასაგებია. პირველი სართულის ზედა მხარე მიწაში მოჰყვება. — ნიკამ ნახაზი დაახვია და გვერდზე გადადო. — ვიწყებთ მაშ, ხვალიდან. ბანკის მონაცემებს ეკა გადმოგზავნის.

— ეკა შენი მდივანია? — ნანამ გამომცდელად მოწკურა თვალები.

— არა, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერია ანუ — შემსრულებელი. მდივანიც არის, გიპიც ანუ პროექტის წამყვანიც და დამლაგებელიც.

— შეძლებს მერე? — იკითხა სასხვათაშორისოდ ნანამ.

— გააჩნია დაკვეთებს, ვნახოთ, — და ნიკამ მოურიდებლად იკითხა: — ჩვენ ისევ სხვა რამეზე ხომ არ ვლაპარაკობთ?..

— მე მგონი, არა. მე მგონი, ყველაფერს მოვასწრებთ... — და ნანამაც მოურიდებლად გადაიკისკისა.

— მაშინ გთხოვთ, — მისაღები ოთახის კარი გამოაღო ნიკამ.

— კი მაქვს ცოტა დრო, — საათზე დაიხედა ნანამ.

ნიკამ ჟალუზები ჩამოშალა. ორივენი ერთდროულად დასხდნენ, ერთი — სავარძელში, მეორე — დივანზე და ერთდროულად წაიღეს ხელი ერთი და იმავე ჭიქისაკენ. მათი მტევნები ისევ ერთმანეთს შეეხო და ნიკამ აღარ გააშვებინა ხელი.

— თავისით... — თქვა მან.

— ჰო, თავისით. ან რა ვიცი... — გაიცინა ნანამ. — როდემდე უნდა გეჭიროთ?

— სიკვდილამდე, — თქვა ნიკამ.

— სიკვდილამდე?.. ქალებს სჯერათ მამაკაცების ტყუილების... — გადაიკისკისა ნანამ.

ნიკამ ხელი გაუშვა.

— არა, მე არ ვაპირებ თქვენს მოტყუებას.

— დაგიჯერეთ, — თვალები აუჟუჟუნდა ნანას.

— გიყვართ შამპანური? — ჭიქები შეავსო ნიკამ.

— ძალიან, — თქვა ნანამ და ჭიქა ლამაზად მიუჭახუნა.

— ჩვენს მესამე შეხვედრას!.. — თქვა ნიკამ.

— და კიდევ ბევრს!.. — დააყოლა ნანამ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გაუფრთხილდით გულს ზაფხულში!

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

სიცხეში, ზოგჯერ აბსოლუტურად ჯანმრთელ ადამიანსაც კი ეწყება: ქოშინი, ჰაერის უკმარისობის, გულის არეში მოჭერის შეგრძნებები და ა.შ. ავადმყოფ გულს კი, ზაფხულში მეტი საშიშროება ექმნება. როგორ უნდა მოიქცნენ ცხელ ამინდში გულის უკმარისობის მქონე ადამიანები?

სიცხეში გული მეტი დატვირთვით მუშაობს, ჩქარდება პულსი. ასეთ დროს, ჰიპერტონიით დაავადებულები თავს ცუდად გრძნობენ; გულის იშემიური დაავადების მქონე პაციენტებს უხშირდებათ სტენოკარდიული შეტევები. ამიტომ ზაფხულის დასაწყისში, სასურველია მიმართოთ მკურნალ ექიმს და ჩაიტაროთ პროფილაქტიკური გამოკვლევა. ეს განსაკუთრებით მათთვისაა აუცილებელი, ვინც დასასვენებლად მკვეთრად განსხვავებულ კლიმატურ პირობებში მიემგზავრება. ექიმი შეაფასებს თქვენს საერთო მდგომარეობას და მოგცემთ ისეთ რეკომენდაციებს, რომ ზაფხულის უშფოთველად გატარება შეძლოთ.

თუ ქრონიკული დაავადების მკურნალობა კარგადაა შერჩეული, კარდიოლოგის პაციენტთა უმრავლესობას (ინფარქტგადატანილთა და გულის მძიმე უკმარისობის მქონეთა გარდა), პრაქტიკულად იმავეს უფლება შეუძლია მისცეს თავს, რისიც — ჯანმრთელ ადამიანებს. მაგალითად, თუ ჰიპერტონიის მქონე პაციენტი წამლების მეშვეობით წნევას ისე ირეგულირებს, რომ მისი მაჩვენებელი არ აღემატება 140/90 მმ. ვწყ. სვ-ს (ეს წნევის ზღვრული დასაშვები მაჩვენებელია), მაშინ ასეთი ადამიანისთვის შეზღუდვები მინიმალურია. თუმცა, ამ შეზღუდვების უგულებელყოფას არ გირჩევთ.

ყველანაირი აქტიური ფიზიკური სამუშაო შუადღის სიცხის დადგომამდე, ან მის შემდეგ უნდა შეასრულოთ. ეს განსაკუთრებით მათ ეხებათ, ვინც მიწაზე ან მშენებლობაზე მუშაობს. თუ უეცრად ქოშინი, სისუსტე, თავბრუსხვევა ან გულის არეში ტკივილი იგრძენით, დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ ფიზიკური დატვირთვა. არ არის რეკომენდებული თავდახრილ მდგომარეობაში ხანგრძლივად ყოფნა ბოსტნის გამარგვლისა თუ სხვა სახის სამუშაოს დროს. ასეთ პოზაში დიდხანს ყოფნისას, თავიდან სისხლის გადინება ირღვევა და შეიძლება განვითარდეს თავბრუსხვევა, არტერიული წნევის მკვეთრი მატება, გონების დაკარგვა და ინსულტიც კი. ამიტომ ასეთი სამუშაო უმჯობესია, პატარა სკამზე დამჯდარმა შეასრულოთ.

პაპანაქებაში, მზის გულზე 15 წუთზე მეტხანს გაჩერება დაუშვებელია. ამის შემდეგ, ჩრდილს უნდა შეაფაროთ თავი. ჩრდილში ან გრილ შენობაში დაუყოვნებლივ გადასვლას გირჩევთ მაშინვე, როგორც კი გულისცემის გახშირებას ან კისრის სისხლძარღვების პულსაციის გახშირებას (რაც კიდევ უფრო საშიშია), იგრძნობთ. ჰაერის ტემპერატურის მიუხედავად, მზეზე ყოფნისას თავზე აუცილებლად დაიხურეთ ქუდი.

ნუ ეცდებით მეტისმეტად ცივ წყალში გაგრილებას. ასეთი ბანაობა განსაკუთრებით საშიშია გულის იშემიური დაავადების მქონე პაციენტებისათვის, რომელთაც სისხლძარღვთა შევიწროება აქვთ. ცივი წყალი სპაზმს კიდევ უფრო გააძლიერებს, რამაც შესაძლოა, სტენოკარდიის პროვოცირება და მიოკარდიუმის ინფარქტიც კი გამოიწვიოს. ნუ ჩახვალთ წყალში ოფლიანი ან გადახურებული, რადგან სისხლძარღვებს ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება ვნებს — ის ვერ ასწრებს ადაპტირებას. ნუ ეცდებით შავი ზღვის გადაცურვას. ბანაობის სეზონი თანდათანობით უნდა დაიწყოთ, პირველ დღეებში, ნაპირთან ახლოს დაისვენეთ და იბანავეთ. სამწუხაროდ, შეუძლებელია იმის წინასწარ განსაზღვრა, როდის დაიწყება გულის შეტევა.

ნაკლები რაოდენობით მიირთვით ხორცი და ცხოველური ცხიმები, თქვენთვის უმჯობესია მცენარეული საკვები და რძის პროდუქტები. არ გირჩევთ სიცხეში დანაყრებას, სითხე კი, ორგანიზმს საკმაო რაოდენობით სჭირდება — ცხელ ამინდში ოფლიანობა ორგანიზმის დამცავი რეაქციაა, მისი წარმოქმნისთვის კი, წყალია საჭირო. უმჯობესია, ჩვეულებრივი წყლის ნაცვლად სვათ წვენები, მწვანე ჩაი, მინერალური გაზგასული წყალი.

გულით დაავადებულთათვის დასასვენელად რეკომენდებული არ არის ტროპიკული და ეკვატორის ქვეყნები. ყველაფერს კი, მშობლიური კლიმატური ზონა სჯობს. გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიების დროს, არ არის სასურველი ტემპერატურისა და ტენიანობის მკვეთრი ცვლილებები.

ნუ დაივიწყებთ წამლების მიღებას. ბევრს ჰგონია, რომ ზაფხულში, დასასვენებლად ყოფნისას შეიძლება მდგომარეობა გაუმჯობესდეს და ამ დროის განმავლობაში, წამლების მიღება საჭირო არ არის. ასე მოქცევა სახიფათოა. ფიზიკურმა დატვირთვამ, ბანაობამ თუ ბაღში მუშაობამ მაღალი ტემპერატურისა და მზის პირდაპირი სხივების ზემოქმედების პირობებში, შეიძლება სერიოზული გართულებების (ჰიპერტონიული კრიზის, სტენოკარდიის შეტევის, ინფარქტის) პროვოცირება გამოიწვიოს. ჩვენ კი, ყოველთვის სათანადოდ ვერ ვაფასებთ საკუთარ შესაძლებლობებს და ჩვენს ორგანიზმს მეტისმეტ მოთხოვნებს ვუყენებთ ხოლმე.

თუ ადამიანი სიცხეში ცუდად გახდა:

- გამოიძახეთ „სასწრაფო დახმარება“. დაეხმარეთ ცუდად მყოფს — ჩრდილში გადაიყვანეთ. გაუხსენით პერანგი და გაუთავისუფლეთ გულმკერდის არე. უზრუნველყავით სუფთა ჰაერის ნაკადის მიდინება. სახესა და გულმკერდზე დაასხურეთ ცივი წყალი. თუ ადამიანი გულის არეში ტკივილზე მიგითითებთ, ექიმის მოსვლამდე მიეცით ნიტროგლიცერინი.
- თუ თავად იგრძენით თავბრუსხვევა, სისუსტე, გულისცემის გახშირება და სუნთქვის აჩქარება, ჭარბი ოფლდენა — ეს სითბური დაკვრის პირველი ნიშნებია. დაუყოვნებლივ გადადით ჩრდილში ან გრილ შენობაში, ჩამოჯექით, დალიეთ ცოტა ცივი (მაგრამ არა გაყინული) წყალი და თუ იგრძნობთ, რომ გონებას კარგავთ, აუცილებლად უხმეთ ვინმეს საშველად.

■

დემოდეკოზი: პრობლემა ორგანიზმის შიგნით ბუდობს

როგორ მოვიქცეთ, თუკი სახეზე უჩილავმა ტკიპამ დაიწყო მბრძანებლობა? მიზეზი ორგანიზმში უნდა ვეძებოთ.

ვერაგი „მდგმური"

მიკროსკოპული ტკიპა თითქმის ყველა ადამიანის სახის კანზე მოიპოვება. იგი ცხიმოვანი ჯირკვლების სადინარებში, თმისა და წამწამების ძირებში ბინადრობს. ვიდრე უფრთხილდებით საკუთარ ჯანმრთელობას, სწორად იკვებებით, არ ნერვიულობთ, არ ავადმყოფობთ — ტკიპას „მეზობლობას" საერთოდ ვერ ამჩნევთ, მაგრამ როგორც კი, ორგანიზმი დასუსტდება და თავს შინაგანი პრობლემები წამოყოფს (კუჭ-ნაწლავის პათოლოგიები: ქოლეცისტიტი, გასტრიტი, დისბაქტერიოზი, წყლული, ჰორმონული და ნევროლოგიური დარღვევები), ტკიპაც მაშინვე გაგრძნობინებთ თავის არსებობას. მაგალითად, ჰორმონული ცვლილებების დროს, ცხიმოვანი ჯირკვლები მეტი რაოდენობით გამოყოფს ცხიმს, ტკიპასაც საკვები მეტი აქვს და უწინდელზე აქტიურად იწყებს გამრავლებას. ემოციურ ადამიანს ადვილად უვითარდება ნევროზი, რაც თავის მხრივ, კანის წვრილი სისხლძარღვების ცვლილებებს იწვევს — კაპილარები ფართოვდება და ვეღარ უბრუნდება სანყის მდგომარეობას (ვითარდება პერიფერიული ანგიონევროზი). ამ დარღვევის ფონზე ირღვევა კანის კვება, იცვლება მისი მჟავიანობის მაჩვენებელი. ეს კი, ისევ ტკიპას აძლევს ხელს — იგი იზრდება, მრავლდება და კანს დიდ ზიანს აყენებს.

არ იებინება, მაგრამ აზიანებს ჯანმრთელობას

უწინ ფიქრობდნენ, რომ კანქვეშა ტკიპა — დემოდექსი იწვევდა დაავადებას — დემოდეკოზს. ამჟამად კი, მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს, დაავადება კი არა, განსაკუთრებული მდგომარეობაა, რომელმაც შეიძლება, კანის პათოლოგიის — როზაცეას პროვოცირება გამოიწვიოს. ტკიპა ხომ ჯანმრთელი ადამიანის კანზეც შეიძლება ბინადრობდეს. ამიტომ დემოდეკოზის, როგორც ტკიპასმიერი ინფექციის მკურნალობას, აზრი არა აქვს. ადამიანისთვის დისკომფორტის შექმნის გზით, ტკიპა იმის სიგნალს იძლევა, რომ მის მასპინძელს ორგანიზმში სერიოზული პრობლემები აქვს.

სახეზე უსიამოვნებების წარმოქმნა დამოკიდებული არაა იმაზე, თუ რა რაოდენობით ტკიპა ბინადრობს კანზე. ზოგიერთი პაციენტის სახის კანის მიკროფლორის გამოკვლევისას, პარაზიტები საკმაო რაოდენობით ფიქსირდება, მაგრამ დაავადების კლინიკური გამოვლინება არ აღინიშნება: პაციენტები უჩივიან მხოლოდ ქავილს და სახის კანის პერიოდულ შეწითლებას. ზოგს კი, პირიქით: სახეზე ძლიერი გამონაყარი აქვს და დემოდექსი ისეთივე უმნიშვნელო რაოდენობით აღმოაჩნდება ხოლმე სადიაგნოსტიკო სინჯში, როგორიც ჯანმრთელ ადამიანს.

როზაცეა ხშირად აღენიშნებათ 30-50 წლის ადამიანებს, განსაკუთრებით — თეთრკანიანებსა და ღია ფერის თმის მქონეთ. მის განვითარებაზე ეჭვი მაშინ შეიძლება გაჩნდეს, როცა სახის კანი საკმაოდ ადვილად და ხშირად წითლდება, თანაც, ქავილი აღინიშნება. თუ დაავადება დროულად არ შეჩერდება, იგი უფრო მძიმე სტადიაში გადადის. მყარი შეწითლების ფონზე ჩნდება ჩირქოვანი გამონაყარი, კანი სქელდება, ფორები მნიშვნელოვნად ფართოვდება, ჭარბად გამოიყოფა ცხიმი. წითელი, ჰიპერტროფირებული ცხვირიც როზაცეის „საჩუქარია". თუ ტკიპა ქუთუთოების კანს დაზიანებს, მის მიერ გამოყოფილმა ტოქსინებმა შეიძლება წამწამების ცვენა, ქუთუთოს ქავილი და შეწითლება (ბლეფარიტი) გამოიწვიოს.

ასეთ დროს, მხოლოდ დერმატოლოგი ვერაფერს გახდება. მაგრამ ტკიპასთან ბრძოლა შესაძლებელია — მის წინააღმდეგ საკმაოდ ეფექტურია მეტრონიდაზოლის ჯგუფის პრეპარატები, მაგრამ ეს ეფექტი ხანგრძლივი არ იქნება, თუ დემოდექსის ზრდის მაპროვოცირებელ ფაქტორს არ დავამარცხებთ. ასე რომ, კომპლექსური მკურნალობისთვის გასტროენტეროლოგის, ენდოკრინოლოგის და სხვა სპეციალისტების კონსულტაციაც დაგჭირდებათ.

როგორ ვიცხოვროთ ტკიპასთან ერთად

- მოარიდეთ სახის კანი მზის სხივებს. მზისაგან დამცავი კრემი აუცილებელია. დაცვის ფაქტორი (SPF) არ უნდა იყოს 30-ზე ნაკლები.
- შეზღუდეთ ალკოჰოლი, მწარე, ცხარე, ცხიმიანი კერძები.
- ნუ გამოიყენებთ კოსმეტიკას, რომელიც შეიცავს სპირტსა და კანის გამაღიზიანებლებს.
- შეეცადეთ, სახის კანს თმის მოვლისათვის განკუთვნილი საშუალებები არ მოხვდეს. ■

ნუ ენდობით ზოდიაქოს ნიშნებს

დანიის ორხუსის უნივერსიტეტის ფსიქოლოგები იტყობინებიან, რომ ადამიანის ხასიათზე ვარსკვლავები გავლენას არ ახდენს. მათ 15 ათასი ადამიანის გამოკვლევის შედეგად დაადგინეს, რომ დაბადების თარიღი ინტელექტის კოეფიციენტთან, სოციალური ადაპტაციის უნართან, ჩვეულებებთან და პიროვნების სხვა მახასიათებლებთან არავითარ კავშირში არ არის. ამდენად, მოსაზრება, რომ ზოდიაქოს თითოეულ ნიშანს ხასიათის განსაზღვრული ტიპი შეესაბამება, არ დასტურდება. ■

აბები მამაკაცებისთვის

რამდენიმე წელიწადში აფთიაქებში გაჩნდება ჰორმონული კონტრაცეპტივები მამაკაცებისთვის. ამჟამად, მიმდინარეობს ახალი პრეპარატის მასშტაბური საერთაშორისო გამოკვლევა 1500 ადამიანის მონაწილეობით. გამოცდა ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ლოს-ანჯელესის ბიოსამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მამაკაცებში ჰორმონული კონტრაცეპცია უნაყოფობას არ იწვევს: პრეპარატის მოხსნიდან 3-4 თვის შემდეგ, განაყოფიერების უნარი ისევ აღდგება. ჯერჯერობით, აღმოჩენილი არ არის რაიმე მნიშვნელოვანი გვერდითი ეფექტებიც. ■

გრეიპფრუტის კიდევ ერთი საიდუმლო

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, თუ რატომაა დაუშვებელი გრეიპფრუტის წვენით წამლების დალევა. წვენის შემადგენლობაში აღმოჩენილია ნივთიერება, რომელიც ბევრი სამკურნალო საშუალების დამშლელი ფერმენტის მუშაობას თრგუნავს. ამიტომ, როდესაც წამალს გრეიპფრუტის წვენს ვაყოლებთ, შეიძლება ორგანიზმზე პრეპარატის საკმაოდ მაღალმა დოზამ იმოქმედოს და არასასურველი შედეგები მივიღოთ. ამ აღმოჩენის გამოყენება ორგვარად შეიძლება: დამნაშავე ნივთიერება შეიძლება გამოვყოთ და დავამატოთ იმ წამლებს, რომლებიც კუჭში ცუდად შეიწოვება. აგრეთვე, შესაძლოა, მომზადდეს უსაფრთხო წვენი, რომელიც აგრესიულ ნივთიერებას არ შეიცავს. ■

„ყველა მსახიობის ოცნებაა, ბევრი, ერთმანეთისგან განსხვავებული როლი ითამაშოს და რაც შეიძლება მეტად დაშორდეს საკუთარ იმიჯს“, — გვითხრა ქალბატონმა მარინა კახიანმა, რომელიც მის მიერ განსახიერებული როლებით თუ ვიმსჯელებთ, საკმაოდ ძლიერი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებს. როგორია ის რეალურ ცხოვრებაში? სილამაზის რა საიდუმლო რეცეპტს ფლობს? როგორ ახერხებს, იყოს ყოველთვის მომხიბვლელი? — ამ და სხვა საიდუმლოებებს თავად ქალბატონი მარინა გვიმხელს.

„სარკე ჩემი ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტია“

სილამაზის ხერხები მარინა კახიანისგან

სოფო ჭონიშვილი

— მსახიობისთვის ბედნიერი, ხალისიანი და იმედიანი დილა მაშინ თენდება, როცა გადაღებები, რეპეტიციები და სპექტაკლები აქვს. საერთოდ, ადამიანის განწყობილებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ გაატარა განვლილი დღე. ალბათ, იცით, რომ ყველა თეატრში სეზონი დაიხურა და ამ ეტაპზე, ნაკლებად დაკავებული ვარ. ჩვეულებრივად კი, ჩემთვის დილა ერთი ფინჯანი ყავით და რეპეტიციებით იწყება.

— თქვენ ყოველთვის კარგ ფორმაში ხართ. ამას როგორ ახერხებთ?

— განსაკუთრებულს არასოდეს არაფერს ვაკეთებ. უბრალოდ, ყოველ დილით იმ ელემენტარულ ჰიგიენას ვიტარებ, რაც ყველა ქალმა აუცილებლად უნდა გააკეთოს. რაც შეეხება სახის კანის მოვლას, იშვიათად თუ მახსენდება, რომ ბუნებრივი ნიღბები უნდა გავიკეთო, რაც ვაღიარებ, რომ ძალიან ცუდია, მით უმეტეს, მაშინ, როცა ოცი წლის აღარ ხარ. ბედნიერებაა, როცა ქალს ეს პროცესები სიამოვნებას ანიჭებს, მე კი, ხასიათიდან გამომდინარე, ამ ნიღბების კეთება ხან მსიამოვნებს, ხან — არა.

— მაკიაჟს ყოველდღიურად იკეთებთ?

— არა. ძალიან ხშირად, სახლიდან აბსოლუტურად შეუღებავი გავდივარ. თუ ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს დაგეგმილი ან წვეულებაზე მივდივარ, მაკიაჟს მაშინ ვიკეთებ ხოლმე. თუმცა, ვფიქრობ, რომ გრიმის გაკეთება ყველა ქალისთვის სასიამოვნო პროცესია — რამდენიმე წუთის განმავლობაში, სარკის წინ, საკუთარ თავთან მარტო რჩები და შენს გარეგნობას აკვირდები. ზოგჯერ, შეიძლება რაღაც არ მოგეწონოს და ამან სევდაც მოგგვაროს, ზოგჯერ კი, შენში რაღაც განსაკუთრებულს, სასიამოვნოს აღმოაჩენ და კარგ ხასიათზე დგები.

— დღის განმავლობაში, სარკის წინ დიდხანს ტრიალებთ ხოლმე?

— პროფესიიდან გამომდინარე, სარკე ჩემი ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტია. სპექტაკლის დაწყებამდე, მსახიობები მისი ტყვეები ვხდებით — სარკის წინ იწყება იმ სახის შექმნა და იმ პერსონაჟთან ურთიერთობა, რომელიც სცენაზე უნდა განასახიერო.

— სასცენო გრიმს თვითონ იკეთებთ?

— რა თქმა უნდა და სხვათა შორის, შესაბამისი გრიმის გაკეთება კარგადაც გამომდის.

— რომელი ფირმის კოსმეტიკას იყენებთ?

— საერთოდ, სხვადასხვა პერიოდში შეძენილი მაქვს ძალიან ბევრი კოსმეტიკა. მაგალითად, რამდენიმე სახეობის ტონალური კრემი, რომელსაც იმის მიხედვით ვისვამ, თუ სად მივდივარ. სცენაზე გასასვლელი გრიმი ცალკე მაქვს. ასევე, ვხმარობ ძვირად ღირებულ კოსმეტიკასაც: „შანელის“, „ლორეალის“... ზაფხულში საკმარისია, „რუმიანა“ მესვას და თავს მოწესრიგებულად მივიჩნევ. ხანდახან კი, მუქი მწვანე ფერის თვალის ფანქარს და ტუშსაც ვისვამ ხოლმე.

— მიუხედავად იმისა, რომ ამბობთ — სახის კანის მოვლაზე ნაკლებად ვზრუნავო, მაინც არაჩვეულებრივად გამოიყურებით. თქვენი სილამაზის რეცეპტს ვერ გაგვიმხელთ?

— საერთოდ, ქალბატონებს მინდა ვურჩიო, რომ ყველანაირი ხილის ნიღაბი გაიკეთონ. მაგალითად, თუ ალერგიული კანი არ გაქვთ, ძალიან კარგია გარგარის, მარწყვის ნიღაბი... აიღეთ კვერცხი, თაფლი და ლიმონის რამდენიმე წვეთი. აურიეთ ერთმანეთში და შემდეგ, ეს ნაზავი ოცი წუთის განმავლობაში სახეზე წაისვით... კიდევ გაგიმხელთ სხვა ნიღბის რეცეპტს: ზეითუნის ზეთს, ოხრახუშის წვენს, ხაჭოს და ლიმონის რამდენიმე წვეთს ერთმანეთში აურევთ და ამ ნაზავს სახეზე დაიდებთ (15-20 წუთით). მართალია, ეს ნიღბები კანს აახალგაზრდავებს, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ამ პროცედურების ჩატარება მეზარება ხოლმე.

საყურეს ყოველდღიურად ვატარებ და მის გარეშე, საკუთარი თავი ვერც წარმომიდგენია — ის ხან პატარა ზომისაა, ხან შედარებით მასიური

— თმას როგორ უვლით?

— თმის ძალიან კარგი ნიღაბი ვიცი და მის რეცეპტსაც სიამოვნებით გაგიმხელთ, ოღონდ, ცოტა რთული გასაკეთებელია და სუნიც არასასიამოვნო აქვს. სამაგიეროდ, შედეგი გარანტირებულია: ერთ კოვზ დაჭყლეტილ ხახვს და ნიორს დავუმატოთ კვერცხის გული, ერთი კოვზი აბუსალათინის ზეთი, რამდენიმე წვეთი ლიმონი და „დ“ ვიტამინი. ეს ნაზავი თავზე ორი საათის განმავლობაში გაიჩერეთ, შემდეგ კი, საგულდაგულოდ ჩამოიბანეთ... ეს ნიღაბი ორი წელია, რაც არ გამიკეთებია, მანამდე კი, ხშირად ვაკეთებდი.

— აქსესუარებთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

— საყურეს ყოველდღიურად ვატარებ და მის გარეშე, საკუთარი თავი ვერც წარმომიდგენია — ის ხან პატარა ზომისაა, ხან შედარებით მასიური. გააჩნია, როგორ განწყობილებაზე ვარ... დაახლოებით 15 წლის წინ, მოდაში დიდი საყურეები იყო. რა თქმა უნდა, მაშინ მეც მოდას მივყვებოდი და ერთ-ერთი გასტროლის დროს, იტალიაში ძალიან ლამაზი საყურე შევიძინე. როცა თბილისში ჩამოვედი, აღმოჩნდა — ისეთი მძიმე იყო, რომ ვერ ვატარებდი, ამიტომ დავშალე და რამდენიმე საყურე ავიწყვე. რაც შეეხება ყელსაბნევს, მას იშვიათად ვიკეთებ. შედარებით ხშირად კი, სამაჯურებს ვატარებ. რამდენიმე წელია ამოჩემებული მაქვს ერთი ბეჭედი, რომელიც სულ მიკეთია. საერთოდ, რაღაცების აკვიატება ვიცი — შეიძლება, თვეების განმავლობაში ერთი საყურე ვატარო და არ მომბეზრდეს; შეიძლება, რაღაც აქსესუარი წლების განმავლობაში სახლში მედოს და არ ვიყენებდე, შემდეგ კი, აღმოვაჩინო, რომ ის ძალიან ლამაზია და დიდხანს ვატარო.

— უპირატესობას ოქროს ანიჭებთ თუ ბიჟუტერიას?

— ძალიან ძვირფასი ნივთების ყოველდღე ტარება, სასურველი ნამდვილად არ

არის. ჯინსზე ბრილიანტის საყურეების და ბეჭდის გაკეთება, ვფიქრობ, შეუფერებელია. ისე, უპირატესობას ძვირფას ნივთებს ვანიჭებ, თუმცა, ხანდახან ბიჟუტერიითაც ძალიან ვიხიბლები ხოლმე.

— როგორია თქვენი ჩაცმის სტილი?

— ყოველდღიურად ჯინსით დავდივარ, ხოლო, როცა წვეულებაზე ან რაღაც ზეიმზე მივდივარ, რა თქმა უნდა, ძალიან მომწონს, საღამოს გამოსასვლელი კაბა რომ მაცვია. სხვათა შორის, ჩემი სტუდენტობის დროს, წვეულებაზე ნაკლებად შეხვდებოდით საღამოს კაბებში გამოწყობილ ქალბატონებს, რატომღაც მაშინ ეს ცუდ ტონად მიიჩნეოდა... მოკლედ, მომწონს როგორც სპორტული, ისე კლასიკური სტილი.

— სილამაზის სალონში ხშირად დადიხართ?

— ძალიან იშვიათად — იქ მხოლოდ თმის შესაჭრელად და შესაღებავად თუ შევივლი ხოლმე. „პრიჩოსკას“ თვითონაც კარგად ვიკეთებ.

— პედიკიურს და მანიკიურსაც თვითონ იკეთებთ?

— მყავს ერთი ქალბატონი, რომელიც სახლში მოდის და პედიკიურს მიკეთებს. მანიკიურის გაკეთება კი, თვითონაც შემიძლია და ეს პროცესი დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

— როგორია თქვენი სასცენო იმიჯი და რით განსხვავდება ის ცხოვრებისეული იმიჯისგან.

— საბედნიეროდ, ბევრი ისეთი როლი მითამაშია, რომელიც ჩემგან ძალიან განსხვავებულია. თუ მარიამ სტიუარტით და მედეათი ვიმსჯელებთ, ძლიერი და მებრძოლი ქალი ვარ. რეალურ ცხოვრებაში ბევრჯერ უთქვამთ, რომ შეუპოვარი გახლავართ, მაგრამ სამწუხაროდ, მე ასე არ მივიჩნევ — საკმაოდ სუსტი, ჩვეულებრივი ქალი ვარ.

— რეალურ ცხოვრებაში, იმიჯის შეცვლას ხშირად ცდილობთ?

— ყოველთვის ვახერხებ იმას, რომ განსხვავებულად გამოვიყურებოდე. ჩაცმის სტილს და მაკიაჟს ხასიათის მიხედვით ვირჩევ. შერჩევის პროცესი ძალიან მომწონს და სიამოვნებასაც მანიჭებს.

— რომელი ფერის სამოსს ანიჭებთ უპირატესობას?

— დიდი ხნის განმავლობაში, მუქი ფერი მიზიდავდა. შავი ფერის სამოსზე უარს ახლაც ვერ ვიტყვი, რადგან ის ძალიან ელეგანტურია, მაგრამ როცა მუქი ფერის ტანსაცმელს ხშირად ვატარებდი, თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი... ამ ბოლო დროს, ძალიან მომწონს ფერადი სამოსი, ოღონდ, არა ჭრელი. მიყვარს მწვანე, წითელი, თეთრი და ფირუზის ფერები. საერთოდ, ნებისმიერი ფერი ადამიანის ხასიათსა და განწყობილებაზე მიგვითითებს.

— სპორტულ დარბაზებში თუ დადიხართ?

— ამ ბოლო დროს, ერთი-ორჯერ ვიყავი. სამწუხაროდ, სპორტული ცხოვრებით არ ვცხოვრობ. სახლშიც იშვიათად ვვარჯიშობ. ჩვენს თეატრში *(რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი. — ავტ.)* ძალიან კარგი სპორტული დარბაზი გაიხსნა. რამდენჯერმე ვიყავი, მაგრამ რეგულარულად სიარულს ჯერჯერობით ვერ ვახერხებ. საერთოდ, ყველა ქალისთვის აუცილებელია, რომ საკუთარ თავს მიხედოს. ხშირად ხდება ისე, რომ ჯანმრთელობას, რომელიც ასე ძვირფასია ჩვენთვის, უყურადღებოდ ვტოვებთ და ეს ძალიან ცუდია. ღმერთმა მშვენიერებით დაგაჯილდოვა, ეს უნდა დააფასო — როცა შეიძლება სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ახალგაზრდობა შევინარჩუნოთ და გავიხანგრძლივოთ, ეს არ უნდა დაგვეზაროს. პირველ რიგში, ყოველთვის საკუთარი თავი და ჯანმრთელობა უნდა დავაყენოთ.

— სოლარიუმში თუ დადიხართ?

— ორი წლის წინ გადავწყვიტე, რომ სოლარიუმში მევლო, რამდენჯერმე ვიყავი კიდეც, მაგრამ იქ მისულს, რაღაც არასასიამოვნო შეგრძნება მეუფლებოდა. ამიტომ უპირატესობას ბუნებრივ გარუჯვას ვანიჭებ. თუმცა, ჯანმრთელობისთვის სასარგებლო არც მზის სხივების დიდი დოზით მიღებაა.

— პლასტიკურ ოპერაციებზე რა აზრის ხართ?

— ვფიქრობ, რომ ეს ძალიან კარგია — თუკი ქალს იმის სურვილიც აქვს და საშუალებაც, რომ თავი გაიახალგაზრდავოს ან საკუთარ გარეგნობაში რაღაც შეცვალოს, რა თქმა უნდა, მივესალმები. მაგრამ ხშირად ხდება ისიც, რომ ეს ავადმყოფობაში გადასდით ანუ პლასტიკური ქირურგის გარეშე სიცოცხლე აღარ შეუძლია. ყველაფრის შეცვლა კი, ცოტა არ იყოს მიუღებელია.

— მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ლამაზი ფერის თვალები გაქვთ, ლინზები თუ გამოგიყენებიათ?

— არასდროს, ჩემი ფერის თვალები (მწვანე) ძალიან მომწონს, რისთვისაც მშობლების მადლობელი ვარ. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველაზე ლამაზი, მწვანე ფერის თვალია. შავი თვალებიც მომწონს, მას რაღაც თავისებური ხიბლი აქვს. რაც შეეხება ლინზებს, ნამდვილად არ მომწონს და არც არასდროს გავიკეთებ.

■

„ჩემთან მოსული ცნობილი ადამიანები ყოველმვარი კომპლექსის მარეშე შიშვლდებიან“

ჯიჯი რეჯინი დაქორწინებას აპირებს

სოფო ყარალაშვილი

ერთ დროს კოსტიუმების შემქმნელი, დღეს კი, ფოტოდიზაინერი და ვიზაჟისტი ჯიჯი რეჯინი სულ ახლახან დაბრუნდა ერევნიდან, სადაც საქართველოს სახელით, მისი უკვე გაყიდული სურათების გამოფენა მოწყობრას ფიქრობენ ერევანში თბილისელებზე, რატომ შიშვლდებიან მასთან უკომპლექსოდ და როგორი მაკიაჟია ამ ზაფხულს მოდაში? — ამაზე სასაუბროდ მას სტუდიაში ვესტუმრე.

— ჯიჯი, წარმოშობით ვინ ხარ?

— მამით იტალიელი (რეჯინი მისი გვარია), დედით კი, სომეხი ვარ. სინამდვილეში, გრეგორი მქვია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ჯიჯი ჩემი მეტსახელია, რადგან ის ძალიან ახლოსაა ჩემთან. თუმცა, ამ ყველაფერს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს — ხვალ თუ გინდა, სარქისიანი ან კარაპეტოვი ვიქნები. მთავარია, ჩემი ხელოვნება დაფასდეს.

— არც ისე დიდი ხანია, რაც ამ სფეროში ხარ, თუმცა, უკვე ერთ-ერთ საუკეთესო ფოტოდიზაინერად მიგიჩნევენ. მომიყევი, როგორ მიაღწიე ამდენს?

— ჯერ კოსტიუმების დიზაინერი ვიყავი, რუსეთში ყოფნისას ვიზაჟის 6-თვიანი კურსი გავიარე, ერთ დღეს კი გადავწყვიტე, რომ ჩემი





მხოლოდ ისეთ ხალხთან ვმუშაობ, ვინც ნაღდი გადამხდელია

საქმე ფოტოხელოვნებაა. ჩემი ერთ-ერთი პირველი მოდელი — კრისტია, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ გადაღების ნარკომანია. პირველად, მაკიაჟს რომ ვუკეთებდი, კანკალი დაიწყო, შემეშინდა — თურმე, ტუშზე ცუდად ხდება... მასთან მუშაობა (მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის პირველი გადაღება იყო) არ გამჭირვებია. კრისტისთვის არც ამიხსნია, რა მინდოდა მისგან, რადგან მან ეს თავად იგრძნო და არაჩვეულებრივი ფოტოები გამომივიდა. საერთოდ, მე მისტიკის მჯერა — ერევანში რომ მივდიოდი, მჭირდებოდა სურათები ჩინურ თემაზე. თავიდან, კრისტის გადაღება ვიფიქრე, მაგრამ რატომღაც სხვასთან ვიმუშავე და მიუხედავად იმისა, რომ ყველა ატრიბუტი წესრიგში იყო, 10000 ფოტოდან არც ერთი არ ვარგოდა — ულამაზეს გოგოს მონგრეული სახე გამოუჩნდა. კრისტის დავუძახე და ერთი მეორეზე უკეთესი 100 ფოტო გადავიღე. მას ხელში წითელი ქსოვილი დავაჭერინე და ვუთხარი: წარმოიდგინე, რომ შენი შვილია-მეთქი. ცრემლები წამოუვიდა — ეს ხომ ღვთისმშობელიაო — მითხრა.

— ყოფილა თუ არა ისეთი შემთხვევა, როცა მოდელი არ მოგწონებია და მისთვის გადაღებაზე უარი გითქვამს?

— კი, ბევრჯერ. უარს ორ შემთხვევაში ვამბობ, როცა შეჭიდავ და ფანტაზია არ „გამეხსნება“ ან ვიგრძნობ, რომ ისიც ჩემთან ვერ იხსნება. საერთოდ, ვისაც „პორტფოლიეს“ გაკეთება სურს, ვუხსნი, რომ 10-დან ორ ფოტოზე შიშველი უნდა იყოს.

— რას გპასუხობენ?

— დღეს ყოველი მეორე იხდის, თან, რატომღაც ჩემთან კომპლექსებისგან თავისუფლდებიან. ზოგი მეუბნება: გადამიღე, მაგრამ საქართველოში არ გამოაჩინოო.

— ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც შენთან უკომპლექსოდ იხდიან?

— შენ რა გინდა, რომ ხვალ შეკვეთის გარეშე დავრჩე (*იცინის*)?.. ერთხელ, რაღაც შეკვეთა მივიღე, რომელიც მეორე დღეს უნდა ჩამებარებინა. თბილისში არც ერთი მოდელი არ იყო. რა უნდა მექნა? — დავურეკე მეგობარს და ვკითხე: არ გინდა, სადმე ყავა დავლიოთ-მეთქი? შემხვდა. მერე, სალობიეშიც წავედით და არაყი მოვითხოვე, გაუკვირდა — სმა დაიწყეო?.. იმას ვასმევდი, მე კიდევ მაგიდის ქვეშ ვასხამდი. კარგად რომ შეზარხოშდა, სტუდიაში მოვიყვანე და შეუდარებელი სურათები გადავუღე. მეორე დღეს გაგიჟებულმა დამირეკა (*იცინის*).

— შენი მომსახურება საკმაოდ ძვირი ჯდება. თუ ყოფილა შემთხვევა, როცა დანაპირები თანხა არ გადაუხდიათ?

— საქართველოა და ზოგი მეუბნება: ერთ კვირაში გადაგიხდი ან ერთ თვეშიო. ამ საქმით ვცხოვრობ, ამიტომ მხოლოდ ისეთ ხალხთან ვმუშაობ, ვინც ნაღდი გადამხდელია. რაც შეეხება კლიპებს, მხოლოდ რეჟისორ გიორგი გოგიჩაიშვილთან ვთანამშრომლობ. ის პროფესიონალია, მიქმნის არაჩვეულებრივ სამუშაო გარემოს. იცის, რომ ვიზაჟისტის დაჩქარება არ შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცუდი მაკიაჟის გამო, რეჟისორი გაილანძღება და არა ვიზაჟისტი.

— სრულყოფილი მაკიაჟის გასაკეთებლად რამდენი ხანი გჭირდება?

— 15 წუთიდან ორ საათამდე. საინფორმაციოს წამყვანებს რომ ვუყურებ, ცუდად ვხდები — ისეთი სახე უჩანთ, თითქოს დღეს ჩამოვიდნენ მაიამიდან, ხელები კი, ფითქინა თეთრი აქვთ.

— წელს როგორი მაკიაჟია მოდაში?

— არ არის სწორი, როცა წითელ კაბაზე მაინცდამაინც წითელ ტუჩის საცხს ისვამენ. უბრალოდ, უნდა აიპრიხონ წამწამები და წარბებზე ფანქარი გადაისვან. ტონალური კრემის წასმისას გრადაცია რბილი უნდა იყოს, კონტრასტი რომ არ ჩანდეს. ტყუილად ჰგონიათ, რომ ზოლებად წასმული „რუმიანა“ ყბებს აპატარავებს, პირიქით, მისი წასმა საფეთქლებიდან უნდა დაიწყოთ, გადავიდეთ ლოყებზე, ნიკაპზე და ტუჩის ზემოთ. ბოლოს კი, ეს ყველაფერი სუფთა, დიდი ფუნჯით უნდა გადანაწილდეს. თუ გინდათ, რომ 30 წლის ასაკში კანი კარგ მდგომარეობაში გქონდეთ, ტონს ყოველდღიურად ნუ იხმართ. წელს მოდაშია დიდი, გამოკვეთილი თვალები, აპრეხილი წამწამები (ზევითაც და ქვევითაც), ფანქარს ვისმევთ იმ ნაწილში, საიდანაც წამწამი იზრდება. ზაფხულში თვალის ჩრდილი არ იხმაროთ — მოდაშია პასტელის ფერები, ბაცი ვარდისფერი... ტუჩები კი, მხოლოდ კონტურით შეღებილი ანუ მშრალი.

კრისტის დავუძახე და ერთი მეორეზე უკეთესი 100 ფოტო გადავიღე

თმა — ხვეული, ბუნებრივად აწეწილი. მოკლედ, პროვინციელი გოგოს გარეგნობაა მოდაში. მამაკაცისთვის კი, საკმარისია, სოლარიუმში მიიღოს „ზაგარი“, მაშინვე გაუნათდება კბილები, თვალები და უთეთრდება კანი თვალებს ქვემოთ.

— ჯვიჯი, სულ ახლახან ჩამოხვედი ერევნიდან, სადაც ფოტოგამოფენა მოაწყვე, არა?

— კულტურის სამინისტროს ერთ-ერთმა თანამშრომელმა შემთხვევით ჩემი სურათები ნახა. ცოტა ხანში, მომივიდა უშველებელი წერილი-მოსაწვევი — გამოფენა 27-28 ივლისს კულტურის ცენტრ „ნარეკაცში“ მოწყო. პირველი დღე საპრეზენტაციო იყო, რომელზეც იქაური შოუბიზნესის წარმომადგენლები, დიზაინერები, კრიტიკოსები მოვიდნენ. მეორე დღე — ღია გამოფენა გახლდათ. უამრავი შემოთავაზება მივიღე და ზოგიერთს დავთანხმდი კიდეც. სომხებმა გამაოცეს — იმათ საქართველო — ევროპა ჰგონიათ, მოხუცები

სტუდიაში მოვიყვანე და შეუდარებელი სურათები გადავუღე

ამბობენ, თბილისი პატარა საფრანგეთიაო.

— როგორც ვიცი, შეყვარებული ხარ...

— კი და ახალი წლისთვის დაქორწინებას ვაპირებ. მინდა გითხრა, რომ ჩემთვის სიყვარული გამოყენებაზეა დამყარებული. ის მაგარი ხეა, რომელიც დგას თავისთვის და შენგან არაფერს ითხოვს... 17 წლის ასაკში ცოლის მოყვანა მინდოდა. ჩემს შეყვარებულზე ვფიქრობდი — კარგი დედა იქნება, ლამაზი შვილები მეყოლება, ჩემი ესმის-მეთქი. ამ ყველაფერს საყვარელი ქალისგან მოვითხოვდი და ეს გამოყენება არ იყო? ჩემი შეყვარებული ახლა საქართველოში არ არის, მაგრამ მალე ჩამოვა.

— ქართველი მამაკაცებისგან, შენი განსხვავებული გარეგნობის გამო, ქუჩაში ხალხის ყურადღებას იპყრობ?

— ეს ფაქტი ცოტათი მაკომპლექსებდა. ამიტომ ერთხელ, თმაც შევიჭერი და ჯინსიც ჩავიცვი, მაგრამ ქუჩაში ხალხი მაინც მიყურებდა. „დავიკიდე“ და შევეცადე, შემექმნა გარემო, სადაც თავს კომფორტულად ვიგრძნობდი. ვცდილობ, გავერიდო და არ შევაწუხო ის ხალხი, ვისაც ჩემი გრძელი თმა, ჩაცმის სტილი და ლამაზი, დიდი სამუშაო ჩანთა არ მოსწონს. ■

თათია ხაინდრავას ყველა პირობა ჰქონდა იმისათვის, რომ ცხოვრებისეული თუ შემოქმედებითი წარმატებები მოეპოვებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ მთავარი „დამნაშავე“ განგება აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ მის მსახიობურ ნიჭს ყველა ერთხმად აღიარებდა, სერიოზული როლი სცენასა თუ ფილმში არასოდეს მიუღია. მისი სილამაზით თავად გალაკტიონიც კი აღფრთოვანებული იყო, მის ნიჭსა და ხმას ეთაყვანებოდა საზოგადოება, თუმცა ოფიციოზისაგან — სრულიად დაუფასებელი, პირად ცხოვრებაში კი — უიღბლო აღმოჩნდა.

„ჩაქაგ ჩხიკვაძეს ჩემ ბაჩდა ღვიძლი შვილი აჩუ ჰყავს...“

ჩანდოდ აჩ სწყალოვდა განგება თათია ხაინდრავას

ირმა ახალაია

დიდი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას დისშვილს ისევე ებრძოდა განგება, როგორც თავად გამსახურდიებისა ოჯახს. გასული საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიებმა მწერლის ორი ძმა, ძმისშვილი, შემდეგ კი, თათიას მამა — სიმონ ხაინდრავაც შეიწირა. დისწულის აღზრდა კი, თავად კონსტანტინემ ითავა.

„ჩემი უჩინო თათია“

...შემდეგ იყო თეატრალური ინსტიტუტი, არცთუ ისე წარმატებული შემოქმედებითი ცხოვრება და პირადი პრობლემები. როგორც თავად აღნიშნავდა, განგებამ ერთადერთი ბედნიერება შვილის სახით მიანიჭა. თათია ხაინდრავას გარდაცვალებაც ისეთივე ჩუმი და უპრეტენზიო აღმოჩნდა, როგორიც მისი სიცოცხლე. 15 ივლისი მისი ქალიშვილის მირანდასთვის განსაკუთრებულად მტკივნეულია იმ თვალსაზრისით, რომ დედის სახით მან ერთადერთი უახლოესი ადამიანი დაკარგა, რადგან მას ცხოვრებაში არც მამის და არც და-ძმის სითბო არ უგრძნია. „მეც ალბათ, დედაჩემის ბედისა აღმოვჩნდი, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ შვილი არა მყავს“. ორი წლის შემდგომაც მირანდა ხაინდრავა ისევ იმ ტკივილით საუბრობს დედაზე.

კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახის მემატიანე და... საგვარეულო უიღბლობა

— ბაბუაჩემი, სიმონ ხაინდრავა 18 წლისა ყოფილა, როდესაც ცოლად შეურთავს 17 წლის სოფიო გამსახურდია. ოცდაორი წელი შვილი არ შესძენიათ, ორ ნაშვილებს ზრდიდნენ, შემდეგ კი, დედაჩემიც დაბადებულა. იგი სრულიად შემთხვევით გაგრაში მოევლინა ქვეყნიერებას, ამიტომაც აფხაზეთი ყოველთვის განსაკუთრებით უყვარდა. 30-იან წლებში დატრიალებულმა რეპრესიებმა არსებითად შეცვალა მისი ცხოვრება. სოფიო გამსახურდიას ორი ძმა და ძმისშვილი დაუხვრიტეს. რეპრესიების სუსხი ბაბუაჩემს — სიმონ ხაინდრავასაც მისწვდა და ისიც შეიწირა. ვერ გადაიტანა ოჯახის აწიოკება, რადგან ყველაფერი, რაც კი ებადა, ჩამოართვეს. ფილტვების ანთებით გათანგულს მძიმე გადაწყვეტილება მიუღია და მეუღლისათვის უკანასკნელი სიტყვები დაუბარებია: თათიას კონსტანტინე გაგიზრდისო. ასეც მოხდა, დედაჩემის აღზრდა კონსტანტინე გამსახურდიას საკუთარ თავზე აუღია.

თათია ხაინდრავა (მარჯვნივ) თანაკურსელებთან ერთად (მარჯვნიდან მეორე — რამაზ ჩხიკვაძე)

დედაჩემმა მთელი ბავშვობა ბიძის სახლში გაატარა ზვიადისა და თამარის გვერდით. მის თვალწინ „იზრდებოდა“ კონსტანტინე გამსახურდია, როგორც მწერალი. ხშირად ამბობდა, ვხედავდი, როგორ წერდა, ხევდა, ისევ წერდა, ისევ ხევდა. წერდა მთელი ღამე, დილის თერთმეტ საათამდე არავის ჰქონდა მასთან მისვლის უფლება, მაგიდაზე ედგა შავი ღვინო, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და ასე ქმნიდა შედევრებსო. ამ ოჯახში ცხოვრება თათიასთვის ნამდვილი აკადემია აღმოჩნდა, რადგან ის ეცნობოდა თბილისის ნაღებ საზოგადოებას. განსაკუთრებული სიყვარულით ბიცოლას — მირანდა ფალავანდიშვილს იხსენებდა ხოლმე. სწორედ მის პატივსაცემად დამარქვა მეც მისი სახელი. ზვიადი ხომ მისთვის უძვირფასესი ადამიანი გახლდათ. მასზე თორმეტი წლით უმცროსი იყო და ისე უყვარდა, როგორც პატარა ძმა. მერაბ კოსტავა ხომ ღვიძლი ძმასავით გამოიგლოვა. შემოქმედებითი წარუმატებლობისა და დაუმსახურებელი დამოკიდებულების გამო, მერაბი მას ხშირად ასე მიმართავდა: „ჩემი უჩინო თათია“. გამსახურდიების ოჯახში მოვლენები დრამატულად განვითარდა: ჯერ მირანდა გარდაიცვალა, შემდეგ — თამარი. მიუხედავად ამისა, როგორც დედა ამბობდა, კონსტანტინეს სული სხეულზე ძლიერი აღმოჩნდა. იგი ფეხზე დამდგარი შეეგება სიკვდილს...

ზვიადის გარდაცვალებას კი, სიცოცხლის ბოლომდე ვერ ეგუებოდა. არ სურდა, დაეჯერებინა ეს მწარე სინამდვილე. ყოველ შემთხვევაში, ზვიადი რომ თავს არ მოიკლავდა, ამაში სრულიად დარწმუნებული იყო.

ნიჭიერი მსახიობი — არც კინოში, არც სცენაზე

— თეატრალურ ინსტიტუტში იოსებ გრიშაშვილის გადაწყვეტილებით ჩაირიცხა. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტს, პოეტისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ საღამოზე მისი ლექსი — „ხელთათმანის ღილი“ წაუკითხავს. მეორე დღეს იოსებ გრიშაშვილს იგი აკაკი ხორავასთვის წარუდგენია და თეატრალურ ინსტიტუტშიც ჩარიცხულა.

კონსტანტინე გამსახურდიასა და თენგიზ არჩვაძესთან ერთად

მესამე კურსზე რომ სწავლობდა, რეპეტიციაზე მიმავალს მანქანა დასჯახებია და ფეხის უმძიმესი მოტეხილობა მიუღია. ალბათ, ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ დედა თეატრში სამუშაოდ აღარ გაუნაწილებიათ და მეტყველების კათედრაზე დაუტოვებიათ. ყველა აღიარებდა რომ ნიჭიერი მსახიობი იყო, მაგრამ მისთვის არც თეატრსა და არც კინოში როლი არ მიუციათ. ერთადერთი როლი, სიკო დოლიძის ფილმში — „კაცია-ადამიანი?!“ ითამაშა და მთელი ცხოვრება მადლიერი იყო ამ რეჟისორის. „დიდოსტატის მარჯვენა“ ხომ ბიძამისის ნაწარმოებით გადაიღეს. ამ შემთხვევაშიც არ გაუმართლა: ჯერ დედოფლის როლზე მიიწვიეს, შემდეგ რაღაც შეიცვალა და ცოქალას როლი მისცეს, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, მისი მონაწილეობით გადაღებული ეპიზოდებიც აბსოლუტურად ამოღებული იქნა მონტაჟის დროს. სცენაზე ხომ მხოლოდ იმ შემთხვევაში იწვევდნენ, როცა რომელიმე მსახიობი შეუძლოდ გახდებოდა. რომ არა რობერტ სტურუა, რომელმაც დედას მხატვრული კითხვის საღამო — „მზეო თიბათვისა“ გაუკეთა, მისი ხმა და ნიჭი ალბათ ბევრისათვის უცნობი დარჩებოდა. ამან დიდი პოპულარობა მოუტანა. რადიოშიც დიდხანს მუშაობდა. არასოდეს არავითარი ჯილდოსთვის არ უბრძოლია, მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო, ხალხის სიყვარული იყო. თავად ოფიციოზის მხრიდან კი, არასოდეს ყოფილა დაფასებული. სამწუხაროა, რომ პირად ცხოვრებაშიც ისეთივე უიღბლო აღმოჩნდა, როგორიც შემოქმედებაში. ხშირად ამბობდა — პირად ცხოვრებაში ჩემი უიღბლობა გურამ კუპრაძის სიკვდილით დაიწყოო.

პირველი და მარადიული სიყვარულის ამბავი

— გურამ კუპრაძე დედას პირველი და ნამდვილი სიყვარული იყო. მაშინდელი განათლების მინისტრის, დიდი მეცნიერისა და მათემატიკოსის, ვიქტორ კუპრაძის ვაჟი უსაზღვროდ ეტრფოდა თურმე დედას. მასთან შეხვედრისას საოცარი მღელვარებით ივსებოდა თურმე. 19 წლის ასაკში, თევზაობის დროს მტკვარში დამხრჩვალა. ამ ტრაგედიამ ღრმა კვალი დააჩნია დედას. მის საფლავზე ხშირად დადიოდა და მეც მივყავდი ხოლმე. ხალხს დიდხანს, გურამ კუპრაძის ცოლშვილი ვეგონეთ. ამ სიყვარულს განსაკუთრებული ემოციებით იხსენებდა. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში, იმასაც კი ამბობდა — გურამი იმ ქვეყნად ახალგაზრდა დამხვდება, მე კი ხანდაზმული მიუვალო... აი, ვის შეეძლო, ჩემთვის ბედნიერება მოენიჭებინა, აი, ვის შეეძლო, ნამდვილი გრძნობით ვყვარებოდიო. დანარჩენი ალბათ, რაც იყო მის ცხოვრებაში, მისთვის იმდენად მნიშვნელოვანი არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით ჩემს დაბადებას.

„ეს ადამიანი ჩემ წინაშე მართალი არ არის“ ანუ არშემდგარი მამაშვილობა

— რამაზ ჩხიკვაძესა და მას შორის სიყვარულის შესახებ ლაპარაკს დედა ყოველთვის თავს არიდებდა. ისინი ერთად დადიოდნენ პიონერთა სასახლეში. თეატრალურ ინსტიტუტშიც ერთად სწავლობდნენ. ალბათ, გარკვეულწილად ამან განაპირობა მათი ურთიერთობის ჩამოყალიბება. ალბათ იყო სიყვარულიც, თბილი ურთიერთობაც, მაგრამ ის, რომ ეს კაცი ჩემ წინაშე მართალი არ არის, — ფაქტია. ქალსა და მამაკაცს შორის ბევრი რამ ხდება, შესაძლოა, გრძნობა გაცივდეს, სხვადასხვა გზით მოუწიოთ ცხოვრების გაგრძელებამ, მაგრამ როცა არსებობს მესამე არსება — შვილი, ეს ალბათ, ორივე ადამიანს პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს, რაც მამაჩემს ჩემ მიმართ აბსოლუტურად არ გამოუჩენია. მასთან არასოდეს არანაირი შეხება არ მქონია, თუმცა, როგორც მეუბნებიან, ორწლინახევრამდე შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონია ჩემთან და ძალიანაც ვყვარებივარ. დაოჯახების შემდეგ, ყოველგვარი კავშირი გაუწყვეტია და როგორც ჩანს, აბსოლუტურად დაივიწყა ჩემი არსებობა, მცდელობაც კი არ ჰქონია ჩემთან ურთიერთობის აღდგენისა. რომ ჰქონოდა, ალბათ ეს უფრო გამიკვირდებოდა... რას ვიზამთ... რამდენადაც ცნობილია, ღვიძლი შვილი, ჩემ გარდა, არც ჰყავს. არ მინდა მასზე საუბარი, ასაკშია და... მიუხედავად იმისა, რომ მას არ ვახსოვდი — როგორც შვილი, სამაგიეროდ, მისმა მშობლებმა დამდეს დიდი ამაგი და სიცოცხლის ბოლომდე მათი მადლიერი ვიქნები. მას შემდეგ, რაც ბებია — სოფიო გარდაიცვალა, 8 წლის ასაკიდან 18-19 წლამდე, მათ ოჯახში ვიზრდებოდი. უდიდესი სითბო, სიყვარული და საუკეთესო განათლება მომცეს. ბაბუაჩემი — გრიგოლ ჩხიკვაძე არაჩვეულებრივი მუსიკოსი, ფოლკლორისტი და თავისი საქმის უბადლო მცოდნე გახლდათ. მუსიკალური განათლებაც სწორედ მათი მეცადინეობით მივიღე. ალბათ გენეტიკურია ჩემში მუსიკისადმი განსაკუთრებული ლტოლვა. ზვიადსაც საფორტეპიანო განათლება ჰქონდა მიღებული და როდესაც ბებიას მათთან სტუმრად მივყავდი, ზვიადი და მერაბი ხშირად უსმენდნენ ჩემ მიერ შესრულებულ მუსიკალურ ნაწარმოებებს. კოკოს ვაჟები — დემეტრეც და ზვიადიც მუსიკალურ განათლებას ეუფლებიან.

კადრი ფილმიდან „დიდოსტატის მარჯვენა“

ალბათ ესეც ერთგვარი გენეტიკური ლტოლვაა... ცენტრალური მუსიკალური სკოლა დავამთავრე, შემდეგ — კონსერვატორია. ბევრი წარმატება მქონია... 1993 წლიდან, ჯანსუღ კახიძის სახელობის სიმფონიურ ორკესტრში ვუკრავ. დედას საოცრად ახარებდა ჩემი ყოველი წარმატება. ვინაიდან და-ძმა არ მყავს, დედაჩემი იყო ჩემთვის დედაც, მამაც და და-ძმაც. ის ყველა ამ სიცარიელეს მივსებდა. მისი გარდაცვალების შემდეგ აღმოვაჩინე, რაოდენ მარტო ვყოფილვარ...

უკანასკნელ დღეს... სულში გაჩენილი სიცარიელე

— მძიმედ მახსენდება ის დღეები. სიკვდილსაც საოცრად ვაჟკაცურად შეხვდა. მძიმე სენი რამდენიმე თვე ნელ-ნელა უსწრაფებდა სიცოცხლეს, მაგრამ თითქოს ამას ადვილად არ ურიგდებოდა. მამშვიდებდა — ყველაფერი კარგად იქნებაო. უკანასკნელ დღეებში, სიზმრად ბებია — ელისაბედ თოფურიძე (დედის დედა) ნახა, რომელიც სიცოცხლეში არც კი ახსოვდა. შემდეგ ის ადამიანებიც ახსენა, რომლებიც ცოცხლები აღარ იყვნენ. ამ ამბავმა შემაძრწუნა, მივხვდი, უკანასკნელი დღეები ახლოვდებოდა. ცნობიერების შემოწმების მიზნით, უკანასკნელად ვკითხე, ვინა ვარ-მეთქი და... ჩემი საყვარელი შვილიო — მიპასუხა.

15 ივლისის დილას კი, სრულიად მარტო აღმოვჩნდი. გული იმაზე მწყდება, რომ არც დედას და არც მე, ბედი არ აღმოგვაჩნდა. ვერც ოჯახის შექმნა მოვახერხე. დედას ალბათ, მხოლოდ იმაში თუ ჰქონდა ბედი, რომ შვილი დარჩა. ალბათ ყოველი ადამიანის ცხოვრებას მართლაც, განგება განსაზღვრავს. რობერტ სტურუამაც ხომ აღნიშნა ამასთან დაკავშირებით: ბედი ისეთი რამ არის, რომ ვერსად გაექცევი. ■

დედაჩემი იყო ჩემთვის დედაც, მამაც და და-ძმაც

ჭოკჭქმთ ქწტფთეუკმ ვფ ცქმტვფ თუკფ ხმწტმთ თფადფმფ ფკთკგდუიგდმ თფთცფგდუიმ

ზარზმის ღვთისმშობლის მიძინების მონასტერი სამცხე-ჯავახეთში, სოფელ ზარზმაში მდებარეობს, იგი დაარსებულია IX საუკუნეში, სერაპიონ ზარზმელის მიერ, რომელიც ამავე მხარეში — ღვთისმოშიშებითა და პატიოსნებით გამორჩეულ ოჯახში დაიბადა. წმინდა სერაპიონის წმინდა ნაწილები საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიწმინდეს წარმოადგენს.

შორენა მერკვილაძე

წმინდა სერაპიონს მშობლები ადრეულ ასაკში გარდაეცვალნენ. მას თავიდანვე ჰქონდა სურვილი, ღვთის გზას გაჰყოლოდა, ამიტომ მშობლების გარდაცვალების შემდეგ, უმცროს ძმასთან — იოანესთან ერთად, რომელიც ჩია და ენაბლუ იყო, ჯავახეთის უდაბნოში — პარეხში მოღვაწე ბერს, მიქაელ პარეხელს მიაშურა. იგი მალევე შეიქნა ღირსი მღვდლად კურთხევისა, ამავდროულად, მამა მიქაელის საყვარელი მოწაფეც გახდა. ერთხელ, ლოცვისას, ღირს მიქაელს მღვდლის სამოსში გამოწყობილი კაცი გამოეცხადა და აუწყა, რომ მის მიერ განსწავლული მოწაფეები — სერაპიონი და იოანე სამცხეში გაეგზავნა მონასტრის დასაარსებლად. თან იმ ნიშნების შესახებაც ამცნო, რომელთა პოვნის შემდეგაც უნდა აეგოთ ეკლესია.

მამა მიქაელს საყვარელ მოწაფესთან განშორება ეძნელებოდა, მაგრამ ცხადია, ღვთის ნებას წინ ვერ აღუდგებოდა, სერაპიონი იხმო და განუცხადა: სამცხეში უნდა ააშენო მონასტერი, იქ, სადაც ღმერთი გიჩვენებსო. ესოდენ დიდმა პატივმა და მოვალეობამ ძალზე შეაკრთო სერაპიონი და ცრემლთა ღვრით შესთხოვა მოძღვარს, ნუ განმაშორებ შენს წმინდა კრებულსო. „შეწყვიტე, შვილო, სიტყვების მოგება, რათა საღმრთო მორჩილების გვირგვინს არ დააკლდე. მოემზადე წასასვლელად და თან შენი ხორციელი ძმა იოანე და მონასტრის ოთხი ბერი წაიყვანე“, — მიუგო მამა მიქაელმა და ის ნიშნებიც უთხრა, რომელთა ხილვის ადგილზეც უნდა დაეწყოთ ეკლესიის აგება.

სერაპიონი მორჩილად დაჰყვა ღვთის ნებას და თანამოსაგრეებთან ერთად სამცხისკენ გაემართა. შემწედ მოძღვრის მიერ გატანებული, ფერისცვალების ხატი წააბრძანეს. მცირე ხნით, ბერისჯვრის მთასთან შეჩერდნენ, შემდეგ გზა განაგრძეს — ჩაიარეს მდინარე უტყვისას ხეობა და ერთ ადგილს მიადგნენ, რომელსაც ძინძეს ეძახდნენ. სერაპიონს და მასთან მყოფ ბერებს ეს ადგილი ძალზე მოეწონათ — მიუხედავად იმისა, რომ იქ ის ნიშნები ვერ იხილეს, რომლითაც უნდა გამოერჩიათ სამონასტრე ადგილი, მონასტრის აშენება მაინც იმ ადგილას გადაწყვიტეს — მცირე ტაძარი

აღუთქვა და ჰკითხა: აწ რის გაკეთებას გვიბრძანებო? სერაპიონმა ის ადგილი აჩვენა, სადაც მონასტრის აშენებას აპირებდა, მაგრამ გიორგის არ მოეწონა — ეს ადგილი უქმი და უღვაწია, იქნებ ჯობდეს, სხვა ადგილას ავაგოთ მონასტერიო, — შესთავაზა ბერს. „შეუძლებელია წინ, აღვუდგეთ ღვთის ბრძანებას და ადგილი შევუცვალოთ მონასტერს. ნურც შენ გვაიძულებ“, — უთხრა სერაპიონმა. გიორგი ჩორჩანელმა მაინც შესთავაზა, ოდნავ მოშორებით მდებარე კლდეზე მონასტრის აგება, მაგრამ მამა სერაპიონმა კვლავ მტკიცე უარი განუცხადა. მაშინ მთავარმა ერთი ჭაბუკი იხმო და უბრძანა: შვილო საყვარელო, ხვალვე გაჰყევი წმინდა მამებს და განთიადიდან მწუხრამდე რა ადგილიც ისურვონ, ამათთვის მიმიცია. თუ ვინმე წინ აღუდგება მათ, უთხარი, რომ მე დავრთე ნებაო. წმინდა მამებს გამოემშვიდობა და დაჰპირდა, სამი დღის შემდეგ გინახულებთო. მართლაც, განთიადისას დაიწყეს სვლა. ბერებს უგზო და უვალ გზებზე — უსიერ ტყეში და კლდოვან ბილიკებზე უწევდათ სიარული. როდესაც ორი მდინარის შესაყართან მივიდნენ, სადაც წისქვილი გაემართათ, ხალხი მტრულად შეხვდა, იქაური მოსახლენი ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ ბერები შეეყოვნებინათ. წმინდა სერაპიონმა მათ წინასწარმეტყველური სიტყვებით მიმართა: „ვიხილე უღმრთო აღმაღლებული ნაძვთამდე ლიბანისათა და თანაწარვხედ და არა იპოა ადგილი მისი“. გამოაღწიეს იმ ადგილიდან და გზა განაგრძეს. ძმებს შემთხვევით ორი ღვთისმოშიში და კეთილმსახური კაცი — ია და გარბანელი — შეხვდა, რომელმაც უმასპინძლა და გზის გაგნებაში დაეხმარა. ვიდრე ბერები იმავე კლდესთან არ მივიდნენ, საიდანაც სვლა დაიწყეს, მზე არ ჩასულა...

ზარზმის ღვთისმშობლის მიძინების მონასტერი

განთიადისას, როდესაც სერაპიონმა და მასთან ერთად მოღვაწე ბერებმა ლოცვა დაიწყეს, მათთან ორი კაცი მივიდა, დაბა-წისქვილის მკვიდრნი, რომლებმაც ბერებს იმ ღამით მომხდარი სასწაულის შესახებ უამბეს: „თქვენ რომ წამოხვედით, მიწა იძრა, საშინელი ხმაური ატყდა, კლდე გაიპო და ტბის წყალი მდინარის წყალს შეუერთდა. წყალმა წალეკა ყოველივე... ტბის ადგილას მხოლოდ ქვები და ლოდები დარჩა“... დაიხოცნენ დაბა-წისქვილის მკვიდრნიც. მხოლოდ ორი ძმა გადაურჩა სასწაულებრივად სიკვდილს — სწორედ ისინი, რომლებმაც მომხდარი სასწაულის შესახებ მამა სერაპიონს ამცნეს. ასე ახდა სერაპიონის წინასწარმეტყველება.

მომხდარის შესახებ ელვის სისწრაფით გავრცელდა ხმა მთელ იმ მხარეში და წმინდა მამებთან უამრავი ადამიანი შეიკრიბა, მივიდა გიორგი ჩორჩანელიც, იმ მხარეში მოღვაწე სასულიერო პირებთან ერთად. შიშით თავზარდაცემულმა ხალხმა მთელი ღამე ლოცვასა და გალობაში გაატარა. ამის შემდეგ, იმ ადგილს ზარზმა უწოდეს.

დილით ხალხი ბერებს გამოეთხოვა, გიორგი ჩორჩანელი კი მათთან დარჩა და შესთავაზა, ეკლესიის ასაშენებელი ადგილი შეერჩიათ. მამა სერაპიონს სურდა, ტაძარი მაღალ ბორცვზე აეგოთ, მაგრამ მის სურვილს დანარჩენი ბერები ეწინააღმდეგებოდნენ: „ნუ, წმინდაო მამაო, ადგილსა ამას, რამეთუ მაღალ და ცივ არს“, — ეუბნებოდნენ ისინი. მაშინ ბერებმა გადაწყვიტეს, რომ ორ კანდელში თანაბარი რაოდენობით ზეთი ჩაესხათ, ერთი მამა სერაპიონის მიერ არჩეულ მაღალ გორაკზე დაედგათ, მეორე კი — გორაკის სამხრეთით მდებარე დაბლობზე, მცირე ღელის გვერდით, რომელიც სერაპიონის ძმამ, იოანემ შეარჩია ეკლესიის ასაშენებლად; მთელი ღამე ლოცვაში გაეტარებინათ და რომელი კანდელიც უფრო გვიან ჩაქრებოდა, იმ ადგილას აეგოთ ეკლესია. მართლაც, ასე მოიქცნენ. გამთენიისას ნახეს, რომ წმინდა სერაპიონის კანდელი დაშრეტილიყო და ჩამქრალიყო, იოანესი კი — არა, იგი სამხრამდე ენთო.

ეკლესიის საძირკველი იოანეს მიერ არჩეულ ადგილას ჩაყარეს. მშენებლობა 3 წლის მანძილზე გრძელდებოდა. ახალაგებული ტაძარი, გიორგი ჩორჩანელის დახმარებით, წესისამებრ შეიმკო, იქვე დააბრძანეს ფერისცვალების ხატიც. აიგო ბერთა საცხოვრებელი სენაკებიც, რადგან მამა სერაპიონთან მოღვაწე ბერთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდებოდა. მათ მამა სერაპიონმა „განუჩინა წესნი და კანონი საეკლესიონი“. ასე დაარსდა ერთ-ერთი სამონასტრო ცენტრი სამცხეში.

მამა სერაპიონი მრავალი წლის მანძილზე წინამძღვრობდა ზარზმის მონასტერს. მისმა ქადაგებამ და ცხოვრების სათნო წესმა მრავალი ადამიანი განამტკიცა ჭეშმარიტ სჯულში. მან სიცოცხლეშივე, საკუთარი ხელით გაიჭრა საფლავი — სამარხი თავისი, ეკლესიის საკურთხევლის აღმოსავლეთით, რათა ყოველთვის ხსომებოდა სიკვდილი და ყოველ წამს მზად ყოფილიყო, ამასოფლიდან გასასვლელად.

სერაპიონ ზარზმელმა წინასწარ იგრძნო გარდაცვალების მოახლოება. — იხმო მასთან მოღვაწე ბერები და უკანასკნელად დამოძღვრა ისინი: „ღვთისა და მოყვასის სიყვარული, მარადის ლოცვა, მარხვა და მორჩილება შეიტკბეთ, დაიმარხეთ და აღასრულეთ“. შემდეგ, ძმობის წევრებს შორის ერთ-ერთი — მღვდელ-მონაზონი გიორგი გამოარჩია და მონასტრის წინამძღვრად დაადგინა, თვითონ კი თავის სენაკში განმარტოვდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, სნეული სერაპიონი სენაკიდან გამოვიდა, საკურთხეველში შევიდა, წმინდა ტრაპეზს და ფერისცვალების ხატს ემთხვია, ეზიარა, სათითაოდ მოიკითხა მონასტერში მოღვაწე ბერები: „ილოცეთ ჩემთვის, ძმანო და ცხონდით, რამეთუ არ-ღარა მიხილოთ სოფელსა ამას“, — უთხრა მათ, გაბრუნდა თავის სენაკში და საღამო ხანს მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს. მისი წმინდა ნეშტი დიდი პატივით დაკრძალეს საკურთხევლის აღმოსავლეთით, მის მიერვე გაჭრილ სამარეში. მანამდე, წმინდა მამის სხეულთან შეხებით მრავალი სასწაულებრივი კურნება აღესრულა. მის საფლავთან სასწაულები დღემდე აღესრულება.

მამა გიორგის შემდგომ, ზარზმის მონასტრის წინამძღვრად დადგენილ იქნა მამა მიქაელი, რომლის დროსაც დაიწყო ზარზმის მონასტრის ტერიტორიაზე მეორე ტაძრის მშენებლობა მაღალ გორაკზე — იმ ადგილას, სადაც წმინდა სერაპიონს სურდა ეკლესიის აშენება. მაგრამ მამა მიქაელი ტაძრის დამთავრებას ვერ მოესწრო, იგი მისმა შემდგომმა წინამძღვარმა, მამა პავლემ დაასრულა. იქვე გადააბრძანეს ფერისცვალების ხატი. იმ პერიოდში ზარზმის მონასტერში მოღვაწეობდა წმინდა სერაპიონის ძმისწული ბასილ ზარზმელი, რომელმაც გახსნა სერაპიონ ზარზმელის საფლავი და მისი წმინდა ნაწილები, რომელთაგანაც მირონი გადმოედინებოდა, ახალაგებული ეკლესიის მახლობლად დაკრძალა.

ზარზმის მონასტრის პირველ ეკლესიებს ჩვენამდე არ მოუღწევია, ამჟამინდელი ტაძრები აგებულია XV საუკუნის დასაწყისში, სამცხის მთავრის, ბექა ჯაყელის დროს. ■



«პორტუგალიელთა მთელი დარბაზი საქართველოს ქომაგობდა»

სექტემბრიდან საქართველოს საკალათბურთო ნაკრები ძველ მიზანს განახლებული შემადგენლობით შეეჭიდება. ეროვნულმა გუნდმა იმავეს გამეორება უნდა შეძლოს, რაც რამდენიმე დღის წინ ჩვენმა 20-წლამდელებმა მოახერხეს — ანუ წელს მაინც გადალახოს ფინური ბარიერი და A დივიზიონში აინაცვლოს. ახალ მწვრთნელთან ერთად, ეროვნულ ნაკრებში რამდენიმე ისეთი მოთამაშეც არის, რომელიც წინა საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოაკლდა გუნდს: ვახტანგ ნაცვლიშვილი, მანუჩარ მარკოიშვილი და ვიქტორ სანიკიძე. ამ უკანასკნელმა ახალგაზრდულ ნაკრებში გამოსვლა ლისაბონში დაასრულა, სადაც გუნდის სული და გული გახლდათ, გაცილებით ტანმაღალი მეტოქეები არ გაახარა და ტურნირის საუკეთესო მოთამაშის პრიზიც თან წამოიღო. ორი დღის წინ ვიქტორი დასასვენებლად თურქეთს გაემგზავრა, 5 აგვისტოს კი ისევ თბილისში უნდა იყოს — ეროვნული ნაკრების შეკრება იწყება...

რატი შელეგია

— ვიქტორ, ლისაბონში ნაჩვენები თამაშით თუ ვიმსჯელებთ, ტრავმა ბოლომდე მოგირჩენია...

— საბედნიეროდ, ასეა. მატჩის შემდეგ, გადაღლილს, ოდნავ მაწუხებს ხოლმე, თუმცა ეგ არაფერია, მალე გამივლის. მთავარია, თამაშის დროს ოდნავ დისკომფორტსაც კი არ ვგრძნობ.

— პორტუგალიაში გამართული დაძაბული მატჩების შესახებ რას იტყვი?

— ასპარეზობაში ისე ჩავერთეთ, ერთი საკონტროლო მატჩიც კი არ გვქონდა ჩატარებული. სწორედ შეუთამაშებლობის ბრალი გახლდათ პირველივე შეხვედრაში მარცხი. ჩვენგან განსხვავებით, ყველა სხვა გუნდს ფინალური ეტაპის დაწყებამდე არაერთი შეხვედრა ჰქონდა გამართული. საქართველოს ნაკრები კი მხოლოდ ვარჯიშებით შემოიფარგლებოდა და ტურნირის უმთავრეს ფავორიტებთან — ფინელებთან დაპირისპირებისას რომ ვერ გავიმარჯვეთ, რა გასაკვირია.

— მხოლოდ ფინელებთან არა და, ისე ჩანდა — მატჩების პირველ ნახევარში უფრო ინერტული იყავი და მერე „იხსნებოდი“ ხოლმე...

— ეს უფრო საწყის მატჩებზე — ფინეთთან, ისლანდიასთან შეხვედრებზე ითქმის, სადაც მხოლოდ მე კი არა, მთლიანად გუნდს გაუჭირდა. თანდათანობით მოვუმატეთ და შეიძლება თამამად ითქვას, რომ მეტოქეებისგან განსხვავებით, საქართველოს ნაკრებმა ფორმა უშუალოდ ჩემპიონატის მსვლელობისას აღიდგინა. ჩვენს გუნდში საოცარი ერთიანობა და საბრძოლო განწყობილება იყო. როცა რომელიმე ჩვენგანი შეცდომას დაუშვებდა, შენიშვნის ნაცვლად თანაგუნდელები ერთმანეთს ვამხნევებდით. გამარჯვება ძალიან გვინდოდა და ამისთვის ყველაფერი გავიღეთ. მართლა თავდადებისა და ერთიანობის ხარჯზე მოვიგეთ, თორემ ჩვენზე კარგად ვინ იცოდა, რომ მეტოქეებს მომზადებაშიც ჩამოვრჩებოდით და სიმაღლით ხომ საერთოდ...

— სწორედ ეგ უნდა მეკითხა — თქვენთან შედარებით, ლამის ყველა გუნდს სიმაღლეში უპირატესობა ჰქონდა, ჩემპიონი კი საქართველოს ნაკრები გახდა და მოხსნებში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი შენ გქონდა.

— პორტუგალიის ტურნირის მონაწილე გუნდთაგან არ ყოფილა ნაკრები, 215 სანტიმეტრის სიმაღლის მოთამაშე რომ არ ჰყოლოდა. ჰოლანდიელებს შორის სულაც ოთხი 220 სმ-იანი კალათბურთელი თამაშობდა. იმავეს თქმა შეიძლება მაკედონიაზე, უკრაინაზე და მათ წინააღმდეგ მე რომ მიწევდა თამაში, ამით ყველაფერია ნათქვამი. ძალიან გაგვიჭირდა...

— ყველაზე მეტად რომელ შეხვედრაში?

— გამორჩევა გამიჭირდება. ალბათ, ჩეხეთთან მატჩში, სადაც 20 ქულას ვაგებდით, საბოლოოდ კი ათი ქულის სხვაობით გავიმარჯვეთ; კიდევ ნახევარფინალში, ფინეთთან. ჩვენს უმთავრეს კონკურენტებს 17 ქულითაც კი ვამარცხებდით, მაგრამ უკანასკნელ მეოთხედში ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს და მხოლოდ შეხვედრის მიწურულს გავტეხეთ მეტოქე. როგორც იცით, ნახევარფინალში გამარჯვებულები ავტომატურად ინაღდებდნენ დივიზიონის საგზურს და ფინელებთან მოგების შემდეგ თავი ქუდში გვქონდა, თუმცა ფინალში მოედანზე გასულებმა თასი რომ დავინახეთ, დაღლილობაც დაგვავიწყდა, ისიც, რომ „ზემოთ“ გადასასვლელი „ბილეთები“ უკვე ჯიბეში გვეწყო და გავიფიქრეთ — რატომაც არა?! ფინალში საკმაოდ თავისუფლად ვითამაშეთ და მაყურებელი ტურნირის ერთ-ერთი ყველაზე სანახაობრივი მატჩის მომსწრე გახდა — მაკედონიელები დავამარცხეთ და ჩემპიონები გავხდით.

— პირადად შენს თამაშზე რას იტყვი? მოხსნებზე უკვე ვილაპარაკეთ და ქულებითაც ერთ-ერთი საუკეთესო იყავი...

— ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დამასახელეს და რომ გითხრა, საკუთარი თამაშით უკმაყოფილო ვარ-მეთქი, ხომ არ დამიჯერებ? რა თქმა უნდა, ძველი ფორმა ჯერ არ აღმიდგენია, მაგრამ იმისთვის, რომ ეროვნულ ნაკრებში სრულფასოვნად ვიასპარეზო, ყოველმხრივ მზად ვარ.

— შენმა თაობამ ახალგაზრდულ ნაკრებში გამოსვლა დაამთავრა. მართალია, წინ მიდიხართ — ეროვნულ გუნდში თამაში უფრო საპატიოც არის და საპასუხისმგებლოც — მაგრამ ალბათ გული გწყდება, 20-წლამდელთა ნაკრებს რომ ემშვიდობები...

— ეს თაობა თითქმის ხუთი წელია, ერთად ვვარჯიშობთ. გული უფრო იმაზე მწყდება, რომ წინასწარ ვიცი — ეროვნულ ნაკრებში ყველა მათგანი ვერ მოხვდება,

ყოველ შემთხვევაში, ერთდროულად და ერთად თამაში არ მოგვიწევს. არა უშავს, სულ პატარები ხომ არ ვიქნებით. თანაც ჩინებულად დავასრულეთ ახალგაზრდულ გუნდში თამაში...

— ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, რომელიც ლისაბონში მიიღეთ...

— არასდროს დამავიწყდება, ფინალურ შეხვედრაში როგორ გულშემატკივრობდა მთელი დარბაზი საქართველოს ნაკრებს. ერთ ეპიზოდში ბურთის ლამაზად ჩატენა დავაპირე, მეტოქეს აქეთ-იქიდან შემოვუტარე ბურთი, ფოკუსები გავაკეთე, მაგრამ კალათში ჩაგდება მაინც ვერ შევძელი. მაშინ არაფერი, მაგრამ მალე თამაში შეჩერდა და მაყურებლებმა ტაში მოგვიანებით დამიკრეს... ისეთი მომენტი იყო, არასდროს დამავიწყდება.

— დარბაზის ასეთი კეთილგანწყობა რით დაიმსახურეთ?

— სხვა რომელი ნაკრებისთვისაც უნდა შეგეხედა: ყველას ჩამოყალიბებული გუნდის სახე ჰქონდა, ჩვენ კი... ეს დაბალი ბიჭები ამხელა მეტოქეებს ვეჭიდებოდით, ყველას ვაჯობეთ და ფინალშიც გავიმარჯვეთ, რა გასაკვირია, მაყურებელი სიმპათიით რომ განეწყო? თანაც ყველაზე სწრაფ, სანახაობრივ თამაშსაც ჩვენ ვაჩვენებდით. ახლა ეროვნული ნაკრების ჯერია, ხუთეულში მოხვედრის პრეტენზია ამ ეტაპზე ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სათამაშო დრო აუცილებლად მექნება.

— ახლა ყველა პრობლემა უკან დარჩა, მაგრამ იყო დრო, როცა ტრავმირებული ფეხი საშუალებას არ გაძლევდა, ნაკრებს უმნიშვნელოვანეს მატჩებში დახმარებოდი. რას გრძნობს ამ დროს კალათბურთელი?

— ენით აუწერელი გრძნობაა... მაშინ საფრანგეთში ვიყავი და ფინეთსა და მაკედონიასთან მატჩებს ტელევიზიით ვუყურებდი. საშინლად ვნერვიულობდი და ლამის ტელევიზორში შევძვერი. ძალიან მინდოდა ბიჭებთან ერთად ვყოფილიყავი და თამაშით თუ არა, მორალურად მაინც დავხმარებოდი.

— ბოლოს შენს მომავალ კლუბზეც ვთქვათ. „სან-ანტონიოს“ საკუთრება ხარ, მაგრამ ცხადია, ახალ სეზონს ამერიკული კლუბის შემადგენლობაში არ დაიწყებ...

— ბუნებრივია. ოპერაციის შემდეგ თითქმის მთელი წელი გამიცდა და სათამაშო პრაქტიკაც ახლაღა მივიღე. ასე რომ, „სან-ანტონიოს“ პოზიცია აბსოლუტურად გასაგებია. ჩემმა მენეჯერმა რამდენიმე კლუბის წინადადება გამაცნო, საუკეთესო ვარიანტს ავარჩევ და მხოლოდ ამის შემდეგ მეცოდინება, სად დავიწყებ ახალ სეზონს. მანამდე კი კარგად დავისვენებ 6 აგვისტოს ხომ საქართველოს ნაკრების შეკრება იწყება.

■

ჯიჯი – „ბებერი ქალბატონის“ ერთგული „ლოუნი“

მინიდოსიე

მეტსახელი: ჯიჯი ელ-ბუფი

დაბადების თარიღი: 1978 წლის 28 იანვარი

დაბადების ადგილი: კარერა (იტალია)

ფეხბურთის თამაში დაიწყო „პარმას“ საბავშვო სკოლაში

სიმაღლე: 190 სმ

წონა: 83 კგ

კლუბები: „პარმა“ (1994-2001), „იუვენტუსი“ (2001 წლის ივლისიდან)

სერია A-ში ჩატარებული აქვს 321 მატჩი, იტალიის ეროვნულ ნაკრებში — 67 მატჩი

მილწევები: მსოფლიო ჩემპიონი (2006), მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე (2006), უეფას თასის მფლობელი (1999), იტალიის სუპერთასის მფლობელი (1999, 2002, 2003), იტალიის ჩემპიონი (2002, 2003, 2005, 2006), იტალიის თასის მფლობელი (1999)

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ჩაატარა 7 მატჩი (690 წუთი), გაუშვა 2 გოლი (ერთი — პენალტით, ერთი — ავტოგოლი), მოიგერია 27 დარტყმა, დაჯარიმდა ორჯერ.

ალექსი რეხვიაშვილი

ჯანლუიჯი ბუფონი უდავოდ, მსოფლიოს საუკეთესო გოლკიპერია. დღეს ეს უკვე საკამათო აღარავისთვისაა. „სკუადრა აძურას“ კარის დარაჯმა ფაქტობრივად, უნაკლოდ იასპარეზა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე და თავისი გუნდის წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანა.

28 წლის ჯიჯიმ, რომლისთვისაც თამაშისას გოლის გატანა მუნდიალზე ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო, დამსახურებულად მიიღო ტურნირის საუკეთესო მეკარის წოდება. მაგრამ ამჯერად, იმის შესახებ მოგითხრობთ, თუ რას წარმოადგენს ეს „ბიჭი“ ყოველდღიურ ცხოვრებაში, და არა იმაზე, თუ როგორი წარმატებით იცავს ის თავისი გუნდის კარს (ეს ფეხბურთის ქომაგებმა ხომ საკუთარი თვალით იხილეს).

აბა, ბუფონის გასაკრიტიკებლად ენა ვის მოუბრუნდებოდა, მას დამატებით დროში გოლი რომ გაეშვა კიდეც?!. ჯერ კიდევ მოედანზე მყოფმა ზიდანმა „ცხრიანში“ თავური დაურტყა იტალიელ გოლკიპერს, მაგრამ ამ შეტევით, ფრანგებმა ბოლოს, მხოლოდ კუთხური „გამოიმუშავეს“. ხოლო პენალტების სერიაში იტალიელი მეკარის ავტორიტეტმა მის თანაკლუბელ დავიდ ტრეზეგეზე იმდენად იმოქმედა, რომ მან ბურთი კარის ძელს მოარტყა. თუმცა — მარტო ფინალში?!. გაიხსენეთ, როგორ თამაშობდა ნახევარფინალურ პაექრობაში ის გერმანელებთან, მეოთხედფინალში — უკრაინელებთან, ურთულეს შეხვედრაში ავსტრალიელებთან და ჯგუფურ ეტაპზე.

„უკვე 10 წელია, ჯიჯის თამაშს ვადევნებ თვალყურს და ძნელად ვიხსენებ მის შეცდომებს. რა თქმა უნდა, ის ცოცხალი ადამიანია და ხანდახან მართლაც, ცდება. მაგრამ მის თამაშში ჩავარდნა ნამდვილად არ მახსენდება“, — ამბობს მსოფლიო ჩემპიონთა მთავარი მწვრთნელი, მარჩელო ლიპი. მაღალ შეფასებას აძლევს თავის თანამემამულესა და კოლეგას ლეგენდარული დინო ძოფიც: „ბუფონი საკუთარ თავში აერთიანებს ყველა თვისებას, რომელიც თანამედროვე მეკარეს ესაჭიროება — რეაქცია, ნახტომი, ორიენტაცია და რაც მთავარია, საიმედოობა. როდესაც ის იტალიის ნაკრების კარში დგას, მე მშვიდად ვარ: ჯიჯი არ გიღალატებს“.

იტალიურ ფეხბურთში განვითარებული ნეგატიური მოვლენების გამო, მუნდიალის წინ, ბუფონი მეტისმეტად არასახარბიელო სიტუაციაში აღმოჩნდა, ისევე, როგორც „იუვენტუსის“ დანარჩენი წარმომადგენლები. როგორც ცნობილია, ტურინული კლუბი სერია B-ში დააქვეითეს, გარდა ამისა, მას იტალიის ჩემპიონის ტიტული ჩამოართვეს და მინიმუმ ორი წლით, ევროარენაზე ასპარეზობაც აუკრძალეს. მსოფლიოს საუკეთესო მეკარისთვის ნამდვილად რთულია, მთელი ორი წლის განმავლობაში იმ გუნდში თამაში, რომელთან ერთადაც, ფაქტობრივად, ვეღარაფერს მიაღწევს. ამიტომ ჯიჯი არჩევანის წინაშე დგას — დარჩეს „იუვეს“ ერთგული და მას ძველი დიდების დაბრუნებაში დაეხმაროს თუ მისი შესაფერისი კლუბი მოძებნოს. ყოველ შემთხვევაში, ბუფონმა ყველასათვის გასაგონად თქვა — იტალიის დატოვებას არ ვაპირებო.

1978 წლის 28 იანვარს დაბადებული ჯანლუიჯისთვის თავიდანვე ცნობილი იყო, თუ რა პროფესიას უნდა გაჰყოლოდა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან მისი ოჯახის ყველა წევრი პროფესიონალური სპორტით იყო დაკავებული: დედამისი, მარია-სტელა მრავალი წლის განმავლო-

ბაში, იტალიის მძლეოსანთა ნაკრების წევრი იყო და ქვეყანაში უძლიერეს ბადროს მტყორცნელად მიიჩნეოდა; მამა, ადრიანო ძალოსნობას მისდევდა; დებმა — გვენდალინამ და ვერონიკამ — უპირატესობა ფრენბურთს მიანიჭეს; პროფესიონალი სპორტსმენი იყო მისი ბიძა — დედის ძმაც: ანჯელო მოსაკო იტალიის კალათბურთელთა ნაკრების წევრი გახლდათ. მაგრამ სპორტული დინასტიის მთავარ წარმომადგენლად, რა თქმა უნდა, ჯიჯის ბაბუა, ლორენცო ბუფონი — „ინტერის“ ისტორიაში ყველაზე ლეგენდარული მეკარე მიიჩნევა. ის „მილანისა“ და იტალიის ნაკრების ღირსებასაც იცავდა.

საგულისხმოა, რომ „ბუფონი“ ფრანგული გვარია და „კლოუნს“ ნიშნავს, მაგრამ ჯიჯი საცირკო ხელოვნებას არ გაჰყოლია. თავდაპირველად, ის ნახევარმცველობაზე ოცნებობდა და მხოლოდ 12 წლის ასაკში მიხვდა, რომ მეკარეობა უფრო ეხერხებოდა. 1990 წელს, იტალიაში მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობდა და სწორედ მაშინ, პატარა ბუფონი კამერუნის ნაკრების გოლკიპერ, ტომ ნ'კონოს თამაშს მოუხიბლავს. „ძალიან მომეწონა იგი — მსუბუქი, პლასტიკური, ეფექტური. ტომის ყველა მოძრაობა უნაკლო იყო, თითქოს მისი ხელები ბურთს იზიდავდა. მუნდიალის შემდეგ, ეჭვიც აღარ მეპარებოდა, რომ ჩემი ადგილი კარის ხაზზე იყო“.

ჯიჯის არჩევანს არც მისი ოჯახის წევრები გაუკვირვებია, თუმცა მათ, ცოტა არ იყოს, უცნაურად მოეჩვენათ კამერუნელი გოლკიპერით მისი გატაცება: იტალიური სამეკარეო სკოლა ხომ ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. ერთი სიტყვით, ბუფონ-უმცროსს 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ვიდეოჩანაწერებზე გაამახვილებინეს ყურადღება — მაშინ ხომ ესპანეთის მოედნებზე ლეგენდარული დინო ძოფი ბრწყინავდა. „ძოფი დიდებულია, მაგრამ ტომასი მაინც სჯობია“, — უთქვამს ჯიჯის, იტალიისა და კამერუნის გუნდების დაპირისპირების ნახვის შემდეგ. ისე კი, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მეკარის ტიტულისთვის ბრძოლაში, ფაქტობრივად, თანაბარი შანსი ჰქონდათ: დინო ძოფს, რინატ დასაევსა და ნ'კონოს. „პირველ რიგში, თამაშით იტალიელი ბუფონი მგავს. როდესაც მას ვუყურებ, საკუთარი ახალგაზრდობა მახსენდება“, — ამბობს თავად ნ'კონო, რომელიც „ესპანიოლის“ მეკარეთა მწვრთნელია.

ჯიჯის პირველი კლუბი, „პარმა“ გახლდათ, რომელიც სწრაფად აღზევდა ჯერ იტალიურ, ხოლო შემდეგ — ევროპულ ელიტაში. ასე დაიწყო ბუფონის დიდი კარიერა.

1998 წელს, საფრანგეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ბუფონი სათადარიგო მეკარის რანგში იმყოფებოდა, მაგრამ მალე ის იტალიის ნაკრების ძირითად გოლკიპერად იქცა. ასეთი წინსვლა მან პალიუკასთან, პერუცისთან, ტოლდოსთან, ანტონიოლისთან, აბიატისთან კონკურენციისას მოახერხა. 2000 წლის ევროპის ჩემპიონატში მან ტრავმის გამო, ვერ ითამაშა, სამაგიეროდ, იმ ტურნირზე ფრანჩესკო ტოლდომ გაიბრწყინა.

„პარმის“ შემადგენლობაში ბუფონი იტალიის ჩემპიონატის პრიზიორი გახდა, ხოლო 1999 წლის გაზაფხულზე, მან გუნდთან ერთად, თავისი პირველი და სადღეისოდ უკანასკნელი ევროპული ჯილდო — უეფას თასი მოიპოვა. შემდგომში, „პარმა“ თანდათან თმობდა პოზიციებს, ამიტომ ნიჭიერი გოლკიპერისთვის ასეთი დონის გუნდის კარის დაცვა მოსაწყენი გახდა. სწორედ იმ პერიოდში ჯიჯიმ მეკარის სვიტერის პირველი ნომერი 88-ედ გადააკეთა. ამის გამო, დიდი სკანდალი აგორდა: ზოგიერთი ამრიცხვში ნაციზმის პროპაგანდას ხედავდა. მართლაც, ევროპელი ნეონაცისტები თავიანთ სიმბოლიკაში ორ რვიანს ხშირად იყენებენ. ასო H, რომლითაც ჰიტლერის გვარი იწყება, ლათინურ ანბანში რიგით მერვეა, ხოლო რიცხვი 88 — ერთგვარად, ნაცისტური მისალმების სიმბოლოდ აღიქმება... ასეთი ვერსია გამოქვეყნდა პრესაში, რის შემდეგაც, ბუფონი ფაქტობრივად, კაცობრიობის დაუძინებელ მტრად გამოიყვანეს. „თავი დამანებეთ, არანაირი ფაშისტი არა ვარ. ეს ნომერი უბრალოდ, იმიტომ ამოვირჩიე, რომ ერიკ ლინდროსისთვის დამეჭირა მხარი, რომელიც 88-ნომრიანი მაისურით ასპარეზობს. ერიკმა ტვინის შერყევა მიიღო და ამიტომაც გამიჩნდა მის მიმართ სოლიდარობის გრძნობის გამოხატვის სურვილი“.

სახელოვან გოლკიპერს ხშირად ხედავდნენ ლამაზი გოგონების გარემოცვაში, თუმცა სერიოზულ ურთიერთობამდე საქმე არასოდეს მისულა...

2001 წლის ზაფხულში, ბუფონზე ნამდვილი ნადირობა დაიწყო. ცნობილი კლუბები მზად იყვნენ, გოლკიპერში დიდი თანხა გადაეხადათ. მაგალითად, „ბარსელონამ“ „პარმის“ ხელმძღვანელობას 50 მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. საქმე ის გახლდათ, რომ თავად ჯიჯის არ სურდა იტალიის დატოვება. სამაგიეროდ, ის „იუვენში“ 2 მილიონით ნაკლებ ფასად გაიყიდა. მიუხედავად ამისა, მაინც მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულ მეკარედ იქცა.

„იუვენტუსთან“ ერთად, ჯიჯიმ მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც კი შეიძლება იტალიაში. მაგრამ შემდეგ, კლუბს სასამართლომ ორი „სკუდეტო“ ჩამოართვა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბუფონი იტალიის დატოვებას მაინც არ აპირებს. „გუნდიდან უკვე წავიდა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე. ასე თუ გაგრძელდა, ის სულ დაიცლება, მაგრამ ჩვენს ქომაგებზეც ხომ უნდა ვიფიქროთ! ისინი არაფერში არ არიან დამნაშავენი. ამიტომ, სერია B-ში ვითამაშებ,“ — დასძენს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე.

სიჭაბუკეში, ჯანლუიჯი ბუფონი გოგონებში პოპულარობით არასოდეს სარგებლობდა. ლამაზთა სქესის წარმომადგენლები ჯიჯის ხან მონსტრს, ხანაც — კვაზიმოდოს უწოდებდნენ. რა თქმა უნდა, ასეთ მდგომარეობაში მოხვედრილი ბუფონი თავს დათრგუნვილად გრძნობდა. „ნუ ნაღვლობ, ბიჭუნავ, ვარსკვლავი თუ გახდები, ეს ლამაზმანები შენს კართან აიტუზებიან, რაც თავადაც მოგბეზრდება...“ — უთქვამს ერთხელ მისთვის, ჯერ კიდევ „პარმაში“ თამაშის პერიოდში, თანაგუნდელ ფილიპო გალის, რომელიც არც შემცდარა: მალე ბუფონს არაერთი თაყვანისმცემელი გოგონა გამოუჩნდა, მათ შორის — ისინიც, ვინც მანამდე არცთუ ისე დიდი ხნით ადრე, მონსტრად მოიხსენიებდნენ. სახელოვან გოლკიპერს ხშირად ხედავდნენ ლამაზი გოგონების გარემოცვაში, თუმცა სერიოზულ ურთიერთობამდე საქმე არასოდეს მისულა, ვიდრე ბუფონის ცხოვრებაში ალენა სერედოვა არ გამოჩნდა. ჯერ კიდევ მუნდიალის დაწყებამდე, ჯიჯიმ განაცხადა, რომ იტალიის ნაკრების გაჩემპიონების შემთხვევაში, ის სერედოვას ცოლად მოიყვანდა.

ალენა არა მარტო სილამაზითაა დაჯილდოებული, არამედ მაღალი ინტელექტითაც გამოირჩევა. მას ფილოსოფიაში სამეცნიერო ხარისხი აქვს. ცოტა ხნის წინ კი, სერედოვამ ბუფონს სიტყვა ჩამოართვა, რომ ბოლოს და ბოლოს, ის საშუალო სკოლის დამთავრებას და ატესტატის აღებას დააყენებს საშველს: საქმე ისაა, რომ პროფესიონალ ფეხბურთელად ადრეულ ასაკში ჩამოყალიბების გამო, ჯიჯიმ სკოლის დამთავრება ვერ მოასწრო. ამიტომ, მალე შესაძლოა, ბუფონმა საღამოს სკოლაში გაგრძელოს სწავლა...

■

წითელდიპლომიანი ბარმენი – ჩემი ქვეყნის სახე...

„პატარა საქართველო“ საქართველოსგან შორს

დეა ცუცქირიძე

ლონდონი საცხოვრებლად იმიტომ აირჩია, რომ ქართულ, მამაპაპისეულ, ტკივილიან ფესვებზე იზრუნა. მისთვის მთავარი ამ არჩევნის გაკეთებისას ის იყო, რომ ზედმეტად არ შესჩვეოდა, „ფესვები არ გაედგა“ უცხო მიწაში. ამიტომ მიატოვა გერმანია, სადაც სტუდენტობის შემდგომი წლები გაატარა და ინგლისს ეწვია. ახლა საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცება ახალი უცხო ენით, ტრადიციებით, ჰავით განსხვავებულ გარემოში სცადა. დედით თბილისელი და მამით ბათუმელი — დედაქალაქივით მშფოთვარე და ქალაქივით მშვიდი ***ზაზა მესხი,*** *თავისი ემიგრანტული ცხოვრების მეშვიდე წელს ლონდონელი გახდა და ინჟინრად დაიწყო მუშაობა. „თანამემამულე“ ამ დროს უკვე არსებობის მესამე წელიწადს ითვლიდა. ეს დამოუკიდებელი ქართული ჟურნალია ევროპულ სივრცეში ანუ „პატარა საქართველო“, საქართველოსგან შორს — „თანამოდარდეთა“ და ჭეშმარიტ მამულიშვილთა იმედიანი ნავსაყუდელი. ზაზასთვის ეს ჟურნალი ნოსტალგიასთან ერთად დაიბადა. თბილისი — ბათუმი — მიუნხენი — ლონდონი „თანამემამულით“ დამთავრდა... თუ დაიწყო?! ჯერ ეს სადავო საკითხია, რადგან ახალგაზრდა ჟურნალი და მისი ახალგაზრდა რედაქტორი ჯერ ძალიან შორს არიან იმ დროისგან, როდესაც გადმოსახედიდან უნდა შეაფასო მოვლენები. ჯერ ემოციები დუღს და ღვთის მადლით, სწორ კალაპოტში მიედინება. წაიკითხეთ ამბავი, რომელიც ჩვენს ნაცრისფერ სამყაროში მრავალფერი პალიტრით გამოირჩევა. იდარდეთ და იხარეთ ცოტა ხნით იმათთან ერთად, რომლებმაც უკვე კარგად იციან: ქართველისათვის სამშობლოზე მნიშვნელოვანი, მტკივნეული, ქართველობაზე უფრო დიდი და დიადი არაფერია — და მადლობა ღმერთს, რომ ასეა, რადგან ეს ცოდნა გაძლების, დათმენის, გაგების, მიღწევების, გამართლების, აღმოჩენების საწინდარია. ეს ცოდნა ჩვენი გააზრებული ფესვებია და ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ერთ უბედურ დღეს მის გარეშე დავრჩეთ. ზაზა მესხი თავისი საქმიანობით ამტკიცებს, უფესვობა არ გვემუქრება. ამის ხილული მაგალითია მისი „თანამემამულე,“ რომლის ყველა ერთად აკინძული ნომერი, ზაზას თბილისურ ბინაში ქალბატონმა ლიამ, ზაზას დედამ მაჩვენა...*

„ნოსტალგია“ — ამ სიტყვას ადამიანები, როგორც წესი, დანანებით წარმოთქვამენ. მე თუ მკითხავთ, „ნოსტალგია“ არცთუ ისე უიმედო სიტყვაა და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთი ერის წარმომადგენელს სრულიადაც არა აქვს ეს შეგრძნება, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენ, ქართული ბედუკუღმართობის მიუხედავად, მაინც ბედნიერი ერი ვართ, რამეთუ გვაქვს საფიცარიც, საფიქრალიც, ოცნებაც და მიზანიც ცხოვრებაში. მიზანი, სადაც დაბრუნებაა მთავარი და არა — გაქცევა. წასვლა დაბრუნებისთვის, გაქცევა დაბრუნებისთვის, სიყვარული დაბრუნებისთვის, კომპრომისი საკუთარ თავთან ისევ დაბრუნებისთვის და ა.შ. დაუსრულებლად... ეს მილიონი ჩვენი თანამემამულის დაუწერელი ლოზუნგია: მე დავბრუნდები! და სანამ დავბრუნდები... ფიცს დავდებ, როგორც ამას „თანამემამულე“ აკეთებს, რომ „სიმართლისადმი მსახურების ნამუსიან ქუდს არასდროს მოიხდის!“ „თანამოდარდეებს“, ერთ ბედქვეშ მყოფებს შემოიკრებს, რათა ერთად იხილონ „ცისარტყელას მიღმა დარჩენილი ივერიის გაბრწყინება“.

მათ ეკონომიკურ ემიგრანტებად მოიხსენიებენ. ქვეყანა, სადაც ჯერ სამშობლოა საფიცარი თუ უფალი, არავინ იცის, თითქოს ვერ უნდა გატეხოს შიმშილის შიშმა, მაგრამ თუ ამ ჟურნალს წაიკითხავთ, დარწმუნდებით, რომ ეს „შიში“ მხოლოდ ასპარეზია წარმოსახვითი ხმლის მოსაქნევად, ამ „შიშით“ გადადგმული ნაბიჯები მხოლოდ გენეტიკურად მებრძოლი, მამაცი ხალხის თავგანწირული საქციელია. ნუ განსჯით მოყვასს! ნუ განსჯით მათ, რომელნიც დამცირების, საკუთარ „მეზე“ დაბიჯების, მარტოობის, ნოსტალგიის ფასად მე, შენ და კიდევ ბევრ ჩვენნაირ ქართველს მაღალ მატერიებზე ფიქრის შესაძლებლობის შანსს გვაძლევენ! ვწუხვარ, რომ ასეთი ცოდნა შევიძინეთ, მაგრამ ქართველებმა ვიცით: როცა ბნელა, ცივა და გშია, ინსტინქტები გონებას ჩაგრავს და ვაი, რომ აღარა ხარ „ჰომოსაპიენსი“! ერი, რომელიც პოლიტიკამ ჩაყლაპა თავის სულიერებასთან ერთად, ვერ იქნება განვითარების გარანტი, ერი, რომელიც ცოცხლობს „ნიუსებით“ და კრიმინალური ქრონიკით, ვერ გაზრდის ჯანსაღ მომავალს, სახელმწიფო, სადაც ინტელიგენტი და სახელმწიფო მოხელე — ერთი და იგივე ცნებები, ვერ გახდება წარმატებული, პაწაწინა ქვეყანა, სადაც მოღვაწეობს რამდენიმე სრულიად განსაკუთრებული, ბუმბერაზი მწერალი, მართლაც პატარაა, რამეთუ პატივს არ მიაგებს ამ სიდიადეს და ა.შ.

„თანამემამულე“ ფიქრობს საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაზე — ეს ლიტონი სიტყვები არ გახლავთ, რადგან სწორედ სწორი პოლიტიკაა ამ ადამიანებისათვის სამშობლოში დროულად დაბრუნების ერთადერთი გარანტი: „სადღეისოდ საქართველოს მეტი გასაჭირი და სატკივარი აქვს, ვიდრე მიღწევა და წარმატება. მიუხედავად ამისა, არ ვიქნებით სამართლიანნი და ობიექტურნი, თუ არ ვაღიარებთ, რომ საქართველო ძნელად, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ, უდავოდ, იწყებს დინამიკურ განვითარებას... რასაც შეეხები, თიხსავით გეშლება ხელში, იმდენად ფუყეა მისი საფუძველი. ქვეყნის აღორძინებას მუხლჩაუხრელი, თავდაუზოგავი შრომა სჭირდება, მაგრამ არიან კი ჩვენი სახელმწიფო მოხელეები მოწოდების სიმაღლეზე? საკადრო პოლიტიკა — საქართველოს ყველა მთავრობისათვის აქილევსის ქუსლია, გადაუჭრელი, მუდმივი პრობლემა... ამიტომაც გულწრფელად მახარებს ყოველი დიდი თუ მცირე წარმატება, იქნება ეს ახალი რეფორმა თუ შადრევანი. ოპოზიციისგან განსხვავებით, მიმაჩნია, რომ შადრევნებს, სკვერებს, დღესასწაულებს... აქვთ გარკვეული ფსიქოლოგიური დატვირთვა, რისი უარყოფაც არ არის მართალი... კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა: ტახტი ერთია, ყველა ქართველს კი მეფობა უნდაო. იქნებ, ერთხელ მაინც, საქართველოს ისტორიაში დადგეს ჟამი, როცა საქართველოს ბედს, მის კეთილდღეობას, მის მომავალს ამბიციას არ ვანაცვალებთ“ ***(მედეა თუშმალიშვილი, საფრანგეთი, პარიზი).***

„თანამემამულე“ ამ „ჟამის“ დადგომისთვის ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებზე, უმუშევრობის დაძლევის პრობლემებზე, ქვეყნის გამთლიანებაზეც საუბრობს. ეს ადამიანები, რომლებიც **ლონდონიდან, პარიზიდან, ბერლინიდან, ნიუ-იორკიდან, ტოკიოდან, დუბლინიდან, რომიდან, მოსკოვიდან, ტორონტოდან, ფერეიდნიდან, ანკარიდან, ბონიდან, ბარსელონიდან...** ცდილობენ ხმა, დაგროვილი გამოცდილება მიაწვდინონ საკუთარ ქვეყანას, ამას გაბოროტების, ქილიკის, ნიშნის მოგების გარეშე აკეთებენ — მათი ქვაკუთხედი მხოლოდ

სიყვარულია, ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში, ისინი სულაც არ არიან პროფესიონალი ჟურნალისტები, მათი სტატიები ყოველთვის „მიზანში ხვდება“.

„...რამდენად მიუახლოვდა საქართველოში არსებული პოლიტიკური წყობა დემოკრატიის და სამოქალაქო საზოგადოების დასავლურ სტანდარტს? აქ ოპტიმიზმის მყარი საფუძვლის მიუხედავად, ალბათ, საფიქრალიც ბევრი გვაქვს. „დემოკრატიული ძალების“ გამარჯვება ქვეყანაში სრულიადაც არ იძლევა დემოკრატიის ჩამოყალიბებისათვის საკმარის საფუძველს. უნდა ითქვას, რომ დასავლური ტიპის დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოება საკმაოდ რთული და არაერთმნიშვნელოვანი სტრუქტურაა. როგორც ყოველი ქმედითი და ცოცხალი ფორმა, ის არ არის რაიმე გარკვეული მმართველი ჯგუფის მოღვაწეობის შედეგი, არამედ ის დასავლეთში არსებული სოციალური, თუ პოლიტიკური ძალების, მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის საბოლოო და, გარკვეულწილად, მოულოდნელ შედეგს წარმოადგენს. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „დემოკრატიის შექმნა“ საბჭოური ხუთწლედების ყაიდაზე, საფუძველშივე გადაუწყვეტელი ამოცანაა. დასავლური ტიპის დემოკრატია პოლიტიკური არსებობის ისეთი ფორმაა, რომლის ფარგლებში ქვეყანაში არსებულ სოციალურ თუ საზოგადოებრივ ძალებს თვითგამოვლინებისა და თავისუფალი ქმედებისთვის აუცილებელი სასიცოცხლო სივრცე და ასპარეზი ეძლევათ... დემოკრატიასთან მიმართებაში „შექმნაზე“ ლაპარაკი უბრალო გაუგებრობის შედეგია. დემოკრატია, მართალია, გამოვლინების საშუალებას აძლევს უკვე არსებულ საზოგადოებრივ ძალებს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ „ქმნის“ მათ... წაქეზება და არა „შექმნა“ არის ის გზა, რომლითაც ჩვენ შეიძლება სამოქალაქო საზოგადოებას მივუახლოვდეთ... საბოლოოდ... პესიმიზმის უფლება, უბრალოდ, არა გვაქვს, თუ გავითვალისწინებთ დღევანდელი დღის საბედისწერო მნიშვნელობას და, თანაც, არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი კავკასიის რეგიონისთვის“ ***(სანდრო კლიმიაშვილი, ლონდონი).***

„საბედისწერო მნიშვნელობა,“ პოლიტიკური საკითხების მხარდამხარ, ემიგრანტული ცხოვრების ჩვენთვის უცნობ დეტალებსაც აქვს. ისინი, ქართველი ემიგრანტები, გამონაკლისის გარეშე და უყოყმანოდ, ჯერ იმ ენის შესწავლას ცდილობენ მონდომებით, რომელზედაც უნდა ააწყონ ურთიერთობები მათთვის უცნობ სამყაროში. ეს, როგორც წესი, გაღიზიანების გარეშე კეთდება. ხშირად სიყვარულით, ზოგჯერ კი — განწირულობის ჟამს. ასეა თუ ისე, საბოლოო ჯამში, ჩვენი თანამემამულეებისთვის უცხო ენის დაუფლება ყველაზე უმნიშვნელო პრობლემაა. ჭეშმარიტი პრობლემები ხომ მაშინ იჩენს თავს, როცა თითქოს მთავარი გადალახე. ახლა ახალი ცოდნითა და შესაბამისად ნანახისა და, რაც მთავარია, მოსმენილის შეფასებას რომ იწყებ, ძალიან რთული ხდება საკუთარი ახალი სტატუსის შეფერება, მორგება იმასთან, რაც გაქვს და არა იმასთან, რასაც იმსახურებ... ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა, საკუთარი პერსონის შეწირვა იდეასთან, რომელიც საკმაოდ მატერიალისტურად გამოიყურება, ბევრი ჩვენი თანამემამულისთვის სულიერი აშლილობის მიზეზი გახდა. ნებისმიერი ქვეყანა ჯერ საკუთარი მოქალაქეების უფლებებზე ფიქრობს და შემდეგ ემიგრანტებზე. როდესაც სოფია პევსკას (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი) სტატია, „როგორ მოვიპოვოთ მუშაობის უფლება დიდ ბრიტანეთში“ წავიკითხე, მივხვდი, რომ ეს ქვეყანა მხოლოდ საკუთარ თანამემამულეებზე ზრუნავს და იცით, სულაც არ გამიჩნდა ამით მათი განსჯის სურვილი, პირიქით, ეს მაგალითი სწორედაც რომ, სამაგალითოდ მინდა მოგიყვანოთ: ამ ქვეყანაში მუშაობის უფლება არ გაიცემა ფიზიკური შრომის, ხელობის, საკანცელარიო, სამდივნო და სხვა ასეთი დონის სამუშაოებზე. ვაკანსია, რომლისთვისაც შეგიძლიათ ლეგალურად იბრძოლოთ, მაღალი თანამდებობის უნდა იყოს! ეს კი ნიშნავს, რომ თქვენი გონებრივი შესაძლებლობებით, ცოდნით, გამოცდილებით, უნდა გაღიაროთ ქვეყანამ, რომელიც ასეთ ადამიანებს პატივს სამუშაოზე აყვანით მიაგებს... თქვენი პრობლემები თქვენივე აღიარებით დამთავრდება, ქვეყანა, რომელმაც ვერ შეიფერა — დაკარგავს, დიდი ბრიტანეთი კი შეიძენს პროფესიონალს... მაგრამ ეს ერთეულთა ხვედრია!

რა უნდა ქნას იმ ადამიანმა, რომელიც ჯერ „მხოლოდ“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ჟურნალისტიკის ფაკულტეტის წითელდიპლომიანი კურსდამთავრებულია?!

ნინო ჯიშკარიანის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ ემიგრანტული დღიურებია. „მოქმედება“ ლონდონის პაბში (ჩვენებურად დუქანში) მიმდინარეობს. ნინო არაფერს ჰყვება პირადულზე. მისი დაკვირვებული თვალით, ლუდის ჭიქებსა და სიგარის ბოლს შორის დანახული ლონდონელთა ცხოვრება საინტერესოა და სტატიაც ერთი ამოსუნთქვით იკითხება. თითქოს არაფერი პირადულზე, მაგრამ ყველა ფრაზის მიღმა გარეგნულად საოცრად მხნე, თუმცა სევდიანი გოგონა დგას. წითელდიპლომიანი ბარმენი, რომელიც ახლა ჩემი ქვეყნის სახეა. არ შეშინდეთ! ნინოც გაუძლებს და ნანაც, გიორგიც და კოკაც, თეა და დიანაც დაბრუნდებიან, მთავარია, დასაბრუნებელი ჰქონდეთ. ადგილი, სადაც ბოლოს და ბოლოს სახლში იგრძნობენ თავს...

„დიახ, ჩვენ ვცოცხლობთ და ვცოცხლობთ იმედით, რომ კონკრეტული პიროვნებების წარმატებებს საკმარისად არ მივიჩნევთ და ვეცდებით, თავად შევმატოთ სარგებელი ჩვენს ქვეყანას; დაგებადებათ კითხვა — განა მე, ჩემი ინგლისელებზე ჩატარებული დაკვირვებებით, სიკეთეს მოვუტან საქართველოს?! იქნებ ისიც იფიქროთ, ლუდის ჩამოსხმას, უკეთესი იქნებოდა, თბილისში თავისი საქმე ეკეთებინაო, მაგრამ დამერწმუნეთ, ეს ეტაპი ჩემთვის ცხოვრების მიერ გადაშლილი წიგნი, პრაქტიკა და მცდელობაა იმისა, თუ როგორ გავიზარდო, მეტი შევისწავლო და უცხოეთში დაგროვილი ცოდნა ჩემს ქვეყანას მოვახმარო. უცხოეთში ჩემსავით პროფესიაშეცვლილი ახალგაზრდა მრავლადაა; ვიცი, მოვა დრო, ჩვენ დავბრუნდებით საქართველოში, ქართულ მიწაზე ამაყად თავაწეულები დავდგამთ ფეხს და ვიტყვით, მე დავბრუნდი, რათა ჩემმა შვილებმა გაბრწყინებულ, ამაღლებულ და ერთიან ქვეყანაში იცხოვრონ, ისეთში, რომელზეც ძილში ჩურჩულებდა ჩვენი წინაპარი!“ ***(ნინო ჯიშკარიანი, ლონდონი).***

ძილში წინაპარი ჩურჩულებდა, ცხადში თანამემამულე. ამას „სხვა საქართველოშიც“ ჩურჩულებენ. ზაზა მესხის „თანამემამულე“ მათთანაც ახერხებს საახლობლო ძაფების გაბმას. ახალი რუბრიკის წარდგენისას, ***რედაქტორი წერს:*** *„ფერეიდანში, საინგილოსა თუ თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის ეროვნების შენარჩუნება, ადგილობრივი ზეწოლის ქვეშ, არცთუ ისე ადვილია, მით უმეტეს, რომ დედასამშობლო მათ სულიერ და მატერიალურ მხარდაჭერას ვერ ახერხებს. „თანამემამულე“ ყოველმხრივ შეეცდება, სისტემატურად მოგაწოდოთ ინფორმაცია „სხვა საქართველოს“ შესახებ და მოგიწოდებთ „ჩვენებურებს“, ხელი შეუწყოთ ისტორიული წარმომავლობის, ეროვნული სულისკვეთების და თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის“.*

ხელი შევუწყოთ და წავიკითხოთ კიდეც ეს ჟურნალი, რომელიც ახლა, უკვე მესამე ნომერია, რაც საქართველოშიც ვრცელდება. მისი პატარა ტირაჟი მკითხველთა სიმცირეზე სულაც არ მეტყველებს. მას ხელიდან ხელში, სასოებით გადასცემენ ადამიანები და ხშირად ასეთ სტრიქონებსაც სწერენ ზაზას: „თქვენი ჭირიმე, იქნებ გამაგებინოთ, როგორ გამოვიწეროთ „იტალიელმა“ ქართველებმა „თანამემამულე“... დაგვეხმარეთ!“ ასეთი სტრიქონები მნიშვნელოვანია კომპანია Priorclave LTD მთავარი ინჟინერი ზაზა მესხისათვის, მისი რედაქტორობის საზღაურიც ხომ ეს სიყვარულია მხოლოდ...

დაბოლოს: ზაზა მესხი ინტერნეტით მოვძებნე და თავადვე შევთავაზე, მისი ჟურნალის შესახებ მომეთხრო ჩვენი მკითხველისთვის. ჩვენ ჩვენი ნაბიჯი უკვე გადავდგით, ახლა თქვენი დროა, თქვენც თქვენი კვალი დაატყვეთ „თანამემამულეს“...

სხვების რა მოგახსენოთ, ჩემში კი, მწარე რეალობის პრაქტიკულმა გაკვეთილმა საბოლოოდ დაანგრია უფროსებისადმი ნდობა, მასწავლებლების ავტორიტეტი და იმ პროფესიის სიყვარულიც, რომელსაც ბავშვობიდან, ოჯახში მინერგავდნენ. ამავე დროს, ბევრ „რატომს“ პასუხი გაეცა — თუნდაც იმას, რატომ არ მიმიღეს კომკავშირში...

სანამ სუკი კადრების განახლებით იყო დაკავებული, ჩვენი დაუმორჩილებელი მეგობრებიც დროს უქმად არ ხარჯავდნენ. ფრთხილად და შერჩევით, ისინიც ცდილობდნენ ახალი თანამოაზრეების შემოკრებას. ვიქტორ რცხილაძე, ბეგო ბეგიაშვილი, ირაკლი კენჭოშვილი და გულაგიდან ახალდაბრუნებული გიორგი სამხარაძე — ზვიად გამსახურდიამ ახალი „განდობილები“ შეიძინა. ჯერ გზისა და ფორმის ძიებაში იყვნენ. მათზე ცოტა უმცროსები — გოგი ხოშტარია, გიზო კორძაძე და სხვები — უნივერსიტეტის ბაღსა თუ რომელიმე სტუდენტურ ლუდხანაში გაფაციცებით უსმენდნენ საინტერესო ამბებითა და გამოცდილებით დატვირთულ მეგობრებს.

ამასობაში, ავთო იმნაძე პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტკომში დაიბარეს და მკაცრად გააფრთხილეს, რომ ან შეწყვეტილიყო უმსგავსო შეკრებები, ვითომდა სტუდენტური თეატრის დასის თავშეყრის საბაბით, ან ყველას დაიჭერდნენ. მაშინ ეს, პარტკომის მხრიდან, ჰუმანური საქციელი იყო, რადგან იმას მოასწავებდა, რომ მას უშიშროებისთვის ჯერ არაფერი შეუტყობინებია. ავთომ მეგობრები გააფრთხილა და მათ სხვაგან დაიწყეს შეკრება. მალევე, ავთომ პოლიტექნიკური ინსტიტუტი მიატოვა და თეატრალურში ჩააბარა, სადაც ბიძინა ჩხეიძესთან (თამრიკო ჩხეიძის ძმა) ერთ კურსზე სწავლობდა. მალე დაახლოვდნენ, ბიძინამ თავისი ოჯახი გააცნო. ასე დაიწყო თამრიკო ჩხეიძისა და ავთო იმნაძის მეგობრობა, რომელიც ბიძინას მოსკოვში სასწავლებლად გადასვლის შემდეგაც გაგრძელდა.

ლიზიკო ქავთარაძე

ამ პერიოდში, ირაკლი შენგელაიასა და გივი ყორღანაშვილის ჯგუფი თენგიზ ზურაშვილთან იკრიბებოდა.

ბედის ირონია

თენგიზ ზურაშვილი პიონერთა სასახლის ზემოთ ცხოვრობდა და სასახლეში ღამის დარაჯად მუშაობდა. მაშინ, სტუდენტობაში ღამის დარაჯობა და საქვაბეში მორიგეობა ფრიად გავრცელებული მოვლენა იყო, რასაც გარკვეულწილად, საბჭოთა ცხოვრების წესი განსაზღვრავდა: ოჯახების უმეტესობა ვიწროდ ცხოვრობდა და ადამიანს განმარტოების საშუალება არც შინ ჰქონდა და არც გარეთ. ოჯახის კონტროლი გაღვიძებაზე, ძილზე, ჭამა-სმაზე, სწავლაზე ყმაწვილკაცისთვის მძიმე ფსიქოლოგიურ ფაქტორს წარმოადგენდა, რადგან გარეთ, საზოგადოებრივი კონტროლი ისედაც საკმაოზე მეტად ზღუდავდა პიროვნების თავისუფლებას. ხელფასს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, დარაჯად მუშაობა კი სახალისო იყო: გინდოდა — წამოწვებოდი და წიგნს წაიკითხავდი, გინდოდა — მეგობრებს შეკრებდი, დილამდე სასაუბროდ, გინდოდა — ახალ ფილოსოფიურ კონცეფციაზე იოცნებებდი. თენგიზიც ასე მუშაობდა, ყოველ მესამე დღეს მორიგეობდა და კვირაში ერთხელ, გვიან საღამოს, სასახლეში მეგობრებს იღებდა. სხდომის გასამართავად, დიდი არჩევანი ჰქონდათ, დაწყებული სარკეებიანი დარბაზით — დამთავრებული დირექტორის კაბინეტით, სადაც ჯერ კიდევ იდგა რუსეთის მეფისნაცვლის ძველი ავეჯი. სხდომას, როგორც წესი, გივი თავმჯდომარეობდა:

— აბა, დავიწყოთ, ყურადღებას ვითხოვ. ერთმანეთში სხვაგანაც ვილაპარაკებთ. რა გვაქვს დღის წესრიგში?

— „ერის შესახებ“ დავაკონსპექტე და სტალინის „ეროვნების საკითხსაც“ შევადარე. კარგი მასალები ვნახე: როგორ შეიჭრა ლევანდოვსკის არმია აზერბაიჯანში, ჯავშნოსანი მატარებლით საზღვარი გადაკვეთა და იქაურ კომუნისტებს მერე დააწერინა — მოდით, რუსებო, დაგვეხმარეთო, — პასუხობს მუდამ მშვიდი და მუყაითი გურამ ოდიშარია.

— აუუ, რაღა დროს ეგენია, ჭურში ზიხართ?! — ნერვები ეშლება ირაკლის.

— შენ სად ზიხარ, ლათინური რომ ისწავლე? — ესარჩლება გურამს გივი.

— პოლიტოლოგიის შესასწავლად, ლათინური აუცილებელი პირობაა, საერთაშორისო ენა გახლავთ, — პასუხობს ირაკლი.

— იმიტომაც, როცა შენ ლაპარაკობ, აღარავის ესმის, — ბუზღუნებს თენგიზი.

ირაკლი მხრებს იჩეჩს, გიჟები ხართო და ემზარ ჩიკვაიძესთან აგრძელებს საუბარს სოციალისტური ეკონომიკის მახინჯი ფორმების შესახებ. „გუზ-გუზ ზახარიჩი“ ვერ ითმენს და საუბარში ერევა:

— სოციალიზმი მაინც წინგადადგმული ნაბიჯია, კაპიტალიზმთან შედარებით.

— სწორედ მაგას გვასწავლის „ძია ლენინი“, — ხუმრობს ირაკლი და ემზარს თვალს უკრავს.

— ზოგჯერ ლენინიც არ ტყუოდა, — თენგიზი კამათის ხასიათზეა და ირაკლის

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ლვალის **უბის წიგნაკიდან:**

7200 წლისაა.

19. მსხვილი მეფრინველეობის მეურნეობაში, გარკვეული წესით გამოზრდილ სახორცე ჯიშის ვარიას, ბროილერი ჰქვია.

20. პატარაობისას, უოლტ დისნეიმ ბუ დაიჭირა და მას წამებით ამოხადა სული, რის გამოც, მთელი ცხოვრება სინდისი ქენჯნიდა. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ დიდმა მულტიპლიკატორმა საკუთარ ქმნილებებში ცხოველები გააცოცხლა.

21. ვირჯინიის შტატში 1933 წელს დაარსებულ თეატრს, ბარტერულ თეატრს ეძახიან. ამერიკაში, ე.წ. დიდი დეპრესიის დასასრულს დაარსებულ თეატრში, ღარიბებს უფლებას აძლევდნენ, ბილეთის საფასური პროდუქტის სახით გადაეხადათ.

22. გალილეიმ ვერაფრით დაუმტკიცა ფლორენციის აკადემიის პროფესორებს პლანეტა იუპიტერის თანამგზავრთა არსებობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გარკვევით ჩანდნენ გალილეის მიერ გამოგონებულ ტელესკოპში. ყველა პროფესორმა კატეგორიული უარი განაცხადა გაეხედა გალილეის მიერ დამზადებულ ხელსაწყოში.

23. იაპონელებს ყველა ერისგან განსხვავებული იუმორი აქვთ. ერთი იაპონელი, საყოველთაოდ ცნობილ ანეკდოტზე, სადაც რელსზე მჯდომ კაცს მეორე ეუბნება — ჩაიჩოჩე, მეც ჩამოვჯდებიო — დიდხანს ხარხარებდა. მას ჰკითხეს: ასე ძალიან რამ გაგამხიარულაო? რა ეშმაკი იყო ის კაცი, გამთბარ ადგილზე უნდოდა დაჯდომაო — სიცილს უმატა იაპონელმა.

24. რომაელები მეგობრებს ქურდებს ეძახდნენ, რომლებიც მათ ყველაზე ძვირფას რამეს — დროს ჰპარავდნენ.

25. ქალაქ დეტროიტში მცხოვრებმა ვინმე ჯონ ილიმ, ერთხელ, საიუველირო მაღაზია გაძარცვა, დანაშაულის ადგილზე კი, სრულიად შემთხვევით, საკუთარი ძაღლი დატოვა. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა ძაღლს მარტივი ბრძანება მისცეს: „სახლში, ჩქარა, სახლში!“. ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ პოლიცია დამნაშავეზე ადრე მივიდა მის ბინაში, მშვიდად დაელოდა მძარცველის შინ დაბრუნებას და იგი დააპატიმრა.

მადონამ მთელი ათრიგული სოფელი იშვილა

ხანგრძლივი დროის მანძილზე დასავლეთის პრესაში გამუდმებით იბეჭდებოდა სტატიები იმის შესახებ, რომ პოპვარსკვლავი მადონა და რეჟისორი გაი რიჩი შავკანიანი ბავშვის შვილად აყვანას აპირებდნენ. მაგრამ ცოლ-ქმარი კატეგორიულად უარყოფდა ამ ინფორმაციას. ამ ამბით ჟურნალისტები განსაკუთრებით მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც დანამდვილებით გახდა ცნობილი, რომ წყვილი (როგორც ბრიტანეთში, ასევე აშშ-ში) იმ სააგენტოებს სტუმრობდა, სადაც ბავშვის აყვანა ოფიციალურადაა შესაძლებელი, მაგრამ ცოლ-ქმარმა სააგენტოს წარმომადგენლებთან შეთანხმებას ვერ მიაღწია. მადონამ და რიჩიმ არ დაიზარეს და ამ საქმეში დიდი გამოცდილების მქონე ანჯელინა ჯოლის (ის ხომ ბრედ პიტთან ერთად ორ აყვანილ შვილს ზრდის, ცოტა ხნის წინ კი, მათ თავიანთი პაწია გოგონაც შეეძინათ) რჩევისთვის მიმართეს. თავად მადონა ორი შვილის დედაა — 9 წლის ლურდესი მას ფიტნესის მწვრთნელ კარლოს ლეონისგან ჰყავს, 5 წლის რიკო კი — გაი რიჩისგან შეეძინა.

ამჟამად მომღერალმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მას იმაზე უფრო გრანდიოზული გეგმები აქვს, ვიდრე უბრალოდ ერთი ფერადკანიანი ბიჭუნას ან გოგონას შვილად აყვანაა. მადონას პრესატაშემ ოფიციალურად დაადასტურა მისი სიტყვები და განაცხადა, რომ აფრიკის კონტინენტის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე მალავის სახელმწიფოს ერთ-ერთ სოფელში მცხოვრებ ასეულობით ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობას მომღერალი საკუთარ თავზე იღებს. იქ სკოლებისა და სახლების აქტიური მშენებლობაა გაჩაღებული და ყოველივე ამას მადონა და მისი მეუღლე, რეჟისორი გაი რიჩი აფინანსებენ. ■

ჯეიმს ბონდის თავგადასავალი გრძელდება

ცოტა ხნის წინ, გამომცემლობამ — Ian Flaming Publications — გამოაცხადა, რომ ხელი მოაწერა კონტრაქტს იმ ავტორთან, რომელმაც ბრიტანეთის საიდუმლო აგენტ 007-ზე შექმნილი წიგნების სერია უნდა გააგრძელოს. ჯეიმს ბონდის პერსონაჟის შექმნელი, მწერალი იან ფლემინგი, „ბონდიანის“ 14 წიგნის ავტორია. ის 1964 წელს გარდაიცვალა და მისი ბოლო რომანი — „ოქროსპისტოლეტიანი ადამიანი“, მხოლოდ მწერლის გარდაცვალების შემდეგ, 1965 წელს გამოქვეყნდა.

1997 წელს მწერლის ძმისშვილებმა — კეიტ და ლუსი ფლემინგებმა ბიძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე უფლება მოიპოვეს და 8 წლის შემდეგ გამოაქვეყნეს რომანი ჯეიმს ბონდის ბავშვობაზე, რომლის ავტორიც ჩარლი ჰიგსონი გახლდათ. ამჯერად, ეს ქალბატონები აპირებენ გამოუშვან რომანი, რომელშიც აღწერილი იქნება მისი უდიდებულესობის სამსახურში მყოფი ჯეიმს ბონდის ახალი თავგადასავლები. რომანის ავტორის ვინაობა მხოლოდ 2008 წელს გახდება ცნობილი, მაშინ, როცა „ბონდიანის“ გაგრძელება გამოქვეყნდება. სავარაუდო კანდიდატთა შორის არიან მწერლები: ფრედერიკ ფორსაიტი, ჯონ ლე კარე და ენტონი გოროვიცი. ■

ჯეკი ჩანმა საქმე სამოდიშოდ გაისადა

ჯეკი ჩანმა მაყურებელს საჯაროდ მოუხადა ბოდიში იმ გამოხდომისთვის, რომელიც მან ამ ორიოდე კვირის წინ, ჰონკონგში, ნასვამ მდგომარეობაში ჩაიდინა. თვითმხილველთა თქმით, ტაივანელი მომღერლისა და კომპოზიტორის ჯონათან ლის კონცერტზე, 52 წლის ცნობილი მსახიობი (ჯეკი ჩანი კონცერტზე თავად კომპოზიტორის მიერ გახლდათ მიწვეული) მოულოდნელად სცენაზე შეხტა და ჯონათანთან ერთად დუეტში სიმღერა მოითხოვა. შემდეგ ორკესტრის დირიჟორობა სცადა, რის შედეგადაც მუსიკოსები იძულებულნი გახდნენ, რამდენჯერმე დაკვრაც კი შეეწყვიტათ. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლური ორთაბრძოლების აღიარებულ დიდოსტატს, რომელიც დუბლიორების დაუხმარებლად ასრულებს ურთულეს ტრიუკებს, მთელ მსოფლიოში უდიდეს პატივს სცემენ, მაყურებელს ბოლოს და ბოლოს, მოსწყინდა მისი უმსგავსო საქციელი და დარბაზიდან სტვენა და უკმაყოფილების გამომხატველი შეძახილები გაისმა. მისი იმპროვიზებული გამოსვლის შეწყვეტის მცდელობას, ჩანი უწმაწური სიტყვების კორიანტელით გამოეხმაურა. ინციდენტის შემდეგ ჯეკმა აღიარა, რომ ნასვამი გახლდათ და „დაავიწყდა, რომ კონცერტს ამდენი მაყურებელი ესწრებოდა“. ბოდიშის მოხდის დროს ჯეკი გამოტყდა, რომ იმ საღამოს თავის იაპონელ მეგობრებთან ერთად სვამდა და, ცოტა არ იყოს, ზომაზე მეტი დალია. მსახიობის წარმომადგენლის თქმით, „ჯეკს ასეთი რამ პირველად შეემთხვა და მსგავსი შემთხვევა აღარასოდეს განმეორდება“. ■

მრილიანტის თვლემით მოოჭვილი კალამი რჩეულთათვის

ცნობილმა ბრენდმა — Conway Stewart — საკუთარი ჰიტ-ავტოკალმის განახლებული ვარიანტი — Westminster pen გამოუშვა. ახალი ქმნილება მთლიანად მოთეთრო-მოცისფრო მინანქრითაა დაფარული, მოოჭვილია ბრილიანტის თვლებით; ასევე მას ამკობს ვესტმინსტერის ციხე-დარბაზის გამოსახულება (ვესტმინსტერის სააბატო ბრიტანელთათვის მნიშვნელოვანია არა მარტო როგორც არქიტექტურული ძეგლი — ის მათი ეროვნული სიმბოლოა). ავტოკალმის ნახატი ზუსტად იმეორებს სააბატოს კედლების რომბისებურ წყობას, რომელსაც ემატება მუხის ფოთლების გამოსახულებაც (მუხის ფოთოლიც ბრიტანეთის სიმბოლოს წარმოადგენს). მქრქალ ცისფერ მინანქარს, რომლითაც დაფარულია კალმის ძირითადი კარკასი, ბუნებრივია, თითქმის არაფერი აქვს საერთო გოტიკური სტილის სააბატოს პირქუშ იერთან — ამის წყალობით, ის უფრო თანამედროვედ და ჰარმონიულად გამოიყურება. ამ მდიდრული აქსესუარის ტირაჟი მცირედით აღემატება 100 ცალს და მისი ღირებულება დაახლოებით 2.000 დოლარს აღწევს. ბრენდის ახალმა საწერ-კალამმა გამოსვლისთანავე მიიპყრო ე.წ. VIP-პერსონათა ყურადღება. აღსანიშნავია, რომ დიდი ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წევრებმა უკვე შეიძინეს ბრენდის ქმნილების ეს ბრწყინვალე ნიმუში. ელიტური კალმის მფლობელთა შორის ასევე არიან დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი და აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი. ■

„დიდი გაქანჯვევა“ თუ „პატარა ომის“ პრელუდია?

დასაწყისი იხ. გვ. 6

აფხაზეთში ომის სამზადისზე ქართველი დამოუკიდებელი ექსპერტები მთელი წლის განმავლობაში მუდმივად ლაპარაკობდნენ. страна.ru-ს ინფორმაციით, თბილისი აუღიარებელ რესპუბლიკაზე თავდასხმას მაისში გეგმავდა, მაგრამ ირანის ირგვლივ მოულოდნელად გამწვავებულმა სიტუაციამ შეუშალა ხელი. ამ ისლამური რესპუბლიკის ბირთვული პროგრამის განხორციელებით შეწუხებულმა ოკეანისგაღმელმა „უფროსებმა“ ქართველ „ქორებს“ ორთქლის გამოშვება აუკრძალეს. თვით ყველაზე გამოუცდელმა დამკვირვებლებმაც კი შენიშნეს, რომ ამავე პერიოდში რუსეთის მიმართ რიტორიკაც შერბილდა. ამასთან, ისიც გასაგები იყო, რომ ქართული მხარის „შერბილებული“ ტონი ხანმოკლე იქნებოდა. არმიის განვითარებაში ჩადებული და იარაღის შეძენაზე დახარჯული უზარმაზარი ინვესტიციები და ქვედანაყოფების დასავლელ (ამერიკელ) სამხედრო ინსტრუქტორებთან მუშაობა პრაქტიკულად, აღარ ტოვებდა იმის იმედს, რომ აფხაზეთისა და ოსეთის საკითხები მშვიდობიანად გადაიჭრებოდა. საქართველომ უარი თქვა აუღიარებელი რესპუბლიკების „ევოლუციური“ გზით მიერთებაზე, რაც ეკონომიკური კავშირების აღდგენასა და მოლაპარაკებებს გულისხმობდა. ამის შემდეგ უკვე ცხადი გახდა, რომ ამ ტერიტორიების სტატუსზე არანაირ მშვიდობიან ლაპარაკს აღარ ჰქონდა აზრი. ექსპერტები მხოლოდ იმაში ვეღარ თანხმდებოდნენ, თუ ქართული ჯარის ნაწილები პირველ რიგში საით — აფხაზეთისკენ თუ სამხრეთ ოსეთისკენ — დაიძვრებოდნენ?

პროვოკაციების მთელმა რიგმა, რომლებიც სამხრეთ ოსეთში „დიდი რვიანის“ სანქტ-პეტერბურგის სამიტის წინ იყო ორგანიზებული, სასწორის პინა კინაღამ იქითკენ გადაწონა, რომ ოპერაცია მაინც სამხრეთ ოსეთში დაიწყებოდა. რამდენიმე ტერაქტს, რომელიც აუღიარებელ რესპუბლიკაში მოხდა, თბილისის განზრახვის სერიოზულობაში უკანასკნელი ოპტიმისტებიც კი უნდა დაერწმუნებინა. თუმცა, ბოლო მომენტში აღმოჩნდა, რომ ეს მაინც ბლეფი იყო. საქართველოს ხელმძღვანელობამ „მიმართულება“ მკვეთრად შეცვალა და ჯარისკაცები კოდორის ხეობაში გაგზავნა.

ექსპერტების ნაწილი ოპერაციის დასაწყისშივე მიუთითებდა იმაზე, თუ როგორ უცნაურად დაემთხვა ერთმანეთს საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთი მოვლენა. მოხდა მინისტრთა კაბინეტის შეცვლა, რომლის შედეგადაც მთავრობაში, ქვეყანაში ყველაზე არაპოპულარული მინისტრები — ძალოვანი უწყებების ის ხელმძღვანელები დარჩნენ, რომლებსაც კორუფციაში, შეკვეთილ მკვლელობებსა და ადამიანის უფლებების დარღვევაში არაოფიციალურად ედებათ ბრალი. ამ ქართველ „ქორებს“, რომლებმაც მინისტრების როტაციის შედეგად, მთავრობის კაბინეტში პოზიციები უფრო მეტადაც კი განიმტკიცეს, „რეგიონებთან მუშაობის“ საკითხების „გადაჭრის“ დიდი გამოცდილება აქვთ. მაგალითად, თუ აჭარის შემთხვევაში, თბილისს „საჩვენებელი დემონსტრაციის“ მოწყობა იმისთვის სჭირდებოდა, რომ თვალნათლივ ეჩვენებინა, თუ რა დაემართება ტერიტორიებს, რომლებიც ქართული მმართველობის აღიარებას „ნებაყოფლობით“ არ მოისურვებდნენ, მაშინ ის მთელი 100%-ით შესრულდა, აჭარის შემდეგ ცხადი გახდა — ცენტრალური ხელისუფლება, საკუთარის გარდა, არანაირი ეროვნული ინტერესების, არანაირი ადგილობრივი მმართველობის განვითარება-განხორციელებაში არ არის დაინტერესებული. თვით ის აჭარლებიც კი, რომლებმაც აბაშიძის დამხობას დაუჭირეს მხარი, მალევე დარწმუნდნენ, რომ რესპუბლიკაში „თბილისის კაცების“ მოყვანით მხოლოდ წააგეს.

მოკლედ, უცნაური „შემთხვევითობის“ წყალობით, „ქორების“ მომძლავრება კოდორში ნაკლებად ცნობილი მეთაურის — კვიციანის მოულოდნელ გამოსვლას დაემთხვა. მან ასევე მოულოდნელად თბილისისადმი დაუმორჩილებლობასა და თავდაცვითი რაზმების შექმნის შესახებ გამოაცხადა. არც ამ რაზმების წევრთა რაოდენობაზე, არც რეალურ საფრთხეზე, რომელსაც ისინი წარმოადგენდნენ, არც მათ მეთაურთან „მოლაპარაკების“ ცდებზე (შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს გამიზნულად გაკეთდა!) თბილისს არაფერი განუცხადებია. სამაგიეროდ, კვიციანს, სააკაშვილისა და მისი გარემოცვისგან წამოსული ლანძღვა-გინების ნამდვილი ნიაღვარი დაატყდა თავს... კვლავ უცნობია, მოქმედებდა თუ არა დამოუკიდებლად კვიციანი, რომელმაც უეცრად გადაწყვიტა თავის რაზმ „მონადირის“ აღდგენა. თუმცა, ის კი ცხადია, რომ კვიციანი იარაღის ხელში ასაღებად პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის მიერ ხელოვნურად იყო პროვოცირებული.

როგორც უკვე ვიცით, ამის კვალდაკვალ დაიწყო „პოლიციური ოპერაცია“. მისი დეტალებიც დღემდე უცნობი რჩება, რადგან ბრძოლის ადგილებში ჟურნალისტები არ შეუშვიათ, ხოლო საქართველოს სამთავრობო საინფორმაციო საშუალებები, როგორც ყოველთვის, პროპაგანდით იყვნენ დაკავებულნი. შეიძლება, ის, თუ რა მოხდა სინამდვილეში კოდორის ხეობაში (საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის მონაცემებით, კოდორის ოპერაცია დასრულებულია), ვერც ვერასდროს გავიგოთ. სამაგიეროდ, პარასკევს, როგორც იქნა, ნათელი გახდა საქართველოს ხელმძღვანელობის მოქმედების მოტივი. საქართველოს პრეზიდენტი კოდორის ხეობაში, აქამდე თბილისში მოქმედი „აფხაზეთის დევნილი მთავრობის“ განთავსების ინიციატივით გამოვიდა. აფხაზეთის საზღვართან „აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების“ გადასვლამ და ქართველი ძალოვნების ახლახან გაკეთებულმა განცხადებამ, რომ კოდორის ხეობაში შეყვანილი „საპოლიციო ძალები“ იქ გარკვეული დროით დარჩებიან, ყველაფერს უმალ თავისი ადგილი მიუჩინა. ეს მომავალ პროვოკაციას ან შეიძლება, „გამარჯვებით დასრულებული პატარა ომის“ პრელუდიას წარმოადგენს.

თუმცაღა, საეჭვოა, სააკაშვილის გეგმები ისევე ადვილად განხორციელდეს, როგორც ეს 2004 წელს მოხდა. აფხაზებს პირველად როდი მოუწევთ საქართველოსთან ომი. მათ წინა ომებშიც კარგად აჩვენეს, თუ როგორი მარჯვე და მიზანსწრაფული მეომრები არიან. ამასთან ისიც გასარკვევია — დაეხმარებიან კი ამ ომში სააკაშვილს ნატოს ინსტრუქტორები? თანაც, თეორიულად, რუსეთს აფხაზეთის დაცვის ბევრად მეტი შანსი აქვს, ვიდრე 2004 წელს „აჭარული გადატრიალებისას“ და, ბოლოს და ბოლოს, სწორედ რუსმა მშვიდობისმყოფლებმა შეაჩერეს 1990-იანი წლების ქართულ-აფხაზური ომი. ასე რომ, საქართველოს ხელმძღვანელობის მოტივები ნათელია, მაგრამ უწერია კი მათ ახდენა?..

სერგეი ივანოვის თქმით, რეგიონში სიგუაციის გამწვავებაა მოსალოდნელი...

როგორც ხედავთ, ჩვენს „კეთილმოსურნეთა“ სტილი უცვლელია. მაგრამ მათდა სამწუხაროდ, რეალიები იცვლება, თანაც — ძალზე სწრაფად. იმდენად სწრაფად, რომ თითქოსდა კვალიფიციური, კარგად მომზადებული რუსი პოლიტოლოგები და ჟურნალისტებიც კი ვერ უღებენ ალღოს, კვლავაც მოძველებული მიდგომებით ოპერირებენ და ამით, ხან — ნებსით, ხანაც — უნებლიეთ, მკითხველიც შეცდომაში შეჰყავთ და... საკუთარი თავიც.

■

ბოლანიეგა

შიო გვეტაძე

საშკა ჩერქეზი საკუთარი ცხოვრების ეპიზოდების თხრობას ამთავრებს. გამომძიებელ ლევან მინდელს მან უკვე უამბო რუსეთში ჩადენილი დანაშაულების, პატიმრობაში ყოფნის, კოლონიიდან გაქცევისა და თბილისში ჩამოსვლის შესახებ და ახლა ქუთაისში მომხდარ ამბავს მიუახლოვდა. საშკა ჩერქეზი იმის მიზეზსაც ხსნის, თუ განსაკუთრებულად რატომ დაუახლოვდა ივანისელს, რომელიც შემდგომ, ბინის ძარცვის დროს, მძიმედ დაიჭრა.

(დასაწყისი იხ. „გზა“ №8-30)

როდესაც გამოვერკვიე, კარგად გათენებული იყო. მეძინა? გულწასული ვეგდე? — არ ვიცი... მხოლოდ ეს იყო, უკანასკნელ ხანს რამდენჯერმე მომივიდა გულის შეტევა. შეიძლება, ახლაც ასეთი რამ დამემართა. საღამომდე არ გავნძრეულვარ. პაპიროსს პაპიროსზე ვწეოდი, ვაბოლებდი და უაზროდ შევცქეროდი ჭერს. საღამოს ივანისელი მოვიდა. უხალისოდ მივიღე.

„ვაა, რა ფერი გადევს, ავად ხარ?“ — შემეკითხა გაკვირვებით.

„არაფერია, არაფერი, ისე უქეიფოდ ვარ“, — მივუგე ნაძალადევად.

ივანისელმა იჭვნეულად შემომხედა, შემდეგ იატაკზე გადაიტანა მზერა, სადაც სარკის ნატეხები ეყარა.

„უქეიფოდ ვარ-მეთქი, არ გესმის? რა შტერივით მიყურებ!“ — შევუტიე გაბრაზებულმა.

„ვა, რას ცხაროობ, გკითხე, ხომ არაფერი დამიშავებია!“

შემრცხვა.

„ჰო, კარგი, არ გეწყინოს“, — ვუთხარი მეგობრული ტონით.

ივანისელმა გაიღიმა.

„არ ადგები?“

„არა, ვერ ავდგები. შენც წადი, დასვენება მინდა. ხვალ საღამოს გამოიარე, მანამდე მეც კარგად გავხდები“, — ვუთხარი თითქმის ხვწნით.

ივანისელი წავიდა.

ის ღამეც თეთრად გავათენე. უღონობის ბრაზი მახრჩობდა, ყველასა და ყველაფერზე გაბოროტებულმა, არ ვიცოდი, რა მექნა, ვისზე გადმომენთხია გულში დაგროვილი ბალღამი. მთელი ღამე ხან მშობლები, ხან კიდევ დეიდა თამარი მედგა თვალწინ და მოსვენებას ვერ ვპოულობდი.

„როგორ მოხდა, რატომ დავიჯერე?“ — მეასედ ვეკითხებოდი ჩემს თავს.

„იმიტომ, რომ შეუძლებელი იყო, არ დაგეჯერებინა“, — მეასეჯერ მპასუხობდა იდუმალი ხმა და ბოლმა მერეოდა.

„...მაშინ, თუ გინდა, სადგურზე წადი, ბარგს წაუღებ ვინმეს, თოკს მე გათხოვებ“, — ამოტივტივდა გონებაში ერთ დროს არტაშას ნათქვამიც და ბრაზი მომერია: „იქნებ, არც გავყოლოდი რუბენას გზას, ადამიანებს ხელი რომ არ ეკრათ და უფსკრულის წინ მდგარი, ნაპრალში არ გადავჭრეხ!“ — წარმოვთქვი მწარედ.

ამ აზრმა უფრო გამაბოროტა, მთელი ჩემი უბედურება ადამიანებს დავაბრალე და თითქმის სიამოვნებით გავიხსენე ყველა ის ბოროტება, რომელიც 20 წლის მანძილზე ჩამიდენია. ცოტა დავმშვიდდი კიდეც.

„მაშ, თუ ასეა, საშკა ჩერქეზი კიდევ ბევრჯერ შეგახსენებთ თავს, კიდევ ბევრს აატრიებს და გაამწარებს თქვენივე ხელით გამოძერწილი ავაზაკი. დანდობა არ იქნება!“ — დავსაკვენი ბოლოს.

ფარატინა ქალალდმა, რომელიც უმაღლესი სასამართლოდან მივიღე, ჩემში ჩაკლა ადამიანური გრძნობის ის მცირედი ნაწილიც, რომელიც ციალასთან შეხვედრამ ჩამინერგა ამ რამდენიმე წლის წინ.

თბილისთან უკვე აღარაფერი მაკავშირებდა. ტანიას ჩამოსვლამდე 7-8 დღეღა იყო დარჩენილი. გადავწყვიტე, მისთვის დამეცადა და უკან, ტამკენტში დავბრუნებულიყავი, სადაც ასე კარგად ვიყავი მოწყობილი. მაგრამ ვიდრე თბილისიდან წავიდოდი, გადავწყვიტე, გამეგო, როგორ მოხდა, რომ ჩემს მშობლებს ასეთ მძიმე დანაშაულში დასდეს ბრალი, დახვრიტეს და შემდეგ, მათ მიმართ აღძრული საქმე მოსპეს?

უმაღლესი სასამართლოდან მიღებულ ცნობაში ამ კითხვაზე პასუხი ვერ ვიპოვე.

გადავწყვიტე, ისევ ის ადვოკატი მენახა.

„საჭიროა საქმის გაცნობა“, — მითხრა მან.

იმ დღესვე ადვოკატის სახელზე ორდერი გავაფორმე, უმაღლეს სასამართლოს მივადექი და არქივში მრავალტომიანი საქმე მივიღე. მას სამი დღე ეცნობოდა ჩემი ადვოკატი. მეოთხე დღეს კი მთელი მისი შინაარსი გადმომიშალა. განსაკუთრებით მამაჩემის დაღუპვის მიზნით საგულდაგულოდ მოეკოვათ ბოროტების ქსელი.

მამა თბილისში დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის უფროსად მუშაობდა. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მამაჩემს ამ თანამდებობაზე დანიშნავდნენ, შემოხვევით მოვისმინე მშობლების საუბარი და გავიგე, რომ ამ ადგილზე ვიღაც სეფერიან დოლიძე უნდა დანიშნათ, მაგრამ ბოლოს მამაჩემის კანდიდატურაზე შეჩერდნენ, დოლიძე კი მოადგილედ დაუტოვებიათ. ამით ძალზე განაწყენებულა დოლიძე, მაგრამ თურმე არ ამჟღავნებდა და მის მოსისხლე მტრად ქცეულა...

მშენებლობაზე სამეურნეო დარგსა და კადრებს დოლიძე განაგებდა. მამა თითქმის არ ერეოდა ამ საკითხში. ჰოდა, დოლიძეს, ბუღალტრად და მომარაგების უფროსად ისეთი მუშაკები დაესვა, რომლებიც მხოლოდ პირად გამდიდრებასა და სახელმწიფოს ხარჯზე ჯიბის გასქელებას ცდილობდნენ. როგორც ჩანს, დოლიძემ გაითვალისწინა, რომ მამაჩემი სუსტად ერკვეოდა საფინანსო საკითხებში და გადაწყვიტა, სწორედ ამ სისუსტით ესარგებლა. სულ რაღაც 8-10 თვის მანძილზე, მშენებლობაზე მოკალათებულმა ნაძირალებმა რამდენიმე ასეული ათასი მანეთის გაფლანგვა შეძლეს. როდესაც საქმე გაიხსნა, თანხის უშუალო დამტაცებლებმა უყოყმანოდ დაადეს ხელი მშენებლობის უფროსს. მამაჩემმა ცხადია, უარყო ბრალდება, მაგრამ მას მაშინვე წარუდგინეს საბანკო ჩეკები, რომლებზეც ხელი ჰქონდა მოწერილი. მამაჩემმა უარყო ხელმოწერებიც. მაშინ მას უჩვენეს კალიგრაფიული ექსპერტიზის დასკვნა, სადაც კატეგორიულად იყო მითითებული, რომ ხელმოწერები მხოლოდ მამაჩემის მიერ იყო შესრულებული.

ბოროტმა ადამიანებმა არც დედაჩემი დაინდეს: საქმე ის იყო, რომ მამაჩემის მივლინებაში ყოფნისას, დედას რამდენჯერმე მიეღო პაკეტებით უშუალოდ მოლარისაგან მამის კუთვნილი ხელფასი ყოველგვარი ხელმოწერის გარეშე. როდესაც საჭირო გახდა, ყალბისმქმნელებმა ეს ფაქტი გამოიყენეს და განაცხადეს, თითქოს დატაცებული თანხის ნაწილი დედაჩემს მიეღო. პაკეტის გადაცემა, დოლიძის რჩევით, სხვა პირთა თანდასწრებით ხდებოდა და მოწმეებმა, რომლებმაც არ იცოდნენ, რა თანხა იყო კონვერტში, ცხადია, ფაქტი დადასტურეს. დოლიძე ამ საქმეში მშრალად გამოვიდა და რაც მთავარია, არა მარტო შეძლო საძულველი ადამიანების თავიდან მოშორება, არამედ უფროსის სავარძელშიც მოკალათდა.

ჩემი მშობლები გაასამართლეს და ყალბი ბრალდებით სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯეს. შემდეგ, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დახვრეტა 10-წლიანი პატიმრობით შეუცვლია და სასჯელის მოსახდელად შორეულ კოლონიაში გაუშვიათ.

3 წლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასამართლოს განაჩენი დაურღვევია და საქმე ხელახალი ძიებისთვის გადაუცია. ახალ გამომძიებელს თითქმის წელიწადი უმუშავია ამ საქმეზე და ბოლოს სრული სიმართლეც დაუდგენია. 3 წლის შემდეგ გაირკვა, თუ როგორ მოახერხა დოლიძემ ფაქტების ფალსიფიკაცია, დაადგინა ისიც, რომ მშენებლობის ბუღალტერი მისი ნათესავი იყო. ექსპერტ-კალიგრაფიც ამ ბოროტსა

და კარიერისტ ადამიანს მოესყიდა.

..გაფითრებული ვუსმენდი ადვოკატს, რომელიც წყნარი ხმით კითხულობდა დოლიძის ჩვენებებს, მის დაპირისპირებებს კალიგრაფ-ექსპერტთან, ბუღალტერთან, მომარაგების განყოფილების უფროსთან, მოლარესთან... ვისმენდი, როგორ ურცხვად ჰყვებოდა მის მიერვე ჩადენილი საშინელი ბოროტების შესახებ...

ადამიანთა სამართალს დააგვიანდა: ადვოკატმა ნაღვლიანი ხმით წაიკითხა ბანკის ადმინისტრაციის ცნობა მამაჩემის ტიფით გარდაცვალების შესახებ...

მაშ ასე, ივანისელი მართალი აღმოჩნდა — მამაჩემს მის ხელში დაულევია ტანჯული სული... დედაჩემი კოლონიიდან თბილისში გადმოეყვანათ, მაგრამ პატიმრობიდან გათავისუფლება ვეღარ მოესწროთ: გაუგია თუ არა ქმრის უდანაშაულობისა და მისი გარდაცვალების ამბავი, დამბლა დასცემია და ისიც გარდაცვლილა.

„დოლიძეს სასჯელი მოხდილი აქვს?“ — ვკითხე ადვოკატს.

მან გაკვირვებით შემომხედა.

„დოლიძემ ის მიიღო, რაც დაიმსახურა, — მიპასუხა წყნარად, შემდეგ, საქმეებში ჩაკრული, გახსნილი კონვერტიდან ქაღალდი ამოიღო და მითხრა: — წაიკითხეთ!“

ფურცელი გამოვართვი. რამდენიმე სტრიქონი იუწყებოდა: დოლიძისა და მისი ორი თანამონაწილის მიმართ შეფარდებული, სასჯელის უმაღლესი ზომა სისრულეში იყო მოყვანილი.

სიბრაზისაგან ავცახცახდი — აქაც ხელი მომეცარა: შურიც სხვამ იძია და მე იმის საშუალებაც დავკარგე, დავმტკბარიყავი იმით, თუ როგორ აკანკალდებოდა უბადრუკი ადამიანი სიცოცხლესთან განშორების უკანასკნელ წუთებში...

ახლა ივანისელი იყო ერთადერთი კაცი, რომლის მიმართაც რაღაც სითბო მაინც მქონდა გულში. მაგრამ მისთვის არაფერი მითქვამს. მეორე დღესვე, დაწვრილებით გამოვკითხე მამაჩემის უკანასკნელი დღეების შესახებ. ივანისელმა გაიხსენა, როგორ ეთქვა მამაჩემს: შენზე რამდენიმე წლით უფროსი ვაჟი და პატარა გოგონა მყავსო, — და მათ ხსენებაში დაელია სული. ახლაც არ ვიცი — როგორ, მაგრამ მაინც მოვახერხე, არ დამეჭვებინა ივანისელი ჩემს ვინაობაში.

ორი დღე სასტუმროდან არ გამოვსულვარ. შემდეგ თითქოს დავმშვიდდი, მდგომარეობას შევეგუე. მესამე დღეს გვიან ღამით ივანისელი მოვიდა, თან კიტოვანი მოიყვანა.

„ჩვენი კაცია, საქმე აქვს, მოუსმინე! — მითხრა მან და შემდეგ კიტოვანს მიუბრუნდა: — უთხარი, ჩოფურ...“

ჩოფურამ მოკლედ მოუჭრა:

„ბარახლო“ არ იყიდება, უფრო სარისკოცაა. მე აქ ერთ საქმეზე ვიფიქრე, თუ მოგეწონება, შეიძლება გავაკეთოთ, საჭიროა...“

„მოკლედ მოჭერი, რა საქმეა!“ — შევაწყვეტინე ცივად. კიტოვანმა გაკვირვებით შემომხედა.

„რას მიყურებ? თქვი და გაათავე! რაკი ჩემთან მოსულხარ, შენი სათქმელი თქვი, გავაკეთებ თუ არა — ეს ჩემი საქმეა, მე გადავწყვეტ!“ — შევუტიე გაფითრებულ კიტოვანს.

ივანისელმა ცივად გაიცინა.

„ასეა...“ — ჩაილაპარაკა წყნარად.

კიტოვანი ალბათ მიხვდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე.

„ქუთაისის საიუველირო მაღაზია უნდა „წავიღოთ“! — მოჭრა მოკლედ და დაუმატა: ყველაფერი მზადა მაქვს, ოღონდ ეს არის, ბინა ვერ შევიგულეთ. პატარა ქალაქია, ჩვენი ხალხი ძირიანად მოსპეს“.

„ქუთაისის?“ — შევეკითხე გაკვირებით და პაპაშას წერილი გამახსენდა.

„ჰო, ქუთაისის, — დამიდასტურა კიტოვანმა. — რა გაგიკვირდა?“

„არა, ბინას კი ვიშოვით...“

პასუხის ნაცვლად, ჩემოდნიდან წერილი ამოვიღე და უხმოდ გადავეცი. კიტოვანმა გაოცებით შემომხედა, შემდეგ წერილი გადაიკითხა.

„ვა, პაპაშა, ჩემი ოსტატი?! მე მეგონა, უკვე გასაღეს. ხედავ, ცოცხალი ყოფილა! — გადაიხარხარა მან. — სად არის?“ — დაუმატა მოგვიანებით.

„კოლონიაში“.

კიტოვანმა ისევ გადაიკითხა წერილი.

„ვაა, ინჟინერიო?! ვინ ინჟინრებში მიეცა საქმე?“

„ეგ საინტერესო არ არის, არც საქმეს ეხება, — მივუგე მე. — წაიღებ წერილს?“

კიტოვანი წამით ჩაფიქრდა.

„პაპაშას ვიცნობ, ძველი ქურდია, საქმეც გაგვიკეთებია ერთად, მაგრამ ცოლი... იმას არაფერი სწამს ჩვენი, არც მიგვიღებს, არც ბინას მოგვცემს“.

„შენ სულელი ყოფილხარ, ჩოფურ!“

„ვა, რათა?“

„შენგან არასოდეს გამოვა ინჟინერი, — განვაგრძე მე, — ისე კი, ოქროულობის მაღაზიის საქმე არ გამოვა“.

„ვა, ინჟინრობა რა ეშმაკად მინდა?!“ — გულწრფელად გაიკვირვა ჩოფურამ.

„გინდა. პაპაშას ცოლთან მიხვალ და ბინაც გექნება, გაიგე?“

ჩოფურამ თვალები დააჭყიტა, შემდეგ გულიანად გადაიხარხარა.

ყველაფერზე შევთანხმდით. მეორე დღეს, ჩოფურა ქუთაისში წავიდა, 3 დღის შემდეგ უკანვე დაბრუნდა.

„საქმე მოეწყო, — მითხრა მან, — თუნდაც ერთი კვირა შემიძლია ვიცხოვრო პაპაშას სახლში. მის ცოლს ისე გაუხარდა ჩემი მისვლა, აღარც მიშვებდა: ჩანს, ჩემმა ქმარმა სიტყვა შეასრულა, ქურდობაზე აღარ ფიქრობსო, — და ათასი სხვა სისულელეც მითხრა. მეც დავუდასტურე: ანგელოზია, სულ ჩვენს წრეში ტრიალებს-მეთქი“, — იცინოდა კიტოვანი.

გემმა შევადგინეთ, მე წყალტუბოში ჩავიდოდი, ივანისელი, კიტოვანი და ბალავაძე ქუთაისში უნდა შემხვედროდნენ. ჩოფურა ადგილზე მიიყვანდა, საქმის „წაღების“ დღეს კი მე დავნიშნავდი.

„ჩემთან შენს მეტი არავინ მოვიდეს. ზეგ ადგილზე ვიქნები, გასაგებია?“ — გავაფრთხილე ჩოფურა.

წყალტუბოში ორშაბათს დილით ჩავედი. იმავე დღეს ჩოფურასთან ერთად მაღაზიას ვეწვე.

„რას იტყვი?“ — მკითხა ჩოფურამ, როდესაც მაღაზიიდან გამოვედით.

„შენი გემმა მომწონს, მაღაზიაში ჭერიდან ჩავალთ. მაგრამ საქმეს კვირამდე ვერ „წავიღებთ“.

„რათა? კვირამდე მთელი ერთი კვირაა!“ — უკმაყოფილოდ მითხრა ბალავაძემ.

„შტერი ხარ-მეთქი, ჩოფურ! წერა-კითხვა იცი?“

„მერე რა, რო ვიცი?“

„ჰოდა, ცოდნას გამოყენება უნდა. ვერ წაიკითხე? მაღაზია ორშაბათს ისვენებს, მთელი 24 საათით მეტი დრო გვექნება ასათესად.

ჩოფურას არ უპასუხია.

„ბიჭები ზეგ საღამოსთვის დაიბარე, მომზადებაა საჭირო. მე ისევ წყალტუბოში წავალ“, — ვუბრძანე ჩოფურას.

„იცი, რა. ივანისელმა მითხრა, შენ თურმე „პოკერი“ გიყვარს, მართალია?“

„მერე რა?“

„ის, რომ აქ ერთი კარგი კომპანიაა, მსხვილ „ფოსტაზე“ თამაშობენ. თუ გინდა, მიგიყვან“.

„ვინ არიან?“

„ერთი სტუდენტია, ორი კიდევ — ინჟინერი“.

„ისეთი, როგორიც შენ?“

„არა, „ნატური“. მაგრამ მათთვის მეც ინჟინერი ვარ“.

„საიდან გაიცანი?“

„აქ ერთი ვინმეა ასეთი რამეების „ახოტნიკი“, ორი წელია ვიცნობ, სანდო ხალხია“.

„კარგი, — დავთანხმდი მე. — საღამოს 8 საათზე სასტუმროსთან დამხვდი“.

დანიშნულ დროზე მივედი. ჩოფურა უკვე მელოდებოდა. ტაქსით წავედით. ახლაც არ ვიცი, რომელ ქუჩაზე ვიყავით. ოთახი რესტორნის ოფიციანტს, ვილაც კლავას ეკუთვნოდა.

მაგიდას ოთხნი შემოვუსხედით: მე, ორი ინჟინერი და ერთიც — სტუდენტი, სახელად ანზორი. სტუდენტმა, არ ვიცი რითი, მაგრამ ჩემი წარსული გამახსენა, რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ის მეოთხე, ჩემთვის უცნობი ახალგაზრდა კი არა, მე ვიყავი, გოგიასა და ჟორასთან მოთამაშე...

ჩვეულ ხერხს მივმართე: 5.000 მანეთამდე წავაგე სტუდენტთან. გვიან ავიშალეთ. მეორე დღის შეკრების დროც დავთქვით. მეორე დღეს ისევ წავაგე, კვლავ ანზორმა მოიგო. მეც ეს მინდოდა — ნელ-ნელა ვამზადებდი ნიადაგს ჩიკვაიძის ჩასათრევად.

გავიდა კიდევ ერთი დღე.

„დროა“, — გადავწყვიტე.

თამაში დავიწყეთ. როგორც მოსალოდნელი იყო, ორი დღის მოგებამ ჩიკვაიძე გაათამამა, გაბედულად თამაშობდა, რისკზე მიდიოდა. დახლოებით ღამის პირველ საათზე აზარტმა უმაღლეს წერტილს მიაღწია.

ბანკი მეჭირა. დინჯად ავრიე კარტი, რამდენჯერმე ჩავჭერი. სახეაწითლებულ ანზორს თვალებიც ანთებოდა, შესამჩნევად უკანკალებდა ხელი.

კარტი ჩამოვარიგე.

„500 მანეთი!“ — დაიძახა იოსებმა.

500-ს კიდევ 500 მიუმატა დათამ.

ანზორს შევხედე უეცრად, თითებით ძლივს რომ „ჩითავდა“ კარტს.

ჩიკვაიძემ კარტი გასინჯა, ძლივს დაფარა სიხარული.

გულში გამეღიმა. ძველი ხელობა გამოვიყენე და ანზორს ოთხი „კროლი“ მივეცი. ახლა მოგება მხოლოდ ოთხი ტუზით შემეძლო.

ინჟინრები სწრაფად გამოეთიშნენ თამაშს: ჩემი და ანზორის გაბედულმა სვლებმა მათ ბრძოლაზე ხელი ააღებინა.

ანზორი კი სულ უმატებდა და უმატებდა. მე დინჯად მივყვებოდი, ჯიბიდან დასტა-დასტა ამომქონდა ფული და ანზორის მიერ დასახელებულ ციფრს ვუმატებდი.

დაძაბულობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ანზორის მთელი ფული ბანკში იდო.

„10.000!“ — შეჰყვირა გაშმაგებით.

„ფულს ვერ ვხედავ!“ — შევნიშნე წყნარად.

„ითამაშე! — დამიბღვირა. — მე მოთამაშე ვარ და წაგებულზე პასუხს ვაგებ“.

„კეთილი!“ — გავიღიმე ცივად. შემდეგ, პიჯაკის ჯიბიდან ასიანების საკმაოდ სქელი დასტა ამოვიღე, სხვა ფულიც დავუმატე.

„10 და კიდევ 10“, — მივუგე დინჯად და 20.000 მანეთი დაუდევრად ჩავყარე ბანკში.

ანზორი გაფითრდა, შემდეგ, ერთბაშად მოაწვა სისხლი სახეზე. შეყოყმანდა, მაგრამ თითქმის 25.000 მანეთზე იყო გასული და უკან ველარ დაიხია.

„მოდის! — ამოიხეხინა მან. — გახსენით კარტი!“

„თვითონ გაისარჯე!“ — მივუგე დაუდევრად, შემდეგ პაპიროსს მოვუკიდე და მოვქაჩე.

ჩიკვაიძემ ბოროტი მზერა მესროლა და გამეტებით შემოიკრა სახეში გაშლილი ხელი. იოსები და დათა ფეხზე წამოიჭრნენ.

„ოთხი ტუზი!“ — შეჰყვირეს ერთხმად.

მე დინჯად მოვხვეტე ფული.

„თქვენგან 20.000 მანეთი მოდის, ყმაწვილო“, — შევნიშნე, მაგიდაზე დამხობილი ჩიკვაიძის გასაგონად...

თამაში აღარ გაგვიგრძელებია. დათა და იოსები წავიდნენ. ჩიკვაიძეს არც გაუგია მათი წასვლა, ისევ უძრავად იყო დამხობილი მაგიდაზე და სიცოცხლის ნიშანწყალი მხოლოდ მხრების ტოკვაზე ეტყობოდა.

სიამოვნებით დავაკვირდი. 20 წლის წინანდელი ამბავი გამახსენდა...

„აწი უკვე ჩვენი ხარ! ეს ერთი და სხვა ათასი!“ — გავივლე გულში და ჩოფურას თვალი ჩავუკარი.

„დროა, წავიდე, ნულარ მაყოვნებ!“ — ავუწიე ხმას და ჩიკვაიძეს ხელი წავავლე.

თავი ასწია, უსიცოცხლო, ჩამქრალი თვალებით შემომხედა. მის გამოხედვაში შიში, ვედრება, ზიზღი და უილაჯო ბოღმა ერთმანეთში არეულიყო.

„ფული აღარა მაქვს... ესე იგი — ჯიბეზე არა მაქვს...“ — ამოილუღღუღა საცოდავად.

„რაო?! სიცოცხლე ხომ არ მოგბეზრდა, ლაწირაკო! — ჩაისისინა ჩოფურამ და დანა ამოიღო. — მაკარონივით დაგაყრევინებ წელებს! შენი თავი მშიერ სტუდენტებში ხომ არ გგონია?!“

ჩიკვაიძეს შიშმა სახე დაუმახინჯა.

„მოგცემთ, არ მომკლათ!“ — ჩაიხრიალა.

„აბა, მალე!“ — დაადგა თავზე ჩოფურა.

ანზორი მონუსხულივით შესცქეროდა ჩოფურას ხელში ცივად მოელვარე ბებუთს.

„მოიცა, ვახტანგ, — შეეკამათა კიტოვანი. — ეგ დანა შეინახე, საჭირო არ არის. ანზორი სულელი კი არ არის, გადაიხდის“.

ჩიკვაიძემ ვედრებით შემომხედა.

„არა გაქვს ფული?“ — ვკითხე წყნარად.

„არა მაქვს, — მიპასუხა მან ჩახლეჩილი ხმით, — მაგრამ გადავიხდი“.

„როგორ გადაიხდი, თუ არა გაქვს?“

„რას ალაპარაკებ?! არა აქვს და აქვე დავკლავ წინილივით!“ — კვლავ ჩაერია ჩოფურა.

„მოიცა-მეთქი! — შევუტიე კიტოვანს და ისევ ჩიკვაიძეს მივუბრუნდი: — როგორ გადაიხდი-მეთქი, შენ გეკითხები!“

ჩიკვაიძე ერთხანს დუმდა. ეტყობოდა, რაღაც აზრი დაებადა, მაგრამ თქმა ვერ გაუბედა. ბოლოს ყოყმანი დაძლია.

„გადავიხდი, თუ...“ — ისევ შეყოყმანდა ის.

„თუ რა? დაამთავრე!“

„თუ თანახმა იქნებით, რასაც გეტყვით“.

„თქვი, რა არის?“

„ბიძაჩემს სახლში 3%-იანი ობლიგაციები აქვს...“

„კარგი, წავიდეთ, თანახმა ვარ ობლიგაციაზე“, — გადავწყვიტე მე.

ჩიკვაიძემ საცოდავად შემომხედა.

„მე... მე... ვერ წამოვიღებ ობლიგაციებს“.

„აბა, როგორ?“ — შევეკითხე მოჩვენებითი გაკვირვებით.

მე უკვე მივხვდი, თუ რა გზით აპირებდა წაგებულის გადახდას ჩიკვაიძე, მაგრამ მინდოდა, მასვე ეთქვა ყველაფერი, რომ ჩემს ხელში ყოფილიყო და მომავალში უსიტყვოდ დამმორჩილებოდა.

„თქვენ... თქვენ უნდა წაიღოთ! სახლში ჩემს მეტი არავინაა. ფანჯარას ღიად დავტოვებ, ობლიგაციები სწოლ ოთახში ტანსაცმლის კარადაშია, სულ ზედა თაროზე“, — ამოიკვნესა ჩიკვაიძემ.

„კარგი, — დავთანხმდი მე, — წავიღებთ. მაგრამ გაფრთხილებ — თუ მოგვატყუე, წინასწარ შეადგინე ანდერძი“.

„სულელი ხომ არა ვარ“.

შევთანხმდით, ჩიკვაიძემ ტელეფონის ნომერი მოგვცა. დილით ჩოფურამ დაურეკა და ბინა დაათვალიერა.

საღამო ხანს სასტუმროსთან ველოდი კიტოვანს. ერთბაშად ჩემ გვერდით „პობედა“ გაჩერდა, იქიდან კიტოვანი, ბალავაძე და ივანისელი გადმოვიდნენ.

„ვისია მანქანა?“ — ვკითხე კიტოვანს გაკვირვებით.

„ერთი აქაური არიფის, — გაიცინა მან. — ჩემი ვალი ჰქონდა, დღეს შემთხვევით შევხვდი. ფული ვერ დამიბრუნა და ვალში მანქანა მათხოვა“.

„რა სისულელეა!“ — გავჯავრდი მე.

„სულაც არა, — მიპასუხა კიტოვანმა. — თუმცა შტერს მეძახი, მაგრამ ხანდახან მეც ოქრო აზრები მომდის. საქმეზე მანქანით წავალთ, ასე უფრო ავურევთ გზა-კვალს მილიციას“, — კვლავ გაიცინა კიტოვანმა.

„ვინ არის მანქანის პატრონი? არ გაგვიდოს!“ — გავაფრთხილე კიტოვანი.

„მაგის დარდი ნუ გაქვს, ხმასაც არ ამოიღებს, მიცნობს...“

დასასრული შემდეგ ნომერში

VW-ს მომავალ ჯიპს მომხმარებლებმა შეუჩიეს სახელი

გერმანული კონცერნის მესვეურებმა ახალი ყველგანმავლის სახელი გამოაცხადეს: ჯიპს, რომლის ბაზარზე გამოჩენაც 2008 წლისთვისაა დაგეგმილი, VW Tiguan ერქმევა. საინტერესოა, რომ სახელის შერჩევის პროცესში კომპანიის მესვეურებმა ავტომოყვარულები ჩართეს: Autobild-ის ჯგუფში შემავალი გამოცემების ფურცლებზე საგანგებო სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარეს. ხმის მიცემაში მონაწილეობის მსურველებს კონცერნის მარკეტინგის განყოფილებამ 5 დასახელება შესთავაზა: Tiguan, Nanuk, Namib, Rockton და Samun. მკითხველთა ძირითადმა მასამ — 36%-მა „ტიგუანი“ აირჩია. სულ კი გამოკითხვაში 350 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. „ფოლკსვაგენის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის, ვოლფგანგ ბერნჰარდის თქმით, „ჩვენ მიერ გამოყენებული უნიკალური ხერხი ააშკარავებს ჩვენი მუშაობის სტილს: ჩვენ კიდევ უფრო მეტად მივუახლოვდით მომხმარებელს, რომელიც თავადაც მონაწილეობდა მოდელისათვის სახელის შერჩევაში“.

ახალი ყველგანმავლის პრემიერა შემოდგომაზე, ფრანკფურტის ავტოსალონზე შედგება. მისი წარმოება ქალაქ ვოლფსბურგში მდებარე ქარხანაშია დაგეგმილი. წინასწარი მონაცემებით, ამ მანქანისთვის საბაზო ძრავად, 1,4 ლ მოცულობის, 170 ცხ.ძ. სიმძლავრის აგრეგატს გამოიყენებენ. მის აღსაჭურვად, დაგეგმილია აგრეთვე, 2 ბენზინის (170 და 200 ცხ.ძ.) და 2 დიზელის (140 და 170 ცხ.ძ.) ძრავის გამოყენება. VW Tiguan-ის საბაზო ფასი სავარაუდოდ, 29 ათასი ევრო იქნება ■

Toyota-მ საჯუთარი მანქანები უსაფრთხოების ბალიშის გამო დაინუნა

იაპონურმა კომპანიამ, დამატებითი შეკეთების მიზნით, Toyota Corolla Verso-ს მარკის 206 ათასი ეგზემპლარი გაიწვია ბაზრიდან: ამ მანქანებს მგზავრის უსაფრთხოების ბალიშის ჩამრთველში ხარვეზი აღმოუჩინეს. როგორც ერთ-ერთი ავტორიტეტული საავტომობილო გამოცემა იუწყება, ზოგ შემთხვევაში, გამორთვის შემდეგ, ბალიში კვლავ გააქტიურებულ მდგომარეობაში რჩება. იმ 206 ათას შორის, რომელთა შეკეთებასაც ფირმა კისრულობს, 2004 წლის 5 იანვრიდან 2006 წლის 3 მაისამდე პერიოდში წარმოებული მანქანებია. მათი უმეტესი ნაწილი (196500) ევროპაშია გაყიდული. კომპანია აღნიშნულ ავტომობილებს უსაფრთხოების ბალიშების ჩამრთველებს გამოუცვლის და კვლავ მომხმარებლებს დაუბრუნებს. ბუნებრივია, ეს სამუშაო კლიენტებისთვის სრულიად უფასოდ შესრულდება. ■

Audi-მ მოდელი – S3 წარმოადგინა

■

გერმანულმა კომპანიამ გამოაქვეყნა ახალი, მოდერნიზებული და გაძლიერებული ჰეჩბეკის — S3 ოფიციალური ფოტოსურათები, რომლებიც მომხმარებლების წინაშე უახლოეს მომავალში საწარმოებლად დაგეგმილ მანქანას წარმოადგენს. ამ სიახლის მთავარი „ეშხი“ მის კაპოტქვეშ იმალება: ეს გახლავთ 2,0 მოცულობის ტურბოძრავა, რომელიც 265 ცხ.ძ. სიმძლავრეს განავითარებს. მომცრო ჰეჩბეკისთვის არათუ ბევრია, არამედ ზოგის აზრით, მეტისმეტიცაა. იმისათვის, რომ ამხელა ტვირთი „ასწიოს“, Audi S3 სრულამძრავიანი სისტემით, გაძლიერებული საკიდრითა და ახალი მუხრუჭებით იქნება აღჭურვილი. გარდა ამისა, ამ მანქანას სპეციალურ აეროდინამიკურ „ფარდასაც“ დაურთავენ თან.

ახალი „აუდის“ საბოლოო ფასს ჯერჯერობით არ აცხადებენ. ექსპერტთა ვარაუდით, ის სულ ცოტა 60 ათასი დოლარი ეღირება. ■

„ტირილი" ქუთაისში ვისწავლე"...

7 აგვისტოს, მომღერალი გიგა კვენტაძე კონცერტების გასამართავად ბათუმში მიდის, სადაც ათი დღე დარჩება, შემდეგ კი თურქეთის ქალაქებში, კერძოდ, ბოდრუმში, მარმარისსა და ანტალიაში გადაინაცვლებს. ის საკონცერტო ტურნეში თავის მენეჯერ — ნინო წიკლაურთან და რამდენიმე მომღერალთან ერთად (გიორგი დათიაშვილი, მარი ნაცვლიშვილი და ა.შ.) მიდის... გიგა, „სავარდო" ქალაქ ქუთაისში დაფრთიანდა და ამჯერად, მასთან ინტერვიუს სწორედ ამ თემაზე შემოგთავაზებთ.

— ბათუმსა და თურქეთში რომ მიდიხარ, ქუთაისში არ აპირებ ჩასვლას?

— ქუთაისი ძალიან მენატრება, მაგრამ საქმეებიდან გამომდინარე, იქ ჩასვლას ჯერ-ჯერობით ვერ ვახერხებ. ალბათ, სექტემბერში მოვახერხებ და ჩავალ.

— ქუთაისში რა ისწავლე?

— *(იცინის)* ტყუილი ნამდვილად არ მისწავლია... იქ განათლება მივიღე — ჟურნალისტი, იგივე მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენელი გავხდი.

— „ტირილიც" ქუთაისში ისწავლე?

— კი, კი *(იცინის)*.

— რამდენი კილომეტრია ქუთაისიდან თბილისამდე?

— ზუსტად ვიცი, 217 კილომეტრია.

— იქ სახლი გაქვს?

— რა თქმა უნდა. დედა ხან ჩემთან არის — თბილისში, ხან კი — ქუთაისში. აბა, ფუძესა და ფესვებს ხომ არ მოვიჭრით? — იქაურობას მიხედვა უნდა.

— ქუთაისელები სხვა კუთხის წარმომადგენლებისგან რითი გამოირჩევით?

— სტუმართმოყვარეობით და გემრიელი სამზარეულოთი.

— რომელ უბანში ცხოვრობ?

— ძირძველ უბანში, რომელსაც გორა ჰქვია. სხვათა შორის, ის საოცარი კოლორიტულობით გამოირჩევა. სწორედ ჩვენს უბანშია ბაგრატის ტაძარიც...

— ადრე, „სავარდო" ქუთაისი ინდუსტრიას აშენებდა, ახლა?

— სამწუხაროდ, ახლა ველარ აშენებს და ამაზე გული მწყდება. თბილისსა და ბათუმს კარგად მიხედეს, ქუთაისს — ნაკლებად. არადა, ქუთაისი ერთ-ერთი ძველი და ტრადიციული ქალაქია, სადაც არაერთი ნიჭიერი და სახელოვანი ადამიანი დაიბადა. ნინო ბურჯანაძე ცოტა რაღაცას კი ცდილობს, მაგრამ ჯერჯერობით, ქუთაისს მოვლის არაფერი ეტყობა.

— თბილისში რა ტრანსპორტით ჩამოხვედი?

— მატარებლით. სხვათა შორის, უხერხული და ცოტა არ იყოს, დამღლელი ტრანსპორტია.

— დედაქალაქში რამდენ ხანში ჩამოხვედი?

— ბევრი ვიარე თუ ცოტა, ქუთაისიდან პირდაპირ რუსთაველის გამზირზე ალმოვჩნდი. ისეთი დაბნეული ვიყავი, რომ ოპერის თეატრთან ვიდექი და მეგობარს ვუთხარი: რუსთაველის თეატრთან ვდგავარ-მეთქი *(იცინის)*. ახლა, ეგ უკვე აღარ მეშლება და დაბნეულობამაც გადამიარა. ■

თეა ლომიძემ სამოსი პუტკუნა ქალებისთვის შექმნა

დიზაინერმა თეა ლომიძემ მას შემდეგ, რაც „ქორთიარდ მარიოტში" გრანდიოზული ჩვენება მოაწყო, მიზნად დაისახა — შეექმნა სამოსი პუტკუნა ქალბატონებისთვის. მან ეს უკვე განახორციელა და სალონ „თეილოში", თქვენც შეგიძლიათ შეიძინოთ დიდი ზომის შარვლები, ქვედაბოლოები, სარაფნები, მაისურები.

თეა ლომიძე:

ტანსრული ქალბატონებისთვის სამოსის შერჩევა, ყოველთვის პრობლემა იყო, რადგან ის ძირითადად, მინიატიურული ქალბატონებისთვის იქმნება. გადავწყვიტე, რომ ეს პრობლემა მომეხსნა და დიდი ზომის ტანსაცმელი *(48-დან, 54 ზომის ჩათვლით)* შევკერე. საზაფხულო მოდელების შესაქმნელად ნატურალური ქსოვილი გამოვიყენე.

ამასთან ერთად, თეამ ბათუმში, საზეიმო ვითარებაში გახსნა საკუთარი სალონი იმავე სახელწოდებით — „თეილო", რომლის პრეზენტაციასაც ბათუმის ელიტა დაესწრო. თბილისიდან მას სტუმრად დიზაინერი თათა ვარდანაშვილი ეწვია... თეა აგვისტოს ბოლოს, ბათუმში გრანდიოზული ჩვენების მოწყობას აპირებს, რისთვისაც მზადება უკვე დაწყებული აქვს. ■

ხატია სიჭინავა და სალომე გოგიაშვილი შეიკრნენ

„I სტერეოს" „სტერვა" — ხატია სიჭინავას და ამავე არხის ყოფილ წამყვანს — სალომე გოგიაშვილს თბილისში მშენებარე „აკვაპარკის" პიარ-მენეჯერობა შესთავაზეს. გოგონები ამ საქმეს სექტემბერში (როგორც კი აღნიშნული გასართობი ცენტრი ამუშავდება) შეუდგებიან. მანამდე კი, ბათუმში „სტერვების" ფესტივალის" მოწყობას აპირებენ — უნდათ, რომ ჩვენში ყველაზე მაგარი „სტერვა" გამოავლინონ... ამჟამად, ისინი თურქეთში, კერძოდ, ანტალიაში იმყოფებიან და ერთკვირიანი დასვენების შემდეგ საკუთარი ჩანაფიქრების სისრულეში მოყვანას ენერგიულად შეუდგებიან. ■

ზაქრო ინწკირველი – „შავი პიარი" – თმას ცოცხალი თავით არ იჭრის

— ამბობენ — გადაცემა „ლიმონი" იხურებაო...

— ყოველი სეზონის ბოლოს, მუდმივად რაღაცას ამბობენ. გადაცემამ ერთი წელი იარსება და შეიძლება, მაგ ფორმით ეთერში აღარ გავიდეს.

— ფიქრობ, რომ საქმე შეგიმცირდება?

— არა, რაც თავი მახსოვს, სულ წინ მივდივარ — წლების მომატებასთან ერთად, საქმეც მემატება ხოლმე.

— საკუთარ თავს პარს როგორ გაუკეთებდი?

— ჩემი თავი „ჯიგარი" მგონია, რა ვიცი, ასე ვფიქრობ (იღიმება). ვარ ცოტათი ეშმაკი, მატყუარა. ოღონდ, ჩემი ამ თვისებებით ზიანს არავის ვაყენებ — ეშმაკი და მატყუარა მაშინ ვარ, როცა ეს მჭირდება.

— თმის შეჭრას არ აპირებ?

— არა.

— რატომ? ეს შენი სტილია?

— სტილიც არის და თან, თმის შეჭრის ფასმაც მოიმატა — სამი ლარი გახდა *(იცინის)*.

— მერე, სამი ლარი არ გაქვს?

— მაქვს, მაგრამ თმის შესაჭრელად, არა. ისე, რა უცნაურია, ამწუთას ჯიბეში სულ სამი ლარი მიდევს... გრძელი თმა სიამოვნებას მანიჭებს.

— თინეიჯერი ხომ არ ხარ?

— თინეიჯერობას სულ რაღაც ათი წელი მაშორებს.

— ის პერიოდი გენატრება?

— არა, უკან არასდროს ვიხედები.

— ვისი ფანი ხარ?

— რომელიმე კონკრეტული პიროვნების არა — ფეხბურთის ფანი ვარ.

— მაინც, რომელ გუნდს გულშემატკივრობ?

— ბრაზილიის ნაკრებს.

— ბრაზილიამ გაგაწბილა?

— კი, მაგრამ მათგან მეტს არც ველოდი.

— ახლა, სხვა რა გაქვს სათქმელი?!

— არაფერი... პრინციპში, არც ისეთი გიჟი ფანი ვარ, რომ ფეხბურთის შეფასებისას ობიექტურობა დავკარგო. წლევანდელ ჩემპიონატზე ბრაზილიას დაუბალანსებელი გუნდი ჰყავდა.

— მუსიკალურ სამყაროში, ვინ არის შენი ფავორიტი? — ვარცხნილობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კერპი აუცილებლად გეყოლება...

— ჩემი ვარცხნილობა ბავშვობის კერპის — ბრაიან ადამსის ვარცხნილობას ჰგავს.

— შენმა გაკეთებულმა პიარმა საბოლოოდ რა შედეგი გამოიღო?

— პოპულარობა მომიტანა, ქუჩაში ყველა მცნობს.

— მოდი, ახლა პრესის ჟურნალისტების პიარი გააკეთე?

— ჟურნალისტები ზოგჯერ ისეთებს წერენ, რომ განაწყენებული ვრჩები.

— რა გაბრაზებს?

— არასწორად გადმოცემული აზრი. რაღაცას რომ ვიტყვი და მას სხვანაირად გაიგებენ.

— მაწონი შავია?

— არა, ბოლოს ორი დღის წინ ვჭამე და კარგად მახსოვს, თეთრი იყო, ცოტა თხევადიც.

— კამეჩის მაწონი ხომ არ იყო?

— ეგ არ ვიცი, რისი იყო, მაგრამ დათვის ხორცის კატლეტი მიჭამია — ერთხელ, ჩემმა ბიძაშვილმა ინადირა დათვზე, გემრიელი ხორცი ჰქონია.

— ლოგიკურად, დათვის ხორცის ხინკალიც კარგი უნდა იყოს.

— *(იცინის)* გეთანხმები.

— ბოლოს, რას ეტყვი მკითხველსა და მაყურებელს?

— მე დავბრუნდები *(იცინის)* და სხვათა შორის, ძალიან ხმაურიანად. ■

ქეთათოს შვილი დედოფალს ეძახის

მეუღლის დაკარგვის შემდეგ, ქეთათო თავს მოდუნების უფლებას არ აძლევს. ჯერ იყო და იმას ამბობდა — ისეთი სამსახური მჭირდება, სადაც მაქსიმალურად დავკავდები და დღის განმავლობაში დატვირთული ვიქნები. იქნებ, ამით საფიქრალ-საწუხარი შემიმსუბუქდესო. ცოტა ხნის წინ, მან მუშაობა რადიო „მწვანე ტალღაზე" დაიწყო (არტ-მენეჯერი გახლავთ) და საქმეც გაიტაცა. ქეთათო ირაკლი ჩარკვიანის გადაცემასაც აგრძელებს, მას თავადვე უძღვება... იგი ცოტა ხანში, სოლო ალბომის გამოშვებასაც აპირებს, სადაც სხვადასხვა დროს, მის მიერ დამუშავებული და შექმნილი სიმღერები შევა.

ქეთათო:

ერთი სიმღერა მე და მაქსიმემ ავაწყვეთ, რომელსაც ირაკლი კაკაბაძის ტექსტი აქვს დადებული... თუმცა, ალბომისთვის სახელწოდება ჯერ არ შეგვირჩევია.

— კიდევ, რას უნდა ველოდოთ შენგან?

— „I არხზე" შესაძლებელია, მუსიკალური გადაცემა წავიყვანო. ამისთვის, „პილოტები" უკვე ჩავწერეთ, მაგრამ ყველაფერი სექტემბერში გაირკვევა.

— პატარა ნანა როგორ არის?

— კარგად. თავისი საქციელით დღითი დღე მაოცებს. იმ დღეს, ქალბატონო დედიკოო — დამიძახა. გუშინ მითხრა: გამარჯობა, დედოფალო. ვკითხე: ეს ვინ გასწავლა-მეთქი? მიპასუხა: ირაკლიმო. გადავირიე — სად ნახე ირაკლი-მეთქი? მითხრა: სიზმარშიო. აი, ასე მაკვირვებს, ძალიან თავისებური ბავშვია... გადის ცხოვრება ნელ-ნელა, ტაატით.

რუბრიკა მოამზადა ლალი ფაციამ ■

kviris astrologiuri prognozi

(3 – 9 agvisto)

ვერძი 21.03-20.04

თავი დაანებეთ უპერსპექტივო ოცნებებს. ჯობს მიხედოთ იმ ადამიანებს, რომლებიც მზად არიან თქვენი გულისათვის დრო, ენერგია და სითბო გაიღონ. უქმე დღეები, მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ.

კურო 21.04-20.05

ამ კვირას შეეცადეთ, ოჯახში მშვიდი და გაწონასწორებული მდგომარეობა შეინარჩუნოთ, ახლობლებს დარიგებებითა და შენიშვნებით თავს ნუ მოაბეზრებთ, ზედმეტი პრეტენზიებისგან თავი შეიკავეთ. კარგია, თუ მთელ დღეებს სამსახურებრივი საქმეების მოგვარებას დაუთმობთ და დასვენებას მომავალი კვირისთვის გადადებთ.

ტყუპი 21.05-21.06

თუ მეგობრები დანაპირებს ვერ შეგისრულებენ, ნუ გაბრაზდებით, სიმშვიდე შეინარჩუნეთ. ამ კვირაში, მაქსიმალურად შეეცადეთ საკუთარ თავს ასიამოვნოთ. კარგი იქნება, თუ იმიჯის შეცვლაზეც იზრუნებთ და ახალ ტანსაცმელსაც შეიძენთ.

კიბო 22.06-22.07

ამ კვირაში შექმნილ ყველა პრობლემას, შეიძლება, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გამწვავებაც დაემატოს. ამიტომ ჯობს, მასთან შეხვედრა სხვა დროისთვის გადადოთ. შაბათ-კვირა კი, ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ.

ლომი 23.07-23.08

სამსახურებრივი რომანის გაჩაღებას არ გირჩევთ. ყოველ შემთხვევაში, ამ კვირაში ყოველგვარი ფლირტისგან თავშეკავება გმართებთ, რადგან თქვენი საქციელი შეუმჩნეველი არ დარჩება და მითქმა-მოთქმას გამოიწვევს.

ქალწული 24.08-23.09

თქვენს მონდომებას ბოლოს და ბოლოს, დააფასებენ და აქტიურად დაიწყება ლაპარაკი თქვენს დაწინაურებაზე. წინ საინტერესო დღეები გელით — დიდი ხნის ნანატრ წარმატებას მიაღწევთ. უქმე დღეებში კარგად დაისვენეთ და დახარჯული ენერგია აუცილებლად აღიდგინეთ, რადგან მომავალი კვირა საკმაოდ დატვირთული გექნებათ.

სასწორი 24.09-23.10

ოჯახის წევრები თავიანთი პრეტენზიულობით და ფულის ხარჯვის ტემპით გაღიზიანებენ, მაგრამ მოთმინება გმართებთ. სამაგიეროდ, ოჯახის მარჩენალის სტატუსი საპატიოა და პატივისცემას იმსახურებს. შაბათ-კვირას კი, მათგან თავის დაღწევა და დასვენება არ გაწყენდათ.

მორიელი 24.10-22.11

მიხედეთ პირად ცხოვრებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომავალში, მის მოსაწესრიგებლად დიდი ძალისხმევის დახარჯვა მოგიწევთ. დაიმახსოვრეთ — თქვენი ბედნიერება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გაანაწილებთ დროს სამსახურსა და დასვენებას შორის.

მშვილდოსანი 23.11-21.12

ყველაფერი, რასაც ამ კვირაში ხელს მოჰკიდებთ, წარმატებას მოგიტანთ და ფულის პრობლემაც მოგეხსნებათ. კარგი განწყობილება გადამდებია. ამიტომ შეუარეთ მეგობარს, რომელსაც ამ ეტაპზე პრობლემები აქვს და შეეცადეთ გაამხნევოთ, გაამხიარულოთ იგი.

თხის რქა 22.12-20.01

კვირის ბოლოს, საკმაოდ კარგ ხასიათზე იქნებით, რადგან მოულოდნელად ისეთ საქმიან წინადადებას მიიღებთ, თავი სიზმარში გეგონებათ. გაატარეთ შაბათ-კვირა მეგობრებთან ერთად, ოღონდ ბევრი ლაპარაკით თავს ნუ შეაწყენთ მათ.

მერწყული 21.01-19.02

ჯობს გამოიჩინოთ სიფრთხილე და სარისკო საქმეებისგან თავი შორს დაიჭიროთ. კარგად გაიაზრეთ ყოველი თქვენი მოქმედება, იყავით კორექტული ახლობლებთან ურთიერთობისას, უმტკივნეულოდ მიიღეთ შენიშვნები და შეეცადეთ, მეგობრების რჩევა გაითვალისწინოთ.

თევზები 20.02-20.03

ამ კვირას გირჩევთ გამოიჩინოთ პრინციპულობა. თუმცა, ის სიჯიუტეში არ უნდა გადაიზარდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეგობრებს გაანაწყენებთ და მერე მათ შემოსარიგებლად დიდი დრო დაგჭირდებათ. თავი შეიკავეთ ალკოჰოლისა და დაუგეგმავი მოგზაურობისგან. მეტი დრო გაატარეთ ოჯახში.



ლევან თედიაშვილი — კაცი, რომლისთვისაც ჭიდაობაში საიდუმლო არ არსებობდა

როგორ შეხვდა საგარეჯოელი ახალ წელს სავარჯიშო დარბაზში

ლევან თედიაშვილის ინტერვიუზე დათანხმება რამდენჯერაც ვცადე, მისგან იმდენჯერვე უარი მივიღე. ამას კი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, სატელეფონო თუ შემთხვევით პირისპირ შეხვედრისას ასე ხსნიდა — მე უკვე აღარავის ვახსოვარ და ვჭირდებიო... შესაძლოა, ბატონი ლევანი იმას გულისხმობდა, რომ იგი ქართულ სპორტს, კერძოდ კი, ჭიდაობას ფაქტობრივად ჩამოსცილდა — არც სპორტის აღნიშნული სახეობის ფედერაციაში ფიგურირებს და არც საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტში. ერთხელ, როდესაც თედიაშვილს კვლავ ვთხოვე ინტერვიუზე დამთანხმებოდა, მან გურამ ბიგანიშვილი (ოლიმპიური ჩემპიონი აფროსნობაში. — ავტ.) მოიხმო და მითხრა: ჩემზე რა უნდა ვილაპარაკოთ, მდინარის ერთი ბოლოდან მეორეზე ძლივს გადავდიოდი, ეს კაცი კი ოკეანეს გარდიგარდმო სერავდაო. მიუხედავად ამისა, გამოჩენილ ფალავანს, რომელსაც „მოჭიდავე ლეგენდა“ უწოდეს, გვერდს ვერ ავუვლიდით და შევეცადეთ, ამ სპორტსმენის განვლილი გზა შეძლებისდაგვარად გადმოგვეცა.

ლაშა თაბაგარი

თედიაშვილი ჭიდაობით ბავშვობიდან იყო გატაცებული და ეს გასაკვირი არცაა, რადგან წარმოშობით საგარეჯოს რაიონიდან გახლავთ. ეს რაიონი კი, არა მარტო ყურძნით და ღვინით, არამედ კარგი მოჭიდავეებითაა ცნობილი. სწორედ აქ, სოფელ გიორგიწმინდაში, რომელიც თედიაშვილის სოფლის — გაღმაუბნის მეზობლადაა, 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშებისა და 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში — არსენ მეკოკიშვილი გაიზარდა. პატარა ლევანი ისევე, როგორც ბევრი გამოჩენილი ქართველი ათლეტი ქართულ ჭიდაობას მისდევდა, ხოლო როცა 12 წლის გახდა, თავისუფალი ჭიდაობის სექციას მიაშურა. მისი პირველი მწვრთნელი ივანე მეკოკიშვილი გახლდათ, რომელიც არსენ მეკოკიშვილს ენათესავებოდა. გამოცდილ მწვრთნელს, ახალწვეულის აზარტი და თავმოყვარეობის გრძნობა მოეწონა. გარდა ამისა, შეგირდი მასწავლებელს იმითაც იზიდავდა, რომ წვრთნისას, ის თითოეულ ილეთს მონდომებით სწავლობდა. რამდენიმე თვის ვარჯიშის შემდეგ, თედიაშვილმა ერთ-ერთ შეჯიბრზე თავისზე გაცილებით გამოცდილ მეტოქეს მოუგო. თუმცა, ეს არა ტექნიკის, არამედ ძალის, გამძლეობისა და შეუპოვრობის ხარჯზე გააკეთა.

თედიაშვილის მამა ქიტესა, რომელიც კოლმეურნეობაში მუშაობდა, ომის ინვალიდი გახლდათ, ხოლო დედა — ალექსანდრა ერიკალოვა წარმოშობით ვოლოგდიდან იყო. მისი პირველი ქმარი ომში დაიღუპა და ის საგარეჯოში ოთხი წლის ვაჟთან — გერმანესთან ერთად ჩამოვიდა და ცოლად უფროს თედიაშვილს გაჰყვა. თავის დროზე, მომავალ ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ჭიდაობაზე სიარული, სწორედ გერმანემ ურჩია. სკოლა რომ დაამთავრა, ლევანი თბილისში ჩამოვიდა და მუშაობა ავეჯის კომბინატში დაიწყო, ხოლო ვარჯიში — ჭიდაობის „პროფესორ“, ორგზის მსოფლიო ჩემპიონ ვახტანგ ბალავაძესთან გააგრძელა. 1971 წელს 31 დეკემბერს, ბალავაძე და თედიაშვილი საახალწლო სუფრასთან ახლობლებთან ერთად ისხდნენ, როდესაც ლევანმა მწვრთნელს სავარჯიშო დარბაზში გაშვება სთხოვა, რათა ახალ წელს იქ შეხვედროდა. ცხადია, ბატონმა ვახტანგმა ჰკითხა, თუ რაში სჭირდებოდა ასეთი რამის გაკეთება, რაზეც პასუხად მიიღო: ჩემპიონობა მსურს და ახალი წლის სპორტული დარბაზში შეხვედრა კარგად მაქვს დაცდილიო. ამის გაგონებაზე ბატონმა ვახტანგმა ღიმილით უთხრა: თუ ჩემპიონობა გინდა, მაშინ წადიო. მეორე დილას, თედიაშვილმა ბალავაძეს ტელეფონით დაურეკა და მოუყვა — თუ როგორ ეძინა დარბაზში, თან არ დავიწყებია ეთქვა, რომ სიზმარში ჭიდაობდა. მასწავლებელი მოსწავლეს გაეხუმრა და ჰკითხა: მერე რა ქენი, ყველა დაამარცხეო? თედიაშვილის პასუხმაც არ დააყოვნა — რა თქმა უნდა, 1971 წელს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გავხდები და მსოფლიო ჩემპიონატსაც მოვიგებო.



თედიაშვილი სამბოში მართლაც ვარჯიშობდა, მაგრამ უკანასკნელად, სპორტის ამ სახეობაში, ხალიჩაზე 1966 წელს გამოვიდა

მართლაც, ლევანის წინასწარმეტყველება ახდა, რადგან 1971 წელს, ქვეყნის პირველობის ფინალში, მან მსოფლიოსა და ევროპის სამგზის ჩემპიონი — იური შახმურადოვი დაამარცხა. რამდენიმე თვის შემდეგ, ის საბჭოთა კავშირის ნაკრებში აიყვანეს და მსოფლიო ჩემპიონატზე სოფიაში გაემგზავრა. შეჯიბრება „ვასილი ლევსკის“ სახელობის სტადიონზე ჩატარდა და მასში მონაწილეთა სარეკორდო რიცხვმა მოიყარა თავი — 304 მოჭიდავე 30 ქვეყნიდან. თედიაშვილმა 82 კილოგრამ წონით კატეგორიაში, ფინალამდე 5 ორთაბრძოლა სუფთად მოიგო, გადამწყვეტ დაპირისპირებაში კი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი, ევროპის ჩემპიონი — ჰორსტ შტოტმაისტერი ერთი ქულით დაამარცხა. არადა, ოქროს მედლის მოსაპოვებლად ქართველს ფრეც აწყობდა. ტურნირის დასრულებისას, ცნობილმა მოჭიდავე ალექსანდრ მედვედმა დებიუტანტებიდან თედიაშვილი გამოყო და აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელს დიდი მომავალი ჰქონდა, რაშიც ნამდვილად არ შემცდარა.

საგარეჯოელი სპორტსმენი 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე, ნაკრებში მწვრთნელთა საბჭოზე დიდი სჯა-ბაასის შემდეგ შეიყვანეს. საქმე ისაა, რომ თედიაშვი-

ლის წონაში, მის გარდა კიდევ ორი კანდიდატი — მახაჩყალელი შახმურადოვი და მინსკელი ევროპის ჩემპიონი — ვიქტორ ნოვოჟილოვი იყვნენ. ქართველის შესახებ მწვრთნელები ამბობდნენ — ლამაზად და ტექნიკურად ჭიდაობს, მაგრამ ახალგაზრდაა, ფიცხი, ზედმეტად აზარტული, თან მუდმივად რისკზე მიდისო. საბოლოოდ, უპირატესობა მაინც თედიაშვილს მიანიჭეს და არც შემცდარან, რადგან მან პირველობა არავის დაუთმო. ფინალში, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელ ჯონ პეტერსონის წინააღმდეგ, ჩვენებურს ხელს ფრეც აძლევდა, მაგრამ მას მხოლოდ გამარჯვება სურდა. ორთაბრძოლის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, ლევანმა ბალავაძეს ჰკითხა, თუ რამდენი დრო რჩებოდა ხალიჩაზე გასვლამდე? როდესაც სპორტსმენმა შეიტყო, რომ ფინალი ერთ საათში იწყებოდა, წავიდა და დაიძინა. იგი ხალიჩაზე გასვლამდე 15 წუთით ადრე გაღვიძეს და თედიაშვილმა მეტოქეს 12 ქულის სხვაობით სძლია.



თბილისში დაბრუნებულმა ლევანმა მეორე დღესვე თავის სოფელს მიაშურა და მშობლებს სამეურნეო საქმეებში ეხმარებოდა

სახლში დაბრუნებისას, ოლიმპიური ჩემპიონი ნაცნობ-მეგობრებთან ბევრს საუბრობდა და ერთხელ, როდესაც ჰკითხეს: შენი კერპი ვინ არისო? უპასუხა: მოჭიდავე ალექსანდრ მედვედი და ველოსპორტსმენი — ვიქტორ კაპიტონოვიო. ყოველივე კი ასე ახსნა — მედვედი სამგზის ოლიმპიადისა და რვაგზის მსოფლიო ჩემპიონობის გამო არის პატივისცემის ღირსი, ხოლო რაც შეეხება კაპიტონოვს, დღემდე ვერ გამიგია, საიდან აღმოაჩნდა ამ ადამიანს იმის ძალა, რომ ერთ შეჯიბრში ფინიშზე ორჯერ პირველი მისულიყოო. მართლაც, რომის ოლიმპიადაზე, საგზატკეცილო რბოლაში, რომლის სიგრძე 175 კილომეტრი და 380 მეტრი გახლდათ, სიცხისა და ხმაურის გამო, საბჭოთა სპორტსმენმა შეცდომით რბოლა ერთი წრით ადრე დაასრულა. თუმცა, ქალაქის ქუჩებში კიდევ 14 კილომეტრი ჰქონდა გასავლელი. მიუხედავად ამისა, მან იმდენი მოახერხა, რომ წინ წასულ იტალიელ ლივიო ტრაპეს მაინც გაასწრო, რამაც ოქრო მოუტანა...

1973 წელს, თეირანში, მსოფლიო ჩემპიონატი ერთდროულად ბერძნულ-რომაულ, თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში ჩატარდა. ორთაბრძოლები ღია ცის ქვეშ, სტადიონ „ფარახზე“ ტარდებოდა და სპორტსმენებს ასაპრეზობა საშინელ სიცხეში უწევდათ. თედიაშვილისთვის ირანში გამოსვლა იოლი არ გახლდათ, რადგან მან ნაკრებში ერთადერთმა წონა შეიცვალა და ჭიდაობა 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში უწევდა. თუმცა, თავის შემტევი სტილითა და ტექნიკით, ქართველმა ირანელებიც მოხიბლა, რომლებისთვისაც ჭიდაობა სპორტის ნომერ პირველი სახეობაა. ფინალური ორთაბრძოლის დასრულებისას, როდესაც მსაჯმა გამარჯვების ნიშნად ჩვენებურის ხელი ზემოთ ასწია, გულშემატკივრებმა ოვაციით დააჯილდოეს. პატარა ბავშვები კი ცდილობდნენ, ჩემპიონისთვის ეკოცნათ, რადგან ირანში არსებული ტრადიციის თანახმად, თუ ძლიერი ადამიანი პატარას აკოცებს, ეს უკანასკნელი თავადაც ცნობილი ფალავანი გახდება.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეები თეირანიდან წასასვლელად ემზადებოდნენ და მათ ადგილი სამბისტებისთვის უნდა დაეთმოთ, რომლებიც თავის სახეობაში პირველ მსოფლიო ჩემპიონატს ატარებდნენ. თუმცა, მოულოდნელად საბჭოთა გუნდში საშუალო წონის მოჭიდავე ავად გახდა და სასწრაფოდ შესაცვლელი შეიქნა. საღამოს, ლევანი მეგობრებთან შესახვედრად რომ მიდიოდა, დაინახა ბალავაძე, რომელიც დელეგაციის ხელმძღვანელ — არკადი ლენცს ელაპარაკებოდა. თედიაშვილის დანახვისთანავე, ორივე მათგანი მოჭიდავისკენ გამოემართა და ბალავაძემ შეგირდს განუცხადა: ლევან, გენაცვალე, დაგვეხმარე — სამბისტთა ნაკრებში სწორედ შენს წონაში მოასპარეზე სპორტსმენი გახდა ავად, რომელიც უნდა შეცვალო. თავის დროზე, სამბოში ხომ ვარჯიშობდი და ახალგაზრდებში ქვეყნის პრიზიორიც იყავი. ამიტომ არჩევანი შენზე შევაჩერეთო. თედიაშვილი სამბოში მართლაც ვარჯიშობდა, მაგრამ უკანასკნელად, სპორტის ამ სახეობაში, ხალიჩაზე 1966 წელს გამოვიდა. იმ დროიდან მოყოლებული, სამბოში წესები შეიცვალა და კონკურენციაც უფრო გამძაფრდა, მაგრამ ლევანმა ბალავაძეს უარი ვერ უთხრა. საბოლოოდ, თედიაშვილმა სამბოშიც ოქროს მედალი მოიგო და ერთადერთი სპორტსმენია, რომელიც მსოფლიო ჩემპიონი ორივე სახეობაში გახდა.

1974 წელს, თედიაშვილმა კიდევ ერთხელ იმარჯვა მსოფლიოსა და ევროპის პირველობაზე, ხოლო მომდევნო წელს, პლანეტის უძლიერესი მოჭიდავეები ერთმანეთს მინსკში შეხვდნენ. აღნიშნული ტურნირი იმითაა აღსანიშნავი, რომ ის ახალი წესებით ჩატარდა და თითოეულ ეფექტურ ილეთზე, მსაჯები ადრინდელთან შედარებით, ფალავნებს გაცილებით მეტ შეფასებას აძლევდნენ. თან, რაც მთავარია, ჭიდაობაში შეხვედრების ფრედ დასრულება აიკრძალა. თედიაშვილს გამარჯვება არც ამჯერად გასჭირვებია და მსოფლიოს უძლიერესი ფალავნის ტიტული მეოთხედ მოიპოვა, რაც მანამდე არც ერთ ქართველ მოჭიდავეს არ გაუკეთებია.

თბილისში დაბრუნებულმა ლევანმა მეორე დღესვე თავის სოფელს მიაშურა და მშობლებს სამეურნეო საქმეებში ეხმარებოდა, თან, ადრინდელისგან განსხვავებით, მეგობრებთან საქეიფოდ არ დადიოდა. რამდენიმე დღის შემდეგ, მამამისი დაინტერესდა — რატომ ატარებდა მისი შვილი მთელ დროს სახლში და თბილისში დაბრუნებასაც არ ჩქარობდა. თედიაშვილმა მშობელს ხუმრობით უთხრა: გადავწყვიტე, ჭიდაობას თავი დავანებო, რადგან მუდმივად გამარჯვება მომწყინდაო. მამა იუმორს ვერ მიუხვდა და ნაწყენმა შვილი დატუქსა — ბოლომდე კაცად დარჩი და არ შეგვარცხვინო. იჭიდავე და თუ წაგებას დაიწყებ, მაშინ რაც გინდა, ის გააკეთეო. ცხადია, თედიაშვილი „ხალიჩიდან“ წასვლას არ გეგმავდა და 1976 წელს, მან სანქტ-პეტერბურგში ჩატარებულ ევროპის პირველობაზე კიდევ ერთხელ გაიმარჯვა. გასათვალისწინებელია, რომ ტურნირის მოსაგებად, ქართველს მხოლოდ 23 წუთი დასჭირდა, როდესაც რეგლამენტით 54 წუთი შეეძლო ეჭიდავა. სანქტ-პეტერბურგში, თედიაშვილმა ერთი რეკორდიც დაამყარა. კერძოდ, მან 19 წამში დაამარცხა გერმანიის დემოკრატიული ნაკრების წევრი — ასეთი სწრაფი გამარჯვებისთვის შეჯიბრებაზე არც ერთ მონაწილეს არ მიუღწევია.

მონრეალის ოლიმპიადის წინ, საგარეჯოელი სპორტსმენი საბჭოთა კავშირის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების კაპიტნად აირჩიეს და მან ეს ნდობა სავსებით გაამართლა. ფინალამდე თედიაშვილმა ექვს შეხვედრაში დროზე ადრე გაიმარჯვა, ხოლო ოქროს მედლისთვის პაექრობა ამერიკელ ბენ პეტერსონთან მოუწია, რომელსაც 11:5 მოუგო და ოლიმპიადაზე გათამაშებული უკანასკნელი ოქროც მას ერგო. სხვათა შორის, ამერიკელი ფალავანი იმ ჯონ პეტერსონის ძმა იყო, რომელსაც ლევანმა 1972 წელს, მიუნხენში აჯობა. ის პირველი ქართველი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ჭიდაობაში და ჩვენებურებიდან, დღემდე ასეთი შედეგისთვის არავის მიუღწევია.

მონრეალში ჯერ მოჭიდავეთა შორის კენჭისყრა ჩატარებული არ იყო, რომ თედიაშვილი სასადილოში შევიდა და გერმანელ ათლეტს უთხრა: პირველად შენ გეჭიდავებიო, მერე კი იგივე იქვე მყოფ ბულგარელ და შვედ მოჭიდავეს გაუმეორა. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონთან პირველივე ორთაბრძოლის ჩატარება არავის უნდოდა... მიუხედავად იმისა, რომ თედიაშვილი ბევრს ვარჯიშობდა, იგი საერთაშორისო შეჯიბრებისას თავს უფლებას აძლევდა ცოტა ღვინო დაელია და ხანდახან სიგარეტიც მოეწია. იმავე კანადაში, ოლიმპიადაზე, საპირფარეშოში რომ ეწეოდა, თავს საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯ-

დომარე — პავლოვი წამოადგა, რომელმაც სპორტსმენს გაოცებულმა ჰკითხა: „რას აკეთებთ?“ თედიაშვილმა აუღელვებლად უპასუხა: „ვერ ხედავთ, ვეწევი“. თედიაშვილს ბრძოლა რუმინელ ათლეტთან ელოდა და მისთვის თვალის სადევნებლად, პავლოვი ხალიჩის კიდესთანაც კი მივიდა. თუმცა, ქართველის გამარჯვების შემდეგ, სიტყვა აღარ დაუძრავს. მომდევნო წელს, ჩვენებურმა წონა კვლავ შეიცვალა — 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში გადავიდა და საბჭოთა კავშირის პირველობაზე, მხოლოდ „ვერცხლს“ დასჯერდა. ასევე წარუმატებლად გამოვიდა 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ხოლო მოსკოვის ოლიმპიადის დაწყებამდე, ქვეყნის ჩემპიონატზე გადამწყვეტი შერკინება დონეცკელ ილია მატესთან დათმო. შედეგად, ოლიმპიადის საგზური მატემ მოიპოვა, ლევანმა კი ჭიდაობას თავი საერთოდ დაანება. რაც შეეხება თედიაშვილის განათლებას, სპორტსმენმა ფიზკულტურის ინსტიტუტის გარდა, თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. ერთხელ, ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი — ედუარდ შევარდნაძე რესპუბლიკის ცნობილ სპორტსმენებს შეხვდა. ამ აუდიენციისას საუბარი იმის თაობაზე წარიმართა, რომ ათლეტებს, რომლებსაც ვარჯიში ბევრ დროს ართმევდა, უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებისას შეღავათები უნდა ჰქონოდათ. თედიაშვილმა განაცხადა, რომ ასეთ პრივილეგირებულ სიტუაციაში ყოფნას მხოლოდ მოჭიდავეები საჭიროებდნენ. ამის გაგონებაზე, შევარდნაძემ მზერა ლევანს მიაპყრო, რომელმაც ყოველივე ჩვეული იუმორით აუხსნა: ბატონო ედუარდ, თავს საჭიდაო ხალიჩას იმდენად ხშირად ვურტყამთ, ტვინში ყველაფერი არეული გვაქვს და გულმავიწყობა დაგვჩემდაო. შევარდნაძემ ხუმრობა სათანადოდ შეაფასა და „ფიზკულტურულის“ დამთავრების შემდეგ, ლევანს იურიდიულ ფაკულტეტზე მოხვედრა არ გასჭირვებია.

ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონად გახდომისას, თედიაშვილი კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩიეს და ორჯერ საკავშირო ყრილობის დელეგატიც გახლდათ. ერთხელ, ის მეგობართან ერთად, საქართველოს „ცეკას“ შენობაში იმყოფებოდა და ორივეს მოშივდა, მაგრამ პარტიულ სასადილოში შესასვლელად ფული არც ერთს არ აღმოაჩნდა. თედიაშვილმა მეგობარს სთხოვა: დამელოდე, მალე მოვალო. ხუთ წუთში უკან დაბრუნებული ათმანეთიანების დასტას აფრიალებდა და თან მეგობარს ეუბნებოდა: აქ კომუნისტები მარტო ჩვენ ვართ, დანარჩენები „ულიკები“ არიან, რადგან ყველას ბევრი ფული აქვსო.

თედიაშვილი კახელებისთვის დამახასიათებელი იუმორის გრძნობით ყოველთვის გამოირჩეოდა, რისი დასტურიც თუნდაც ეს შემთხვევაა — ერთ-ერთი საკავშირო ტურნირის დაწყებამდე, მან ნაკრებში ახლო მეგობარს — ივან იარიგინს ფოიეში დაუძახა: ვანია, არ მომეკარო, არც შენ წაგადგება და არც მე. ყველამ იცის, მეგობრები ვართ და რომ წაგაქცევ, მაშინვე იტყვიან, წინასწარ შეთანხმებული არიანო. ამის გაგონებაზე იარიგინმა ბევრი იცინა, მაგრამ ხალიჩაზე რომ გავიდნენ, ქართველმა მას მართლაც მოუგო. თედიაშვილთან ფინალური შეხვედრის შემდეგ, ალმაათელმა პეტრე სურიკოვმა ხელის მძიმე ტრავმა მიიღო, რამაც ჩვენი მოჭიდავე დაამწუხრა. მეტოქის დასამშვიდებლად, სურიკოვს თავისი პრიზის აღება აიძულა. რამდენიმე დღის შემდეგ, ლევანი მოწინააღმდეგეს შეხვდა და უთხრა: მოდი, მოვრიგდეთ, რომ დიპლომისა და მედლის გარდა, ყველა ჩემს პრიზს მოგცემ, მაგრამ ტრავმა არასოდეს არ უნდა მიიღო, თორემ შიშით ინფარქტი დამემართება. თუ კიდევ დააპირებ დაშავებას, წინასწარ გამაფრთხილეო. ამაზე სურიკოვმა იმდენი იცინა, ხელი ლამის ხელახლა ასტკივდა.



კარიერის დასრულების შემდეგ, თედიაშვილი საგარეჯოს რაიონ სოფელ კაკაბეთში კოლმეურნეობას თავმჯდომარეობდა, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს პარლამენტის წევრი იყო და ქართული ჭიდაობის ფედერაციას ხელმძღვანელობდა. ამ თანამდებობაზეც ორგინალური საქციელით გამოირჩეოდა. ქართულ ჭიდაობაში ქვეყნის ჩემპიონატის ჩატარებისას, მან პირველ ადგილზე გასულ სპორტსმენს პრიზად ვირი გადასცა, მეორეადგილოსანს კი — ცხენი. ყველას კარგად ახსოვს, ცნობილი სპორტსმენის მიერ შესრულებული როლი გიორგი შენგელაიას ფილმში — „ხარება და გოგია“. თედიაშვილი გოგიას თამაშზე უარს დიდხანს ამბობდა და მხოლოდ მაშინ დათანხმდა, რაც მას შენგელაიამ ამ წინადადებით მაღალი დონის პარტიული ჩინოვნიკის კაბინეტში მიმართა. თავად პარტიის წევრმა, შეთავაზებაზე უარი ვეღარ თქვა. აღნიშნულ ფილმში მონაწილეობა, ასევე ველორბოლაში მსოფლიო ჩემპიონმა ომარ ფხაკაძემ, ცნობილმა მოჭიდავეებმა — მიხეილ სალაძემ და ავთანდილ მაისურაძემ მიიღეს. აფხაზეთის ომს არც თედიაშვილების ოჯახისთვის ჩაუვლია უკვალოდ — მისი ორი ვაჟკაციდან ერთ-ერთი სწორედ აღნიშნული კონფლიქტისას დაიღუპა.

ლევან თედიაშვილი მსოფლიოში ერთადერთი მოჭიდავეა, რომელმაც საერთაშორისო სარბიელზე, სამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში ოქროს მედლის მოპოვება მოახერხა. მსოფლიოს ჩემპიონატისა და ოლიმპიადის მოგება ჯერ 82 კილოგრამ წონით კატეგორიაში შეძლო, შემდეგ კი — 90-ში, ხოლო 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში ევროპის პირველობაზე გაიმარჯვა. იგი ორჯერ ოლიმპიური და ხუთჯერ მსოფლიო ჩემპიონი გახლდათ, ამგვარი შედეგისთვის დღემდე არც ერთ ქართველ ათლეტს არ მიუღწევია. გარდა ამისა, თედიაშვილმა სამჯერ კონტინენტის პირველობა მოიგო, ორჯერ — საბჭოთა კავშირის, ერთხელ კი, ქვეყნის სპარტაკიადა. ასევე, საშინაო ჩემპიონატში მან ორი „ვერცხლი“ და ერთი „ბრინჯაო“ დაიმსახურა. ერთ-ერთ მსოფლიო ჩემპიონატზე კი, მეორე ადგილი დაიკავა. თავისუფალი სტილით მოჭიდავე სამგზის საქართველოს და ერთხელ — საბჭოთა კავშირის საუკეთესო სპორტსმენი გახდა. მე-20 საუკუნის საქართველოს ყველა დროის გამორჩეული სპორტსმენის გამოსავლენად ჩატარებულ გამოკითხვაში, ბატონი ლევანი მესამე ადგილზე გავიდა, ჩამორჩა რა ვიქტორ სანეევსა და გივი კარტოზიას. სპორტის დამსახურებული ოსტატი ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხისა და ღირსების ორდენების კავალერია.

თავის დროზე, ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში — ვალერი რეზანცევმა თედიაშვილი ასე დაახასიათა: გამოგიტყდებით, ვერ გამიგია, რით იბრძვის ლევანი — ღონე, ტექნიკა და ტაქტიკა რომ საჭიროა, ეს კარგა ხანია ვიცი. ამ შემთხვევაში, ლაპარაკი სულ სხვა რამეზეა. ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, მეტოქე დამარცხებიდან სულ მცირე, ორი საათის შემდეგ მეცოდება. თედიაშვილი კი მოწინააღმდეგეს ჯერ კიდევ ჭიდაობის დაწყებამდე თანაუგრძნობს. ხალიჩაზე ყოველთვის ღიმილით გამოდის და თუ რაიმე ოინს არ ჩაიდენს, გაიხუმრებს მაინც. მე კი იუმორის გრძნობა ოლიმპიადის დაწყებამდე ორი თვით ადრე მიქრებაო.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა თავისუფალი სტილით მოჭიდავე — აიდინ იბრაჰიმოვმა ქართველ მოჭიდავეზე შემდეგი თქვა: „ლევან თედიაშვილი ჯერ კიდევ ორთაბრძოლის დაწყებამდე იმარჯვებდა. იგი მეტოქესთან მოთელვისას მივიდოდა, მეგობრულად გაუღიმებდა და ეტყოდა: ბევრს ნუ ვარჯიშობ, დიდხანს ჭიდაობა არ მოგიწევს, რადგან ჩქარა მოგიგებო. მართლაც, ლევანი როგორც წესი, საკმაოდ სწრაფად იგებდა. უდიდესი ტალანტი იყო“. ■

რამდენად პატივმოყვარე ადამიანი ხართ?

შესაძლოა, სწორედ პატივმოყვარეობა აღმოჩნდეს ის თვისება, რომელიც ამ ცხოვრებაში წარმატების მიღწევაში დაგეხმარებათ. ქვემოთ მოცემული ტესტი გაგარკვევთ იმაში, დასახული მიზნის მისაღწევად საკმარისად პატივმოყვარე ხართ თუ არა. შეკითხვებს უპასუხეთ — „დიახ“ ან „არა“.

1. ზოგჯერ ფიქრობთ, რომ თქვენი კარიერა, სამუშაო თუ საერთოდ ცხოვრება, შეიძლებოდა უკეთესადაც წარმართულიყო.

2. თქვენ მზად ხართ, იმუშაოთ საღამოობით, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ და დასვენების დღეებშიც, ოღონდაც დასახულ მიზანს მიაღწიოთ.

3. მას შემდეგ, რაც მიზანი მიღწეულია, თქვენ საკუთარ სიაში არსებული შემდეგი მიზნის განხორციელებას ჰკიდებთ ხელს.

4. ცხოვრების გზაზე მიღწეული წარმატებებიდან თუ განცდილი მარცხიდან, თქვენ ყოველთვის გაკვეთილის მიღებას ცდილობთ.

5. თუკი წინსვლის შანსი გაქვთ, თანაც ამით კონკურენტის შევიწროების შესაძლებლობაც გეძლევათ, თქვენ უყოყმანოდ დგამთ ამ ნაბიჯს.

6. ხშირად კითხულობთ (ან შეისწავლით) სპეციალურ ლიტერატურას თქვენთვის საინტერესო თემაზე.

7. თქვენ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ ადამიანს შეუძლია ბევრ რამეს მიაღწიოს, თუკი მოინდომებს, ოღონდ მის სურვილს აქტიური ქმედებაც უნდა ახლდეს თან.

8. თქვენ დათანხმდებით სამსახურის გამოცვლას, მიუხედავად იმისა, რომ ამან შესაძლოა საგრძნობლად დააგდოს ის ტემპი, რომლის მიღწევასაც საკმაო შრომა შეალიეთ, თუკი თქვენთვის უფრო მეტად საინტერესო საქმის კეთებას შემოგთავაზებენ.

9. ამჟამად, თქვენ ყველაფერს აკეთებთ იმისთვის, რათა წარმატებას მიაღწიოთ.

10. თქვენ მიგაჩნიათ, რომ საერთო ჯამში, ადამიანები უფრო სწრაფად აღწევენ წარმატებას იმ შემთხვევაში, თუკი ისინი იმ საქმეს აკეთებენ, რომელიც მათ მოსწონთ.

11. განვლილი ცხოვრების მანძილზე განცდილმა არაერთმა მარცხმა, თქვენ კიდევ უფრო გაგიმძაფრათ წარმატების მიღწევის სურვილი.

12. თქვენ მიგაჩნიათ, რომ კარიერის მწვერვალზე ასვლა — შესანიშნავი მიზანია, რომლის მისაღწევადაც ნამდვილად ღირს ბრძოლა.

13. თქვენ სიამოვნებით დათანხმდებით, თუკი სხვა ქალაქში ან ქვეყანაში უფრო მაღალ თანამდებობაზე გადასვლას შემოგთავაზებენ.

14. თქვენ აღგაფრთოვანებთ და სტიმულს გაძლევთ ფიქრი იმაზე, რომ ოდესმე შეგიძლიათ საკუთარი, დამოუკიდებელი საქმე წამოიწყოთ და არ იყოთ სხვის სამსახურში.

15. გამუდმებით იმაზე ფიქრში ხართ, თუ ხელმძღვანელობას კიდევ რაში შეგიძლიათ გამოადგეთ.

16. თქვენ წინასწარ გაქვთ შედგენილი სია, რომელშიც მომავალში თქვენ მიერ განსახორციელებელი მიზნები გაქვთ ჩამოწერილი.

17. თქვენ გამუდმებით რაღაცას გეგმავთ, ანგარიშობთ და ექსპერიმენტებს მიმართავთ, რათა რაც შეიძლება სწრაფად მიაღწიოთ თქვენ მიერ დასახულ მიზანს.

18. მიზნის მიღწევის ვადა, თქვენ ყოველთვის წინასწარ გაქვთ განსაზღვრული.

19. თქვენ იცით დროის ყადრი და ყოველთვის ცუდ ხასიათზე დგებით, როცა ტყუილუბრალოდ ფლანგავთ მას.

20. თქვენ გამამხნევებელი შინაარსის მქონე დევიზებისა და აფორიზმების კოლექციას აგროვებთ, ვინაიდან საკუთარი მიზნისაკენ ლტოლვაში ეს სტიმულს გაძლევთ.

ყოველ დადებით პასუხში დაიწერეთ 5 ქულა, ხოლო ყოველ უარყოფით პასუხში — 0 ქულა.

ტესტის შედეგები

90-იდან 100 ქულის ჩათვლით: შესანიშნავია! თქვენ მიერ შეგროვილ ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მეტყველებს იმაზე, რომ თქვენ ზედმიწევნით პატივმოყვარე ადამიანი ბრძანდებით. ამის წყალობით კი, თქვენ ამ ცხოვრებაში უდიდესი მწვერვალების დაპყრობას შეძლებთ.

80-დან 90 ქულამდე: ეს კარგი შედეგია. თქვენ საკმარისად პატივმოყვარე ბრძანდებით და გაქვთ იმის უნარი, რომ ამ ცხოვრებაში საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწიოთ.

70-დან 80 ქულამდე: „საშუალოდ“ პატივმოყვარე ადამიანი ბრძანდებით. არცთუ ისე დიდი მოთხოვნილებებით გამოირჩევით, ასე რომ, უმჯობესი იქნება, თუკი წარმატებისაკენ ლტოლვის უნარს განივითარებთ.

60-დან 70 ქულამდე: თქვენი შედეგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ პატივმოყვარეობის გრძნობა თითქმის არ გაგაჩნიათ. სავარაუდოა, რომ თქვენ ნაკლებად გაინტერესებთ საქმიან ასპარეზზე წარმატების მიღწევა და ამ ცხოვრებაში სხვა ღირებულებებს ანიჭებთ უპირატესობას. თუკი ეს ასე არ არის, მაშინ, თქვენი მიზნების განსახორციელებლად საკუთარ თავზე ბევრი მუშაობა მოგიწევთ.

50-დან 60 ქულამდე: შეიძლება ითქვას, რომ პატივმოყვარეობის გრძნობისაგან აბსოლუტურად დაცლილი ხართ. კარგია ეს თუ ცუდი, საკუთარი წარმატებების მიხედვით იმსჯელეთ.



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. ტრეფიკინგი; 2. ფლორიდა; 3. დიქცია; 4. პირამიდა; 5. ნანეტი; 6. გეტრი; 7. ნეგოციანტი; 8. იაკი; 9. აკომპანემენტი; 10. მარანელო; 11. ტიარა; 12. ამერი; 13. ხიდი; 14. მიამიტი; 15. მეგრე; 16. მოლა; 17. მაზერატი; 18. ტაბლა; 19. იდო; 20. ზრო; 21. კირხე; 22. მარლა; 23. როკოკო; 24. ორდერი; 25. არვე; 26. მინანქარი; 27. კანბერა; 28. დია; 29. ხალხი; 30. ერბო; 31. დინარი; 32. ლია; 33. ფაშატი; 34. ოდრი; 35. ლიბია; 36. მადა; 37. ფინიკი; 38. ლი; 39. ტორი; 40. ნობელი; 41. აბაშიძე; 42. აბე; 43. ტროტილი; 44. ამერიკა; 45. შრე; 46. კები; 47. იდიოტი.

სურათებზე: ტინა ტერნერი; ბონო.

ტეკილა სახეჯოხდო ფასად

პოპულარული მექსიკური სასმლის მწარმოებელმა კომპანიამ — Tequila Lay — მის მიერ გამოშვებული ერთი ბოთლი ტეკილა სარეკორდო თანხად — 225 ათას დოლარად გაყიდა. სასმლის ესოდენ მაღალი ფასი 2 კგ ოქროთი და პლატინით ინკრუსტირებული ჭურჭლის უნიკალურობითაა განპირობებული. „ტეკილის ეს ჭურჭელი მართლაც, ექსკლუზიურია და ჩვენი კლიენტი — ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების ამერიკელი კოლექციონერი, ამ ეგზემპლარით კიდევ უფრო გაამდიდრებს თავის ისედაც უნიკალურ კოლექციას“, — განაცხადა კომპანიის მენეჯერმა ფერნანდო ალტამირანომ. მან ასევე აღნიშნა, რომ Tequila Lay-მ განაცხადი გაუგზავნა გინესის რეკორდების წიგნის კომისიას, რათა ის, სპირტიანი სასმლის ყველაზე მაღალ ფასად გამყიდველი კომპანიის სახელით დაფიქსირდეს რეკორდების წიგნში. ამჟამად, კომპანიის განაცხადს სპეციალისტები განიხილავენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ტეკილა, რომლის ერთი ბოთლის ღირებულება, ჩვეულებრივ, 10 დოლარს შეადგენს, მზადდება აღმოსავლეთ მექსიკაში გავრცელებული ცისფერი აგავის გულისგან. ამ მცენარის პლანტაციები იუნესკოს მიერ აღიარებულია მსოფლიო მემკვიდრეობად; ასე რომ, ეს ენდემური ჯიში იუნესკოს მფარველობის ქვეშ იმყოფება. ■

საფოსტო განყოფილების ფრიად უჩვეულო სტუმარი

გერმანიის ქალაქ მეჰერნიხის საფოსტო განყოფილებაში საშინელი პანიკა ატყდა, როცა ამანათის ერთ-ერთი პაკეტიდან, რომელსაც ამკობდა წარწერა — „ფრთხილად, შუშა!“ მეტრნახევრიანი პითონი ამოძვრა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ახალგაზრდა, 28 წლის ქალს პითონის გაყიდვა ინტერნეტის მეშვეობით გადაუწყვეტია და მყიდველიც უპოვია. შემდეგ კი, ახალი მფლობელისთვის ქვეწარმავლის გასაგზავნად, საფოსტო განყოფილებისთვის მიუკითხავს. „პერსონალმა მიიღო ამანათი... მათ წარმოდგენაც არ ჰქონდათ, თუ რა იყო შიგნით, — განაცხადა პოლიციის წარმომადგენელმა ანდრეას ბლუმმა. მოულოდნელად, საფოსტო განყოფილების თანამშრომლებმა შენიშნეს, რომ იატაკზე დადებული ამანათის პაკეტი ამოძრავდა და იქიდან ვეებერთელა გველი ამოძვრა“. ბედად, საფოსტო განყოფილების ერთ-ერთმა თანამშრომელმა იცოდა, როგორ უნდა გამკლავებოდა პითონს და მან მისი სხვა კონტეინერში მოთავსება მოახერხა; მაშინ, როცა მისმა პანიკაში მყოფმა კოლეგებმა სასწრაფოდ დატოვეს შენობა და პოლიცია გამოიძახეს.

საერთოდ, გერმანიის კანონმდებლობით, ფოსტის მეშვეობით ქვეწარმავლის გაგზავნა არ იკრძალება, მაგრამ სამართალდამცავები აპირებენ შეამოწმონ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ამანათის გამგზავნმა ხომ არ დაარღვია ცოცხალ არსებასთან მოპყრობის კანონით დადგენილი წესები. ■

იაპონური სენსაცია სუდოკუ

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდმანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

4	1	5	8	9	6	3	2	7
9	2	3	7	1	5	8	4	6
6	7	8	3	2	4	1	5	9
7	8	1	4	6	2	5	9	3
2	3	6	5	8	9	7	1	4
5	9	4	1	3	7	2	6	8
8	6	7	9	5	1	4	3	2
1	4	9	2	7	3	6	8	5
3	5	2	6	4	8	9	7	1

8	3	2	9	6	7	1	5	4
6	5	9	8	4	1	3	7	2
7	1	4	5	2	3	6	8	9
9	7	8	4	3	5	2	6	1
1	4	3	2	7	6	5	9	8
5	2	6	1	8	9	4	3	7
2	6	1	3	9	8	7	4	5
4	9	7	6	5	2	8	1	3
3	8	5	7	1	4	9	2	6

4	8	9	7	3	1	6	5	2
1	3	2	6	4	5	7	8	9
7	5	6	8	9	2	3	4	1
8	7	3	9	5	4	1	2	6
5	9	4	1	2	6	8	3	7
2	6	1	3	7	8	4	9	5
3	1	8	2	6	9	5	7	4
6	2	5	4	8	7	9	1	3
9	4	7	5	1	3	2	6	8

* მარტივი

8		1	7	2				5
		3	5					
7	5	9						
2	4			7				
9			1		5			8
				4			5	9
						5	9	1
					2	4		
6				5	8	3		2

** საშუალო

				9		3		8
	1	6	3			5		
	3		2				7	9
	5	4						
1				8				7
						6	9	
4	2				5		8	
		3			6	9	4	
5		9		4				

*** რთული

		1	4		7	9		
	6	5		8		1	3	
7								2
8			9	3	1			5
1			7	6	8			4
6								9
	7	4		2		8	1	
		8	1		6	7		

C M Y K

ფოტოკუთხეები





პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

TB STARS

ლიმალელე — გურამიშვილი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

ბინები 57 m^2 - დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე - ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი